სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

ს�მი საუნჯე



3

SUMMARY
РЕЗЮМЕ

სექტემბერი, 2012

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა

სამი საუნჯე

№3(5), 2012



თბილისი
სექტემბერი, 2012

უაკ: 070 (479.22)
ს-21

სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“**.

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», 2012.

სარჩევი

მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი.
„სამი საუნჯის“ სარედაქციო საბჭო 4

განათლება
ზურაბ ცუცქირიძე, საქართველოში სასკოლო რეფორმის დეფორმაციული ასპექტები 5
გიორგი გოგოლაშვილი, განათლება — ჩვენი ბედისწერა 12
თენგიზ ქამუშაძე, „მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენს — კანონი“..... 23

ოფიციალური მიმართვა
თეიმურაზ მირიანაშვილი, ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ბატონ რიჩარდ ნორლანდს 29

ქართლის ცხოვრება
გვანცა კოპლატაძე, „ვისაც რომ სამშობლო უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია“ 34
ანზორ თოთაძე, „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“ 42
თინა ოველაშვილი, ცოტა რამ ახალციხის „მეჩეთის“ შესახებ 54
იუზა ეგვენიძე, XIX საუკუნის ქართველი მწერლები კავკასიის ხალხთა შესახებ 65
ბონდო არველაძე, „Армяне – в паследный вагон“ 85
ნოდარ ლომოური, შიდა ქართლი — ჩვენი სამშობლო და ჩვენი ტკივილი 110
ზურაბ ცუცქირიძე, სამშობლო საფრთხეშია 115
თემურ არბოლიშვილი, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების ზოგადი ანალიზი 121
ზურაბ ჯორბენაძე, სასამართლოს რეფორმა და მართლმსაჯულების პრობლემები 130
მამუკა ცუხიშვილი, ხელისუფლების 10 უდიდესი დანაშაული 138

ანტიკურობა
გრანი ქავთარია, რომის იმპერიის დემონები. კალიგულა 146

იკონოგრაფია
გრიგოლ რუხაძე, ვენახის სახისმეტყველება 159

დოკუმენტური მოთხრობა
ნუგზარ ძნელაძე, საგანგებო მდგომარეობა 167

ახალი წიგნი
წინათქმა თეიმურაზ ფანჯიკიძისა, გურამ ქერაშვილი, ხევი და მოხევეები, თბ., 2012 173

ჩვენი ავტორები 177

РЕЗЮМЕ (რეზიუმე რუსულ ენაზე) 181
SUMMARY (რეზიუმე ინგლისურ ენაზე) 189

მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას

დადგა ჟამი, როცა ქართლის ბედი თვით ქართველმა უნდა გადაწყვიტოს. ამა წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩვენს ერს ისტორიულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამიტომ, ვიცით რა განწყობა შეგნებული საზოგადოებისა და მისი მზაობა სამშობლოს ღირსების დაცვისათვის, მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ სამართლიანი არჩევნების ჩატარება და არ გახდეთ სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, ქართველ ხალხს აღარაფრის ეშინია. მას უკან დასახევი გზა აღარ აქვს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შთამომავლობისთვის მამულის, ენისა და სარწმუნოების შენახვას ვეღარ შეძლებს.

ფაქტი სახეზეა: „ვარდების რევოლუციის“, ანუ ქვეყნის სათავეში თქვენი გუნდის მოსვლის შემდეგ მოქალაქეთა უფლებები და ეკონომიკური შესაძლებლობები კატასტროფულად შეიზღუდა, ხოლო, რაც მთავარია, აღზრდისა და სწავლების თქვენეულმა მეთოდებმა იმდენად შემაძრწუნებელი სახე მიიღო, რომ ახალგაზრდობის მომავალს საფრთხე ემუქრება. ამ და კიდევ სხვა მრავალი მიზეზის გამო, ჩვენი ხალხის უდიდესი ნაწილის განწყობა საიდუმლო აღარავისთვის აღარაა. ამიტომ თავს მოვალედ ვრაცხთ, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ, მიუხედავად ამ ბოლო წლების არჩევნებში თქვენი საეჭვო გამარჯვებებისა, ამჯერად თქვენი დამარცხება არ გამორიცხოთ. ადამიანს მოეთხოვება ცოდნა იმისა, რომ პატივმოყვარეობიდან სასოწარკვეთამდე ერთი ნაბიჯია და არც ამქვეყნიურ დიდებას აშორებს დაცემისაგან უფრო დიდი მანძილი.

„სამი საუნჯის“ სარედაქციო საბჭო.



ზურაბ ცუცქირიძე

საქართველოში სასკოლო რეფორმის დეფორმაციული ასპექტები

მკითხველმა რომ არ იფიქროს, ეს კაცი მდგრადი (!) კონსერვატორია და ამიტომ აპირებს ჩვენში განხორციელებული სასკოლო რეფორმის კრიტიკასო (კრიტიკას რომ ვაპირებ, სათაურშივეა გაცხადებული!), ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე ამთავითვე ვაცხადებ: მე და ჩემი თანამოაზრეები საბჭოური განათლების სისტემის რეფორმის აუცილებლობას რომ ვქადაგებდით, მაშინ ეს ჩვენი რეფორმატორები (უფრო კი — დეფორმატორები!) ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის ასაკისანი იყვნენ. მაშინ ჩვენს პედაგოგიკაში დისიდენტის იარლიყიც მოგვაკერეს და არაერთი უსიამოვნებაც გვაწვნევინეს.

ჩვენი ჟურნალის მკითხველმა იცის, რომ კონსერვატორობა და ნოვატორობა (იგივე რეფორმატორობა) თავისთავად არც კარგია და არც ცუდი. საქმე ის არის, როდის ხარ კონსერვატორი და როდის ნოვატორი. როდესაც ნოვატორობა და კონსერვატიზმი ერთად არიან, მაშინ გაწესრიგებულია საქმე და განვითარებაც უზრუნველყოფილია. ავტომობილს მხოლოდ მუხრუჭი რომ ჰქოდნეს, ადგილიდან ვერ დაიძვრება, მაგრამ მხოლოდ აქსელერატორი თუ ექნა, მტრისას და ავისას, აუცილებლად გადაიჩეხება. ასეა საზოგადოებაც.

საქართველოში ე. წ. განათლების ამჟამინდელი რეფორმის დაწყებისას, მისმა ერთ-ერთმა „თეორეტიკოსმა“ გვაუწყა, სკოლაში აბსოლუტურად ყველაფერი უნდა შეიცვალოსო.

ყველაფერი როგორ უნდა შეიცვალოს, შე ჭკუის კოლოფო-მეთქი, ვუთხარი (ცოტა სხვა სიტყვებით, რა თქმა უნდა!), გაკვეთილის დაწყება და დამთავრება ზუსტად განსაზღვრული არ იქნება, მასწავლებლები და მოსწავლეები ფუნქციებს გაცვლიან, მოსწავლეთა კონტინგენტი კლასებად აღარ იქნება დიფერენცირებული თუ რა-მეთქი. შენ ქრონიკული ოპოზიციონერი ხარო, მიპასუხა.

მალე გამოჩნდა, რომ საქმე ბევრად უფრო ცუდად იყო, ვიდრე მეგონა.

გულწრფელად უნდა გამოვტყდე, „ლიტერატურული საქართველოს“ ხმამაღალი ძახილი და მოწოდება, არიქა, ერისა და ქვეყნის მტრებით აივსო სახელმწიფო, განსაკუთრებით ხელისუფლებაო, ერთობ გადაჭარბებულად მეჩვენებოდა. არ ყოფილა გადაჭარბებული! განსაკუთრებული დაკვირვებაც აღარ არის საჭირო, რომ დაინახო კარგად ორგანიზებული, მასირებული, თუმცა ერთგვარად შენიღბული შეტევა ეროვნულ ცნობიერებაზე. ამავე დროს, „შეუიარაღებელი“ თვალისათვისაც აშკარაა ეროვნული ცნობიერების ფორპოსტზე, განათლების სისტემაზე გამიზნული შეტევა, რომელიც უკვე შენიღბულიც კი აღარ არის.

ვითომ მართლა ასეაო, იტყვის საქმეში ღრმად ჩაუხედავი მკითხველი. კეთილი, ჩემო ბატონო, თქვენი ეჭვი ლეგიტიმურია. საგანმანათლებლო რეფორმას, რომლის აუცილებლობაზე (ვიმეორებ!) დიდი ხნის განმავლობაში პრინციპულად ვმსჯელობდით, მართლაც, მტრები ხომ არ ატარებენ? ბუნებრივა ასეთი კითხვის გაჩენა.

მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი რეფორმის სტრატეგიის განხორციელების პროცესსა და მის მეცნიერულ საფუძვლებს, მაშინ დავინახავთ რას თესავენ და როგორი მოსავლის აღებას ვარაუდობენ ჩვენი რეფორმატორები.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოში სასკოლო რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აშშ-მ 60 მილიონი დოლარი გამოჰყო, რომელიც ეტაპობრივად გადმოურიცხა საქართველოს განათლების სამინისტროს. მე იმის ცოდნას ნუ მომთხოვთ, ეს 60 მილიონი სესხი იყო თუ დახმარება. ასეა თუ ისე, კაცი რომ გაჭირვებაში ხელს გაგიმართავს, მადლობის მეტი რა გეთქმის.

ეს ფული რომ გამოგვიგზავნეს, თან დირექტივაც მოაყოლეს, თითოეული ცენტი ამასა და ამას მოახმარეთო. თუ ეს ფული საჩუქარია, მაშინ ვერც ამაზე შეედავები. კაცი თუ ფულს გჩუქნის და გეუბნება, ამით შარვალი იყიდე და არა პურიო, რას ემართლები, მადლობელი არ ხარ? ხომ არ გართმევს, გჩუქნის! (ისე კი, ღმერთო შეგცოდე და, ეჭვი მღრღნის, რაღა ჩვენი ხალხის სიყვარულის ქოთანი გაუსკდა ამ ამერიკას, — შეერთებულ შტატებზე ვამბობ, — ამ სიშორეზე მცხორვებ ხალხზე რამ აუჩუყა გული? იქვე არ ჰყავს ახლო მეზობლები: ნიკარაგუა თუ პუერტორიკო, ბოლივია თუ ჰონდურასი, პანამა თუ მანამა? გაუნათლებლობისა და სიდუხჭირის ჭაობში რომ იხრჩობიან!).

სარეფორმო სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანა იყო დასმული. კეთილი. ამაში ცუდი რა არის? პირიქით! საქმე ის არის, რომ ამ ორი ათეული წლის წინ „პედაგოგიურ მექად“ აღიარებულ თბილისში (აშშ-ს განათლების მუშაკთა დელეგაციის მეთაურის ნათქვამია ეს, თბილისში ყოფნისას 1984 წელს) და

მთელ საქართველოში კვალიფიკაცია რომ აუმაღლო პედაგოგებს, სრულიად თანამედროვე ნოვატორული თეორიები და ტექნოლოგიები უნდა მიაწოდო მათ.

ჩვენი რეფორმატორები როგორ იქცეოდნენ და რაში ხარჯავდნენ უცხოურ გრანტებსა თუ კრედიტებს?

უცხოელ სპეციალისტებს იწვევდნენ (იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც ფული გვასესხეს!) და ლექცია-სემინარებს ატარებინებდნენ იმ აქტივისტი მეთოდისტებისათვის, რომლებსაც შემდგომში სხვებისთვის უნდა გადაეცათ უცხოელების მიერ ნასწავლები „პედაგოგიური სიბრძნე“.

მე არ ვიცი, რა დონის სემინარებს ატარებდნენ ის უცხოელები და რა სიბრძნის სალარო იხსნებოდა მათს ლექციებზე, ამიტომ მხოლოდ სხვათა მონათხრობით ვერ ვიმსჯელებ. სამაგიეროდ, აგერ მაქვს 200 გვერდიანი წიგნი, რომელსაც ყდაზე ძალიან დიდი ასოებით აწერია „აქტიური სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო“ და იქვე, ცოტა უფრო მცირე ზომის ასოებით — „გაეროს ბავშვთა ფონდი“. ყდაზე მეტი არაფერი წერია.

ამ წიგნს შემთხვევით კი არ ვასახელებ, იგი განათლების სამინისტრომ გაავრცელა, როგორც სარეფორმო სტრატეგიის ძირითადი თეორიული დოკუმენტი, ჯერ კიდევ რეფორმის დასაწყისში.

სად მომზადდა და ვინ არიან ავტორები წიგნისა, რომლითაც კვალიფიკაცია უნდა აიმაღლონ ჩვენმა პედაგოგებმა?

წიგნის მეორე გვერდზე ირკვევა, რომ ეს სახელმძღვანელო სერბიისა და მონტენეგროს რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ხელთდასხმით მოუმზადებიათ ივან ივიჩს, ანა პესიკანს, სლობოდან იანოვიჩს, სვეტლანა კიევკანინს. მათ შესახებ სხვა ცნობები აღნიშნული არ არის, ხოლო ევროპულ პედაგოგიკაში, რამდენადაც ვიცი, მათი სახელები უცნობია.

არავის დამცირებას არ ვაპირებ (ღმერთმა დამიფაროს!), მაგრამ, სხვათა შორის, ცნობისათვის ვიტყვი: გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 90-იანი წლების არეულობამდე, იუგოსლავიის შვიდივე რესპუბლიკის დელეგაციები თვეში ორჯერ ჩამოდიოდნენ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკის სამენციერო-კვლევით ინსტიტუტში მოწინავე პედაგოგიური ტექნოლოგიების შესასწავლად (შემდეგში, სლოვენიასთან ხელშეკრულებაც გაფორმდა).

სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი ნათლად მეტყველებს მთარგმნელთა პედაგოგიურ „კვალიფიკაციაზე“. მთარგმნელებმა და მათმა დამკვეთებმა (თუ ისინი ერთი და იგივენი არ არიან!) ანაგებადაც არ იციან პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. ასეთი ცოდნა-გამოცდილებით რა თეორიულ საფუძვლებსაც შეუქმნიდნენ რეფომრას, ძნელი გასაგები არ არის.

სახელმძღვანელოს ეპიგრაფივით აქვს წამძღვარებული ამონარიდი: ვი-

ღაც ა. მ. და მ. ნ.-ს წერილიდან, რაც, სავარაუდოდ, ავტორთა პედაგოგიურ კრედოს გამოხატავს. „ადამიანს, რომელსაც სურს გავლენა მოახდინოს მეორე ადამიანის განვითარებაზე, მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეუძლია: განავითაროს ამ ადამიანის განსჯის სიმტკიცე, ასწავლოს მას საკუთარი გონებით ფაქტებზე დაკვირვება და ლოგიკური დასკვნების გამოტანა დამოუკიდებლად“ (ხაზგასმა ჩემია — ზ. ც.).

აი, ასე იწყებენ ჩვენს „განათლებას“ სახელმძღვანელოს პირველივე გვერდიდან.

მართლაც, თუ კაცს მტკიცე მსჯელობის უნარს ჩამოუყალიბებ, საკუთარი „გონებით ფაქტებზე“ დაკვირვებასა და დასკვნების გამოტანას ასწავლი, ამაში ცუდი რა უნდა იყოს, მაგრამ რა შუაშია აქ „მხოლოდ“? რატომ გვაფრთხილებენ, რომ ეს გააკეთეთ და სხვა არაფერიო. როგორ, ცოტა მზამზარეული ცოდნაც რომ მივცე, რა დაშავდება? აბა, იმას ვუცადო, “საკუთარი გონებით ფაქტებზე დაკვირვებითა და ლოგიკური დასკვნებით“ როდის მოახერხებს იგი მექანიკის კანონების, ან თუნდაც ელექტრობის თავისებურებების აღმოჩენასა და დადგენას? არაო, გვეუბნებიან, არაფერი ასწავლოთო, მეტიც, გვემუქრებიან: „ვინც ამ გზას არ გაჰყვება და მოისურვებს საკუთარი გეგმებითა და რჩევით “ნამცხვარივით გაავსოს“ მეორე ადამიანი, მას შეიძლება ამოძრავებდეს ნებისმიერი რამ, ამ ადამიანისათვის განვითარებაში დახმარების გარეშე“.

რა დაგემართათ თქვე დედმამაცხონებულებო (წიგნის ავტორებსა და მთარგმნელებს მივმართავ!), აქსიომატურობის პრინციპის შესახებ არაფერი გსმენიათ? ამას არ ეფუძნებდა ბავშვის სწავლა-განვითარება დღემდე? არც სწავლების განმავითარებელი ფუნქციის შესახებ გაგიგიათ რაიმე? რაც შეხება მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე ორიენტირებულ განათლებას, მას განაჩენი ჯერ კიდევ ოთხი საუკუნის წინ გამოუტანა იან ამოს კომენსკიმ და ბავშვის გონებრივი განვითარების კლასიკური ფორმულაც ჩამოაყალიბა: „ბავშვის გონება ჭურჭელი კი არ არის, რომელიც უნდა ააავსო, არამედ ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო!“ ეს რომ გაგონილი ჰქონოდათ ამ წიგნის ავტორებს, იმას როგორ იტყოდნენ „ნამცხვარივით გაავსოს“ მეორე ადამიანიო. ამგვარი შედარება არა მარტო პედაგოგიურ პროცესთან დაკავშირებით, არამედ საერთოდაც არ მსმენია. ხოლო, რადგან წიგნის გამომცემლები მას გვთავაზობენ, ალბათ, სმენიათ კიდეც და მოსწონთ კიდეც. ღმერთმა შეარგოთ! იქვე, ყოველი შემთხვევისათვის, მკითხველს აკვალიანებენ (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ლანძღავენ-მეთქი); „ისეთი მასწავლებელი, რომელიც ჩვენ მიერ მოწოდებულ მცნებას არ მიჰყვება, ან უპასუხისმგებლო ბავშვია, რომელსაც საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება სურს საკუთარი „ცოდნით“ თავის მოწონებითა და ახალი „მეგობრების“ შეძენით, ან თაღლითია, რომელსაც თავისი წვრილმანი მიზნების

მიღწევის სურვილი ამოძრავებს“ (სტილი დაცულია — ზ. ც.).

უბოდიშოდ უნდა განვაცხადო: ასეთი უაზრობა და, მეტიც, სისულელე სამეცნიერო-მეთოდიკურ ლიტერატურაში კი არა, “კაცების შოუშიც“ არ გამიგონია. სერიოზულ მეცნიერებაზე პრეტენზიის მქონე კაცი ამ ბჟუტურზე აზრის გამოთქმას როგორ იკადრებდა, მაგრამ ეს ბჟუტური სარეფორმო სტრატეგიის ნაწილი რომ არის? რეფორმა კი ჩვენს სკოლებში ხორციელდება, სადაც საქართველოს მომავალი იზრდება.

მაშ, რა გამოდის? მასწავლებელი თუ რაიმე ცოდნას გადასცემს მოსწავლეებს, მაშინ იგი უპასუხისგებლო და ამბიციური ბავშვია? ასეა?

ამგვარ მოსაზრებას არანირი კავშირი არ აქვს სწავლების თეორიასთან. პედაგოგიკასა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში, ჩვენშიც და უცხოეთშიც, მიჩნეულია, რომ სწავლება არის ცოდნა-გამოცდილების გადაცემა-ათვისების პროცესი. ამასთან, ცოდნა-გამოცდილების გადაცემა-ათვისების მხოლოდ ორი გზა არსებობს — ინფორმაციული და ძიებითი. პირველი ირიბად უკავშირდება შემეცნების პროცესს, მეორე პირდაპირ ეყრდნობა მას. სხვა რამ გზა ბუნებაში არ არსებობს!

ესენი ანუ დეფორმატორები (არ შემშლია!) რა მიზანსაც უსახავენ სკოლას, ის არა სწავლება-აღზრდას, არამედ წვრთნა-აღზრდას გულისხმობს. აღზრდის მთლიან სისტემაში წვრთნა-აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ მთავარი ორიენტირი, რა თქმა უნდა, სწავლება-აღზრდაა. ეს ბუნებრივია, რადგან სკოლის გენერალური ფუნქცია განათლებაა, ხოლო განათლება სწავლების გარეშე ჯანსაღი გონებისთვის წარმოუდგენელია.

დიდი სიბრძნე არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ჩვენს სკოლას მიზნად უსახავენ მხოლოდ მომსახურე პერსონალის აღზრდას!

ტურიზმი თუ განვითარდება ჩვენში (ცხადია, უნდა განვითარდეს!), ბუნებრივიც იქნება, სასტუმროებსა თუ რესტორნებში, კემპინგებსა თუ ავტოგასამართ სადგურებში, სხვაგან და სხვაგან მათ ჩვენი მოქალაქეები მოემსახურონ, მაგრამ სხვათა მოსამსახურეებად მთელი ერის ტოტალური მომზადება საგანმანათლებლო სისტემის გენერალურ ამოცანად უნდა დავისახოთ? ეს ეკადრება სამიათასწლიანი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ისტორიის მქონე ხალხს?

ჩვენი დეფორმატორები განათლების სფეროში ამა თუ იმ ნოვაციას ისე გამოახვევენ ხოლმე დემოკრატიისა და ჰუმანიზმის საფარველში, რომ კარგად თუ არ დაფიქრდი, გული აგიჩუყდება უთუოდ, ასეა ინკლუზიური სწავლების დანერგვის პროცესშიც.

ცოდო არ არის გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი, მასობრივ სკოლაში რომ არ ღუბულობენო. ისიც ხომ ადამიანის (უფრო კი — ღვთის) შვილიაო. რაც უნდა უნიჭო იყოს (დებილი, იბეცილი!), საზოგადოებასთან

ადაპტაცია მასაც ხომ სჭირდებაო. კლასში რომ ერთი-ორი გონებაჩამორჩენილი თანატოლი ეყოლებათ, ნორმალური ინტელექტის ბავშვებში მათი მდგომარეობა სიბრალულს გამოიწვევს და ისინი სხვაზე ზრუნვას ისწავლიანო, — დაგვანამუსეს დეფორმატორებმა.

საზოგადოებასთან ადაპტაცია ის არის, როცა პიროვნება არასრულფასოვნების კომპლექსისაგან გათავისუფლდება საზოგადოებასთან სოციალური ურთიერთობის პროცესში. როდის უფრო ნათლად გააცნობიერებს და დააფიქსირებს მოზარდი თავისი გონებრივი შესაძლებლობების დეფიციტს — მასობრივ სკოლაში, თუ სპეციალურ სასწავლო დაწესებულებაში, სადაც დაახლოებით ერთნაირი განვითარების ბავშვები სწავლობენ მათი ინტელექტის თავისებურებებთან მისადაგებული პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. სად უფრო აქვთ წარმატების შანსი, რაც განვითარების ყველაზე ქმედითი სტიმულია?

სპეციალურ სკოლაში გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების აზროვნების ტემპისა და თავისებურებების შესაბამისად არის ორგანიზებული სწავლების პროცესი. ამიტომ იქ თითოეულ ბავშვს აქვს წარმატების შანსი და მათი განვითარება უსათუოდ მივა გარკვეულ სოციალურად ღირებულ კონდიციამდე. მასობრივ სკოლაში ამის შანსი ნულის ტოლია!

ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვისას ერთმა მეოთხეკლასელმა კითხვაზე — რამდენი მოსწავლეა თქვენს კლასში? ასე უპასუხა: ოცდაშვიდი მოსწავლე და ერთი ინკლუზიური ბავშვიო.

სრული ადაპტაცია მომხდარა! ე. წ. ინკლუზიურ ბავშვს თანაკლასელები მოსწავლედ არ თვლიან. მეტი სოციალური გაუცხოება რაღა გინდა?

ძალიან კარგად იციან რეფორმის იდეოლოგებმა, რომ მასობრივ სკოლაში ე. წ. ინკლუზიური ბავშვები ნორმალური ინტელექტის ბავშვების დონეზე ვერ მივლენ, აი, ნორმალურების გამოთაყვანება კი შესაძლებლად მიაჩნიათ. სატელევიზიო გადაცემას, „ქალურ ლოგიკას“ რომ ვუცქერი ხოლმე, ვრწმუნდები, რომ ჩვენი განათლების სისტემა მოსწავლეთა გამოთაყვანების ამოცანას წარმატებით წყვეტს. ამას წინათ ამ ე. წ. შოუში ორ გამოპრანჭულ, ფეხიფეხზე გადადებულ ახალგაზრდა ქალს (რომელთაგან ერთმა გიდი ვარო, თქვა, მეორემ კი ბიზნესის მენეჯერობა დაიბრალა) კითხვა დაუსვეს: რამდენი ნულია მილიარდშიო. იმ ორმა კარგა ხანს იდავა: ერთი ამტკიცებდა მილიარდში მილიარდი ნულიაო, მეორე კი დარწმუნებული იყო, რომ მილიარდში ნული საერთოდ არ არის. საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ მილიარდს ნული არ აქვსო.

სასკოლო რეფორმის ანტიეროვნული მიზნები აშკარად გამოჩნდა საქართველოში უცხოური ენის ორი ათასი ე. წ. პედაგოგის ჩამოყვანით. უცხოური ენის ცოდნა რომ ძალიან კარგია, ეს ჩვენი პაპის პაპის პაპის პაპამაც კარგად იცოდა და იცოდნენ კიდეც უცხოური ენები ჩვენმა წინაპრებმა, მაგრამ ეს ორი ათასი კაცი მართლა უცხოური ენის სწავლების მიზნით ჩამოვიდა, თუ ჩამოიყვანეს?

მესტიის რაიონის სოფელ უშგულში, ხარაგაულის რაიონის სოფელ საღანძილეში, თუ თელავის რაიონის სოფელ ვანთაში ქართული ენის აბსოლუტურად უცოდინარ ამერიკელს რომ გააგზავნი, ქართულ ოჯახში ჩაასახლებ, ის ასწავლის ადგილობრივ ბავშვებს ინგლისურს, თუ, პირიქით, ისინი ასწავლიან მას ქართულს. ეს ცუდი არ არის, მაგრამ მასაც შეუძლია აქაურებს ასწავლოს... ამერიკული ცხოვრების წესი. ის წესი კი არა, რომლითაც ობივატელი ამერიკელი ცხოვრობს — სწავლობს, შრომობს, შვილებს ზრდის, იღვწის; არა! ცხოვრების ის წესი, რომელიც ჩვენი ცხოვრების წესისაგან რადიკალურად განსხვავებულია და მოზარდის თვალსა და ყურს სწორედ ამ განსხვავებულობით იტაცებს. ამიტომ ჭარბობდნენ იმ მისიონერ „პედაგოგებში“ ფლეტჩერები და არა როჯერსისა და დიუის პედაგოგიკის მიმდევრები.

საქართველოში სასკოლო რეფორმის დეფორმაციულ ასპექტებზე ძალიან დიდხანს შეიძლება საუბარი და არც საილუსტრაციო მაგალითების მოძიებაა ძნელი, მაგრამ ამჯერად აქ დავსვამ წერტილს. მე მგონია, მკითხველს ასე თუ ისე მივანიშნე იმ ტენდენციაზე, რომელიც აშკარად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ მეთოდურად მივდივართ საყოველთაო წიგნიერების დამკვიდრების ეროვნული სისტემიდან, საყოველთო უწიგნურობის ანტიეროვნული სისტემისაკენ.



გიორგი გოგოლაშვილი

განათლება — ჩვენი ბედისწერა

„ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედის წერა მხოლოდ სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული?“, — ეს კითხვა აკაკი წერეთელმა დიდი ხნის წინათ დასვა... ვითომ დღეს კი ვიცით, რომ ჩვენი ბედისწერა მხოლოდ სწავლა-განათლებაზე არის დამოკიდებული? და თუკი ვიცით, რას ვაკეთებთ საიმისოდ, რომ სწორ გზაზე დავაყენოთ სწავლა-განათლების საქმე? — ვისაუბროთ ამ თემაზე.

მოდით, ჯერ იაკობ გოგებაშვილს მოვუსმინოთ: *„ხალხის განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯი ქვეყნის კეთილდღეობისა, ბედნიერებისა“*... რა დღეშია დღეს ეს დედაბოძი, მთავარი ბურჯი ქვეყნის კეთილდღეობისა? — მარტივად შეიძლება ვუპასუხოთ: მორყეულია, ძირგამოთხრილია...

დღეს — ამ გაფთრებულ წინასაარჩევნო კამპანიაში — სიტყვა „განათლება“ სხვათა შორის თუ გაიჟღერებს, ისიც ზოგადად; ეს ეხება როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას. ხელისუფლება ზოგჯერ წარმატებულ საგანმანათლებლო რეფორმაზეც კი საუბრობს, აქაც უფრო მეტად ზოგადად. ყველაზე წარმატებული (მათი აზრით) ეროვნული გამოცდები იყო და მომავალი წლიდან აღარ იქნებაო (აკი ძალიან წარმატებულიაო?)... ასე რომ, განათლება უკანა პლანზე გადაწეულ საკითხთა რიგში დგას...

სამინისტროს დონეზე დააწყვილეს განათლება და მეცნიერება. ეს ალბათ სწორი ნაბიჯი იყო: რეალურად ასეც არის — მეცნიერების საფუძველი განათლებაა, განათლების საფუძველი — მეცნიერება. უერთმანეთოდ ვერცერთი ვერ იხეირებს. თუ აკაკი და იაკობი მხოლოდ განათლებაზე ამახვილებენ ყურადღებას, იმ დროისათვის ეს რეალობა იყო — ქართული მეცნიერება ფაქტობრივ არ არსებობდა; იაკობი სხვათა (კომენსკის, უშინსკის, ლომონოსოვის, პესტალოცის...) მეცნიერულ ნააზრევს (და პრაქტიკულ გამოცდილებას) ემყარებოდა და ავითარებდა. თუმცა იაკობს ძალიან კარგად ესმოდა მეცნიერების როლი და მნიშვნელობა: *„ენა, რომელზედაც მეცნიერება არ არსებობს, დიდხანს ვერ იცოცხლებს, თუნდაც ბლომად ჰქონდეს ლექსები და მოთხრობები. ხოლო მეცნიერება მაშინ იბადება და*

იზრდება რომელისამე ენაზე, როცა ამ ენაზე მიმდინარეობს საგნების სწავლება ყოველს გვარს სასწავლებელში“ (ეს არსებითია!).

XX საუკუნემ — ქართული უნივერსიტეტისა და ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შექმნამ — ქართული მეცნიერება საერთაშორისო ასპარეზზე ანგარიშგასაწევ ძალად აქცია...

დღეს? XXI საუკუნემ რატომ უღალატა ქართულ განათლებასა და მეცნიერებას? — ამგვარ კითხვას თავის დროზე ილიამ უპასუხა: *„**დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდევაც ეს მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე**“*... ეს რომ თქვა ილიამ, მერე ცოტა გავსწორდით და... შემდეგ გასწორებული მაინც გავამრუდეთ...

თუმცა მივყვეთ უფრო თანმიმდევრულად.

განათლება უწყვეტი პროცესია: სკოლამდელი აღზრდა — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — უმაღლესი სასწავლებელი. რა ხდება თითოეულ ამ საფეხურზე?

პრინციპული მნიშვნელობა აქვს (განსაკუთრებით პირველ ორ საფეხურზე) ენის სწავლების საკითხს; კერძოდ, დედაენაზე განათლების მიღების საკითხს. გავხაზავთ — მშობლიურ ენაზე, როგორც ქართველთათვის, ისე – არაქართველთათვის.

ერთზეც შევთანხმდეთ: დედაენაზე აღზრდის მნიშვნელობა სწორად გვესმის თუ არა; ეს მხოლოდ პატრიოტული საქმეა, თუ არა მხოლოდ და უფრო არსებითი მნიშვნელობაც აქვს. ანუ: რა მნიშვნელობა აქვს, სწავლების ენა მშობლიური იქნება თუ უცხო ენა.

აქაც იაკობ გოგებაშვილი უნდა მოვიშველიოთ; მის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი თემა დედაენისა და უცხო ენის სწავლების ურთიერთმიმართების საკითხია. ძირითადი თეზისი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: *„**ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა**“*. იაკობი მოგვიწოდებს: *„საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კვერად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“*. და ეს არა იმიტომ, რომ *„მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი კი არინ ენანი მეხსიერებისა“*; დიახ, არა მხოლოდ ამიტომ. იაკობი განმარტავს: *„დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნული აგებულებისა და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბადლო ნიჭი, მტკნარ სიტუტუცეზე ჩამოხტება“*... ანუ: ბავშვის ბუნებითი შესაძლებლობა ერთი

საფეხურით ჩამოქვეითდება... როგორც ვთქვით, ეს ერთ-ერთი ძირითადი თემაა იაკობისათვის; ეს არ არის „XIX საუკუნის აზროვნება“...

როგორ უყურებენ ამ საკითხს დღეს? რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან გამოჩენილი ფსიქოლოგის, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის წერილიდან: *„პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას.* ***უცხო ენის სწავლების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინაალმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას“.*** დღეს, როცა დადგა საკითხი ქართულ სკოლაში უცხო ენის პირველი კლასიდანვე სწავლებისა (დედაენის პარალელურად!), ფსიქოლოგი გვაფრთხილებს: „***თუ ინგლისური ენა მშობლიური ენის კონკურენტად აქციეს, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე და მათი აზროვნების მთლიანობაზე“***... ასე რომ, ის, რასაც იაკობი ქადაგებდა XIX საუკუნეში, უტყუარი ჭეშმარიტებაა დღესაც, მეტიც — სასიცოცხლო აუცილებლობა ერისათვის...

იგონებენ: თედო სახოკია ძველ თბილისურ ეზოში ცხოვრობდაო — ეზოში, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანი სახლობდა. სანამ ბატონი თედოს შვილიშვილი 6 წლის გახდებოდა, პაპა სთხოვდა მეზობლებს, ბავშვთან მხოლოდ ქართულად ესაუბრათ, ხოლო 6 წლის შემდეგ სთხოვდა, მასთან რუსულად ესაუბრათ. ჰოდა ის ბავშვი გახდა შესანიშნავი მოქართულე და მორუსულე. თ. სახოკია ევროპაში განათლებამიღებული კაცი იყო და იცნობდა ევროპელ მეცნიერთა აზრს ამ თემაზე...

ვიცით კი ჩვენ, დღეს რა ხდება სკოლამდელ დაწესებულებებში? განათლების სამინისტრო აკონტროლებს კი „სწავლების“ ენის საკითხს სკოლამდელ დაწესებულებაში? როგორც მითხრეს, ამის კონტროლი დღეს არ ხდება; ამ პრობლემას თითქოს არც განიხილავენ... მაგრამ უფრო რთული ვითარებაა კერძო საბავშვო ბაღებში; განათლების სამინისტროს მათთან არანაირი კავშირი არა აქვს. ახლა არ ვიცი, საერთოდ კონტროლს დაქვემდებარებული არის თუ არა ამგვარი ბაღების არსებობა; წლების წინათ სასამართლოს გადაწყვეტილება იყო საჭირო ამგვარი ბაღის გასახსნელად. რას ასწავლიდნენ, როგორ და ვინ, ამას მხოლოდ ბაღის მეპატრონე წყვეტდა. კერძო ბაღებში აღსაზრდელთა მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება უცხო ენის სწავლებაა... და ახალენაადგმულ ქართველ ბავშვს „ასწავლიან“ ინგლისურად... და ამაყობენ ვაიმშობლებიც... ერთი მეგობარი მიყვებოდა, როგორ იწონებდა თავს ბებია: „ენაცვალოს ბებო, ჩემი შვილიშვილი ფრანგულად აზროვნებს; თქვა, დედა კარგად თამაშობს პიანინოზეო“... ამბობენ, რომ ასე აღზრდილ ბავშვს არც ფრანგული ეცოდინება კარგად და არც ქართულიო... დიახ, ამგვარი აღზრდის შედეგი

რომ სავალალო იქნება, სადავო არ უნდა იყოს. ეს ბავშვის გონებრივი განვითარების მუხრუჭია და არა წინსვლის ფაქტორი... იმაზე აღარაა საუბარი, უცხო ენათა შესწავლის თვალსაზრისით რა მიღწევები ექნება ასეთ ბავშვს... ეს ძალზე სერიოზული თემაა და აუცილებელია სერიოზული დაფიქრება და მსჯელობა...

დასკვნა: **სკოლამდელი აღზრდის პრობლემები მოსაგვარებელია...**

უფრო სერიოზული ვითარებაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

დავიწყოთ პირველ კლასში ინგლისური ენის სწავლების თემით: 2010 წელს განათლების სამინისტრომ ახალი სტანდარტები შეიმუშავა. ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის იყო, რომ I კლასიდან 5 წლის ბავშვისათვის მშობლიურ ენასთან ერთად სავალდებულო გახდა ინგლისური ენის შესწავლა. ტელევიზიით ასეთი ფაქტის მნახველიც გავხდი: ქვეყნის უმაღლესი პირი ერთ-ერთი სკოლის პირველკლასელებთან იყო სტუმრად. იქვე მყოფ ამერიკიდან ჩამოსულ ინგლისური ენის პედაგოგს შეეკითხა, ჩიკაგოში თუ სწავლობენ პირველკლასელები უცხო ენასა და კომპიუტერსო; როცა ამერიკელმა უპასუხა„არაო“, სახეგანათებულმა პირველმა პირმა სიამაყით თქვა: „აი, ჩვენ გავუსწარით ჩიკაგოსო“... გავუსწარით ვითომ? არა მგონია...

ვიმსჯელოთ ფაქტებით:

რამდენიმე წლის წინათ ინგლისში აქტიურად განიხილებოდა საკითხი, ბავშვებს 8 წლის ნაცვლად 9 წლისას დაეწყოთ უცხო ენის შესწავლა. და საკითხი 9 წლის სასარგებლოდ გადაწყდა!.. თურმე ჰოლანდიაში უცხო ენის (ინგლისურის) შესწავლას 10 წლის ასაკში იწყებენ; და, თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისური ყველამ იცისო...

განათლების ყოფილმა მინისტრმა (დ. შაშკინმა) ჩვენი სამინისტროს გადაწყვეტილების გამართლება იმით მოისურვა, რომ თქვა, ასე იყო საბჭოთა პერიოდშიცო (რუსული ენის სწავლება იგულისხმებოდა). არ ახსოვს მინისტრს, თორემ რუსული ენა, ჯერ ერთი, მეორე კლასიდან ისწავლებოდა და, მეორეც, მეორე კლასში რვა წლის ბავშვი სწავლობდა...

ჩვენში ამავე ხელისუფლებამ წინა სტანდარტები 2006 წელს აამოქმედა. უცხო ენათა სწავლების თაობაზე ასეთი ნორმა იყო: „პირველი უცხოური ენის სწავლას მოსწავლე იწყებს მე-3 კლასში, მეორისას კი — მე-7 კლასში. მეათე კლასიდან ნებადართულია პირველი უცხო ენის სწავლისათვის თავის დანებება და მესამე უცხო ენის სწავლის დაწყება (მე-10–12 კლასებში). ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მესამე კლასამდე დაიწყონ სკოლებმა უცხო ენის სწავლება, ან მეშვიდე კლასამდე ასწავლონ ორი უცხოური ენა. თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ მას აქვს ამის საშუალება და ხედავს ამ საგნების შეთავაზების მნიშვნელობას. თუმცა პირველ ორ კლასში უცხოური ენის სწავლება არ არის რეკომენდებული“ (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.). ეს არის სწორედ ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებუ-

ლი სტანდარტი, თუმცა „ქართული დაზუსტება“ აქაც გვაქვს: ხაზგასმული წინადადება ფაქტობრივ ეწინააღმდეგება ძირითადს და ჩანს, ისეთი კერძო სკოლების „გასაპრავებლად“ ჩაიწერა, როგორიცაა იტალიური სკოლა, ეგზიუპერის სკოლა, დემირელის კოლეჯი და ა. შ. მაგრამ ძირითადად მაინც მისაღები სტანდარტი იყო.

და ხელისუფლებამ 2006 წელს მის მიერვე მიღებული სტანდარტი 2010 წელს შეცვალა. არანაირი დასაბუთება, არანაირი არგუმენტაცია; მხოლოდ და მხოლოდ ახირება ერთი კაცისა... გავიხსენოთ: ზემოთ იაკობისა და აკადემიკოს შ. ნადირაშვილის მოსაზრებანი მოვიყვანეთ, ამ თემას რომ ეხებოდა... და გავწირეთ თაობები ერთი კაცის საამებლად... როდემდე?..

დასკვნა: **ყოვლად დაუშვებელია პირველ კლასში დედაენის ხარჯზე (და მასთან ერთად) უცხო ენის სწავლება.**

რამდენი უცხო ენა შეიძლება ვასწავლოთ ერთდროულად მოსწავლეს? საერთაშორისო ნორმებზე დამყარებულ 2006 წლის სტანდარტებში ეწერა: „პირველი უცხოური ენის სწავლას მოსწავლე იწყებს მე-3 კლასში, მეორისას კი მე-7 კლასში. მეათე კლასიდან ნებადართულია პირველი უცხო ენის სწავლისათვის თავის დანებება და მესამე უცხო ენის სწავლის დაწყება (მე-10-12 კლასებში)“. იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ერთდროულად შეიძლება მხოლოდ ორი უცხო ენის სწავლება; ისიც მეშვიდე კლასიდან. მოგეხსენებათ, სტანდარტი ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს ემყარება (თითო-ოროლა ვუნდერკინდის მაგალითის მოყვანა არ ღირს)... ჩვენში რა ხდება? (ამ თემაზე დაწვრილებით შეიძლება იხილოთ: გ. გოგოლაშვილი, „ქართული სალიტერატურო ენა — ისტორია და თანამედროვეობა“, 2009, გვ. 160-168; მონაცემები აღებულია 2006-2007 სასწავლო წლის მიხედვით. რა თქმა უნდა, სურათი დღეს სხვა იქნება, მაგრამ არა გვაქვს იმედი, რომ — უკეთესი).

იყო შემთხვევები, როცა IX-X კლასებში ერთდროულად ისწავლებოდა სამი უცხო ენა (რუსული, ინგლისური, ესპანური).

იყო შემთხვევა, როცა სამი უცხო ენა (რუსული, ინგლისური, იტალიური) ერთდროულად ისწავლებოდა III-X კლასებში. იტალიური იწყებოდა I კლასში, ინგლისური — II-ში, რუსული – III-ში; XI კლასში ისწავლებოდა ინგლისური და იტალიური.

იყო შემთხვევა, როცა სამი უცხო ენა ისწავლებოდა III-XI კლასებში (რუსული, ფრანგული, ინგლისური ან გერმანული); აქ ინგლისური (ან გერმანული) იწყებოდა I კლასში, ფრანგული — II-ში, რუსული – III-ში. სამივე ისწავლებოდა ბოლომდე.

იყო შემთხვევა, როცა სამი უცხო ენა ისწავლებოდა VI-IX კლასებში (რუსული, ფრანგული, ინგლისური), X-XI კლასებში ემატებოდა იტალიურიც (სენტ-ეგზიუპერის სკოლა).

როცა ასეთ სურათს ვხედავთ, უცილობლად უნდა დავფიქრდეთ შედეგებზე. Pპედაგოგიკის სპეციალისტების, ფსიქოლოგებისა და პრაქტიკოსი მასწავლებლების აზრის გათვალისწინება არის აუცილებელი – რამდენად სასარგებლო და შედეგიანია ასეთი მიდგომა ენათა სწავლებისადმი.

დასკვნა: **მდგომარეობა აქაც საგალალოა.**

რას ვასწავლით, რით და როგორ?

ეს ძალზე ვრცელი თემაა. ჩვენ ზოგად საკითხებს დავსვამთ, ზოგად შენიშვნებს გავაკეთებთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითით...

საგანგებოდ მინდა მივაპყროთ ყურადღება I კლასის სახელმძღვანელოს. საერთოდ სახელმძღვანელოს ავტორობა პრესტიჟული და შემოსავლიანი საქმე გახდა; როგორც იაკობი იტყოდა, „სახსრის ტრფიალი “ და „კუჭის პრინციპი“ ჭეშმარიტებისათვის და სიმართლისათვის აღალატებინებს მეთავისეს. ამიტომაცაა, სკოლა და ბავშვი არ ადარდებთ, მთავარია გაინაღდონ ავტორობა და შემოსავალი, თუნდაც ეს იაკობის წიგნის ხარჯზე და, რაც მთავარია, ქართველი ბავშვის ბედის ხარჯზე მოხდეს.

მოვისმინოთ: 2009 წელს ჩატარდა კონკურსი I კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოზე. 10 წიგნი იქნა წარდგენილი კონკურსზე — 10 „დედაენა“! მათ შორის იაკობ გოგებაშვილის „დედაენაც“ (იაკობის პრინციპების მიხედვით გადაამუშავა „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ“, რედაქტორი დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე). სწორედ ამ წიგნმა მიიღო უმაღლესი შეფასება — 98 ქულა (100-დან). ერთ-ერთმა კონკურსანტმა 17 ქულა მიიღო. სამინისტრომ 10-ვე სახელმძღვანელოს მიანიჭა გრიფი და 10-ვემ მიიღო უფლება სკოლაში შესვლისა. არჩევანი სკოლას უნდა გაეკეთებინა... და ზოგ სკოლაში იაკობის წიგნით ასწავლიდნენ (98 ქულა რომ მიიღო) და ზოგან 17-ქულიანი წიგნით! იზრუნეს „ავტორებმა“, აჯობეს იაკობს და აივსო ეროვნული სკოლა უვარგისი სახელმძღვანელოებით...

ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი: როგორი იქნება ქართველი ბავშვის მშობლიური ენის პირველი სახელმძღვანელო, ეს დიდად განსაზღვრავს ამ ბავშვის დამოკიდებულებას სწავლისადმი, სკოლისადმი, ქართული ენისადმი, საქართველოსადმი და საერთოდ ყოველივე ქართულისადმი... ამ თემაზე ბევრი ითქვა და ითქმება... ეს ქართული განათლების სერიოზული პრობლემაა...

2010 წელს ისევ ჩაატარეს კონკურსი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებისა (I-VI კლასებისა) და მოხდა ის, რაც ხდება ჩვეულებრივ „ჩვენებურ“ კონკურსებში: სამ სახელმძღვანელოს უნდა მისცემოდა გრიფი, მათ შორის იყო იაკობის „დედაენაც“ (ის კომპლექტი, რომელშიც ეს წიგნი შედიოდა) — ასეთი იყო თავდაპირველი გადაწყვეტილება ჟიურისა; ჰოდა „იყოჩაღა“ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ და გამარჯვებულად იაკობის ნაცვლად მისი სახელმძღვანელო

გამოაცხადეს! ერთი წლის წინათ უმაღლესი ქულებით გამარჯვებულმა იაკობის „დედაენამ“ ისევ დატოვა სკოლა... რა თქმა უნდა, მოვინდომეთ გვეპოვა სამართალი, მაგრამ უსამართლო ქვეყანაში სამართალი არ იპოვების... ატეხილი ხმაურის გამო ტელევიზიით გამოდის მინისტრის მოადგილე (კ. სეფერთელაძე) და ურცხვად აცხადებს: „იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ჩვენ დავაბრუნეთ სკოლაშიო“ (ერთი ქუთაისელისათვის უთქვამთ, რას აკეთებ, სირცხილიაო და — მე თუ არ მრცხვენია, მაინც სირცხვილიაო?..)... ამ კონკურსში გამარჯვებული „დედაენების“ ავ-კარგზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამის დროც მოვა...

არადა ამბობენ, მომდევნო კონკურსი 6 წლის შემდეგ გაიმართებაო... იაკობის „დედაენის“ საანბანე ნაწილი მაინც დავაბრუნოთ სკოლაში იაკობის სახელით!.. თუ ქართველი ბავშვის სიკეთე გვინდა, ასე უნდა მოვიქცეთ...

უამრავი შენიშვნა გვაქვს ჩვენც და სხვასაც სხვა სახელმძღვანელოთა მიმართ. მაგრამ მართლის მთქმელს მომსმენი სჭირდება...

ერთი ტიპური მაგალითიც: XII კლასის სახელმძღვანელოს დაარქვეს „ქართული“; რა არის ეს ქართული — ენა, ლიტერატურა თუ სხვა რამ, წიგნში თუ არ ჩაიხედე, ვერ გაიგებ; ჩაიხედავ წიგნში და მაინც ვერ გაიგებ: სახელმძღვანელოში შესულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ავტორების დიდი ნაწილი, თითქმის ნახევარი, უცხოელები არიან (კაფკა, ჯოისი, ფრიში და სხვა). ასეთ შემთხვევაში რას ნიშნავს ქართული? ესეც პრობლემაა ჩვენი სკოლისა...

და სხვა...

კოლეგები საუბრობენ სხვა საგანთა სახელმძღვანელოების პრობლემებზეც. ერთ კურიოზულ მაგალითსაც გავიხსენებ. X კლასის ქიმიის სახელმძღვანელო მაჩვენეს. იონების შესწავლის დროს მოსწავლეს საშინაო დავალებად აძლევდნენ: იონები შეადარეთ დონ კიხოტსა და სანჩო პანსასო; რომელი იონი გახსენებთ დონ კიხოტს და რომელი — სანჩო პანსასო? ჯერ ერთი, რა შუაშია და რომც იყოს, X კლასელს წაკითხული თუ არ აქვს „დონ კიხოტი“ (პროგრამით არ ევალება), მომდევნო გაკვეთილისთვის უნდა წაიკითხოს და უპასუხოს... ასე ესმით საგანთშორისი კავშირი...

როგორ ვასწავლით? — ბევრი ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერას გავხდით: მაღალ კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის საათები რომ გაეყოთ; ცხრილში ცალ-ცალკე საგნებად რომ შეიტანონ ენა და ლიტერატურა, ვერც ამას მივაღწიეთ. ახლა ერთ გაკვეთილზე ერთსა და იმავე სახელმძღვანელოში იჩაგრება ორივე — ენაც და ლიტერატურაც, უფრო — ქართული ენა!

ასე რომ, პრობლემურია, რით და როგორ ვასწავლით...

რას ვასწავლით? ქიმიის, ფიზიკის და სხვა საგნების სპეციალისტებისათვის მომისმენია, რომ სასკოლო პროგრამებში პრობლემებია. საერთოდ სასკოლო და საგამოცდო (ეროვნული თუ გამოსაშვები) პროგრამები, მათი

ურთიერთმიმართება არაერთგზის ყოფილა მსჯელობის თემა. ვწუხდით და ვდავობდით პროგრამების გამარტივების გამო; წელს კი ქართული ლიტერატურის საკითხები საერთოდ ამოიღეს საგამოცდო ტესტებიდან... არადა მარტივი ჭეშმარიტებაა: მოსწავლე სწავლობს იმ საგნებს და იმ საკითხებს, რაც შეიძლება მოეკითხოს გამოცდებზე... ქართული ლიტერატურის ცოდნის აუცილებლობა აღარ უდგას ქართველ ბავშვს... მეტიც, გამოსაშვები თუ ეროვნული გამოცდების პროგრამიდან სანახევროდ ამოიღეს „ვეფხისტყაოსანი“. ე. ი. რუსთაველის პოემის ცოდნასაც აღარ ავალდებულებენ ქართველ ბავშვს...

ამ თემაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. დასკვნა: ჩვენი განათლების **სისტემაში პრობლემურია რას ვასწავლით, რით და როგორ!**

გაგვიგრძელდა მსჯელობა. საკითხებს ჩამოვთვლით შედარებით მოკლედ, თითქმის თეზისურად:

სასწავლო პროცესი ამოვარდა სერიოზული კალაპოტიდან. ერთ-ერთი მიზეზი ამისა არის მასწავლებლის მოტივაციის უქონლობა როგორც მატერიალურად, ისე მორალურად; მატერიალურად — იგულისხმება ის, რომ მასწავლებლის ხელფასი მეეზოვისა თუ პრესტიჟული დაწესებულების დამლაგებლის ჯამაგირზე ნაკლებია; საარსებო მინიმუმზე ნაკლები; მორალურად — ის, რომ პედაგოგზე მეტი „ავტორიტეტი“ სკოლაში უწიგნურ და გაუნათლებელ მანდატურს აქვს, როცა პედაგოგს დანაშაულისათვის ვერ დაუტუქსავს მოსწავლე იმის შიშით, რომ ამის გამო მანდატურმა არ მოხსნას; — ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა დღევანდელი სკოლისა...

მოსწავლეს თავისი პრობლემა აქვს — მას არა აქვს მოტივაცია სწავლის აუცილებლობისა; მან იცის, რომ უსწავლელობისათვის ის არ დაისჯება; არც კლასში დატოვებენ და ატესტატსაც მიიღებს (გავიხსენოთ: გასულ წელს გამოსაშვებ გამოცდებზე ჩაჭრილი მოსწავლეებისათვისაც კი მიუციათ ატესტატი და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების უფლება; მინისტრი ამ გადაწყვეტილებას ამართლებდა კიდეც...)...

რა სასწავლო პროცესზეა საუბარი, როცა სასწავლო საგანში ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა დიდმა ნაწილმა ვერ გადალახა მინიმალური ზღვარიც კი და მერე რაო... როცა მთელი სიმძიმე აბიტურიენტთა მოშზადებისა რეპეტიტორზეა გადატანილი... და სხვა... და სხვა...

სასწავლო პროცესის სერიოზულობა სერიოზული პრობლემაა.

პოლიტიკა მძიმედ და სავალალოდ ჩაერთო განათლების საქმეში. ფაქტობრივად პოლიტიზირებულია სასწავლებლები (ფორმალურად თითქოს არა; კანონიც კი არსებობს საამისო, პოლიტიკა განათლებაში არ უნდა ჩაერიოსო...). ეს ეხება სკოლასაც და უმაღლეს სასწავლებელსაც (მით უმეტეს საბავშვო ბაღებს!). ბოლო თვეების მანძილზე უამრავი მასწავლებელი გაათავისუფლეს სკოლიდან, რატომ არ თანაუგრძნობ მმართველ

პარტიასო. ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სერიოზულად ამტკიცებდა, ასეთი ადამიანების ადგილი სახელმწიფო სამსახურში არ არისო... ასეთი უცნაური შემთხვევაც იყო — სკოლის შენობაში დარაჯი ოპოზიციური პარტიის გაზეთს კითხულობდაო და მოხსნეს...

სკოლის მოსწავლეები რომ მიჰყავთ და პირველი კაცის სახელს აყვირებენ ხალხმრავალ აქციებზე, ეს მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის მეთოდად მიაჩნიათ... ხელვაჩაურის რაიონის სკოლა აჩვენეს; ქართული ლიტერატურის კაბინეტში სურათები იყო გამოფენილი: შოთა, ილია, აკაკი... მ ი შ ა ... და გალაკტიონი... და სხვა... და სხვა...

სტუდენტური თვითმმართველობა კომკავშირად რომ აქციეს და დაპირისპირეს თანატოლებთან, ფაქტია... სტუდენტურ თვითმმართველობაში აქტიურობას (უზნეო ქცევას) სტაჟად უთვლიან და იქიდან გუბერნატორის ან მინისტრის მოადგილედ ნიშნავენ... პატრიოტული ბანაკებით მოსყიდული ათასობით ახალგაზრდა... საარჩევნო სტუდენტური დასაქმება... და მისთანანი, ერთია, არ წაადგება სასიკეთოდ განათლების სისტემას და მეორეა — ზნეობრივი დაცემის ხელშეწყობა...

უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე კონკურსები — ისევ პოლიტიკური ნიშნით მომხდარი შერჩევა; ჩემს თავზე გამომიცდია, კომისიის თავმჯდომარემ თითქოს მოიბოდიშა, შენი კონკურენტი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია და რა უნდა გვექნაო... არადა, სხვა მხრივ აშკარა იყო კონკურენტის უპირატესობა გამარჯვებულთან... ჩემი შემთხვევა რომ ერთეული შემთხვევა იყოს, არც გავიხსენებდი... და ყოველივე ამას ეწირება პროფესიონალიზმი... ის, რაც 2006 წელს მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — პროფესიულმა კადრებმა მასობრივად რომ დატოვა უნივერსიტეტი, ძალიან დიდხანს ვერ ანაზღაურდება (თუ ანაზღაურდა საერთოდ). პროფესიონალიზმი არც აინტერესებთ. სიტყვამ მოიტანა და არაპროფესიონალოზმის ერთი უცნაური მაგალითიც მინდა მოვიყვანო: მითხრეს, აკადემიურ წერას (ლინგვისტური საგანია) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიკოსები ასწავლიანო; გამიკვირდა, სამისო რა სჭირს ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს-მეთქი და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანთან ვცადე ინფორმაციის დაზუსტება; საოცარი პასუხი მივიღე: ისტორიკოსებს საათები არ ჰყოფნიდათ და ამიტომ მივეცით წერის საათებიო! გამიგია, მეორე მსოფლიო ომის დროს, აგრეთვე, უფრო გვიან მაღალმთიან სოფლებში სპეციალისტთა ნაკლებობის გამო ერთი საგნის მასწავლებელი სხვა საგანსაც ასწავლიდა, მაგრამ თბილისის უნივერსიტეტში ისტორიკოსმა წერა ასწავლოს? ეს დღევანდელი სამწუხარო რეალობაა...

ახლახან ილიას უნივერსიტეტში სტუდენტებმა უნივერსიტეტიდან გაშვებულ ლექტორთა მხარდასაჭერი აქცია გამართეს და ხელისუფლებისაგან უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩაურევლობა მოითხოვეს... რატომ უნდა სჭირდებოდეს ამას სტუდენტების აქციები? და სხვა... და სხვა...

გინახავთ ან გსმენიათ, ვინმეს ვინმესთვის საყვედური ეთქვას ამგვარი პოლიტიზირებული გადაწყვეტილებებისათვის? ვინმეს გაეპროტესტებინოს არაპროფესიონალიზმი?.. **საბოლოოდ დაღუპავს ეს განათლების სისტემას...**

მოდით, ერთ საკითხსაც შევეხოთ: ზნეობრივი აღზრდის პრობლემას.

იაკობი გვასწავლის: „კარგად მოგეხსენებათ, რომ *ეკლესია და* ***სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა****, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-კი წაგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული“.*

დღეს აქცევს ვინმე ყურადღებას თაობათა ზნეობრივ აღზრდას? ერთმანეთის დასმენა, „ჩაშვება“, „გადაგდება“ ცხოვრების წესად უქციეს მოზარდს; პედაგოგს მოსწავლის ეშინია, მანდატურთან არ დამაბეზღოსო. მოსწავლეთაგან სიცრუის, უზნეო გამონაგონის მსხვერპლი არაერთი მასწავლებელი ყოფილა. ავალებენ, ტყუილი თქვას მოსწავლემ და მერე ასეთ მოსწავლეს „დავალების პირნათლად შესრულებისათვის“ წაახალისებენ... თუ ვერ შეძლეს მოსწავლის აყოლიება უზნეობაში, სხვადასხვა პრობლემას უქმნიან; ასეთი მოწაფეების მშობლებსაც კი ურთულებენ ცხოვრებას... არადა, „*სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისაო“,* გვითხრეს, მაგრამ ვის ესმის?

გავიხსენოთ იაკობის შეგონება — ეკლესია და სკოლა არის ხალხის ზნეობის სათავეო. ბოლშევიკებმაც იცოდნენ ეს და ამიტომაც ლენინის მიერ გამოცემული ერთ-ერთი პირველი დეკრეტი ის იყო, რომ ეკლესია გამოყოფოდა სახელმწიფოს და სკოლა — ეკლესიას. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სკოლა ეკლესიას დაუახლოვდა: სკოლებში სამლოცველო კუთხეები გაკეთდა, მოძღვარი შევიდა სკოლაში, მაგრამ ამ ბოლო წლებში მოძღვარიც განდევნეს სკოლიდან და სამლოცველოებიც გააუქმეს... ბოლშევიზმისკენ მივდივართ სრული სვლით!

და ეს არის ერთი დიდი პრობლემა დღევანდელი განათლების სისტემისა...

რა დღეშია მეცნიერება?

ეს ცალკე საუბრის თემა შეიძლება იყოს, ვრცელი საუბრისა. მეცნიერებაც სავალალო მდგომარეობაშია. დაიშალა ეროვნული აკადემია. გათითოკაცებული სისტემა იოლად დაიმორჩილეს, შეამცირეს და... ესეც ერთ დიდ პრობლემად გვიქციეს...

მეცნიერებათა კვლევის შედეგების ცხოვრებაში დანერგვა მათი პუბლიკაციებით ხდება. ეს საქმე უაღრესად გართულებული და გაძნელებუ-

ლია დღეს. გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო 15-20 წლის წინათ და მეცნიერებაც მიდიოდა წინ...

საგანგაშო სტატისტიკა: მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთა საშუალო ასაკი 80 წელზე მეტია! გაიყინა მეცნიერება თუ ქვეყანას აღარ აინტერესებს ეს სფერო? ის ფაქტი, რომ ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურას არ ჰყავთ არცერთი აკადემიკოსი, როგორ იხსნება ეროვნული აკადემიის მესვეურთაგან და, საერთოდ, იმათგან, ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ევალება? ვითომ არა გვყავს ქართული ენისა და ლიტერატურის ისეთი სპეციალისტები, ვინც ამის ღირსია?...

უდიდესი პრობლემაა მეცნიერებაში თაობათა ცვლის საკითხი. ახალგაზრდობისათვის მეცნიერება მიმზიდველი აღარაა. მიზეზი იოლი ასახსნელია: მაგისტრატურა და დოქტორანტურა ფასიანია. გაღარიბებულ ქართველობას არ შესწევს უნარი, ასწავლოს შვილს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში... ვთქვათ და, შეძლო და დაამთავრებინა დოქტორანტურა მშობელმა ნიჭიერ შვილს; მერე რა პერსპექტივა აქვს? არავითარი — 120 ან 150 ლარის იმედად უნდა იყოს ათეული წლების განმავლობაში. დიახ, სამეცნიერო დაწესებულებაში დიდად დამსახურებული, მრავალტიტულიანი, მრავალი მონოგრაფიის ავტორი მეცნიერის ხელფასი 200 ლარზე მეტი არ არის; დამწყები მეცნიერისა — გაცილებით ნაკლები! ან რომელი მშობელი გაწირავს შვილს სამუდამო შიმშილისათვის, ანდა რომელი ნიჭიერი ახალგაზრდა მოისურვებს სამუდამო სიღარიბეში ცხოვრებას „მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარე“, როცა მასზე გაცილებით დაბალი შესაძლებლობის თანატოლი ათჯერ და მეტჯერ დიდ ჯამაგირს მიიღებს რომელიმე ფირმაში...

გინახავთ ან გაგიგონიათ პოლიტიკოსისაგან საქართველოს მომავალზე საუბრისას ამ თემაზე რომ გაემახვილებინა ყურადღება? მე — არა!

დასკვნა: ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ მეცნიერებას აქვს რაიმე სამომავლო პერსპექტივა? არანაირი, თუ ასე გაგრძელდა საქმე!

და სხვა... და სხვა... ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ...

წერილის დასაწყისში აკაკი წერეთლის მიერ დასმულ კითხვას ასე შეიძლება ვუპასუხოთ: ჩვენ ვიცით, დიდო წინაპარო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვინც ჩვენში განათლებისა და მეცნიერების ბედს წარმართავს, მან ან არ იცის, რომ „***ჩვენი ბედისწერა მხოლოდ სწავლა-განათლებაზედ არის დამოკიდებული***“, ანდა იცის და მაინც „გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი“(ვაჟა).



თენგიზ ქამუშაძე

„მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენს — კანონი“

ეს ფრთიანი გამონათქვამი იყო დაუწერელი სლოგანი ბენიტო მუსოლინის ტოტალიტალური და მაქსიმალურად კორუმპირებული მთავრობისა. ანალოგიური დამოკიდებულება დაამკვიდრა თავის მმართველობაში ვარდების რევოლუციით მოსულმა საქართველოს ახალგაზრდულმა ხელისუფლებამ. მაგრამ ვინ იყო ამ ხელისუფლებისათვის მეგობარი და ვინ დანარჩენი?

2003 წლის ნოემბრის რევოლუციურ ბატალიებში მონაწილეობდა, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველო. დღისით თუ ღამით, წვიმაში თუ ქარში თითქმის მთელი საქართველო იდგა თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ საპროტესტო აქციებზე. მასმედიით ზომბირებული ქართული საზოგადოება ნდობას უცხადებდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მისწრაფებას, ბოლო მოეღოთ შევარდნაძის უმოქმედო ხელისუფლებისათვის და საქართველო გამოეყვანათ პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან. და აი, ეს ახალგაზრდული გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში. ამ დროს მისი „მეგობარი“ იყო თითქმის მთელი საქართველო. მაგრამ გამართლდა ქართული საზოგადოების იმედები?

„ვარდების“ ხელისუფლებამ გადაწყვიტა რომ იგი ერთადერთი და შეუცდომელი ძალა იყო და ამიტომ ისინი, ვინც მისი ქმედებების კრიტიკას გაბედავდა, უნდა დასჯილიყვნენ, თანაც სამაგალითოდ, რათა სხვებს იგივე ვეღარ გაებედათ. პირველი სლოგანი, რომელიც მთავრობის შიდა პოლიტიკას განსაზღვრავდა იყო „ნულოვანი ტოლერანტობა“. ამას მოჰყვა რეპრესიული მანქანის ამუშავება. სახელმწიფო ტელევიზიებით ყოველდღე ცოცხალ ეთერში ხორციელდებოდა ავტორიტეტის მქონე ქართველების, „ძველი ბიჭების“, რეკეტიორების აყვანის ან ლიკვიდაციის რეპორტაჟები.

საზოგადოება დაიბნა. ის ძალა, რომელიც მისი დიდი მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში, სრულიად უცხო აღმოჩნდა ქართული ცნობიერებისათვის. ბუნებრივია, დაიწყო გამოსავლის ძიება, რაც ხიფათს

უქმნიდა ვარდისფერ ხელისუფლებას. ამიტომ მან საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ყველა ინსტიტუციის დისკრედიტაცია გადაწყვიტა. ერთ-ერთ ასეთ ძალას წარმოადგენდა თეთრ ტაძრად შერაცხული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თეთრი ტაძარი რომ დამოუკიდებელი, თავისუფალი აზრის მატარებელი იყო, ეს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ძალიან ჩქარა გააცნობიერა ქვეყნის პრეზიდენტმა. უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას მან ჩვეული შემართებით გალანძღა „კორუფციაში ჩაფლული“ უნივერსიტეტის პროფესურა. უკადრისმა გამონათქვამებმა მათი მასწავლებლების მიმართ გამოიწვია სტუდენტთა გასაგები აღშფოთება. მათ შეძახილებით შეახსენეს ბატონ პრეზიდენტს, რომ უნივერსიტეტი ავტონომიის უფლებებით სარგებლობდა და არ დაუშვებდნენ მის საქმეებში გარედან უხეშ ჩარევებს. მასწავლებლების დასაცავად სტუდენტთა ასეთმა სოლიდარობამ განარისხა პრეზიდენტი, მათ კორუფციის გზით უნივერსიტეტში ჩარიცხულები უწოდა და დაჰპირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ხვალვე უნივერსიტეტის ბაღში (სადაც ეს შეხვედრა ტარდებოდა) მოიყვანდა ათჯერ და ასჯერ მეტ მისი იდეების გამზიარებელ ახალგაზრდას და, როგორც ჩვევია, სწრაფად განერიდა მისადმი კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას.

უმაღლესი ხელისუფალი მიხვდა, რომ განზრახული საეჭვო რეფორმების გატარებისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისი მუდმივი და საზოგადოების მხარდაჭერით აღჭურვილი სერიოზული მოწინააღმდეგე ძალა იქნებოდა. ამიტომ მაშინვე დაიწყო მის წინააღმდეგ „ჯვაროსნული“ ლაშქრობა. ჯერ „კმარას“ ჯარისკაცები შეუსია თეთრ ტაძარს. ყველას ახსოვს ახალგაზრდა კმარელების მიერ ჭავჭავაძის გამზირზე გამართული დემონსტრაციები, რომელთა მოთხოვნა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები და სემესტრული აკადემიური გამოცდების აკრძალვა. კმარელები შედიოდნენ აუდიტორიებში და მოუწოდებდნენ სტუდენტებს ლექციების ბოიკოტირებისაკენ, შეურაცხჰყოფდნენ ღვაწლმოსილ პედაგოგებს, საჯაროდ თავხედურად ლანძღავდნენ და ამცირებდნენ მათივე სტუდენტთა თვალში და ა.შ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ ადმინისტრაციას არ ეყო პოლიტიკური ნება და სიმტკიცე წინ აღდგომოდა ამ უხეშ ძალას, რომელიც ხელისუფლების წაქეზებით და ყოველგვარი ხელშეწყობით სარგებლობდა, და გადადგა. ამით მან თავი გადაირჩინა უშუალო ფიზიკური რეპრესიისგან, მაგრამ კარი გაუღო იმ აღვირახსნილობას, რომელიც შემდგომში გამეფდა თეთრ ტაძარში.

ჯერ საჭირო იყო ხელისუფლებისათვის სანდო პროფესურის მიღებადაწინაურება სხვადასხვა ფაკულტეტზე. ამისათვის მოეწყო გაუგებარი კონკურსების კასკადი უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობების დასაკავებლად. ამ მხრივ უნიკალურ

მაგალითს წარმოადგენს იურიდიული ფაკულტეტი, სადაც შექმნილმა „საკონკურსო კომისიამ“ თერთმეტი სრული პროფესორი თავის რიგებში „მონახა“. ასეთი რამ, ალბათ, მსოფლიოში არსად მომხდარა. ამ კომისიის თავჯდომარე, ვინმე გია ჟორას ძე ხუბუა საქართველოს განათლების მაშინდელმა „ძლევამოსილმა“ მინისტრმა კახა ლომაიამ უნივერსიტეტის საზოგადოებას წარუდგინა როგორც საქართველოს იურისპრუდენციის ამომავალი ვარსკვლავი. მას თურმე სამი თვის განმავლობაში უმოღვაწია გერმანიის ოცზე მეტ უნივერსიტეტში (გაუგებარია, როგორ მოასწრო) და თავისი ცოდნით და ინტელექტუალური შესაძლებლობებით აღუფრთოვანებია იქაური იურისტები. საქართველოს პრეზიდენტმა მალე სწორედ ეს კაცი დანიშნა უნივერსიტეტის რექტორად. როგორც ჩანს, ხუბუა და მისთანები მისი მეგობრები, ან მეგობრის მეგობრები იყვნენ.

მოვლენების ასეთი განვითარებით შეშფოთებულმა უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ სასწრაფოდ მოიწვია სხდომა, რექტორად აირჩია პროფესორი ჯემალ მებონია და დაავალა პროფესორთა და მეცნიერთა 20 კაციან ჯგუფს, მიეტანა ეს გადაწყვეტილება ხუბუამდე და დიდი საბჭოს სახელით მოეთხოვა მისგან გადადგომა. რა თქმა უნდა, ხუბუა არ გადადგა, გაიპარა კაბინეტიდან და იქ დარჩენილ თანამშრომლებს გარედან პოლიცია მიუსია. პროფესორ-მასწავლებელთა ეს ჯგუფი, რომელიც პოლიციის უხეში ძალით იქნა დაშლილი, საქართველოს პრეზიდენტმა შემდგომში „ხულიგან პროფესორებად“ „მონათლა“ და მათი საქმე სასამართლოს გადასცა. როგორც ჩანს, ისინი ახლა უკვე „დანარჩენი“ იყვნენ.

დიდ საბჭოს შემდეგშიც შეეძლო სიძნელეების წარმოქმნა, ამიტომ გადაწყდა მისი დაშლა, ხოლო ახალი საბჭო შეიქმნა ზემოთ მოყვანილი წესით „არჩეული“ პროფესორებისგან, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა უნივერსიტეტის რეფორმირება-ლიკვიდაციის საკითხი. ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას „თეთრი ტაძრის“ მიმართ მოჰყვა უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო სფეროს თანამშრომელთა საპროტესტო აქციები. ღვაწლმოსილი პროფესორები უნივერსიტეტის ბაღში მისი დამაარსებლების ძეგლებთან ღამეებს ათენებდნენ. ქვეყანამ ვერ გაითავისა ამ აქციების ძირითადი ლოზუნგი „გადაარჩინე უნივერსიტეტი და გადარჩება საქართველო“. ხალხს მაშინ რომ ადეკვატური რეაქცია მოეხდინა შექმნილ კრიზისზე, იქნებ ქვეყნისათვის თავიდან აგვეცილებინა შემდგომში განვითარებული უბედურებები.

თეთრი ტაძრის დასათრგუნად განხორციელებული რეპრესიები შენიღბული იყო რეფორმების აუცილებლობით, რომელიც თურმე უნდა ჩატარებულიყო ჩვენი უნივერსიტეტის დასავლურ სტანდარტებთან დასაახლოვებლად. პარალელურად მიმდინარეობდა ფაკულტეტების მოსპობა (მათი გაერთიანების ნიღბით). ასე, მაგალითად, ისეთი ფუნდამენტური

ფაკულტეტები, როგორიცაა ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, გაერთიანდნენ ზუსტსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტში. უცნაურია ის, რომ ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს მეცნიერების ყველა დარგი მარტო ფილოსოფიაში ჰქონდათ გაერთიანებული. შემდეგ, როცა ცალკეულმა მეცნიერებებმა იმდენად დიდი განვითარება ჰპოვეს, რომ ფილოსოფია ამდენ ცოდნას ვეღარ დაიტევდა, მოხდა მათი დანაწევრება და დაყოფა ცალკეულ მეცნიერებებად. ჩვენ კი 21-ე საუკუნეში მოვახდინეთ შებრუნებული პროცესი. განა ესაა განათლების დასავლური სტანდარტები?

რეფორმების სახელით მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის ლიკვიდაცია. 2006 წ. გ. ხუბუას ერთი ბრძანებით ერთდროულად დათხოვნილ იქნა 1500 მეცნიერ-თანამშრომელი, რომელთა უდიდეს ნაწილს კონკურსის წესით ჰქონდა დაკავებული შესაბამისი თანამდებობა 2004 წლის იანვარში 5 წლის ვადით.

როდესაც კათედრები გააუქმეს და მის ნაცვლად რაღაც მიმართულებების ინსტიტუტი შემოიღეს, სრულიად დაიკარგა ფიზიკის ისეთი დარგები, როგორიცაა დედამიწის ფიზიკა, სეისმოლოგია (ასე აქტუალური საქართველოსთვის), მყარი სხეულების, ნახევარგამტარების და დიელექტრიკების ფიზიკა, მიკროელექტრონიკა და ა.შ.

ავიღოთ, მაგ., ნახევარგამტარები და მიკროელექტრონიკა. ფიზიკის ამ დარგებმა, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, „ამოქაჩა“ დღეს ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, როგორიცაა იაპონია და სამხრეთ კორეა. ჩვენ ამ დარგებში გაგვაჩნდა უზარმაზარი ინტელექტუალური შესაძლებლობები— 100-მდე მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. გარდა ამისა, არსებობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გაერთიანება „მიონის“ სახით, რომელშიც მომსახურე პერსონალი მიკრო და ოპტოელეკტრონიკის საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ. ახალ უნივერსიტეტში კი ამ მიმართულებისათვის ადგილი არ მოიძებნა. უფრო მეტიც, როცა ერთ-ერთ კონკურსგავლილ სრულ პროფესორს ჰკითხეს, რატომ დასამარდა ეს დარგები, მან სრული სერიოზულობით განაცხადა, რომ თუ ფაკულტეტზე გაჩნდება ამ სპეციალობის მოთხოვნილება, ნებისმიერი პროფესორი წაიკითხავს შესაბამის ლექციებს, ჩვენ ხომ ფიზიკოსები ვართო. ღიმილის მომგვრელია ეს სიტყვები და გვაგონებს დუმბაძის მიერ აღწერილ გურიის ერთ-ერთი მივარდნილი სოფლის სკოლას, სადაც პირველიდან მეხუთე კლასამდე ბავშვები ერთ კლასში ისხდნენ და ერთი მასწავლებელი უტარებდა მათ გაკვეთილებს ყველა დისციპლინაში. ასე ვუახლოვდებით ჩვენ განათლების დასავლურ სტანდარტებს?!

იმ მოტივით, რომ ფიზიკისა და ქიმიის სპეციალობებზე სტუდენტების ნაკლებობაა, დაიწყეს ამ დარგების გეგმაზომიერი განდევნა უნივერსიტეტიდან და გამოთავისუფლებულ ფართზე განალაგეს იურიდიული ფაკულტეტის წარმოუდგენლად გაზრდილი ინფრასტრუქტურა. ავიღოთ თუნდაც მეორე კორპუსი. აქ განთავსებულ ფიზიკის, ქიმიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და იურიდიულ ფაკულტეტებს ემსახურებოდა ერთი საპროფესორო. დღეს კი იმავე კორპუსში განლაგებულ მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტს რამდენიმე საპროფესორო ემსახურება. გაიხსნა უამრავი გაუგებარი სტრუქტურული ერთეული გაბერილი საშტატო განრიგით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ განსაკუთრებულ სასათბურო პირობებში მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტი (მეგობრები) აღმოჩნდა, თორემ ყველა სხვა ფაკულტეტი (დანარჩენი), ერთად აღებული, ასეთი სიკეთეების მეათედსაც ვერ იღებდა. თანდათან უნივერსიტეტი იურიდიულ კოლეჯს ემსგავსებოდა. აღნიშნული უხერხული სიტუაციიდან გამოსასვლელად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ათასგვარ ხერხს მიმართავდა. მაგალითად, ხუბუამ განაცხადა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობსო. მართლაც, აბიტურიენტთა უდიდესი ნაწილი ამ ფაკულტეტისკენ მიისწრაფოდა, რასაც თავისი გამართლებაც ჰქონდა. ერთ-ერთი მიზეზთაგანია შემდეგი. „ღია კარის“ დღეებში უნივერსიტეტში მისული აბიტურიენტები დასათვალიერებლად მიჰყავდათ იურიდიული ფაკულტეტის (მეგობრების) ახლად გარემონტებულ სუფთა კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში, სადაც ყველაფერი ბრწყინავდა და შემდეგ აჩვენებდნენ უნივერსიტეტის „გეტოებს“, ფიზიკისა და ქიმიის (დანარჩენის) გაურემონტებელ ლაბორატორიებსა და კაბინეტებს, რომლებსაც განზრახ დამლაგებლებიც კი არ ჰყავდათ მიჩენილი. აბიტურიენტები, ცხადია, არჩევდნენ ნათელსა და სუფთა გარემოს და ამიტომაც საოცრად შემცირდა ფიზიკისა და ქიმიის მიმართულებებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი.

იურიდიული ფაკულტეტისათვის ასიმეტრიულად დიდი დაფინანსების გამოყოფას ადმინისტრაცია იმითაც ხსნიდა, რომ ამ ფაკულტეტს უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყველაზე მეტი სახსრები შემოაქვს სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასურის სახითო. სხვათა შორის, ამ არგუმენტის უსუსურობაზე ჯერ კიდევ 2006 წელს მიუთითეს ფიზიკის ფაკულტეტის უკვე „ჩარეცხილმა“ პროფესორებმა და მეცნიერ-თანამშრომლებმა უბრალო არითმეტიკული გათვლებით. მათ დაანახეს რექტორ ხუბუას, რომ სულ ერთი წლის წინ მარტო ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომლებს საერთაშორისო გრანტების შესრულების პროცესში უნივერსიტეტის ბიუჯეტში ერთი რიგით მეტი ფულადი სახსრები ჰქონდათ შეტანილი, ვიდრე იურიდიულ ფაკულტეტს.

მაგრამ არა, ფიზიკის ფაკულტეტის განადგურების გეგმა ბოლომდე უნდა მიეყვანათ და ამიტომ მათ ვერავითარი არგუმენტი ვერ შეაჩერებდათ. მეორე კორპუსში იყო განთავსებული ფიზიკის ფაკულტეტის სამეც-

ნიერო ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი იყო მრავალი უნიკალური წიგნი და პერიოდული გამოცემა. იმ მოტივით, რომ უნივერსიტეტში ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა უნდა ყოფილიყო, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ამ სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეორე კორპუსიდან გატანა. სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ორი კვირის განმავლობაში ამზადებდნენ წიგნებს და ჟურნალებს გადასატანად, კრავდნენ კარტოთეკის მიხედვით, ნომრავდნენ, წლების მიხედვით აჯგუფებდნენ პერიოდულ გამოცემებს და ა.შ. და აი, საოცრება, თავდაპირველად რამდენიმე შეკვრა ამ წიგნებისა დაქირავებულ მუშებს ხელით ჩამოჰქონდათ და საბარგო მანქანის ძარაზე აწყობდნენ, შემდეგ ჩათვალეს, რომ ასე საქმე ძალიან გაიჭიმებოდა დროში და ამიტომ საბარგო მანქანები ბიბლიოთეკის ფანჯრების ქვეშ დააყენეს და მესამე სართულიდან (დაახლოებით 15-20 მ-ის სიმაღლიდან) დაიწყეს შემდგომი შეკვრების გადმოყრა. ყველა შეკვრა გასკდა, რუდუნებით დაწყობილი წიგნები გაიშალა. და ეს ყველაფერი ხდებოდა დღისით-მზისით, ადმინისტრაციის თვალწინ.

ცხადია, ეს წიგნები არავითარ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გადასატანად არ იყო განსაზღვრული, თორემ ასე ვანდალურად მათ არ მოეპყრობოდნენ, ისინი, ალბათ, უბრალოდ სადღაც გადაყარეს.

საქართველოს პრეზიდენტმა 2011 წლიდან დაიწყო წუხილი იმაზე, რომ განათლების სისტემის რეფორმებისას ფუნდამენტურ მეცნიერებებს სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს და ეს იყო დიდი შეცდომა, რომ ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და ა.შ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისათვის. ჩვენც გვეგონა, რომ პრეზიდენტის ეს პათოსი აისახებოდა ადგილობრივი სამეცნიერო გრანტების დაფინანსებისას, მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ: 2012 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ მარტო ფიზიკის დარგში წარმოდგენილი 100-ზე მეტი საგრანტო პროექტიდან მხოლოდ სამი დაფინანსდა, ისიც მათი ბიუჯეტების 30%-იანი შეკვეცით. ასე გაიზარდა ქვეყნის მზრუნველობა ფუნდამენტურ მეცნიერებებზე!

„ვარდების“ ხელისუფლება განსაკუთრებით ამაყობს განათლების სისტემაში გატარებული რეფორმებით. სხვათა შორის, მაშინ ხელისუფლებაში და ახლა ოპოზიციაში მყოფი ამ რეფორმების ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ რეფორმებმა ზოგ ნაწილში გაამართლა, ზოგში ვერა. მაგრამ ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა მიუძღვის შედეგებზე. შედეგი კი ის არის, რომ განათლების სისტემა როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესის დონეზე სრულიად მოშლილია, თანდათანობით კვდება ისეთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო მიმართულებები, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ. თუ ასე გაგრძელდა, უკვე უახლოვეს მომავალში ამ დისციპლინათა მასწავლებლებიც კი აღარ გვეყოლება, არც სასკოლო და არც უმაღლეს დონეზე.



თეიმურაზ მირიანაშვილი

ღია წერილი
ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს
ბატონ რიჩარდ ნორლანდს

ბატონო რიჩარდ,

დამერწმუნეთ, უკიდურესად იშვიათად ხდება ხალხის კოლექტიურ განწყობაში ისეთი კარდინალური ცვლილება, თანაც იმდენად მოკლე დროში, როგორიც ქართველების ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დამოკიდებულებაში მოხდა ბოლო შვიდი-ათი წლის მანძილზე.

ქართველები თითქმის ვაღმერთებდით ამერიკას. მიგვაჩნდა იგი დემოკრატიის, პროგრესის, საერთოდ ყოველივე საუკეთესოს მცველად მთელს მსოფლიოში; ყოველივე საუკეთესოს სიმბოლოდ.

დღეს კი მე ამერიკის მიერ საქართველოს თავს დატეხილი კატასტროფის თაობაზე გწერთ და ვბედავ, გთხოვოთ, ამიხსნათ, როგორ უნდა ვაფასებდეთ ქართველები ამერიკის პოლიტიკას, თუ არა როგორც გამოვლინებას გარეგნული მეგობრობისა, ხოლო სინამდვილეში კი ნეოკოლონიალიზმისა, ქართველების არასრულფასოვან ადამიანებად ჩათვლისა?..

ცხადია, არ მაქვს იმედი, რომ თქვენ, ბატონო რიჩარდ, მოიცლით პასუხის გასაცემად. თუმცა ამ ღია წერილში არა მხოლოდ პირადად ჩემი პრეტენზიებია გამოთქმული ამერიკული პოლიტიკისადმი; რასაც მე გწერთ, ამაზე ქართველთა უმრავლესობა ლაპარაკობს — თითქმის ყველა ქართველი, ამერიკის მიერ გაწვრთნილი მეხუთე კოლონის გარდა.

მაშ ასე, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, პასუხს თქვენგან ვერ ვეღირსები, მაინც მოგახსენებთ, რა არ მოგვწონს ქართველებს ამერიკის დამოკიდებულებაში ჩვენი ქვეყნისადმი. რა იწვევს ჩვენს აღშფოთებას. თქმა ნამდვილად სჯობს ართქმას. ამასაც ხომ თქვენ შთაგვაგონებთ. სხვა საქმეა, რომ თქვენ თვითონ არ ითვალისწინებთ ამ შთაგონებას და ყოველნაირად უკეტავთ გზას იმ აზრს, რომელიც არ მოგწონთ, რომელიც მიუღებელია თქვენთვის და თქვენს პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ კონცეფციას არ შეესაბამება.

1. ამერიკა მთელს მსოფლიოში ხმამაღლა ქადაგებს დემოკრატიის პრინციპთა უპირატესობას. დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი კი, თქვენივე აზრით, ისაა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველეს პოსტზე პიროვნება შეიძლება დარჩეს მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული დროით — ორი ვადით. მაშ, რატომ უშვებთ გამონაკლისს საქართველოსთვის? როგორც მოგეხსენებათ, მ. სააკაშვილს უკვე უმთავრდება პრეზიდენტობის მეორე ვადა, მაგრამ იგი არაცმთუ არ აპირებს გადადგომას, არამედ სრულიად დაუფარავად აცხადებს, რომ არც არასოდეს გადადგება; მას სურს სიკვდილამდე იყოს საქართველოს მმართველი. რატომ დუმს ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე ამერიკა? ყველას კარგად გვახსოვს, როგორი ხმაური ატეხეს ამერიკამ და მიერ მიერ მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა ძალებმა 2008 წელს, როცა ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტის პოსტიდან პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადაინაცვლა. მაშინ პუტინს რუსეთის კონსტიტუციის არცერთი მუხლი არ დაურღვევია. სააკაშვილმა კი კონსტიტუცია მთლიანად თავის ნებაზე მოირგო, შეიტანა მასში ყველა ცვლილება, რაც კი მოესურვებოდა, მაგრამ „დემოკრატიის ქომაგი“ აშშ დუმს. უფრო სწორად, ყველანაირად მხარს უჭერს სააკაშვილს და „დემოკრატიის შუქურად“ აცხადებს მას.

2. 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში პოლიტიკური ვითარების უაღრესი დაძაბვით აღინიშნა. სააკაშვილი წინასაარჩევნო პერიოდში ყველაფერს კადრულობდა, ყველანაირ უკანონობაზე მიდიოდა. მოსახლეობის დიდ ნაწილში იმხანად ჯერ კიდევ იყო ნდობა ამერიკისადმი და ჩვენი ხალხი იმედოვნებდა, რომ აშშ არ დაუშვებდა აღვირახსნილი სააკაშვილის თავნებობას. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? არჩევნების დღეს საღამო ხანს, როცა საარჩევნო უბნებზე ჯერ კიდევ ამომრჩეველთა რიგები იდგა, ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა დაურეკა სააკაშვილს და... გამარჯვება მიულოცა. გეკითხებით, ბატონო რიჩარდ, როგორ უნდა აეხსნა ქართველ ხალხს თქვენი ქვეყნის პრეზიდენტისა და ხელისუფლების ეს საქციელი, თუ არა როგორც შეუფარავი, გაუმართლებელი მხარდაჭერა სააკაშვილისადმი?

3. უკვე 2008 წლის არჩევნების პერიოდში სააკაშვილი, ქართველი ხალხის თვალში, უკიდურესად იყო დისკრედიტირებული. მას უკვე იმ დროისთვის დაუმკვიდრდა იმიჯი გონებრივი და ზნეობრივი ხეიბრისა. ელექტორატში სააკაშვილს თითქმის არავითარი მხარდაჭერა აღარ ჰქონდა. არჩევნების წინა თვეების განმავლობაში თბილისის ქუჩებში მის წინააღმდეგ მრავალი დემონსტრაცია და მიტინგი გაიმართა. თბილისს და მთელს საქართველოს მანამდე არასოდეს უნახავს ხალხის ესოდენი მოზღვავება. რამდენჯერმე ქუჩებში გამოვიდა სამასი ათასი ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, ამერიკაში მიტინგ-დემონსტრაციებზე 25-30 მილიონი რომ გამოვიდეს. როგორი იყო თქვენი ქვეყნის რეაქცია ქართველი ხალხის

ამ სასოწარკვეთილ ქმედებაზე? — სრული დუმილი. ამერიკამ, ზოგადად დასავლეთმა, ანუ „ცივილიზებულმა სამყარომ“ „ვერ შენიშნა“ ის აქციები. დასავლურ მედიას ისინი საერთოდ არ გაუშუქებია ისევე, როგორც დღეს „ვერ ამჩნევს“ „ცივილიზებული დასავლეთი“ საქართველოს მოქალაქეთა გრანდიოზულ აქციებს ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად. ბ. ივანიშვილის მხარდამჭერმა აქციებმა 4-5 წლის წინანდელებს გადააჭარბა. ა. წ. 27 მაისს დემონსტრაციაში სულ ცოტა ნახევარი მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. მაგრამ დასავლეთმა, რომელიც ერთ ამბავს ტეხს მოსკოვში ას ორმოცდაათკაციანი ანტიპუტინური გამოსვლის გამო, თბილისში სააკაშვილის წინააღმდეგ გამოსული ნახევარი მილიონი „ვერ შენიშნა“. დასავლურ მედიას არც ეს დემონსტრაცია უჩვენებია არცერთხელ.

4. ყველა, ვინც დღეს საქართველოში ცხოვრობს, ხედავს, რომ ქვეყნის ახლანდელ პრეზიდენტს პრაქტიკულად თითქმის არავინ უჭერს მხარს. გამონაკლისს შეადგენენ მისი გარემოცვა, ოჯახის წევრები და ნათესავები, აგრეთვე, სააკაშვილისგან „ხელთდასხმული“ — უკიდურესად ვიწრო ფენა ფულისმკეთებლებისა, დღევანდელი ხელისუფლების ხელისშეწყობით და მასთან კავშირით. სოციოლოგიური გამოკვლევები კი ფანტასტიკურ, პირდაპირ ჭკუაზე-შემშლელ ციფრებს აქვეყნებენ; თურმე სააკაშვილს და მის პარტიას საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი უჭერს მხარს. გამოკვლევებს, რა თქმა უნდა, „ავტორიტეტული“ ამერიკული ორგანიზაციები ატარებენ... ნუთუ ვერ ხვდება ამერიკის ხელისუფლება, რომ, ამგვარი მანიპულაციები, სპობს ამერიკის სახელმწიფოს ავტორიტეტს?! და არა მხოლოდ საქართველოში. საქართველო დღეს მთელი ჩვენი რეგიონის და უფრო ფართო სივრცის ყურადღების ცენტრშია. ჩვენი ქვეყნის მწარე გამოცდილების ცოდნამ ჩრდილოკავკასიელებს უჩვეულო ნაბიჯი გადაადგმევინა: გასული წლის დეკემბერს რუსეთში გამართულ საპარლამენტო და 2012 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ვ. პუტინმა ხმათა თითქმის 100 პროცენტი მიიღო. პუტინი და რუსეთი ამერიკისგან თავის დახსნის იმედად იქცნენ ჩვენი რეგიონის ხალხებისათვის.

5. ახლანდელ წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი ისე მოქმედებს, როგორც მუდამ — ყველაფერს კადრულობს — ცრუპენტელობს, თაღლითობს, ყაჩაღობს, ხალხს არბევს... ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი ცხოვრებით დაიმსახურა ქართველი ხალხის ნდობა და პატივისცემა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში სააკაშვილს, ცხადია, არავითარი შანსი არ აქვს. ამიტომ იგი სჩადის აბსოლუტურად ყოველგვარ უკანონობას. მე არ დავიწყებ მის კრიმინალურ ქმედებათა ჩამოთვლას. თუ თქვენ, ბატონო რიჩარდ, მიგაჩნიათ, რომ „ცივილიზებული დასავლეთის“ მიერ დეკლარირებულ დემოკრატიულ ნორმათაგან არსებობს თუნდაც ერთი, რომელსაც სააკაშვილი არ არღვევდეს, დაგვისახელეთ. ამასთანავე, იქნებ ისიც აგვიხსნათ, რატომ დუმს ჩვენი პრეზიდენტის

ბოროტმოქმედებებზე ამერიკის შეერთებული შტატები?

თქვენი პასუხის იმედი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ მაქვს. „ცივილიზებულ სამყაროს“ წესად აქვს მისთვის არასასურველ საკითხებზე წაყრუება. თუმცა იმის დაფარვას კი ვეღარ ახერხებთ, რომ „ცივილიზებული სამყაროს“ და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი მეტისმეტად შეილახა მთელს დანარჩენ მსოფლიოში. დაფიქრდით, იქნებ, ამის ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ცდილობთ, დემოკრატიული რიტორიკით გააბრუოთ ადამიანები და რეალურად სააკაშვილის მსგავსი გონებრივი და ზნეობრივი ხეიბრები წამოასვათ თავზე. თანაც უვადოდ, სიკვდილამდე, სიკვდილის შემდეგ კი მისნაირით ან მასზე უარესით შეცვალოთ.

უკვე ოცი წელია, რაც საქართველო აშშ-ის მეგობრად და მისი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტად გამოაცხადეთ. ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა დაკარგა აბსოლუტურად ყველაფერი, რაც გააჩნდა. ქართველები მსოფლიოში, ყველა თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ხალხიდან ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ხალხად გადავიქეცით. ოც წელიწადში განადგურდა ჩვენი მაღალგანვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მოგვესპო მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. დაგვისახიჩრდა განათლების სისტემა...

ქართველები ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერი ვართ. როდესაც კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ქრისტიანობა, თითქმის იმავდროულად ქართველმა მეფემ, მირიანმა თავის ქვეყანაში დააკანონა ქრისტეს რჯული. მაგრამ უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც დასავლეთიდან შემოგვესივნენ „მისიონერები“, სექტანტები, ვიღაც გაურკვეველი ადამიანები და ჩვენს სარწმუნოებას ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ჟამი დაუყენეს.

ხალხის ცნობიერებაში უკუქცევის პროცესი დაიწყო. სულ უფრო და უფრო ძლიერდება კომუნისტური ეპოქის ნოსტალგია. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებ საუბარს იმის თაობაზე, რომ თურმე მართალნი ყოფილან კომუნისტები, რასაც კაპიტალისტებსა და დასავლეთის სამყაროზე ამბობდნენ. საბჭოთა დროის მომსწრე ადამიანებს დღეს კომუნიზმში ნაცხოვრებთ ეძახიან. ასევე დასავლეთის მიერ აგორებული ანტირუსული ისტერია შეიცვალა პრორუსული განწყობით, საქართველოს მოსახლეობის სულ ცოტა ოთხმოცდაათი პროცენტი მომხრეა იმისა, რომ რამენაირად თავი დავაღწიოთ ამერიკას, დასავლეთს და აღვადგინოთ მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან.

ყოველ ნაბიჯზე გაიგონებ საუბარს იმის თაობაზეც, რომ ამერიკა ქართველებს იმას გვიმზადებს, რაც თავის დროზე ინდიელებს და ზანგებს დამართა. და რომ ეს პროცესი დაწყებულია — ამერიკასთან „მეგობრობის“ ოცი წელი ჩვენი ერისთვის დემოგრაფიული კატასტროფის წლებიცაა, მაშინ, როცა რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში ყოფნის 190 წლის მანძილზე ქართველთა რიცხვი რვაჯერ გაიზარდა.

იყო დრო, როცა ადამიანებს საქართველოშიც, მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეშიც სჯეროდა თქვენი ყოვლისწამლეკი ანტიკომუნისტური პროპაგანდის. მაგრამ დღეს, ამ თვალსაზრისითაც, გარდატეხა მოხდა. უმრავლესობას აღარ სჯერა, რომ კომუნისტები „ისტორიაში ყველაზე საშინელი დამნაშავეები“ იყვნენ. სულ უფრო ხშირად გაიგონებ, რომ ყველაფერი, რასაც დასავლეთი და მისი მეხუთე კოლონები საბჭოთა ისტორიაში ჩადენილ დანაშაულებზე ლაპარაკობენ, ცილისწამებაა, ასე რომ არ იყოსო, ამბობს ხალხი, რა უშლის დასავლეთს ხელს, რომ მოაწყოს მეორე ნიურნბერგი, ნიურნგბერგი კომუნისტების წინააღმდეგ?!

რაც შეეხება ისტორიაში ყველაზე საშინელ დანაშაულებს, გაიხსენეთ, ბატონო რიჩარდ, თქვენი ქვეყნის ისტორია: ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი, ზანგების სამნახევარ საუკუნოვანი მონობა და შემდეგ კიდევ საუკუნოვანი სეგრეგაციის პოლიტიკა, გაიხსენეთ მშვიდობიან ქალაქებში ჩამოყრილი ატომური ბომბები, ამერიკის მიერ ატეხილი უთვალავი ომი, რომელთა უსამართლო ხასიათს დღეს ამერიკული პროპაგანდაც კი ვეღარ უარყოფს. გაიხსენეთ მარტო მეოცე საუკუნეში ამერიკის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილი ასზე მეტი სახელმწიფო გადატრიალება...

ქართველები ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მზადდება მორიგი სახელმწიფო გადატრიალება (არჩევნების შედეგების კიდევ ერთი გაყალბება). თუ გამარჯვება 1 ოქტომბერსაც სააკაშვილს დარჩა, საქართველოს მოქალაქეები, დარწმუნებული ვარ, მასობრივად გამოვლენ ქუჩებში. ჩვენი ხალხი ვეღარ აიტანს სააკაშვილის ტირანიას! თუ ცნებებმა: სამართლიანობამ, დემოკრატიამ, მეგობრობამ შინაარსი დაკარგა და ცარიელ სიტყვებად იქცა, მის წილხვედრილ ქვეყანას ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი არ მიატოვებს და იხსნის ჩვენს ისტორიაში ერთი ყველაზე უარესი მმართველისაგან.



გვანცა კოპლატაძე

«ვისაც რომ სამშობლო უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია»

მე-19 საუკუნის მიწურულს, როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია ზნეობისა და სამართლიანობის ფულზე დამყარებული მძლავრობით ჩანაცვლებისა, ილია ჭავჭავაძემ პირველმა იგრძნო ის საფრთხე, რომელიც ახალმა ვითარებამ მისი პატარა სამშობლოს არსებობას შეუქმნა. ამჯერად ქართველობას იარაღიანი მტრისაგან ფიზიკური განადგურება კი არ ემუქრებოდა, არამედ სულიერი გადაგვარება, რასაც ბუნებრივად მისი ფიზიკური სიკვდილიც მოჰყვებოდა. ამგვარი ომის საწარმოებლად მტერს შესაფერისი იარაღიც შერჩეული ჰქონდა — ცოდნა-მოხერხება და ფული, რომლითაც, ადამიანის დაცემული ბუნებიდან გამომდინარე, ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის – სინდისისაც. ამ დროს, რადგან ქვეყანას არც მეფე ჰყავდა და არც საკუთარი საერო და საეკლესიო ხელისუფლება, ერის ბედზე ზრუნვა უწინარესად მის მოაზროვნე ნაწილს, ინტელიგენციას უნდა ეკისრა, მას უნდა გაეანალიზებინა შექმნილი ვითარება და ხალხისთვის განემარტა, რაც მის თავს ხდებოდა; თვითონაც იმ იარაღით უნდა შეიარაღებულიყო და ხალხიც იმავე იარაღით აღეჭურვა, რითაც მტერი მოდიოდა, ანუ ცოდნისათვის ცოდნა უნდა დაეპირისპირებინა, ხერხისთვის — ხერხი და ფულისთვის თავაუღებელი ჯაფა და გარჯა, რათა ქვეყანას საკუთარი შემოსავალი ჰქონოდა და სამათხოვროდ ხელი სხვისთვის არ გაეწვდინა.

ყოველმა ერმა, რომელსაც თავის გადარჩენა სურს, უნდა იცოდეს მოცემულ კონკრეტულ დროში რისი გაკეთება ჰმართებს. ილიას აზრით, ჩვენი პატარა ქვეყნის გადარჩენის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი სწორედ ის იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომელ „დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ

შემოგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა — ვით ქრისტიანებს და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“.[1]

ხედავდა რა საზოგადოების უმოქმედობას კარს მომდგარი საფრთხის წინაშე, წმ. ილია მართალი მას სამართლიანად საყვედურობდა: „არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით“.[2]ამიტომ თვითონ განმარტავდა იმასაც, რა მოთხოვნებს უყენებდა ახალი დრო მის სამშობლოს და იმასაც, როგორი პასუხი უნდა გაეცათ ამ მოთხოვნებისათვის: „ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც ზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითია სულითა, ცოდნითა და მარჯვენითა“.[3]

სამწუხაროდ, ილიას ეჭვი ეპარებოდა, რომ მის თანამედროვე ქართველობას რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე სჭირდა, ამიტომ ახალი წლის მისალოცად დაწერილ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (1897 წ.) გონიერი და მამულის ბედზე დაფიქრებული მკითხველებისათვის სასიხარულო სათქმელი არც არაფერი ჰქონდა. სამაგიეროდ იგი საზოგადოებას აფრთხილებდა, რომ, რაც „ხმლიანმა მტერმა“ ვერ შეძლო — სამშობლო ვერ წაგვართვა, — იმას „შრომითა და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული“ მტერი შეძლებდა — თან გაგვიტანდა, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლიდა, სახელს გაგვიქრობდა და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, დაეპატრონებოდა, თუ მას წინ ჩვენი მხრიდანაც შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს არ მივაგებებდით და არ დავახვედრებდით.

გასაოცრად ემთხვევა ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილი ვითარება იმ ვითარებას, რომელშიც დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღმოვჩნდით და დღემდე ვიმყოფებით, ოღონდ მდგომარეობა ბევრად უფრო დამძიმებულია, იმ გარემოებით, რომ დღეს ამ ფარული ომის მწარმოებელნი ადამიანთა ფსიქიკაზე ზემოქმედების ბევრად უფრო მრავალფეროვანი იარაღით არიან აღჭურვილნი და

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955. გვ. 12.
[2] იქვე,გვ. 14.
[3] იქვე, გვ. 13-14.

ბევრად უფრო დახვეწილი ტექნოლოგიებით მოქმედებენ. ამიტომ დღეს კიდევ უფრო ღრმა და უძიროა ის თხრილი, რომელზეც ი. ჭავჭავაძე წერდა და რომელიც ქართველი ერის დასამარხად იყო გათხრილი, დღესაც ერთი ხელის კვრაა საჭირო, რომ „შიგ დედაბუდიანად გადავიჩეხოთ“, ისე რომ ჩვენი ძვლები ორბმა და არწივმაც კი ვერ იპოვოს. ხოლო ჩვენ ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობა საფუძვლიანად გავაანალიზოთ, დროის შესაფერისი ცოდნით აღვიჭურვოთ და თავის გადასარჩენად მისი შესაფერისი ხერხი და ღონე მოვძებნოთ, ისევე როგორც ილიას დროს, ამ თხრილის პირას „ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის რა“.

თავი და თავი ჩვენი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგომისა, რომელიც ლამის უკვე მეოთხედი საუკუნეა გრძელდება, ისაა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როცა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი ინტენსიურად წარიმართა, ერი ფაქტობრივად უწინამძღვროდ დარჩა. ინტელიგენციას, რომელსაც, როგორც საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს, დროის შესაფერისი ცოდნის გამომჟღავნება და გადარჩენის ხერხებისა და ღონის მოძიება ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა, ამისთვის არც ძალა ეყო და არც გაბედულება. რა თქმა უნდა, ყველაზე ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ისინი, რომელთაც გაბედულებაც ჰქონდათ სიმართლის სათქმელად და გონიერებაც ჰყოფნიდათ შექმნილი ქაოსური მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად, იმდენად მცირერიცხოვანნი აღმოჩნდნენ, რომ მათი ხმა ადვილად გადაფარეს ნაწვიმარზე სოკოებით მომრავლებულმა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, რომელნიც, სრულიად გაუგებარი იყო, ერთბაშად რა დამსახურებით იქცნენ ჭკუის საკითხავ პიროვნებებად და ერის ბედის გამგებლებად. სინამდვილეში ასეთებად ისინი საინფორმაციო საშუალებებმა — ტელე-რადიო არხებმა და ჟურნალ-გაზეთებმა აქციეს, რომელთაც, მათი ლამის ყოველდღიური მიწვევითა და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე გამართული „სჯა-ბაასით“, რაც უმეტესწილად უმეცრებისა, და შესაბამისად, ამპარტავნობის ზეიმს წარმოადგენდა, მათ პოპულარიზაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც წარმატებით გრძელდება, რადგან პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ე.წ. ექსპერტები, თეოლოგები, ფილოსოფოსები თუ საზოგადო მოღვაწენიც შეემატნენ, რომელთაც ეს როლები სრულიად დაუმსახურებლად მოირგეს და ელექტრონული თუ ბეჭდური მედიის საშუალებით, შესაბამისად საკუთარი არჩევანისა თუ სუბიექტური შეხედულებებისა, მენტორული ტონით ჩვენს ხალხს დაუსრულებლად მოძღვრავენ.

უკიდურესი ეკონომიკური შეჭირვების გამო, არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლით დაქანცულ ადამიანებს უკვე უჭირს ამ აზრებისა და

შეხედულებების კორიანტელში გარჩევა იმისა, ვინ ეუბნება სიმართლეს და ვინ ატყუებს, ვინაა ჭეშმარიტი გულშემატკივარი ქვეყნისა და ერისა და ვინ მხოლოდ საკუთარი პრივილიგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნავს. ურცხვად ნათქვამ ტყუილებზე მეტად ხალხს სანახევროდ მხილებული სიმართლე აბნევს, რომელშიც ძირითადად ე. წ. ოპოზიციური პარტიების ლიდერები არიან გაწაფულნი.

ამგვარი შეგნებულად და წინასწარგანზრახულად აბურდულ-დაბურდული და ქაოსური მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის მხოლოდ ერთი ორიენტირი არსებობს — ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელიც თეთრისა და შავის, სიკეთისა და ბოროტების, სათნოებისა და ცოდვის ერთმანეთისაგან გარჩევასა და, შესაბამისად, არჩევანის სწორად გაკეთებაში დაგვეხმარება.

ამ ორიენტირის არსებობა მხედველობიდან არც მტერს გამორჩა და მისი სრული წაშლისათვის უკვე კარგა ხანია იბრძვის, განსაკუთრებით ხელოვნების ცალკეული დარგების იმგვარი „შედევრების“ შექმნით, რომელნიც ბოროტებასა და ცოდვას ადამიანის ისეთივე ბუნებრივ მდგომარეობად მიიჩნევენ, როგორც სიკეთესა და სათნოებას და, აქედან გამომდინარე, მათ არსებობას ყოველგვარი გამყოფი ზღვარის გარეშე წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ამ ზღვარის უარყოფით მათ მიზანს ნაწილობრივ უკვე მიაღწიეს, რადგან პიროვნების საქმიანობის შეფასებისას თუ მოვლენების ანალიზისას დასკვნების გამოტანა ზნეობრივი კრიტერიუმების გამოყენებით თანდათან უფრო კლებულობს და იშვიათი ხდება. დღეს სიკეთისა და ბოროტების, სათნოებისა და ცოდვის ერთმანეთისაგან გარჩევისა და, აქედან გამომდინარე, ზნეობრივ ღირებულებათა დაცვისაკენ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია მოგვიწოდებს. ამას ყბადაღებული ლიბერალიზმის დამცველებიც კარგად ხედავენ და რამდენადაც თვითონ პიროვნების თავისუფლებას მისი ყველაზე მდაბალი და ცხოველური ინსტიქტებისათვის გასაქანის მიცემასთან აიგივებენ, თავიანთი გზიდან ეკლესიის — ამ უკანასკნელი დაბრკოლების, ჩამოსაცილებლად არცერთ ხერხსა და საშუალებას არ თაკილობენ, რაც მათი მრწამსიდან ბუნებრივად გამომდინარეობს.

თუ უახლოეს წარსულშიც კი, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, რომ ადამიანს ზნეობის ძირითადი პრინციპები ღმრთისაგან შესაქმეშივე ბოძებული მხოლოდ ბუნებითი სჯულით — სინდისით დაეცვა, ჩვენს დროში ზნეობრივი იდეალების ერთგულება და მათი მიხედვით ცხოვრება მართლმადიდებელი ეკლესიის წევრობის გარეშე, უკვე შეუძლებელი ხდება. აქვე შევნიშნავთ, რომ ეკლესიის გაიგივება მის რომელიმე მართლაც უღირს მსახურთან, უდიდეს შეცდომას წარმოადგენს, რადგანაც იგი ხომალდია, რომლითაც ადამიანმა ცხოვრების აბობოქრებული ზღვა უნდა გადალახოს და თუ ამ დროს რომელიმე მენიჩბე ნიჩაბს უკუღმა მოუსვამს ან საერთოდ ხელიდან გააგდებს, ეს ხომალდის მიმართულებას ვერავითარ შემთხვევაში

ვერ შეცვლის, რადგან მისი მესაჭე თავად უფალი იესო ქრისტეა.

ეკლესიური ცხოვრების სწორად წარმართვა არა მხოლოდ მღვდელმსახურებზე, არამედ ჩვენზეც, მის წევრებზეცაა დამოკიდებული. მართალია, სამ ათეულ წელზე მეტია ჩვენი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის თავდადებულმა სულიერმა მოღვაწეობამ ერის ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა და წინაპრებისაგან ნაცად, ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე მრავალი მოაქცია, მაგრამ რამდენადაც ყველაზე მეტად ქრისტესგან ბოძებული იმ ორი ძირითადი მცნების შესრულება გვიჭირს, რომელიც ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებას უნდა დავუდოთ საფუძვლად: 1. შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი არსებით და 2. შეიყვარე მოყვასი ვითარცა თავი შენი, — ამდენად ჩვენი მორწმუნეობაც უფრო ფასადური და ზედაპირულია, ვიდრე სულსა და გულში ღრმად ფესვებგადგმული, რადგან, როგორც კი მას ცხოვრება გამოცდას მოუწყობს, მაშინვე გარედან წასმული საღებავივით ადვილად ჩამოგვერეცხება ხოლმე (წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი).

რაც შეეხება პირველ მცნებას, ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ის დავამტკიცეთ, რომ უფრო დიდი მიდრეკილება კერპების თაყვანისცემისაკენ გვაქვს, რაც სარწმუნოებით გვეკრძალება, ვიდრე ღმრთის მთელი არსებით შეყვარებისკენ. აქვე მინდა შევნიშნო, რომ სიყვარული და გაკერპება, როგორც ამას წმ. წერილი გვასწავლის არსებითად განსხვავებული ცნებებია. მაცხოვარმა ადამიანის სიყვარული, მიუხედავად მისი ღირსეულობა-უღირსობისა და ჩვენთან დამოკიდებულებისა — მტერია თუ მოყვარე, იმ მცნებად დაგვიდო, რომლის შესრულების გარეშე ვერც რჯულს აღვასრულებთ: **ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ** (მთ. V, 44). ხოლო იმ ათი მცნებიდან, რომელიც მოსეს სინას მთაზე მისცა, ერთ-ერთით ყოველგვარი ქმნილების, და მათ შორისაა ადამიანიც, თაყვანისცემა აგვიკრძალა: **არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსებაჲ, რაოდენი ცათა შინა-ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა-ქუე და რაოდენნი წყალთა ქუეშეთ ქუეყანისა. არა თაყუანის-სცე მათ, არცა ჰმსახურო მათ** (გამს. XX, 4-5).

როგორ უნდა გავარჩიოთ სიყვარული გაკერპებისაგან? სიყვარული არ გულისხმობს ადამიანის ნაკლოვან მხარეებზე თვალის დახუჭვას, მის გაიდეალებას, ჩვენ გვიყვარს იგი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია — თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, რადგან ქმნილება არ შეიძლება სრულყოფილი იყოს, სრულყოფილება მხოლოდ ღმრთის თვისებაა. ადამიანს ოდენ სრულყოფის დაუსრულებელი კიბის საფეხურებზე სიკეთის სამსახურით თანდათანობით ამაღლება და სრულყოფასთან, რაც შეიძლება, მეტად მიახლოება ხელეწიფება.

გაკერპება კი ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ჩვენ ვერ ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთ ადამიანის ნაკლოვანი მხარეები, არამედ სხვებისგანაც იმავეს მოვითხოვთ, ქმნილებას შემოქმედის თვისებას — სრულყოფილებას ვანიჭებთ და ამდენად, ვაყენებთ რა ღმერთის ადგილას, თაყვანს-ვცემთ და ვემსახურებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კერპთაყვანისმცემლობა უკვე თავისთავად გამორიცხავს ღმრთის მთელი არსებით შეყვარებას და მის თაყვანისცემას, რადგან, როგორც სახარება გვასწავლის, ორი ბატონის სამსახური არავის შეუძლია.

ისევ და ისევ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ერის გაძღოლის ინიციატივა, ინტელიგენციის უსუსურობის გამო, რა თქმა უნდა, გარეშე და შინაური მტრების ხელშეწყობითაც, თავიდანვე კერპთაყვანისმცემლებმა იგდეს ხელთ და მის დათმობას არც დღეს აპირებენ. მაშინაც კი, როცა მათი კერპები ღმრთისა და ეკლესიის სწავლებას სიტყვითაც და საქმითაც აშკარად უპირისპირდებოდნენ და უპირისპირდებიან, არა მხოლოდ თვითონ აკეთებენ არჩევანს ღმერთსა და გაკერპებულ პიროვნებას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, არამედ საზოგადოების მორწმუნე და გონიერი ნაწილისაგანაც კატეგორიულად იმავეს მოითხოვენ. ამ მოთხოვნის კატეგორიულობაზე მეტყველებს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ზემოქმედება სხვაგვარად მოაზროვნეებზე (ქართული სახელმწიფოს მტრად და მოღალატედ გამოცხადება), არამედ ხშირად მათი ფიზიკურად დევნა-შევიწროვებაც.

კერპთაყვანისმცემლობაა სწორედ მიზეზი მეორე ძირითადი მცნების, რომელიც ჩვენგან ზოგადად კაცთმოყვარეობას, ადამიანის სიყვარულს მოითხოვს, შეუსრულებლობისა. მისი მიმდევრებისთვის, რომელნიც საზოგადოების ყველაზე აქტიურ ნაწილს შეადგენენ, ის ადამიანები, რომელთაც ღმრთისა და მოყვასის სიყვარულით ცხოვრება სურთ, არა სიყვარულის, არამედ სიძულვილისა და მტრობის ობიექტები ხდებიან. ყველაზე საშიში ისაა, რომ ეს სენი, სხვაგვარად მოაზროვნის მტრად მიჩნევისა, თანდათანობით ფეხს ერშიც იკიდებს. ადამიანები, რომელნიც პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწევიან, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო, რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერნი არიან, ხშირად აგრესიულად ესხმიან თავს მათ, რომელნიც კეთილგანწყობას სხვა ძალების მიმართ ამჟღავნებენ. კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ ახალგაზრდობაც ამ მაგალითზე იზრდება და თვითონაც კატეგორიულ აზროვნებას ეჩვევა. გამოდის, რომ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, რის გამოხატვაშიც ხშირად ერთმანეთს ვეჯიბრებით, მხოლოდ გარეგნული ყოფილა და არა ჭეშმარიტი, რადგან არც მას ვუგდებთ ყურს, როცა შეგვაგონებს, რომ მორწმუნესა და გონიერ ადამიანს კატეგორიული აზროვნება

არა მხოლოდ არ შეშვენის, არამედ საშიშიცაა.

ჩვენი ჟურნალის ორმა ახალგაზრდა ავტორმა, რომელთა წიგნიერება და სარწმუნოებისადმი პატივისცემა იმედს იძლეოდა, რომ სერიოზულ მკვლევარებად, ერისა და ქვეყნის ერთგულ მსახურებად ჩამოყალიბდებოდნენ, და ამიტომ რედაქციაც შეძლებისდაგვარად ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის, წერილობით გვაცნობეს, რომ ჟურნალთან თანამშრომლობას ველარ გააგრძელებდნენ, რადგან ერთ-ერთი გარდაცვლილი სასულიერო პირის მოღვაწეობის შესახებ მათგან განსხვავებული თვალსაზრისი აღმოგვაჩნდა. ნიშანდობლივია, რომ მათ ურთიერთობა ისე გაწყვიტეს, რომ გარკვევაც კი არ მოისურვეს იმისა, რა მიზეზები ჰქონდა ჩვენს შეხედულებას. აი, მრავლისმეტყველი მაგალითი ერთი ჩვეულებრივი სასულიერო პირის (იგი წმინდანთა დასში არ ირიცხება) გაკერპებისა და მისგან გამომდინარე, კატეგორიული შეუწყნარებლობა არა მარტო სხვაგვარი **აზრისა,** არამედ იმ **ადამიანებისაც,** რომელთაც ეს აზრი აქვთ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა უფლებით ვდებთ ბრალს კომუნისტებს თავისუფალი აზროვნების შეზღუდვაში, თუ ჩვენც ზუსტად მათსავით ვიქცევით, როცა სხვა აზრი ჩვენსას არ ემთხვევა და ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. სხვათა შორის ისინიც სხვაგვარად მოაზროვნეებს ავიწროებდნენ და არა თანამოაზრეებს.

დღევანდელი ტერიტორიებწართმეული, ეკონომიკურად გაჩანაგებული, კულტურის დაბალ დონეზე მდგომი, თითქმის უწიგნური საქართველოს „შემოქმედნი“ როგორც კი ვინმე ამ მტკივნეულ პრობლემებზე ლაპარაკს გაბედავს, პროტესტის გამომხატველს მაშინვე წარსულში დაბრუნებით აშინებენ (როცა საქართველო ტერიტორიულად მთლიანი, ხოლო ეკონომიკურად და კულტურულად აყვავებული იყო, განსაკუთრებით დღევანდელთან შედარებით) და შეახსენებენ, რომ მაშინ პიროვნებასაც და ქვეყანასაც თავისუფლება წართმეული ჰქონდა. მინდა ვიკითხო: დღეს თავისუფალნი ვართ? თუ თავისუფლებას ადამიანის ყველაზე მდაბალი და ცხოველური ინსტიქტებისთვის გასაქანის მიცემასთან გავაიგივებთ, ალბათ, კი. შეიძლება ვინმემ მიპასუხოს, კომუნისტურ ეპოქაში ხელისუფლების ასე მწარედ გაკრიტიკების უფლებას არავინ მოგვცემდაო. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რა აზრი აქვს კრიტიკას, თუკი მას ხელისუფლება პასუხობს ანდაზით: „ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის“. ამგვარ ვითარებაში კრიტიკას მხოლოდ „გულის მოფხანის“ ფუნქციაღა რჩება, მაგრამ როგორც დიდი ილია გვასწავლის, ფხანა ქეცმა იცის, ჩვენ კი არა გულის გაქეციანება, არამედ საკუთარი ცოდვების აღიარებით მისი გაწმენდა გვჭირდება, რათა სულიერი თვალი აგვეხილოს და ისიც სწორად გავიაზროთ „რანი ვყოფილვართ“, ისიც, „რანი ვართ“ და ისიც, როგორი მომავალი გვინდა რომ გვქონდეს.

„ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია“, — ბრძანა

ვაჟა-ფშაველამ. ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენი სახელოვანი პოეტი აქ იარაღით ხელში ბრძოლას არ გულისხმობს. ამ ომში, რომელიც ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება, ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისათვის ფხიზლად თვალ-ყურის დევნება, გარეშე და შინაური მტრებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა, დროთა შესაფერისი ცოდნის შეძენა, ავის მსურველთაგან თავისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად ყოველდღიურად გაწეული ჯაფა და შრომა იგულისხმება. როგორც წმ. ილია მართალი იტყოდა, დღეს ჩვენი საბრძოლო ასპარეზი ესაა, რომელზეც გამართული ომი, თუ საქართველოს სიცოცხლე გვსურს, აუცილებლად უნდა მოვიგოთ.





ანზორ თოთაძე

„ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“

საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღეები უდგას. ასეთ მძიმე მდგომარეობაში იგი თავისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. პოლიტიკური ვითარება აბსოლუტურად ბურუსით არის მოცული. რუსეთთან ომის დროს სულ რაღაც დღენახევარში დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის თითქმის მეხუთედი. განადგურდა 150-მდე ქართული სოფელი. მეტად სათუო გახდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ქვეყნის ეკონომიკა ოდნავადაც ვერ გაიმართა წელში. ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი დარგი — სოფლის მეურნეობა გაჩანაგებულია. ხალხს მოესპო არსებობის საშუალება. 2003 წლიდან, ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ისედაც უაღრესად შემცირებული ნათესი ფართობები და სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება თითქმის განახევრდა. მოსახლეობის საკმაო ნაწილი, მილიონზე მეტი ადამიანი ქალაქებიდან და სოფლებიდან თითქმის სამუდამოდ აიყარა და ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთის ქვეყნებში გადასახლდა, ბევრიც მონური შრომის ფასად მეზობელ სახელმწიფოში სეზონურ სამუშაოებზეა დასაქმებული. დემოკრატიული ინსტიტუტები მოჩვენებითია, სასამართლო სისტემა მთლიანად ხელისუფლების წარმომადგენელთა უსიტყვო მსახურია. სულ რაღაც განვლილ რვა წელიწადში პატიმართა რაოდენობა ხუთი ათასიდან 30 ათასამდე გაიზარდა, ხოლო პრობაციონერთა რიცხვმა 300 ათას მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ საზღვარგარეთ წასული მილიონზე მეტი ადამიანი ძირითადად 20-50 წლის ასაკისანი არიან, დანაშაული მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო, რადგან ქვეყანაში ძირითადად შედარებით ხანდაზმულები და ბავშვები დარჩნენ, რომელთა შორის დაბალია დანაშაულის ჩამდენთა მაჩვენებელი. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ხელისუფლებას სურს, თავის ნებაზე მართოს და სრულ მორჩილებაში იყოლიოს აქ დარჩენილი მოსახლეობა.

ხალხი დაიღალა მოჩვენებითი კეთილდღეობის პროპაგანდით. მმართველი პარტიის ჯიბის ტელევიზიები ტაშ-ფანდურით, უაზრო გასართობი პროგრამებით, სრულიად უცხო ცხოვრების წესის სერიალების პროპა-

განდით არის დაკავებული და სურს ეროვნულ ნიადაგს მოაცილოს ახალგაზრდობა, რათა ქართველი ქართველად არ დარჩეს. განსაკუთრებით ინტიმური ცხოვრების, სექსუალური აღვირახსნილობისა და უკუღმართობის სცენებს უჩვენებენ, სადაც მიწასთან არის გასწორებული ადამიანური მისწრაფებები, ზნეობა, სულიერება. დაგროვილ საკაცობრიო ფასეულობებს გვერდს უვლიან და პრიმიტიულ აზროვნებას უნერგავენ ადამიანებს. გამოჩენილ ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა შეხედულებები დრომოჭმულად გამოაცხადეს. ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი ამბობდა: ადამიანებს რომ შეეძლოთ თავიანთი თავის დანახვა უდიდესი აღტყინების ჟამს, ადამიანთა მოდგმა დაიღუპებოდაო. ახალგაზრდებს ჩასჩიჩინებენ, რომ ისინი თავისუფლები და დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ, მართლაც, უაღრესად ფასეულ კატეგორიებს თან ახლავს უფლებები და მოვალეობები. რომაელი მოაზროვნის, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის აზრით, „ისევე როგორც შენ საზოგადოების წევრი ხარ და მისი ნაწილი, ყოველი შენი მოქმედებაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს. რადგან შენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უმეშვეოდ თუ რისამე მეშვეობით არ ამტკიცებს საზოგადო სიკეთეს, ანაწევრებს ცხოვრების მთლიანობას, არღვევს მის ერთობას და შინააშლილობას იწვევს“.[1] ვაჟა-ფშაველას აზრით, „თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად“.[2]

მთლიანად მოიშალა განათლების სისტემა. ახალგაზრდები ვერ იღებენ შესაბამის ცოდნას ვერც სკოლაში და ვერც უმაღლეს სასწავლებლებში, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნაში დაბანდებული კაპიტალი ყველაზე ეფექტურია. განათლების სამინისტრო ექსპერიმენტების საცდელ ბაზად იქცა, საბოლოოდ კი ვიღებთ ტელევიზორსა და კომპიუტერში ჩაშტერებულ ახალგაზრდობას. რაც მთავარია, ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ დაირღვა კავშირი ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის.

ჩვენს თაობას, უდრო სწორად, თაობებს, უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში მოუწია ცხოვრება; ეპოქაში, როდესაც ფეხქვეშ იქნა გათელილი ადამიანური უფლებები, რასაც მოჰყვა უზნეობის ზეიმი — გაკულაკება, დაჭერები, დახვრეტები, ომები, ყველაფრისადმი შიში და ყოველივე ამის კანონზომიერი შედეგი — იდეოლოგიურად დაშტამბული ადამიანები. ყოველივე ეს სხვა, მაგრამ არანაკლებ საშიში ფორმით ახლაც გრძელდება. როგორც ჩანს, წლები გვჭირდება, რომ ქართველი კაცი ნორმალურ ცხოვრებას ეღირსოს. არადა მუდივად ცას არავინ გამოეკვრება. მართლაც, გასაცოდავდა ქართველი კაცი და ესეც რომ არ იყოს, განა ისიც არა კმარა, რაც ერთ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლშია აღნიშული: „ვისცა მტერი არ ესვას, რა გაიცადოს, მტერად თვით საწუთრო

[1] **მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თბ., 1972. გვ. 223.**

[2] **ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1961. გვ. 418.**

ეყოფის. საწუთრო რაზომცა კაცისათვის კარგოობდეს, ბოლოსა ეგრეცა მას იქმს, რომელსა მტერი ვერ უზამს“.[3] ასე რომ, „დროის ცელი მოქნეული, ყველას გათიბავს“ (უილიამ შექსპირი). ამიტომაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმას, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს ადამიანის კეთილდღეობაზე, მისი შესაძლებლობების სრული გამოვლენის რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნაზე, იმაზე, რომ ადამიანი ცხოვრების განმავლობაში თვითონვე იყოს თავისი თავის უფალი, რათა მას წუთისოფლის სტუმრობა შეუმსუბუქდეს.

სულ მალე, 1 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე გადაწყდება საქართველოს ბედისწერა. ადამიანები წლების განმავლობაში იმდენად იყვნენ დათრგუნვილნი ხელისუფლების სათავისო მოღვაწეობით, ქართველების გადაკეთებით, მათი მენტალიტეტის შეცვლით, რომ ყველაფერზე ხელჩაქნეულები იყვნენ. ამ დროს გამოჩნდა კაცი, ქართულ ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი მილიარდელი ბიზნესმენი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ითავა საქართველოს ბედისწერის სასიკეთოდ შემობრუნება. ხალხს ერის მომავლის დიდი იმედი გაუჩნდა და საპარლამენტო არჩევნებში მისი მონაწილეობა საქართველოს გადარჩენის ტოლფასად მიიჩნია. არც ერთ ბიზნესმენს მსოფლიოში, ალბათ, თავის შემოსავლებთან შედარებით იმდენი სახსრები არ გაუღია, რამდენიც მან თავისი ქვეყნის კეთილდღეობას სრულიად უხმაუროდ და უანგაროდ მოახმარა. ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნის ეპიკურეს აზრით, „ქველმოქმედი ის კი არაა, ვისაც სარგებლობა აინტერესებს, არამედ ის, ვინც უანგაროდ მოქმედებს“.[4]

დღეს მთელი საქართველო მის გვერდით დგას და დღის სინათლეს ელოდება. ბატონი ბიძინა არის ადამიანი, რომლისთვისაც პირადი ბედნიერება სამშობლოს ბედნიერების გარეშე არაფერს ნიშნავს, იგი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია „სხვისი გახარებით გახარება“. მისი სიტყვებია: „ისიც კარგად ვიცი, რომ ერთი ადამიანი ვერ იქნები ბედნიერი, რაც არ უნდა წარმატებული იყო, თუ შენს სამშობლოს მრავალი გასაჭირი ადგას“.[5] სახელისუფლო ძალების მიერ ჩატარებული გაყალბებული სოციალური გამოკვლევების მონაცემებით უკვე შეუძლებელია ბედის ბორბლის უკუღმა დატრიალება. მთელმა საქართველომ დაინახა, მმართველი პარტია როგორი წარმოუდგენელი, არაკეთილსინდისიერი გზით ებრძვის ბატონ ბიძინას, მაგრამ უკვე, თუ ისევ მარკუს ავრელიუსის მიერ ეპიქტეტეს ნაშრომიდან ციტირებულ სიტყვებს მოვიშველიებთ, „არ არსებობს ძალადობა, რომელსაც შეეძლოს არჩევანის თავისუფლება წაგვართვას ჩვენ“.[6] თავისთავად, ბატონ ბიძინა ივანიშვილის აქციებზე ათი და

[3] **ჩვენი საუნჯე, ტ. II, თბ., 1960. გვ. 279.**
[4] **დემოკრიტე, ეპიკურე. ფრაგმენტები, წერილები. თბ., 1959. გვ. 145.**
[5] **გაზ. „ასავალ-დასავალი“, 28 მაისი — 3 ივნისი, 2012.**
[6] **მარკუს ავრელიუსი, დასხ. ნაშრომი, გვ. 272.**

ასი ათასობით მოსული ადამიანის რაოდენობა, ყველა სოციოლოგიური გამოკვლევის საეჭვო შედეგებს გადაფარავს.

საქართველო უკვე, კარგა ხანია, არჩევნების რეჟიმში ცხოვრობს. თითქმის ყოველწლიურად ტარდება არჩევნები. ჯერ იყო და თვითმმართველობის არჩევნები ჩავატარეთ, ამჟამად საპარლამენტო არჩევნებს ვატარებთ, მომავალ წელს კიდევ საპრეზიდენტო არჩევნები გველოდება. ნორმალურ საზოგადოებაში, სადაც კანონი კანონობს და ძალა აღმართს არ ხნავს, არჩევნები არ არღვევს ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ჩვენთან კი არჩევნები ათასი სისაძაგლის თანხლებით ტარდება, იხარჯება თუ მილიარდობით არა, ასეული მილიონობით ლარი, რომელიც ამ გაძვალტყავებულ ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვება.

მმართველ, ნაციონალურ პარტიას და მის ლიდერს თავისი საქმიანობის ვადა ეწურებათ, ესეც რომ არ იყოს, მათ ყავლი გაუვიდათ და იმის მაგივრად, რომ მშვიდობიანად დატოვონ მმართველობის სარბიელი, გამჩენი არ ასვენებთ: ათასგვარ, გაუგონარ, „უმიზეზო მიზეზებს“ ეძებენ, რათა ხელი შეუშალონ სხვა პარტიებს და, პირველ რიგში, ქართულ ოცნებას. განათლებული საქართველო შესანიშნავად ხედავს შექმნილ ვითარებას, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში სამართლიანი გზით სიარულს არ განებებენ. ამასთან, მმართველმა პარტიამ იმდენად მოშალა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრება, რომ საარჩევნო დებატების გამართვის აზრიც იკარგება. ამჟამად შექმნილი საზოგადოებრივი განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალებს არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ რჩებათ, მიუხედავად ამისა, მათ არ სურთ ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა და მეტად სახიფათო დაპირისპირებისკენ დგამენ ნაბიჯებს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩატარებულ აქციაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ქართველი ხალხისთვის ნაციონალების წასვლა ნამდვილად არ იქნება ნაციონალური დანაკარგი.

წინასაარჩევნო დაპირებებს ნაციონალები ისე გულუხვად არიგებენ, რომ მეტი დასაპირებელი“ აღარაფერი დარჩა. ყვარყვარე თუთაბერისა არ იყოს, ოქროს „სარაიების“ აშენებასაც კი შეჰპირდნენ ამომრჩევლებს, ოღონდაც თავისას რომ აიშენებენ — შემდეგ. ისე, კაცმა რომ თქვას, სჯობდა ეს დაპირება შეებრუნებინათ. აბა, გავიხსენოთ, რამდენი არჩევნები ჩატარდა და წინასაარჩევნოდ რამდენი დაპირება გაიცა თამასუქის სახით, მაგრამ ეს დაპირება შემდეგში არავის გახსენებია. **ჩვენმა ამომრჩეველმა თავისი წინა-მძღოლი უნდა აირჩიოს და არა წინა-მძღომი.** როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, „ჩვენში ხშირად არჩეულ წინა-მძღოლს, წინა-მძღომს ეძახიან... წინა-მძღოლელი ნიშნავს იმას, ვინც ხალხს წინ უძღვის და წინა-მძღომელი კი ის, ვინც იმათ წინდაწინ გააძღებს ხოლმე — ამომირჩი-

ეთო... ჩვენ ყოველთვის წინამძღოლები გვყოლია?“ (გავიხსენოთ კახეთში მწვადზე დაპატიჟებული ხალხი). ამიტომაა, რომ არჩევნებში მიცემული ერთი სერიოზული დაპირებაც არ შესრულებულა. ბევრი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე, თავის ჯიბეზე ზრუნავს და ბევრსაც მსუქანი ჯამაგირის ცდუნება სჭირს.

ახლაც ბატონმა ვანო მერაბიშვილმა დანიშვნის მეორე დღესვე დაპირებებით გააბრუა მოსახლეობა, თუმცა, ამჯერად დაპირებების შესრულების შემთხვევაშიც კი დიდ სარგებელს ვერაფერს მიიღებს ხალხი. ამ დაპირებების გამო ერთი გურული ანეკდოტი მახსენდება: გურულმა, რომელიც მეფის დროს გაზიან წყალს ყიდდა, რევოლუციაში დიდი მონაწილეობა მიიღო. რევოლუციის შემდეგ ისევ გაზიანი წყლის გაყიდვა დაიწყო. ერთხელაც მეგობარმა უთხრა: ძამა, ნიკოლოზი გიშლიდა წყლის გაყიდვასო? ასეა ნაციონალების საქმეც — ვინმე უშლიდა მათ ხელს სოფლის მეურნეობაში სათანადო სახსრები დაებანდებინათ და ჩვენი ქვეყნის მოწინავე დარგი მთლიანად არ დაენგრიათ?

ამჟამად მთავარი ის არის, რომ ნაციონალები ყოველგვარი წინასწარი განხილვისა და მსჯელობის გარეშე აპირებენ სოფლის მეურნეობაში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას და ჰგონიათ, რომ მათ შედეგი მოყვება. კონკრეტული გეგმა მათ არ გააჩნიათ. მაგალითად, ბატონმა ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს 2000 ტრაქტორს შეიძენენ სოფლის მეურნეობისთვის, მაგრამ თუ ვინმე დაფიქრდა იმაზე, რომ საქართველოში 3 668 სოფელია და 2000 ტრაქტორი არაფერს ნიშნავს? ძველი ტრაქტორები კი აღარ არსებობს — ისინი გაცვდა. 2000 ტრაქტორის შეძენის შემთხვევაში ჩვენ ტრაქტორებით უზრუნველყოფის მხრივ დაახლოებით 1936 წლის დონეზე ვიქნებით, მაგრამ მაშინ გლეხებს გუთანი და ხარებიც ჰყავდათ. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ჯერ კიდევ 1977 წელს საქართველოში სატრაქტორო პარკი 22 860 ტრაქტორს ითვლიდა და 1970-იან წლებში ყოველწლიურად სოფელს საშუალოდ 3200 ტრაქტორი მიეწოდებოდა. ამავე 1977 წელს 1563 მარცვალასაღები კომბაინი და 20 606 სატვირთო ავტომობილი გვქონდა, 1988 წლის საქართველოში უკვე 28 ათასზე მეტი ტრაქტორი იყო.[7]

აღსანიშნავია ისიც, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწები 2779 ათას ჰექტარს, ხოლო პირადი დამხმარე საკარმიდამო ნაკვეთების ფართობი 183 ათას ჰექტარს შეადგენდა. პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში შესამჩნევად მაღალი იყო და იგი 41 პროცენტს უდრიდა. ყოველივე ეს იმის შედეგიც იყო, რომ პირადი დამხმარე მეურნეობები სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სექტორის დახმარებითა და ხელშეწყობით, მათ შორის ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. ამჟამად კი, როდესაც უკვე სოფლად გლეხებს არა სარგებლობაში, არამედ პირად საკუთრებაში აქვთ გაცილებით მეტი მიწის ფართობები, მათი დიდი ნაწილი დაუხვნელი და დაუმუშავებელია სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო.

[7] **Народное хозяйство Грузинской ССР, Тбилиси, 1977. С. 94-95.**

აუცილებელია, სტიქიური ბუნებრივი მოვლენების შესახებაც აღინიშნოს, რომელმაც ახლახან ასე დააზარალა კახეთი. ნაწილობრივ ეს იმის შედეგიც არის, რომ აღარ ტარდება ვენახების სეტყვისაგან დაცვის ღონისძიებები, მდინარეთა ნაპირგასამაგრი სამუშაოები და სხვ. ჯერ კიდევ 1961 წლიდან კახეთის რაიონებში ფუნქციონირებდა სეტყვასთან ბრძოლის სამსახური. მისი წლიური ბიუჯეტი 8 მილიონ 500 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა — 850 კაცს. ამასთან, პირველად საბჭოთა კავშირში კახეთის რამდენიმე რაიონის — ახმეტის, თელავის, გურჯაანისა და ყვარლის მეურნეობებში 1976 წელს და შემდეგ წლებში ჩატარდა სეტყვის საწინააღმდეგო კაპრონის ბადეებით ვენახების საცდელი გადახურვა.

სრულ გაუგებრობაზეა აგებული ბატონ ვანო მერაბიშვილის მსჯელობა თითოეულ ოჯახზე 1000-ლარიანი დახმარების შესახებ, რომელიც ოთხ წელზეა გაწერილი. როგორც ბატონმა ვანომ აღნიშნა, წელიწადში 250 ლარით შეიძლება გადავიხადოთ დენისა და გაზის გადასახადები, ვიყიდოთ წამლები, ბავშვებს შევუძინოთ სასკოლო ლიტერატურა და სხვ. ამდენ ხანს კიდევ გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ თუ ოჯახს სკოლის ასაკის ორი ბავშვი ჰყავს, ეს თანხა ძლივს გაწვდება მხოლოდ სასწავლო ლიტერატურისა და ნივთების შეძენას.

ბევრი პრობლემა არჩევნებიდან არჩევნებამდე გადაუწყვეტელი რჩება, თუმცა მათი სამართლიანი გადაწყვეტა სიძნელეს არ წარმოადგენს. კერძოდ, ყოველი არჩევნების დროს ისმება საკითხი ტელეარხების „კავკასიისა“ და „მაესტროს“ გადაცემების შესახებ, რომ ქვეყნის ყველა მცხოვრებს შეეძლოს ამ გადაცემების ნახვა. ვერა და ვერ დგინდება ამომრჩეველთა რაოდენობა. ამ საკითხის მოგვარება მამუკა კაციტაძის კომისიას დაევალა. **მ. კაციტაძემ კიდევ მოსახლეობას სახეგაბადრულმა ამცნო: საქართველოში არც მეტი, არც ნაკლები 3 621 256 ამომრჩეველიაო.** „დაგვიჯერებენ მხოლოდ იმას, რაც თვითონ გვჯერა“ და რადგან შინაგანად ეს არც მ. კაციტაძეს სჯერა, ამ საკითხზე შემდეგი უნდა ითქვას.

მ. კაციტაძის კომისია ამ საკითხის გასარკვევად 5 მილიონი ლარით დაფინანსდა. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა კი 8 047 300 ლარი დაჯდა. აქედან დონორმა ქვეყნებმა 2 229 100 ლარი გაიღეს, ხოლო დანარჩენი ხარჯები — 5 818 200 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტმა გაიღო. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატ-

არებისთვის გაწეულმა მთლიანმა ხარჯმა 1 ლარი და 84 თეთრი შეადგინა, ხოლო ერთ ამომრჩეველზე გაანგარიშებით მ. კაციტაძის კომისიამ 1 ლარი და 38 თეთრი დახარჯა. ამასთან, მოსახლეობის აღწერა შეუდარებლად უფრო შრომატევადი, უამრავი კითხვის შემცველი და ძვირადღირებული ღონისძიებაა, ვიდრე ამომრჩეველთა დადგენა. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნები მოსახლეობის აღწერისთვის მზადებას 7-8 წლით ადრე იწყებენ. ჩვენთან 2002 წლის აღწერის ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები 7 წლით ადრე დაიწყო. **ეს ფაქტი უკვე მეტად არასასურველ ეჭვს ბადებს ამომრჩეველთა სიების დადგენის სისწორეზე. ჩვენ არაფერს ვამბოთ იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩატარდა პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად მოსახლეობის აღწერა 2009 წელს (ისე როგორც ეს ჩატარდა მეზობელ ქვეყნებში), რა მიზეზით გადაიდო ან კიდევ როდის ჩატარდება აღწერა? მოსახლეობის აღწერის ჩატარების შემთხვევაში, ჩვენ, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით სწორად გვეცოდინებოდა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციის მასშტაბები, უმუშევართა რაოდენობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც საშუალებას მოგვცემდა, სწორად განგვესაზღვრა ამომრჩეველთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები დანახარჯებით და იმ ზედმეტ ხარჯებსაც ავცდებოდით, რის გაღებასაც აპირებს ბატონ პაატა ტრაპაიძის დასაქმების სამინისტრო უმუშევართა რაოდენობის დადგენისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლისათვის. მოსახლეობის აღწერა გადაიდო მხოლოდ ერთი მიზეზით: ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება უაღრესად მძიმეა და შესაბამისი მონაცემების გამოქვეყნება ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.**

ახლა ის საკითხიც გავარკვიოთ, მართლა გვყავს თუ არა **3 621 256** ამომრჩეველი. გაანგარიშება ჯერ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გავაკეთოთ. 2011 წლის 1 იანვრისთვის (დაახლოებით იგივე მდგომარეობაა 2012 წლის 1 იანვრისთვისაც) საქართველოს მოსახლეობა 4 469 200 კაცს უდრიდა.[8] აქედან 18 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ, არის 953 000. ამრიგად, საქართველოში 3 516 000 ადამიანია საარჩევნო ხმის უფლების მქონე, 105 ათასით ნაკლები მ. კაციტაძის მაჩვენებელთან შედარებით. მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, შემდეგიც უნდა ითქვას. საქართველოს მუდმივ მოსახლეობად ითვლება ის ადამიანებიც, რომლებიც ერთ წელზე ნაკლები ვადით არიან გასული საზღვარგარეთ. როგორც ცნობილია, ბევრი ჩვენი თანამემამულე გასულია სამუშაოდ, მათ შორის, სეზონურ სამუშაოზე, საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებში. მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ვადით არიან ისინი გასული საზღვარგარეთ (3 თვით, 6 თვით, 1 წლით) ჩვენთვის უცნობია — მიგრაციული პროცესების აღრიცხვა არასრულყოფილია. ზოგიერთი შეფასებით მათი რაოდენობა 400 ათასი კაციათაც კი განისაზღვრება. ჩვენი ვარაუდით, საქართველოდან ერთ წელზე ნაკლები ვადით წასულთა რაოდენობა ნაკლები უნდა იყოს. თუ ამ მსჯელობას სრულყოფილად მივიჩნევთ, რაც, ვფიქრობთ, რეალობას არ არის მოწყვეტილი, მაშინ საქართველოში 3 100 000 — 3 300 000 ათასი ამომრჩეველია.

[8] **საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2010. თბ., 2011, გვ. 22.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად შემცირდება. კერძოდ, სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით გაიზრდება, აზერბაიჯანისა — 37 პროცენტით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება.[9] ეს პროცესი კარგა ხნის დაწყებულია, რაც განპირობებულია შობადობის დონის შემცირების, მოკვდაობის დონის გადიდებისა და გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოთი. ამიტომ არის, რომ ქართველი დემოგრაფების, თვით ილიას უნივერსიტეტის პროფესორების გ. წულაძისა და ნ. მაღლაფერიძის გამოანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობა 2011 წელს 3 785 900 კაცს უდრიდა, ხოლო 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა — დაახლოებით 892 400 კაცს.[10] ამრიგად, ამომრჩეველთა რაოდენობა 2 893 500 კაცს შეადგენდა. თუ მხედველობაში მივიღებთ 1 წლამდე ვადით საქართველოდან გასულ მოქალაქეებს და არალეგალ მიგრანტებსაც, მაშინ საქართველოში 2,5 მილიონზე ცოტათი მეტი ამომრჩეველი გვყავს. სხვა საქმეა, როგორ შეძლებენ საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, ისიც სამუშაო დღეს. **რა თქმა უნდა, ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდით ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადება.**

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთობის მიღწევას. მაგრამ ისევ მოგვნახა ჩვენმა უკურნებელმა სენმა. როგორც შუა საუკუნეების ერთი დოკუმენტის მინაწერი გვამცნობს: „საქართველოს დარბაისელნი... არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერცარას უზამდნენ, ვერც არას მტერი წაართმევდა რასმე, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ“.[11] ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე კი აღნიშნავს: „საქართველო თავად ცოტა იყო და მერე მრავალთ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი,

[9] **Обзор достижений в области охраны материнства в странах Восточной Европы и Центральной Азии, 2010. С. 28, 36, 59.**

[10] **საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, თბ., 2010, გვ. 27.**

[11] **ციტირებულია: მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), თბ., 1989. გვ. 3.**

ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი“.[12] ამ დიდი საფრთხის ჟამს, როდესაც წყდება საქართველოს ბედისწერა, ისევ ცალ-ცალკე გვინდა ავისრულოთ სანუკვარი ოცნება. ზოგმა ეშმაკს მიჰყიდა სული და ხელისუფლებას გაურიგდა, თან თავს მამა აბრამის ბატკნად გვიჩვენებს, ზოგს კიდევ პირველობის კვიმატი არ ასვენებს. სხვას ვერაფერს მივაწერთ ამდენი პარტიის დარეგისტრირებას საარჩევნო კომისიაში.

ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „ათადან-ბაბადან ესეა მიღებული, რომ სუფრის თავში ხშირად ის წამოსკუპდება ხოლმე, ვინც უფრო ფეხმარდია, გაძრომ-გამოძრომა ეხერხება“. ვაჟა-ფშაველას ეს ნათქვამი ზედგამოჭრილია ქრისტიან-დემოკრატებზე და უპირველესად მათ ლიდერებზე, რომელთა ეგზალტირებულ გამოსვლას აქციებზე და თავის კანტურსაც ყავლი გაუვიდა. ამასთან, საკითხავია, რატომ ფიქრობენ ქრისტიან-დემოკრატები, რომ ჩვენს ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მათი დევიზი იყო: უფასო წყალი, გაზი 5 თეთრი და დენი 10 თეთრი. მათი მერობის კანდიდატი კი პირდაპირ აცხადებდა: „ვიდრე პირში სული მიდგას, იმისათვის ვიბრძოლებ, რომ ტარიფები დაიწიოსო“. არჩევნების დამთავრების შემდეგ კრინტიც არ დაუძრავთ ამ მტკივნეულ პრობლემაზე. ამჟამად თვალები ისევ გამოჭყიტეს და ისევ ტარიფების დაწევაზე დაიწყეს ლაპარაკი. ეს უფრო მომგებიანი თემაა და ამ გზით ცდილობენ კვლავინდებურად ხალხის მოტყუებას.

ნაციონალებმა იმდენი აუგი საქმე ჩაიდინეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ძნელია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ მთავარ პრობლემას მაინც შევეხები. მათ ხალხი ორ ნაწილად გაყვეს: ერთნი არიან ხალხის მტრები, ქვეყნის დამაქცევარნი, მეორენი კი სოფლის ამშენებლები, რომლებშიც თავიანთ თავს მოიაზრებენ. „სოფლის შენებას რა უნდას“ პრინციპით მართავენ ისინი ქვეყანას და შედეგიც სახეზე გვაქვს. არ ინდობენ არავის ნაციონალების გარდა. თუ მათ დაყნოსეს, რომ, მაგალითად, ვინმე ქართულ ოცნებას თანაუგრძნობს, მაშინვე სამსახურიდან ათავისუფლებენ არა მარტო მას, არამედ მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს... მეტად საშიშია, რომ მათ ქართველი ხალხი გახლიჩეს და თვითონ ქართველები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირეს. ამ მხრივ საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება კოტე გაბაშვილის ინტერვიუ გაზეთ „ახალი ვერსიის“ (№60, 2002) კორესპონდენტთან, რომელიც ვარდების რევოლუციამდე 10 თვით ადრეა გაკეთებული. ამ ინტერვიუში კ. გაბაშვილი ე. შევარდნაძის შესახებ აღნიშნავს: შევარდნაძეს „ვალდებული ვარ მხარში ვედგე. ჩვენ ერთად ვიყავით აფხაზეთში და ყუმბარებით გვბომბადნენ. ერთხელ ყუმბარა ჩვენს საწოლებს შორის აფეთქდა და შემთხვევით გადავრჩით. ბევრჯერ ვყოფილვართ სნაიპერების მიზანში ამოღებული.

[12] **იქვე.**

ჩემთვის ედუარდ შევარდნაძის აღქმა, გარდა იმისა, რომ იგი პრეზიდენტია და ჰალსტუხით ზის კაბინეტში, სხვაგვარიც არის — ის არის ცოცხალი ადამიანი, მოვლენა, თავისი ძლიერი ემოციებით და გეგმებით, რომ ქვეყანა გადაარჩინოს. მინდა კარგად გამიგოთ. ერთად ვისხედით თვითმფრინავში და ვხედავდით, როგორ მოფრინავდა რაკეტა და ჩვენგან ასორმოცდაათ მეტრში აფეთქდა“.

ფრიად საინტერსოა ისიც, რომ კორესპონდენტის კითხვაზე „თქვენსა და პრეზიდენტის ურთიერთობას თქვენი შვილის — გოკას ჟვანიას გუნდში ყოფნა ჩრდილს არ აყენებს?“ კოტე გაბაშვილმა უპასუხა: „ჩვენ ამ თემაზე ვისაუბრეთ. მან აბსოლუტურად დემოკრატიული პასუხი გამცა. ახალგაზრდა კაცს აქვს თავისი უფლება და ვის გაუგია, მამა შვილის აზრზე პასუხისმგებელი იყოს და პირიქითო“. თქვენ კიდევ, მამა-შვილ გაბაშვილებს და თქვენი გუნდის წევრებს დღეს რა კვიმატი შეგიჯდათ ისეთი, რომ მზად ხართ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები ჩაქოლოთ, ჩარეცხოთ და არსებობის საშუალება მოუსპოთ.

ხშირად მმართველი პარტიის წარმომადგენლები მიუთითებენ იმის შესახებ, რომ პენსიები ადრე არსებული 14 ლარის ნაცვლად 6-7-ჯერ გაიზარდა, მაგრამ „ავიწყდებათ“ იმის თქმა, რომ მსყიდველობითი უნარიანობის თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა. მათ ისიც „ავიწყდებათ“, რომ ათიოდე წლის წინათ საქართველოში პენსიების რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე სომხეთში და ოდნავ ჩამორჩებოდა აზერბაიჯანში პენსიების რაოდენობას. ამჟამად კი პენსიების რაოდენობით მკვეთრად ჩამოვჩებით არა მარტო სომხეთსა და აზერბაიჯანს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ქვეყანას.

ყოველდღიურად ტელევიზიის არხები გადმოსცემენ განცხადებებს ავადმყოფი ბავშვებისა და მოზარდების მკურნალობის დახმარების შესახებ. მრავალჯერ ითქვა, რომ ჩვენთან მაღალია ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებლები. ცნობილი ფრანგი დემოგრაფი ა. სოვი აღნიშნავს: „ვერც ერთი ფინანსისტი, როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, უარს ვერ იტყვის სახსრებზე, რომლებიც აუცილებელია ბავშვთა მოკვდაობის შესამცირებლად. რაც არ უნდა დიდი იყოს ამ შემთხვევაში დანახარჯები, არ შეიძლება ბავშვს გამოვუტანოთ სიკვდილის განაჩენი, რათა უზრუნველვყოთ ცოცხლად დარჩენილთა უფრო უკეთესი ცხოვრება“. ჩვენ კი უაზროდ ვხარჯავთ ძვირადღირებულ კონცერტებში ათეულ მილიონებს, უზარმაზარ სახსრებს პოტიომკინის სოფლების მოსაწყობად და დაღვლარჭნილი შემინული შენობების ასაგებად. ეს ყველაფერი ხომ ვალით და დახმარებით კეთდება, რაც უპირველესად სხვა მიზნებისთვის არის განკუთვნილი. სამართლიანად აღნიშნავს მეცნიერი ევან ეზარი: „უცხოური ქვეყნისათვის დახმარება ის ფულია, რომელსაც მდიდარი ქვეყნის ღარიბები იხდიან და

ღარიბი ქვეყნის მდიდრები იღებენ“.

ქვეყანაში, რომელშიც ასეთი გაჭირვებაა, ამდენი მძიმე ავადმყოფი გვყავს, კონცერტების მოწყობა, რომლებიც ათეული მილიონობით ლარი ჯდება, დანაშაულია. მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი. 1060 წელს ბაგრატ IV-ემ საქართველოში მოიპატიჟა უცხოეთში მოღვაწე ქართული ეკლესიის დიდი მამა გიორგი მთაწმინდელი თავისი თხზულებებისა და თარგმანების გასავრცელებლად. ამ დროს საქართველოში დიდი შიმშილობა ყოფილა. მიუხედავად ამისა გიორგი მთაწმინდელს შეუმჩნევია, რომ ერთი მდიდარი ეპისკოპოსი ეკლესიებს ამკობდა და ამშვენებდა, „რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვასო“. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „იმ დროს, როდესაც ქვეყანა და ხალხი შიმშილობისგან იღუპებოდა, გაჭირვებული, მომაკვდავი ხალხის ნივთიერი დახმარების მაგიერ ეკლესიების აგებასა და გამშვენიერებაზე ფიქრი და ზრუნვა, რომ ამ გზით თავისთვის საუკუნო აღაპი გაეჩინა და სახელი განეთქვა, გიორგი მთაწმინდელის აზრით, ბოროტი სულის და ეშმაკის ჩანაგონებია, რადგან იესო ქრისტეს არასდროს არ უთქვამს „ეკლესიანი შეამკუენით“-ო, არამედ მშიერ-მწყურვალთა და გაჭირვებულთა დახმარებას ასწავლიდა ის ყველას“.[13]

ცოტა ხნის წინათ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლებში — წევაში, ვაჭევსა და ილემში მოსახლეობას შევხდი. საშინელ მდგომარეობაშია ხალხი — უგზოობას, უწყლობას, უგაზობას ვინ ჩივის — ხალხი შიმშილობს, ხალხი ტირის თავის უმწეო მდგომარეობაზე, სნეულებს — ახალგაზრდა იქნება ის თუ ასაკოვანი — განკურნების იმედი გადაწურული აქვთ უსახსრობის გამო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდი აქვეყნებს მონაცემებს, ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რამდენი პროცენტი ცხოვრობს დღეში 1,25 დოლარზე (ორ ლარზე) ნაკლები შემოსავლის პირობებში. სომხეთში ასეთი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობის 4 პროცენტს შეადგენს, აზერბაიჯანში — 2 პროცენტს, ხოლო საქართველოში — 13 პროცენტს.[14] ეს იმას ნიშნავს, რომ თითქმის 600 ათასი საქართველოს მოქალაქე დღეში 2 ლარსაც ვერ ხარჯავს სარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ესე იგი, ფაქტობრივად, შიმშილობს!

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ იმის შესახებ, რომ დღეს ძალიან ბევრმა ისწავლა ლამაზად ლაპარაკი, წერა-კითხვა, ხალხთან შეხვედრა-საუბრები, გულუხვად დაპირების გაცემა, სწორი, ყოველმხრივ გამართული, ბრძნული და მიმზიდველი მოწოდება-ლოზუნგების წარმოთქმა. მათ წუნს ვერაფერში დადებ. მაგრამ მოდით, მაინც ნუ დავუჯერებთ მათ, რადგან მათი საქმიანობა ხშირად, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება მათივე

[13] **ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984. გვ. 64-65.**

[14] **Народонаселение мира в 2011 году, Фонд Организации Объединенных наций в области народонаселения. С. 124-125.**

ლამაზი სიტყვებისაგან. ამიტომ არჩევანის გაკეთებისას მათი ლამაზი სიტყვები აუცილებლად შევუჯეროთ მათი ცხოვრების წესს, მამულიშვილობას, განვლილ გზას, ეროვნული ფასეულობებისადმი დამოკიდებულებას, პრაქტიკული თუ თეორიული მოღვაწეობის შედეგებს, მათი ქონების კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იქნება კორუფცია, ყოველთვის იქნება სიღარიბე. სიღარიბე კი, ვაჟა-ფშაველას თქმით, „განხორციელებული უძლურებაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველგვარის უბედურებისა, მონობისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა“.

ალბათ, ღირს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პითაგორას შეგონებასაც დავუგდოთ ყური: „რაც არ უნდა მოკლე იყოს სიტყვები „ჰო“ ან „არა“, ისინი მაინც მოითხოვენ სერიოზულ დაფიქრებას“.

ვაჟა-ფშაველამ, ჩვენმა გენიოსმა პოეტმა, შესანიშნავად აღნიშნა: „პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინც გინდა არ გამოდგება. იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს. თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში“.[15] თუ ვინ უნდა იჯდეს „საკუთარს კერაზე“, ამის დაკონკრეტების საჭიროება ნამდვილად არ არსებობს.

დღევანდელი უმძიმესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი კრიზისიდან გამოსავალი ხელისუფლების სათავეში ბიძინა ივანიშვილის მოსვლაა, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველია და თავის სამშობლოსა და ხალხს ზრუნვას არ აკლებს. მას სრული უფლება აქვს გაიმეოროს სიტყვები, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა ნაპოლეონს ათქმევინა: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. თუ ქართველმა ხალხმა ამ იმედს ხელი არ შეუწყო და მის გვერდით არ დადგა, მაშინ ქართველთა ცხოვრების წიგნიც შეიძლება სამუდამოდ დაიხუროს და ქართველის სისხლით მორწყულ მიწაზე სხვა რელიგიური აღმსარებლობის, სხვა კულტურის, სხვა ეროვნული ცნობიერებისა და ცხოვრების წესის მატარებელმა ხალხმა დაიდოს სამუდამო ბინა.

ღმერთმა დაგვიფაროს!

[15] **ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V. თბ., 1961. გვ. 423.**

თინა იველაშვილი

ცოტა რამ ახალციხის „მეჩეთის“ შესახებ

ქალაქ ახალციხის ციხის არქიტექტურულ კომპლექსში დღემდე შემორჩენილ ისტორიულ-კულტურულ ძეგლს, ე. წ. „მეჩეთს“ მეტად საინტერესო წარსული აქვს.

ადრეული ხანიდანვე ახალციხის ე.წ. რაბათის მაღალკლდოვან ბორცვზე წამომართულ ციხის ციტადელში სამცხე-საათაბაგოს მფლობელთა, ათაბაგ-ჯაყელთა რეზიდენცია იყო განთავსებული საცხოვრებელი კომპლექსითა და ეკლესია-სალოცავით.

ჩვენდა საბალალოდ, XVI საუკუნიდან სამხრეთ საქართველო სპარსეთ-თურქეთის საჯილდაო ქვას წარმოადგენდა, რომელიც საბოლოოდ თურქეთის ხელში აღმოჩნდა და ერთ-ერთ უმაღლეს ადმინისტრაციულ სამმართველო ერთეულად — საფაშოდ გადაკეთდა.

თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ქალაქი ახალციხე ახლად შექმნილი საფაშოს ცენტრად იქცა, სადაც ფაშებად ძირითადად გარეგნულად გამაჰმადიანებული ჯაყელების საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ.

XVII საუკუნის 80-90-იანი წლებიდან, უსუფ ფაშას დროს, პორტას დაჟინებული მოთხოვნით ახალციხის საფაშოში (და, რა თქმა უნდა, ქალაქ ახალციხეშიც) ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების დახურვა-შევიწროება და ცალკეული ეკლესიის მუსლიმანურ სალოცავად გადაკეთება დაიწყო. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „უსუფ ფაშას მმართველობის დროს უმეტეს მოოხრდებოდნენ ეკლესიანი და აღშენდებოდნენ ჯამნი და დაიტევებოდა ზნენი ქართულნი თვინიერ ენისა, და განდიდდებოდა მათ შორის მაჰმად და ნეშტნი ხატთა და ჯუართა შეიმუსვროდა და იმყოფებოდა დედათა მათთა სამკაულად, რომელთაგან იქმნებოდენცა სასწაულნი მრავალნი, გარნა არავინ მიუპყრობდა ყურსა“[1. 732]. მიუხედავად ამისა, XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ახალციხეში 24 ეკლესია ფუნქციორიებდა, აქედან 4 — თვით ციხეში [3.62].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ახალციხის ციხის ციტადელში

ოფიციალური მუსლიმანური სალოცავი რომ არ არსებობდა, ეს ნათლად ჩანს თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ჩანაწერებიდანაც, რომელმაც ამ პერიოდში მოინახულა ეს ქალაქი. მისი გადმოცემით, იმ დროისათვის ახალციხეში ჯამედ წოდებული სამი ბანიანი სახლი მდგარა, რომლებსაც არ ჰქონდათ მინარეთები. „ახალციხეში არსებულ ე.წ. ჯამეებს ჩელები მისი პატრონების სახელით იხსენიებს – ხალილ აღას ჯამე, გუნბათ ოღლუს ჯამე, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ისინი ცალკეულ პილიგრიმთა სალოცავი უფრო იყო, ვიდრე საზოგადოდ ღვთის მსახურების ცენტრებ“, სამართლიანად შენიშნავს შ. ლომსაძე [5.450]. თურქი მოგზაური გულისტკივილით ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ იმ დროისათვის „ახალციხეში ჯერ კიდევ არ იყო თურქული საგანგებო სასწავლებელი, ჰადისების სახლი და ყურანის საკითხავი სახლი“[11. 300].

XVIII საუკუნის შუა წლებიდან სტამბულიდან მიღებული მითითებით საფაშოს იმდროინდელ მმართველს აჰმედ ფაშა ჯაყელს ციხის ციტადელში არსებული საგვარეულო ქრისტიანული ეკლესიის ადგილზე მუსლიმანური სალოცავის – მეჩეთის აგება დაევალა. აჰმედ ფაშას ისლამი გარეგნულად ჰქონდა მიღებული, ფარულად კი კვლავ ქრისტიანი იყო. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდხანს, დაპყრობიდან თითქმის ორი საუკუნე, ციხის ციტადელში იდგა მისი საგვარეულოს კუთვნილი მართლმადიდებლური ეკლესია. ტაძრის მეჩეთად გადაკეთების შემდეგ, მისი ოჯახისათვის ყოველდღე ფარულად ტარდებოდა წირვა-ლოცვა შემორჩენილ კარის ეკლესიაში. ამის ნათელი დასტურია ციხის ციტადელის შიგნით, ე.წ. „მეჩეთის“ ჩრდილოეთით, შემორჩენილი ეკლესიის ნაშთები.

აჰმად ჯაყელს, როგორც საფაშოს მმართველს, უფლება არ ჰქონდა სტამბოლიდან მიღებული მითითება არ შეესრულებინა, მაგრამ მან საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. ძველი ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის საძირკველზე კონსტანტინოპოლში არსებული, თურქების მიერ გადაკეთებული, მაგრამ დღესაც ქრისტიანულად მოღაღადე აია სოფიას ტაძრის მსგავსი, სალოცავის აგება განიზრახა. მან სპეციალურად მოწვეული იტალიელი არქიტექტორის ხელმძღვანელობით, 1747-1752 წლებში კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრის გეგმით, იმ დროისათვის მთელ აღმოსავლეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი აღმართა. დ. კოჟორიძის მითითებით: „იგი აუგიათ საკრებულო ტაძრის ადგილზე თლილი ქვით და გადახურვით აგურის გუმბათით“[3. 98]. ც. ლაფაჩი თვლის, რომ „მეჩეთის მშენებლობის პერიოდშივე გაჩნდა ეჭვი მისი არქიტექტურული სტილის თაობაზე. შენობის დასრულებისთანავე აღმოაჩინეს, რომ იგი კონსტანტინოპოლის აია სოფიას სტილში შესრულებული ნაგებობაა, რამაც ძალზე აღაშფოთა ჰაჯი აჰმედ (ახმად) ფაშას მოწინააღმდეგენი, რაც შემდგომ მისი სიკვდილით დასჯის

ერთ-ერთი საბაბი გახდა“[4. 28].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, ტაძრის გუმბათზე თურქეთის სიმბოლო – ლითონის ნამგალა მთვარე იყო აღმართული, მაგრამ იგი მაინც არქიტექტურულად და ჩანაფიქრით ადრეული შუა საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საძირკველზე აგებულ მცირე ზომის აია სოფიას განასახიერებდა. აღნიშნულმა სალოცავმა განსაკუთრებული ყურადღება ადრიდანვე მიიპყრო. ცოტა მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში პ. სანკოვსკი მართებულად შენიშნავდა, რომ ეს ტაძარი ევროპული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენდა[12].

მეჩეთად გადაკეთებული აია სოფიას ტაძარი კონსტანტინეპოლში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ტაძარის მშენებლობის პერიოდში არქიტექტორმა შიგნით აღმოსავლეთის მხარეს ქრისტიანული სალოცავის შესაბამისი საკურთხეველიც გააკეთა. ძეგლის გასრულების შემდეგ, აჰმად ფაშამ ღამით საფარის მონასტრის წინამძღვარი გადმოიყვანა და სალოცავი ფარულად აკურთხებინა. ახალციხის ფაშები ქართველი მუსლიმები, მაგრამ ფარული ქრისტიანები იყვნენ. მათ სალოცავი ციხის ციტადელში ჰქონდათ და იქ შესვლა ყველა მაჰმადიანს არ შეეძლო. ეს სალოცავი ეკლესიას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯამეს. მასში მხოლოდ ფაშები ლოცულობდნენ მაჰმადის წესზე, სახლში კი ჩუმად, ოჯახთან ერთად, კარის ეკლესიაში ქრისტიანულ წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ.

1828 წელს გენერალ პასკევიჩის მხედრობამ ახალციხე ალყაში მოაქცია, სიმბოლურია ის, რომ გენერალ გრიგოლ ორბელიანის არტილერიის ცეცხლმა მეჩეთად გადაკეთებული ქართული ტაძარი კი არ დააზიანა, არამედ მხოლოდ მის გუმბათზე აღმართული თურქული სიმბოლო – ნამგალა მთვარე ზრიალით ჩამოაგდო, რამაც თურქები სულით ხორცამდე შეძრა.

ფაქტია, ადრეული ხანიდანვე (IX საუკუნიდან მაინც) არსებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და შემდეგ (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან) მასზე დაშენებული ვითომდა მეჩეთი მხოლოდ 1772 წლოდან 1828 წლამდე (სულ 76 წლის მანძილზე) გარეგნულად ფუნქციონირებდა როგორც ფაშათა (და არა საერთოდ მუსლიმანთა) კარის ოფიციალური სალოცავი. პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემდეგ ციხეში რუსული ჯარი ჩადგა და მაშინვე ე. წ. მეჩეთი, ყოველგვარი გადაკეთება-გადმოკეთების გარეშე, როგორც მართლმადიდებლური ეკლესია გარნიზონის სალოცავ ტაძრად იქცა. 1850 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ეგზარხოსმა ისიდორემ იგი დედა ღმრთისმშობლის მიძინების სახელზე აკურთხა[9. 37] და ამ სახით ფუნქციონირებდა 1921 წლამდე – მთელი 93 წელი. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ იგი „მეჩეთად“ გადაკეთებამდე ასეულობით წლების განმავლობაში სამხრეთ საქართველოს უძლიერეს მმართველთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქრისტიანული სალოცავი იყო. არქიტექტურულადაც ეკლესიის სტილზე აგებული ტაძარი მხოლოდ გუმბათით ჰგავდა მუსლიმანურ სალოცავს.

რაბათის ციხის სალოცავი, ე.წ. „მეჩეთი“ რესტავრაციამდე.

რესტავრირებული რაბათის ციხის სალოცავი, ე.წ. „მეჩეთი“ (ალბომიდან: „ახალი საქართველო“, თბ., 2012).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სალოცავი „მეჩეთი“ განკუთვნილი იყო მხოლოდ საფაშოს მმართველი ფაშებისათვის. საერთოდ, ახალციხის გამუსლიმანებული მოსახლეობისათვის სალოცავი არა ციხის ციტადელში, არამედ მის გარეთ, გალავანს შიგნით არსებული აბანოების გვერდით იყო მოთავსებული. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით ახალციხურ ქრონიკებში. იოანე ნებაძე აღწერს რა 1828-1829 წლებში ახალციხეში დატრიალებულ ამბებს, აღნიშნავს: „5 აგვისტოსა (მარიამობით) 1829-სა წელსა, მაშინ ციხეში იყო ნაჩალნიკათ ბებუთოვი, გვარით სომეხი, რომელმაც მზაკვრობით განსცა ახალციხე აჭარის აჰმედ ფაშასა, რომელიც დაესხა თავისის აჭარის ჯარით ხორციელსა ანუ ყველიერის კვირაში, თებერვლის წინა დღეებში 1829-სა წელსა ახალციხეს, მოაოხრა ქალაქი, წარსტყვევნა ვიდრე ოც სულამდე და მრავალნიცა მიჰვლეს ახალციხის მცხოვრებთაგანი ციხის წინათ ყოფილს მეჩეთში, სადაც შიშისა გამო შეკრებილ იყუნენ, რამეთუ ციხის კარები იყო დახშულ და დაკეტილ და აკრძალულ იყო შესვლად მუნ.... აჭარელი რომ დაესხა ახალციხეს, ხალხი ციხის გარეთ მეჩოში შეიკრიბა. მაშინ ჩვენებიც (მისი ოჯახი და სხვა ქრისტიანები – თ. ი.) იქ შევიდნენ, დედა თერეზინა, მისი და მარიამი (დეიდა) და ამის ქალი სარა, და მეცა, ჩემი ორი ძმაც.... მაშინ ახალციხელები სილაით ანუ საომრის იარაღით მორთულნი იყვნენ, და მეჩეთიდამ ანუ თათრის ჯამიდგან ებრძოდნენ აჭარლებს, მაგრამ აჭარლებმან მეჩეთის რკინის შეჭედილი კარები დაძლიეს, გააღეს და შემოცვივდნენ შუაღამისას....ბოლოს გასტეხეს ხალხმან მეჩეთის რკინის ფანჯარა და გაცვივდნენ ციხის კედლებისაკენ და საცოდავათ ეხვეწებოდნენ ციხეში აყვანას“[6. 322–323].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შებდეგ, ახალციხის რაბათის ციხეში წითელი არმიის სასაზღვრო ჯარის ნაწილი განთავსდა. რა თქმა უნდა, როგორც იმ პერიოდში ყველა რელიგიურმა სალოცავმა, ციტადელში მდგარმა დედა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიამაც ფუნქციონირება შეწყვიტა, მაგრამ საბედნიეროდ დანგრევა-განადგურებას გადაურჩა. XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც აქ დაბანაკებულმა გარნიზონმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალა, გამოთავისუფლებულ ციხის ტერიტორიაზე მხარეთმცოდნეობის (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული) მუზეუმი განთავსდა.

ამავე საუკუნის 80-იან წლებში ე. წ. მეჩეთს, როგორც ისტორიულ ძეგლს, „ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. მოხდა გუმბათის ყელის კონსტრუქციული გამართვა,მოეწყო თუნუქით გადახურვა. რესტავრაცია ჩაუტარდა ინტერიერსა და ფასადების დაზიანებულ ნაწილებს. სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, განთავსდა საექსპოზიციო დარბაზი – ეპიგრაფიკული ძეგლების გამოფენა.მეჩეთის ინტერიერს განსაკუთრებულ მონუმენტალობას ანიჭებს დიდი ზომის აგურის გუმბათოვანი გადახურვა“[4. 28].

ქალაქ ახალციხის ციხის ციტადელში არსებული ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული და კულტურული ძეგლის ე. წ. „მეჩეთის“ მიმართ გარკვეულად დაინტერესებული წრეების მხრიდან ყურადღება ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაცხოველდა. დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ადრეული შუა საუკუნეების მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ქართული კულტურისა და ხუროთმოძღვრობის უნიკალურ ძეგლთა სავალალო მდგომარეობის (ფაქტობრივად ფიზიკურად განადგურების) გამო, როდესაც ქართულმა მხარემ მათი კონსერვაცია-რესტავრაციის სურვილი გამოთქვა. სამაგიეროდ თურქეთის მესვეურებმა – ჩვენმა „კეთილმა მეზობლებმა“ ბათუმში აზიზეს სახელობის მეჩეთის აგება და ახალციხეში ე. წ. „აჰმადის მეჩეთის“ რესტავრაცია-აღდგენა მოითხოვეს, რამაც ქართული საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

თითქმის წელიწადზე მეტია, რაც პრესის ფურცლებზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არა ერთხელ გამოქვეყნდა მწირი ინფორმაცია დღევანდელი თურქეთის (სინამდვილეში საქართველოს ისტორიულად ძირძველ) ტერიტორიაზე არსებული მსოფლიო კულტურის მნიშვნელობის უნიკალური ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ხუროთმოძღვრების ძეგლების, აღდგენა-რესტავრაციასთან დაკავშირებით თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება-შეთანხმების მიმდინარეობის

შესახებ. როგორც ჩანს, ეს არაფრისმთქმელი ინფორმაციები, რაღაც სერიოზული გარიგების (რომელსაც ხალხს უმალავენ) გადაფარვის მიზნით იბეჭდება. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ოფიციალური წერილით მიმართა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ანჩის ეკლესიაში ანჩისხატის დაბრუნების შესახებ, ჩვენი „კეთილი და მეგობარი ქვეყნის“ ხელისუფლებამ იგი პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ისტორიული ძეგლების (ბანა, ოთხთა, ხანცთა, შატბერდი, იშხანი და ა. შ.) არა თუ რესტავრაცია-აღდგენა, არამედ დღეისათვის შემორჩენილი სახით კონსერვაციაც კი მათ ინტერესებში არ შედის. აქედან კი აშკარად ჩანს, რომ „ჩვენი კეთილი მეგობარი ქვეყნის“ მიზანი მხოლოდ ერთია, კერძოდ: საქართველოს (განსაკუთრებით სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს) მთელ რიგ რეგიონებში ვითომდა არსებული თურქულ-ისლამური სალოცავების ე. წ. „აღდგენა,“ ახლის აშენება და ამოქმედება (ნაწილობრივ მიზანს კიდეც მიაღწია).

მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აღშფოთების შედეგად ბათუმში თუ „აზიზიეს მეჩეთის“ აგება ასე თუ ისე დროებით მაინც შეჩერდა, ამას ვერ ვიტყვით ახალციხეში ე. წ. „აჰმედის მეჩეთის“ „რესტავრაციის“ შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მისი, როგორც მუსლიმანურ სალოცავ მეჩეთად აღდგენა-რესტავრაცია (ვიზუალური დაკვირვებით ასე ჩანს), ყოველგვარი განხილვის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, ექსცესების გარეშე ჩატარდა. აღარას ვამბობთ თვით ციხის „აღდგენის“ შესახებ, რადგან ეს არის არა მისი ისტორიული სახით აღდგენა, არამედ თურქულ სტილში (ყაიდაზე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს) ხელახალი აშენება.

ახალციხის რაბათის ციხეზე 2011 წლიდან დაიწყო გამალებული გრანდიოზული სარესტავრაციო თუ აღმშენებლობითი სამუშაოები („ბოროტი ენები“ ამბობენ, რომ ამ საქმისათვის ასეულობით მილიონი დოლარია გამოყოფილი). ბუნებრივია, სარესტავრაციო-გადაკეთებითი სამუშაო ე. წ. „მეჩეთსაც“ შეეხო. მას გამოუცვალეს გუმბათის სახურავი (საგრძნობლად აამაღლეს კიდეც) და ტრადიციული აგურის ნაცვლად (როგორც ეს გვიანობამდე იყო) გერმანიიდან ჩამოტანილი ძვირადღირებული ყვითელი ფერის ლითონით გადახურეს. მის წინ განათავსეს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები (იმპერატორის ფანჩატური, სიყვარულის ხეივანი, განსჯის ლაბირინთი და ა. შ.). ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი, ისტორიაში ჩაუხედავი ხელმძღვანელი პირი სიამაყით ხმამაღლა აცხადებს: „ახალციხის ციხის (რაბათის) რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდება აგვისტოს თვეში. აქ განთავსდება შემდეგი ობიექტები: მუზეუმი, მედრესე, ციტადელი (საინტერესოა, ციტადელი როგორ უნდა განთავსდეს, ის ხომ დედა ციხის შიდა გალავანია – თ. ი.), მეჩეთი. ეკლესია,

იმპერატორის ფანჩატური, ფაშას მოსასვენებელი, სიყვარულის ხეივანი, განსჯის ლაბირინთი, ქორწინების სახლი, სასტუმრო, კაფე-რესტორნები, მაღაზიები, აუზები, აფთიაქი, შადრევნები, ტურისტული ბიურო და ბევრი სხვა რამ“[8].

როდესაც პასკევიჩმა ახალციხის რაბათის ციხე აიღო, ციტადელის შიგნით მოთავსებული იყო მხოლოდ ე.წ. მეჩეთი, რომელსაც აღმოსავლეთიდან გარკვეული მანძილის დაშორებით მცირე ზომის შადრევანი ამშვენებდა, მედრესე ბიბლიოთეკით, ფაშის საცხოვრებელი რეზიდენცია და ოჯახის ფარული სალოცავი – კარის ეკლესია. აქ ჩნდება კითხვა: თუ ამ ძეგლის ისტორიული სახით აღდგენა ხდება, მაშინ ციტადელს შიგნით ე.წ. მეჩეთის, მედრესეს, მცირე ზომის შადრევანის, ფაშათა საცხოვრებელისა და ფარული ეკლესიის გარდა რა უნდა იქ სხვადასხვა სახის ხეივნებსა თუ ქორწინების სახლს, ვიღაცის ფანტაზიით მოგონილ ლაბირინთებს და ჯერჯერობით გაურკვეველი დანიშნულების წვრილმან ნაგებობებს? გამოდის, რომ მისი ისტორიული სახის აღდგენა კი არა, არამედ შეგნებული წაშლა ხდება. იგივე შეიძლება ითქვას ციტადელის კედლებზე წამომართულ სხვადასხვა ფორმის გაურკვეველი დანიშნულების არაპროპორციულ კოშკებ-ქონგურებზეც.



ალბომიდან: „ახალი საქართველო“, თბ., 2012.

ასე გამოიყურება ზემოთ ჩამოთვლილი „თანამედროვე ნაგებობანი“ ციხის ციტადელში სალოცავის ირგვლივ. ვფიქრობთ, ციხის ისტორიული სახის შენარჩუნების თვალთახედვით, უდავოდ მიზანშეწონილი იქნებოდა მათი განლაგება ციტადელის გარეთ სათვალთვალო კოშკის მიმდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე.

„რაბათის ციხის რესტავრაციასთან“ დაკავშირებით ბოლოდროინდელ პრესის ფურცლებზე არაერთი მეტად საინტერესო პოზიციაა დაფიქსი-

რებული. უნდა ითქვას, რომ მათში სამართლიანადაა აღნიშნული: „სამცხე-საათაბაგოს მმართველების ჯაყელების რეზიდენცია საქართველოს დამპყრობელმა ოსმალეთმა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ხელყვეს და „რაბათის ციხეჴ (თურქულ ციხედ-თ. ი.) აქციეს, ამდენად სააკაშვილის ხელისუფლებამ აღადგინა არა ჯაყელების რეზიდენცია თავისი პირვანდელი სახით, ქართული არქიტექტურით, არამედ აღადგინა თურქული „რაბათის ციხეჴ იმ სახით, რა სახითაც იგი თურქებმა თავის დროზე გადააკეთეს,... რომელიც იყო მე-17 საუკუნეში ოსმალთა იმპერიის ისტორიულ მესხეთზე და, საერთოდ, საქართველოზე ბატონობის სიმბოლო“[13].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითქოსდა დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე (ისტორიულ საქართველოში) რამდენიმე ქართული ისტორიული ძეგლის რესტავრაციის სანაცვლოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (კერძოდ, ბათუმსა და ახალციხის რაბათში) მუსლიმანური სალოცავების – მეჩეთების აშენება-„აღდგენაზე“ შეთანხმება ჩვენს სამთავრობო წრეებსა და უცხო ქვეყნის, თურქეთის ხელისუფლებას შორის ფაქტობრივად საზოგადოებისაგან ფარულად მოხდა. ამ დროს მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აგებულია და მოქმედებს თითქმის ასამდე მეჩეთი-სალოცავი. რაც შეეხება თურქეთის ტერიტორიას, მიუხედავად იმისა, რომ აქ არაერთი უძველესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტერია შემორჩენილი, სანთლით რომ ვეძებოთ, ერთ ქართულ მოქმედ პატარა სალოცავსაც ვერ ვნახავთ. თურქეთს თავი დავანებოთ (რას ვერჩით, ის თავის საქმეს აკეთებს), ქართულ მხარეს შევახსენებთ, რომ ის ქართული ისტორიული კულტურის ძეგლები, რომლებიც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ამჟამინ-დელი თურქეთის „ტერიტორიაზეა,“ მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობის საგანძურში შედის და თურქეთის ხელისუფლება, ჩვენდამი ყოველგვარი პირობებისა და მოთხოვნების წამოყენების გარეშე, ვალდებულია იუნესკოსთან შეთანხმებით და თანადაფინანსებით მოახდინოს მათი რესტაცრაცია თუ არა, კონსერვაცია მაინც, რადგან ამ ძეგლების სახით შეუფასებელსა და უნიკალურ კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას ფლობს. იგი მათი რესტავრაცია-აღდგენის სანაცვლოდ ჩვენს ქვეყანაში მეჩეთების აგებას (რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ისედაც საკმარისზე მეტია საქართველოში) კი არ უნდა გვავალდებულებდეს, არამედ საქართველოს ხელისუფლებისაგან ქართველი არქიტექტორ-რესტავრატორების გაგზავნას უნდა ითხოვდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XIX ს-ის 20-იან წლებამდე სამხრეთ საქართველო მისი ციხე–სიმაგრეებით ირან-თურქეთის საჯილდაო ქვას (ვინ – ვის) წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნების არქივებსა თუ წიგნთსაცავებში აუცილებლად იქნება ამ ციხე-სიმაგრეთა და რელიგიური საკულტო-სალოცავების

შესახებ გარკვეული ცნობები დაუნჯებული. ხომ არ აჯობებდა, ვიდრე ამ გრანდიოზული ძეგლის „რესტავრაცია-აღმშენებლობას“ დაიწყებდნენ, მის ინიციატორებს, დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით, მკვლევართა ორ-სამ კაციანი ჯგუფები მიევლინებინა (მით უმეტეს, როდესაც პროექტი უხვად არის დაფინანსებული) რუსეთის, თეირანისა თუ სტამბოლის არქივებსა და წიგნთსაცავებში. მოპოვებული მასალები თმოგვის, ნარიყალას, ასევე ხერთვისისა და სხვა ციხე-სიმაგრეების გეგმა-ნახაზებთან (ვიმედოვნებთ, რომ ეს მონაცემები ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში ინახება) შეეჯერებინათ და ერთიანი ოპტიმალური გეგმა-პროექტი შეემუშავებინათ, რათა, აღდგენის შემდეგ, მნახველს თვალნათლივ ენახა აქ შემორჩენილი საუკუნეთა შთამბეჭდავი პლასტები.

ფაქტებს ვერ გავექცევით, ახალციხის ციხის ციტადელში XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ადრეული შუა საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იდგა, რომელიც ციხის მფლობელთა ათაბაგ-ჯაყელთა საგვარეულო კარის ეკლესიას წარმოადგენდა. XVIII საუუნის შუა ხანებში მის საძირკველზე თითქოსდა ოსმალთა ბატონობის სიმბოლო, მაგრამ აია სოფიას სტილში აგებული სალოცავი, აღმშენებელივით ძლიერი, სამხრეთ საქართველოს ტრაგიკული ისტორიის, მისი წარსულისა და მომავლის იდუმალი ამსახველი ტაძარი აშენდა, რომელიც გამოცანასავით დგას რელიგიებსა და საუკუნეებს შორის. თავის დროზე სწორად დაიწერა, რომ იგი, „როგორც მართლმადიდებლურ ტაძრად ჩაფიქრებული საკურთხევლის მქონე ნაგებობა, უნდა გადაცემოდა ქართულ მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიას“[7.59]. სამწუხაროდ, დღეს სულ სხვა ფაქტის მოწმენი გავხდით, ეს სალოცავი, ისე რომ საზოგადოებამ ამის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა, მეჩეთად რესტავრირებული (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანს), მრისხანედ გადაჰყურებს მთელ ქალაქს და თურქთა ავადსახსენებელ სამსაუკუნოვან ბატონობას ახსენებს.

დაბოლოს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სწორედ ახალციხეში, სასაზღვრო რეგიონში XI საუკუნის ქართულ ისტორიულ ძეგლზე XVIII საუკუნეში დაშენებული ე. წ. „მეჩეთის“, როგორც მეჩეთის რესტავრაცია ყოვლად დაუშვებელია. ძეგლის თუ მართლა ისტორიული სახით აღდგენა ხდება, მაშინ იგი თავისი პირვანდელი – ქართული მართლმადიდებლური სალოცავის სახით უნდა აღდგეს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
2. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1972.
3. დ. კოჟორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი, თბ., 1969.
4. ც. ლაფაჩი, ახალციხის მეჩეთის ისტორიიდან, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხე, 2011.
5. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1973.
6. შ. ლომსაძე, მესხები, თბ., 2002.
7. კ. ჯაყელი, აღზევება ყუთლუ არსლანისა, თბ., 2005.
8. გაზ. „მესხეთის უნივერსიტეტი“, 61. 2012
9. Л. Загурский, Поездка в ахалцихский уезд в 1872г., ЗКОИРГО, кн, 8, 1873.
10. В. Иванов, Город Ахалцихе, СМОМПК, вып, 7, 1889.
11. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თარგმანი გ. ფუთურიძისა, თბ., 1971.
12. გაზ. „Тифлисские ведомости,“ 19, 1832.
13. გაზ. „ასავალ-დასავალი,“ 2012 წლის 20–26 აგვისტო, 34 (932).

იუზა ევგენიძე

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები კავკასიის ხალხთა შესახებ

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია სხვადასხვა ხალხის კულტურათა თვითმყოფადობისა და თანაარსებობის პრობლემა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის ამოსავალია ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრებიდან მომდინარე და ქართულ მეცნიერულ სამყაროში გაზიარებული შეხედულება, რომლის მიხედვით: „რაც უფრო ნაირგვარია და განსხვავებული ენები და კულტურათა ენობრივი ფესვი, მით უფრო მძლავრი, გამდიდრებული და ერთიანია კაცობრიობა, როგორც ერთი დიდი მთლიანობა“.[1]

ტრადიციული თვალსაზრისით, რამდენადაც მწერლები, პოეტები „ერის სულის ისტორიკოსებად“,[2] სულიერი ანატომიის დიაგნოსტებად არიან ჩათვლილნი, ამდენად საინტერესოა, თუ როგორ აღიქვა XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ კავკასიის ხალხთა ეთნომენტალური და კულტურული ჰაბიტუსი.

აღნიშნული კუთხით, სყურადღებო მასალაა წარმოდგენილი ისეთ გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნაწერებში, როგორნიც არიან: სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი და კიდევ უფრო მეტად: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლომოური, ეგნატე ნინოშვილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ თვალსაზრისით, დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მათი მიმართება სხვადასხვა ეთნოსისადმი დიფერენცირებულია, არაერთგვაროვანი და ცხადია, ეს მასალა არც თანაბარი ღირებულებისაა, მაგრამ ვფიქრობთ, ყველა შემთხვევაში, ეს მონაცემები საინტერესოა ამ საუკუნის

[1] **გურამ რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ., 1995, გვ. 176.**

[2] **Джамбатиста Вико, Основания новой науки об общей природе наций, перевод А. А. Губера, Л., 1940, с. 357.**

საქართველოს სოციალური და კულტურული დინამიკის (პ. სოროკინი, ჯ. ბარნეტი) გასათვალისწინებლად. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ფაქტებს. ასე, მაგალითად, XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთა შორის პირველი ავტორია ცნობილი ფილოსოფოსი **სოლომონ დოდაშვილი,** რომელიც ქართული ანბანის წარმოშობას მეფე ფარნავაზის სახელს უკავშირებს „უწინარეს ქრისტეს შობისა 327-სა წელსა“. ამ კონტექსტში იგი ეკამათება და უსაბუთებს სომხური სამყაროდან შოვინისტური მიზანდასახულებით შემოჭრილი მოარული აზრის ავტორებს ქართული ანბანის სომხური წარმომავლობის შესახებ თვალსაზრისის უსაფუძვლობას. მისი თქმით, „გამოცანანი ესე არა არიან საფუძვლიანნი და დამტკიცებულნი“ (მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“).[3]

ნარკვევში — „ქართული ისტორია, მეფობა ირაკლი მეორისა“, ს. დოდაშვილი უარყოფითად ახასიათებს იმ „არეულ დროს“, როცა ლეკები „ჰყოფდნენ თავდასხმასა კახეთსა ზედა“ და გარე მუსულმანური ძალების ზეწოლით „სომეხთა სომხობისათა“ მხარს უჭერდნენ ერეკლეს წინააღმდეგ მათ ბრძოლას (გვ. 220-223). აქ ის კავკასიის მუსულმან მთიელთა ეთნომენტალურ შტრიხებსაც წარმოაჩენს, როცა აღნიშნავს: „დაღესტნელნი, ჩვეულებისამებრ თვისისა, მოპარვით გვარად“ ესხმოდნენ „ქართლ-კახეთს და არბევდნენ მას“ (გვ. 225).

სახელოვანი მოაზროვნე იონა ხელაშვილს, 1831 წელს, გულისტკივილით წერს: „ტფილისში ყოველი შეძლებული კაცი აშენებს სახლებს, მრავალნი რუსნიცა, სომეხნიცა, ხოლო ქართველნი ვართ დაშთენილნი“ (317). მასვე აცნობებს, რომ მოგზაურობს „გორს, დუშეთსა და მთიულეთში“; აღწერს „ლომისობას“ და ქართველთა ეთნოფსიქიკურ თვისებებს (321). 1826 წელს სოლომონ დოდაშვილის მიერ იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „არა თავის თავისთვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამ ოდესმე ჰსცნოს ივერია“ (229).

ისტორიული და კულტურულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით, საკუთრივ ქართული ეთნომენტალური სამყაროს დასახასიათებლად, გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში დასაზუსტებელი, მაგრამ ყველა შემთხვევაში საგულისხმო ინფორმაციაა მოწოდებული გამოჩენილი ქართველი რომანტიკოსის **ალექსანდრე ჭავჭავაძის** ნაშრომში: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“, რომელიც მან იმპერატორ ნიკოლოზ I-ს წარუდგინა. აქ, ვკითხულობთ: „იბერია ანუ საქართველო პტოლემეს ხანებში თავის მოცულობით შესდგებოდა: ალბანიისა, საკუთრივ იბერიისა და კოლხეთისაგან. ალბანიას ანუ ალანიას ეჭირა კავკასიის მთის

[3] **სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1989, გვ. 214-215 (შემდგომში ციტირებისას გვერდებს მივუთითებთ ძირითად ტექსტშივე).**

აღმოსავლეთი თხემები, დაწყებული დარუბანდით სამხრეთისაკენ, ვიდრე ალაზნამდე. იბერია შეიცავდა ახლანდელი კახეთის ნაწილს, ქართლს, სომხითის, ახალციხის მხარესა და არაქსზე მდებარე ყველა მიწა-წყალს. კოლხეთი შეიცავდა ლაზიკას, სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთს, რომელშიც შედიოდა: ახლანდელი იმერეთი, სვანეთი და აბაზინების, ანუ აბასების მთელი მიწა-წყალი ტამანამდე. ძველად ქართველებს იბერებს, ანუ გიორგებს უწოდებენ მათი ხელობის, მიწათმოქმედების გამო. გიორგისაგან წარმოსდგა ოსმალური სახელწოდება გურჯი, რუსების ძველებურ აქტების გრუზი, შემდგომ გრუზია; ხოლო თვითონ ქართველები თავის თავს უწოდებენ „ქართველებს“ წინაპრის ქართლოსის სახელწოდებისაგან“.[4]

მეორე ქართველი რომანტიკოსის — **ალექსანდრე ორბელიანისთვისაც** ქართულ მუსიკალურ მონაცემთა მიხედვითაც კი „ჩუენი საქართველოს (ქართლ-კახეთის — ი. ე.) და იმერეთის ერნი არიან ძველ ივერიანელებისა შვილიშვილები, ვითარცა პიტალოს ოქროთაგან პიტალო ოქრო გამომდინარე“.[5]

კავკასიის ხალხთა ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებებზე კონკრეტულად ამახვილებს ყურადღებას დიდი ქართველი რომანტიკოსი **გრიგოლ ორბელიანი**. კერძოდ, ის ჩერდება ოსების, ჩეჩნებისა და ყაბარდოების თვისებათა ხასიათზე, მათი საცხოვრისის გეოგრაფიულ არეალზე, ქართველებთან ამ ხალხების მსგავსება-განსხვავებაზე. ამ მხრივ, საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის მოთხრობა „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურგამდის“.

პოეტის თქმით, „ვლადიკავკაზს ესაზღვრებიან თაგაურნი და სხვანი მთის ხალხნი, ჩაჩანი და ყაბართო, პატარა და დიდი, ძალიან შიში იყო უფრო უწინ მთის ხალხისაგან“ (162). გრიგოლ ორბელიანი კმაყოფილია კნიაზ აფხაზის — იმის გამო, რომ მან „დაამარცხა თაგაურნი“... ხალხის ამშლელნი და ავაზაკნი, რომელნიცა ავაზაკობდნენ საქართველოს გზაზედ“ (162). როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანიც უარყოფითადაა განწყობილი ოსების მიმართ.

სახელოვანი პოეტი დაწვრილებით აღწერს და სიმპათიითაა გამსჭვალული ყაბარდოელებისადმი, როცა ეძებს ნათესაურ შტრიხებს ქართველებსა და ყაბარდოელებს შორის: „უწინ ძლიერი ხალხი იყო, გარნა საშინელმან ჭირმან გაწყვიტა და შემდგომ ბრძოლამან პირისპირ რუსთა... ყაბართოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი... ებრძვიან ესოდენ წელთა რუსთა, რომელთაცა შეავიწროეს ფრიად, დაამცირეს და დაიპყრეს მთელი ყაბართო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერ აღხოცეს მათ შორის... მარადის ეძიებენ შემთხვევასა, რათა დაიხსნან მამული თვისი რუსისგან.

სტუმართმოყვარეობასა არათუ ოდენ ყაბართოელნი, არამედ ყოველნი კავკასიისა ხალხნი ჰრაცხვენ უწმინდეს მოვალეობად, — სტუმარი გინა

[4] **ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940. გვ. 241.**

[5] **ალექსანდრე ორბელიანი, ივერიანელების გალობა, სიმღერა ღიღინი, იხ. კრებული: ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1980.**

იყოს უცნობი, შეეალს რა მათდა სახლსა შინა, იქმნების შეუხებელი ყოველთა მისთა მტერთაგან და პატივცემულ ყოვლისა სახლობისაგან, და უკეთუ გითხრა ოდესმე ძმობა, ანუ მეგობრობა (ყონაღ), მაშინ სიკვდილამდე ექნება ესე გრძნობა განუწყვეტლად და მეგობრისათვის არც სიმდიდრესა და არცა სიცოცხლესა თვისსა არა დაზოგავს“ (164). ამასთან „ყაბართოელთა აქვთ ბუნებითი გონება და მეხსიერება“ (165).[6] მისი დაკვირვებით ეს ხალხი ანთროპოლოგიურადაც ძალიან მოჰგავს ქართველებს. ამ ხალხებს დადებითად ახასიათებენ შემდეგ აკაკი და ვაჟა... არსებითი და ეროვნული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებული, მაინც ქართველი ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს გრიგოლ ორბელიანისეული ის დახასიათებაა, რომელიც თავისი ბრწყინვალე მხატვრული ნიჭით მჭვრეტყველურად წარმოსახა პოეტმა „სადღეგრძელოში“, რითაც სამარადჟამოდ გაუსიგრძეგანა პოლიტიკურად გადასხვაფერებულ სივრცეში მყოფ ახალ საქართველოს, რომ ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ ველში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ საკუთრივ ეთნოგენეტიკით ენობრივად ერთი ფესვიდან ამოზრდილი ქართული ტომები (ქართლელი, კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიული, მესხი, იმერი, გურული და მეგრი), არამედ „ფეხმარდი ოსი“ და „მშვილდოსნობით“ ცნობილი აფხაზი. ერის კულტურას ჰქმნის ენის, რწმენის, ტერიტორიის, წინაპართა საფლავების კულტი და პოლიტიკური ერთობა; აი, ესაა ლაიტმოტივი გრ. ორბელიანის მრწამსისა, რომელიც მან ესტაფეტად გადასცა შემდგომ ხანას და ჩვენს თაობასაც.

თუ გრიგოლ ორბელიანის დაკვირვებებში მეტ-ნაკლებად ანალიტიკური მიდგომა შეინიშნება ქართველურ ტომთა და კავკასიის ხალხებზე მსჯელობისას, ამ თვალსაზრისით განსხვავებულია და უფრო ემოციურ ასპექტშია გადმოშლილი გენიალური ქართველი რომანტიკოსის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** დამოკიდებულება კავკასიის ხალხებისადმი. მხოლოდ ერთ ლექსში, რომლის სახელწოდებაა: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს“, უკვე სათაურშივეა გამჟღავნებული ავტორის უარყოფითი პოზიცია კავკასიის მთიელთა — დაღესტნელთა და ჩეჩენთა წინააღმდეგ, რასაც დასტურჰყოფს შემდეგი სიტყვები:

„ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!..
...კავკასო, ქართლოსს საფლავზე არიან გაფიცებულნი...
...ჰე, დაღისტნელნო, სომხითის კედელნი თქვენგან ნგრეულნი...
...კავკასო, აჰა კახნიცა, შენზედ გულამღვრეულები...
მეფის ირაკლის გაწვრთნილნი, გმირებად ნასახელები!
ნუ ჰგონებ, აღხოცვილიყვნენ მათ შორის ძველნი მამულნი:
ყოველსა დამთა შვილები, საშვილიშვილოდ ვაჟკაცნი!
ნაუნჯნი ყმანიც მეფისა თუშები მოუღალავნი...

[6] **გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 162-165. გვერდებს ვუთითებთ ტექსტშივე.**

თქვენი ჭირიმე თუშებო, ბიჭობა თქვენი ქებულა,
მახვილი თქვენი მარადის დაღისტნელთ ქედზედ ლესულა!
...კავკასო, ძრწოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი!..
...ჰე ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მაღლით?
გიხმობდეთ: ქართველნო, ჰე შაბას! კურთხევა თქვენდა ზე მადლით!
...თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი, თქვენთა წინაპართა!
ვაგლახათ ეცით წარმართთა!
აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,
და გიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა“ (გვ. 131-132).[7]

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში „ურჯულოთა“, „წარმართთა“ და ქრისტიანული „ზე მადლით“ კურთხეული დაპირისპირების დონეზეა აყვანილი ქართველთა და დაღესტან-ჩეჩენთა შორის მიმდინარე კავკასიის ომი. იმჟამად არსებული პოლიტიკური ვითარება ნიკ. ბარათაშვილის მხატვრულ სამყაროში ეროვნულ-სარწმუნოებრივ ასპექტშია განცდილ-გააზრებული; სოციალურად ერთიანი ქრისტიანული საქართველოს ბრძოლა „წარმართ“, თუ ფანატიკოს მაჰმადიანთა — „დაღესტნელთა“ და „ჩეჩენთა“ წინააღმდეგ. გმირობის სამაგალითო ნიმუშებად წარსულიდან გამოხმობილია სრულიად ქართველთათვის მითოსურ სამოსელში გახვეული უშორეულესი დიდი წინაპრის, მთელი ერის სახელის ფუძემდებლის ქართლოსის და ახლო საუკუნეებიდან ერეკლე მეფის სახელები.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადია, „ბედი ქართლისას“ და „საფლავი მეფის ირაკლისას“ ავტორის ორიენტაცია პრორუსულია. მხატვრულ რეგისტრშია აყვანილი ასევე საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, კავკასიის ხალხთა ურთიერთობის კონტექსტში, რომანტიკოსი პოეტის **ვახტანგ ორბელიანის** მიერ. ლექსში „ირაკლი და მისი დრო“, ის ხოტბას ასხამს ერეკლე მეფის გმირობას იმიტომ, რომ „ებრძვის ქრისტეს მტერს, წინ უდგას თავის ერს“. და ეს მტერი კი მისთვის „ოსმალებისა“ და „სპარსელების“ რანგში მოაზრებული „დაღესტანია“. აქ პოეტი აშკარად თავმომწონეობს იმით, რომ ერეკლეს ბრძოლას აღმოსავლურ მუსლიმანურ სამყაროსთან — „აღტაცებით ...ევროპა უმზერს“. სავარაუდოა, პოეტს აქ მხედველობაში აქვს გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის „მინა ფონ ბარლეჰმში“ გაჟღერებული აზრი ერეკლეს უძლეველობის შესახებ. სხვა შემთხვევაში („ირაკლი და კოხტა ბელადი“), მწვავე პრობლემად განიცდება „ლეკი კახსა, თუ კახი ლეკს დასძლევს?“ და „არწივსა“ და „ლომს“ უწოდებს ურჯულო ლეკთა სახელგანთქმული ბელადის მძლეველ გმირთაგმირ — ერეკლე მეორეს, რომელიც მისი წინაპარი იყო.[8]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც კავკასიის მთია-

[7] **ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1968.**

[8] **ვახტანგ ორბელიანი, ლექსებიდან ციტირებას ვახდენთ წიგნიდან: ქართული მწერლობა, ტ. 9.**

ეთში სისხლისმღვრელი ომი შეწყდა, პოლიტიკური ვნებათაღელვა ერთგვარად ჩაცხრა, ნანატრი მშვიდობის ჟამი დადგა და, როგორც ჩანს, „კავკასიური თემის“ ადრე დასადგურებულ შეფასების ემოციურ ტონს, რომლითაც მოცულია ზემომოხმობილ ქართველ მწერალთა ნაწერები, მოვლენათა განსჯის, შედარებით დისკურსიული ფორმა ჩაენაცვლა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გამოჩენილი ქართველი პოეტის **რაფიელ ერისთავის** ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები.[9]

„სამშობლო ხევსურისას“ ავტორი ქართველთა ეთნო-ფსიქოლოგიური და მენტალური სამყაროს ერთ-ერთი პირველი მკვლევარია. თავის ნარკვევებში: „ქართული სახალხო პოეზია“, „ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით“, „ლეჩხუმის მაზრაში ძველი და ახალი ჩვეულების მოთხრობა ანუ იგივე ისტორია“, „ატატო კოპლატაძის მეუღლის გადმონაცემი“, „სამეგრელოს შესახებ“, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიათა სერიალში: «О Тушечно-Пшаво-Хевсурском округе», «О крестянском сословии в Мингрелий», «Заметки О Сванетий» და სხვ., პოეტი წინ წამოსწევს იმ სულიერ ნიშნებს, რაც საქართველოს ამ კუთხეთა ერთიანობის საფუძველთაგანია. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ რაფიელ ერისთავი ქართული მუსიკალური კულტურის სპეციფიკის გათვალისწინებით ამჩნევს იმ მსგავსებას, რაც ქართულ სიმღერას აახლოებს იტალიურ სიმღერასთან, როცა აღნიშნავს: „ჩვენი ქვეყანა, როგორც იტალია მდიდარია სხვადასხვა სიმღერებით, მათი მუსიკალური კილოთი და მიმოხრით“,[10] რითაც ერთგვარად ამაგრებს ევროფილოსოფიურ სივრცეში გაჟღერებულ ჰეგელისეულ აზრს იტალიელთ, ქართველთა და ჩერქეზთა, როგორც „კავკასიური რასის“ წარმომადგენელთა ერთობის შესახებ.

ქართული „ეთნო-ფსიქო-ლოგოსის“ (გ. გაჩევი) რაობის, მისი გავრცელების არეალისა და მიმართების შესახებ მეზობელ ხალხებთან მეტად ანგარიშგასაწევი მოსაზრებები აქვს გამოთქმული, თავისი თავგანწირვით ქართველთათვის დიდი აკაკი წერეთლისგან „თავდადებულად წოდებულ“, ამჟამად ქართული ეკლესიისაგან, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით წმინდანად შერაცხულ **დიმიტრი ყიფიანს**. ეს შესანიშნავი მამულიშვილი და მოაზროვნე XIX საუკუნის 70-იან წლებში აქვეყნებს სტატიას — სათაურით — „უცნაური ნადირობა“, სადაც მის მიერ ქართულ ეთნოსში მოიაზრება: „სვანები, მეგრელები, ლეჩხუმელები, იმერლები, გურულები, აჭარლები, შავშელები, ჭანელები, ქართლელები, კახელები, ქიზიყელები და ინგილოები“.[11] ამ კუთხ-

[9] **რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვილმა, თბ., 1986.**

[10] **იქვე, გვ. 22.**

[11] **დიმიტრი ყიფიანი, რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული სტატიები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1995. გვ. 19.**

ებიდან ამოზიდული ენობრივი ენერგია და მის საფუძველზე შექმნილი კულტურა არის ავტორის აზრით, საქართველოს, როგორც ქვეყნის არსებობის საფუძველი. ამიტომაცაა, რომ 1880 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბატონ იანოვსკის ორგვარი შეცოდება“, ამხელს რა მის შოვინისტურ მსოფლმხედველობას, ქართული ენის ფლობას ბუნებრივ აუცილებლობად სახავს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ქართველისათვის, არამედ ქართულ სინამდვილეში წარმოდგენილ არაქართველთათვისაც.

დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით, ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა შესაძლებლობას აძლევდა არა მხოლოდ სახელოვან ქართველებს: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ორბელიანს, პეტრე ბაგრატიონს, ივანე აფხაზს, სავარსამიძეს, გიორგი ერისთავს, არამედ სხვა ერის შვილებს: მოსე არღუთაშვილს, ვასილ ბებუთოვს და თვით ჟანდარმერიის შეფს „მიხეილ ტარიელიჩ ლორის-მელიქოვს“[12] შეესრულებინათ მეზობელ ქვეყანათა შორის პოლიტიკური და ზოგჯერ კულტურათაშორისი შუამავლის ფუნქციაც. დიმიტრი ყიფიანი ქართული ფენომენის მოვლა-დაცვის აუცილებლობას აღნიშნავს ასევე 1882 წელს გამოქვეყნებულ წერილში „გაზეთ კავკაზის“ ბატონ რედაქტორს“. თავის მსჯელობას ის საფუძვლად უდებს უტყუარ ფაქტებს, რომლის მიხედვით ამტკიცებს, რომ „ამ ქვეყანას (საქართველოს — ი. ე.) აქვს თვალსაჩინო დამსახურება როგორც კაცობრიული ისტორიის, ისე მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე“.[13] მოწამეობრივ აღსასრულამდე ერთი წლით ადრე, 1886 წელს, ნარკვევში „რა ხალხია ქართველები“, დ. ყიფიანი საქართველოს დაუძინებელ მტრებად სახავს: თურქებს, სპარსელებს, მონღოლებს და მათ რანგში ჩრდილო-კავკასიელ მთიელებს.[14] დიმიტრი ყიფიანი ქართველ მწერალ-მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც საგანგებოდ გახაზა ქართველთა ისტორიული დამსახურება კულტურული კაცობრიობის წინაშე: „საქართველომ კაცობრიობის ამ მტარვალთა მრავალი დარტყმა მიიღო საკუთარ თავზე და ამით საფრთხე ააცილა დასავლეთის ცივილიზაციას, არაერთ ქრისტიან ხელისუფალს უღიარებია ქართველი ხალხის დამსახურება მსოფლიოს წინაშე, ხალხისა, რომელმაც თავგანწირული ბრძოლის ქარცეცხლში გამოატარა სხივმოსილი სიწმინდე სამოციქულო ეკლესიისა“.[15]

მართლმადიდებელი რუსული სამყაროს ღირსებათა წარმომჩენი დიმ. ყიფიანი შოვინისტური მსოფლმხედველობის პირველი კრიტიკოსთაგანია და როგორც ვიცით, მისი მსხვერპლიც. დიდი მამულიშვილი ღირსეულად აფასებს საქართველოს ტერიტორიული გაერთიანებისა და სიმშვიდის

[12] **იქვე, გვ. 34.**

[13] **იქვე, გვ. 42.**

[14] **იქვე, გვ. 58.**

[15] **იქვე, გვ. 58.**

დამყარების საქმეში ერთმორწმუნე რუსეთის როლს, როცა წერს: „ბოლოს და ბოლოს საქართველომ რუსეთის მფარველობის ქვეშ მიაღწია იმას, რაც XIII საუკუნიდან არ ღირსებია“. მაგრამ იმასაც გარკვევით მიუთითებს: „როგორია, როცა ვეება კასრით თაფლს მოგიძღვნიან, მადლობის სათქმელად გაღებულ პირში კი კუპრს ჩაგასხამენ“.[16] ამას კი, მისი აზრით, სჩადიან „დასავლეთის გუბერნიებიდან პირდაპირ აქ მოხვედრილი ადმინისტრატორები, — იმათ პოლონელებში ვეშლებით“.

მას სჯერა, რომ „ჩვენ მეომარი ხალხი ვართ და მაშასადამე პატიოსანიც. ამასთანავე, ქართველები ახალგაზრდა ხალხი არაა და ვერც ვერავინ წამოგვაგებს ანკესზე“.[17]

დიმიტრი ყიფიანის პუბლიკაციების გათვალისწინებით, ვრწმუნდებით, რომ იმ დროისათვის მრავალ საჭირბოროტო საკითხთან ერთად, კავკასიის ხალხთა ურთიერთმიმართების პრობლემებზე მსჯელობისას, მისი სახით, ახალი დროის საქართველოს ჰყავდა ვიწრო შოვინისტური ზრახვებისაგან თავისუფალი, დიპლომატიური მანევრირების ნიჭით დაჯილდოებული მოაზროვნე, რომელსაც გასიგრძეგანებული აქვს ქართული ფენომენის ღირებულება და შესაბამისი ადგილი საკაცობრიო კულტურაში. ამიტომაცაა, რომ რწმენის, ენისა და სამშობლოს სახე-ხატის მოვლა-შენახვა, „ურჩ რაინდად“ წოდებული ამ დიდი მამულიშვილის სამოღვაწეო საქმიანობის სასიცოცხლო პრინციპია. ამ მხრივ, ის ღირსეული მემკვიდრეა სოლომონ დოდაშვილისა და წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა.

ქართულ სინამდვილეში პირველი მოაზროვნე, ვისაც ადრე უფრო განწყობილებათა და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირების წრიდან ლოგიკურ-დისკურსიული ანალიზის დონეზე აჰყავს „კავკასიის ხალხთა“ ცნებაში მოაზრებული პრობლემების ღირებულება, მხოლოდ და მხოლოდ **ილია ჭავჭავაძეა**. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების აისიდან დაისამდე, არა მარტო მხატვრული სიტყვის სფეროში გაჟღერდა „ფიქრი მთელ კავკასიის ხალხის თავისუფლებაზე“, მასში შემავალ ერების თანაარსებობაზე, არამედ დიდი ქართველი მოაზროვნის „პუბლიცისტურ ფილოსოფიაში“ (შ. ნუცუბიძე) („ზოგიერთი რამ, „ერი და ისტორია“, „აი ისტორია“, „ქვათა ღაღადი“, „ვის ნათესსა ვმკით“, „შინაური მიმოხილვა“, „ქართული ხალხური მუსიკა“, „კატკოვის პასუხად“, „ბ. იანოვსკის წერილების გამო“, „დავით აღმაშენებელი“, „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, „მეცხრამეტე საუკუნე“ და სხვ.). ჩვეული სინთეზურ-ანალიტიკური განსჯით ნათელყოფილია „კავკასიის ხალხთა“ ურთიერთობის შუქ-ჩრდილოვანი მხარეები. ი. ჭავჭავაძის პოლემიკა ქართული ფენომენის უკუღმართად დამნახავ ავტორებთან (პატკანოვი, ივ. ჯაბადარი, ნ. მარი და სხვ.) გააზრებულია არა ნაციონალ-

[16] იქვე, გვ. 59.

[17] იქვე, გვ. 60.

ისტურ-შოვინისტური, არამედ ჭეშმარიტი მამულიშვილის, საღად მოაზროვნე ისტორიკოსისა და ფილოსოფოს-სოციოლოგის პოზიციიდან. ილია ის მოაზროვნეა, რომელსაც „ისტორიულ და არაისტორიულ ფაქტთა გასარჩევად აქვს თავისი ღირებულებათა სისტემა“,[18] რომელიც მას უკარნახებს არა მხოლოდ „კავკასიის მთიელებთან“, არამედ სომხებთან და რუსებთან ურთიერთობის ახსნა-გარჩევას და ანალიტიკური მიდგომის საფუძველზე არსებული კონფლიქტური ვითარების დარეგულირებას. ეს პრობლემა ქართულ სააზროვნო სივრცეში მრავალგზის არის დახასიათების ობიექტად ქცეული.[19] ამ საინტერესო თემის გარშემო მოწინავე ქართველობა აგრძელებს ფიქრს[20] და, ამდენად, მისი საგანგებოდ დახასიათების აუცილებლობაც ამჟამად არ დგას.

ფაქტი ერთია, რომ ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტიკაში რელიეფურად წარმოაჩენს ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურული ცხოვრების დინამიკას, მის მიმართებებს როგორც შიდა ეროვნულ, ასევე გარე სამყაროსთან, რითაც შესანიშნავად ახერხებს, როგორც ქართული ცხოვრების „მაჯაშისა შემტყვევარი“ ექსპერტი, ჩვენი ხალხის „სოციალური ანატომიის“ (შ. ნუცუბიძე) ჩვენებას და მისი მიმართებების გარკვევას „კავკასიის ხალხის“ ეთნოფსიქოლოგიის კონტექსტში.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების, მისი შინაგანი და გარეგანი სოციალ-პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების შესახებ ძალზე საინტერესო სურათს იძლევა „საქართველოს უგვირგვინო მეფედ“, „ქართული პოეზიის იალბუზად“ წოდებული დიდი მგოსანი **აკაკი წერეთელიც**. აკაკიმ ყურადღების ცენტრში მოიქცია და დიდი მხატვრული და პუბლიცისტური ტალანტის წყალობით, მკითხველის ცნობიერებაში ობიექტივიზაცია მოახდინა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოსი, — საქართველოს ყველა კუთხისა: ქართლი და კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი და შავშეთი, ჭანეთი და მესხეთი... მეზობელ მონათესავე ხალხთაგან მისი ინტერესის საგანია ყაბარდო.

აკაკის წარმოდგენაში ამ კუთხეთა თანაარსებობა საქართველოს ერთიანობას გულისხმობს. ეს აზრია გატარებული მის მრავალ ნაწარმოებში და მათ შორის სტატიაში „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, სადაც პოეტი გარკვევით მიუთითებს: „ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია,

[18] ერნესტ კასირერი, რა არის ადამიანი, ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა, გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა, თბ., 1983. გვ. 304.

[19] ივ ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938. ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა, თბ., 1988. რ. მეტრეველი, ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში, თბ., 2002 და სხვ.

[20] ილიას პუბლიცისტიკის ამ ასპექტში გააზრებისათვის საინტერესოა ლ. მინაშვილის მიერ შედგენილი კრებული: „ილია ჭავჭავაძე. „წერილები ლიტერატურაზე“, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1988.

სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, ლაზისტანი, ფშავი, ხევსურეთი და სხვადასხვა... შეერთებული შეადგენენ ძლიერსა და ვრცელ საქართველოს“. რასაკვირველია, ყველა ეს კუთხე მგოსანმა პოეზიაშიც იმ ჩონგურის სიმებად დასახა, რომელსაც სრულიად საქართველო ჰქვია და სამარადჟამოდ უკვდავყო ყველა ქართველისათვის დაუვიწყარი სიტყვებით: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“. დღევანდელი ქართველისათვის,არა მხოლოდ მხატვრულ-ემოციური გამიზნულობა, არამედ ღრმა შემეცნებითი, ეროვნული იდეოლოგიის გამამყარებელი მნიშვნელობა აქვს აკაკის მიერ ერთიან საქართველოდ დანახულ და მისი ხედვის არეში მოაზრებულ ამ კუთხეებში შემავალ გეოგრაფიულ პუნქტებს, მთელ იმერ-ამერს, აფხაზებს, რომელთაც არა ზღვისპირელებს, არამედ „მთის შვილებს“ უწოდებს — ერთიანად კავკასიის მონათესავე ყაბარდოელებს, რომელთანაც ჩვენს „ქვეყანას“ აკავშირებს „რჯულზე უფრო უმტკიცესი“ („გამზრდელი“) ტრადიცია, ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული თავისებურებანი.

ამ ასპექტით ღრმად მოქალაქეობრივი ჟღერადობა აქვს როგორც საკუთრივ აკაკის უმძაფრეს პუბლიცისტიკას, ისე მაღალი ემოციებით გაჯერებულ, ღრმა პოლიტიკური პათოსით დამუხტულ პოეზიას და პროზას. გარკვეულ კონტექსტში განსაკუთრებით გამორჩეულია, არა მხოლოდ რუსეთის დიდი კულტურის დამფასებელი პოეტის, არამედ მის შოვინისტ შვილთა დაუნდობელი კრიტიკოსის, აკაკის სატირული მხატვრულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა. თავისთავად მეზობელ სომეხთა წარსულის პატივისმცემელი აკაკი წერეთელი, როცა სომხური შოვინიზმის გააქტიურების მომსწრე ხდება, წერს და აქვეყნებს ღრმა მეცნიერული ერუდიციით და ამავე დროს მხატვრული ნიჭით გასხივოსნებულ უმძაფრეს ნარკვევს: „ისტორიული განხილვა სახელწოდებისა: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის“. ეს თხზულება ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის“ და ვაჟას პოემა „ჰაოს და ქართლოსის“ (1899) გამოქვეყნებამდე ერთი წლით ადრე (1898 წ.) დაიბეჭდა, მაგრამ ისევ და ისევ მეზობელ შოვინისტ ხალხთა მეოხებით თავის დროზე თურმე ტირაჟის დიდი ნაწილი განადგურდა და ფართო საზოგადოებისათვის ბოლო დრომდე უცნობი იყო.[21]

აკაკი წერეთელი ყველა შემთხვევაში „ველიკორუსული ფსიქოლოგიის“ (დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი) და მოძალებული სომხური შოვინიზმის უმძაფრესი კრიტიკოსია, თორემ სხვა შემთხვევაში — მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად დამფასებელი,როგორც მისი დროის დიდი რუსული კულტურის, ასევე ავბედითი ისტორიისაგან გაწამებული, ნახევრადლტოლვილი, უძველესი წარსულის სომეხი ერის, მისი გამრჯე ხალხის და

[21] **იხ.: უცნობი აკაკი, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს იუზა ევგენიძემ და ნანა ფრუიძემ. შესავალი წერილი იუზა ევგენიძის, კომენტარები და შენიშვნები ნანა ფრუიძის, თსუ გამომცემლობა, 2001.**

გამოჩენილი ადამიანების. ამიტომაც ყოველგვარი ქსენოფობიისაგან გათავისუფლებული, ჯერ კიდევ 1874 წელს, მიესალმება ქუთაისში მოსულ სომხებს. სხვა დროს კი, პოეტი სიყვარულით მიმართავს სომეხთა გამოჩენილ მწერალს გაბრიელ სუნდუკიანცს, რითაც თანამედროვეებს ქართველთა და სომეხთა თანაარსებობის აუცილებლობას შეახსენებს.

ამჟამად საგულისხმოა, თავისთავად სხვა დროს აკად. ნიკო მარის ნიჭის ღირსეულად დამფასებლის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მის მიმართ მკაცრი ოპონენტის, აკაკის სტატია: „პროფესორ მარის საპასუხოდ“ (1898 წ.).

აკაკის დროსაც უჭირდა საქართველოს და უჭირს დღესაც, მაგრამ აკაკისა და მისი სხვა ღირსეულ შვილთა ძალისხმევით, ყოველ დროში, სიტყვით და საქმით, კვლავ ერთიანობის აზრით იმუხტებოდა, ცრემლნარევი, ტკივილიანი სიყვარულით დუღაბდებოდა დაშლა-რღვევის პირას მისული ყოველივე ეროვნული. ასეთ შემთხვევაში „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანის“ და მასთან შერწყმული „ქრისტეს ტანჯვის“ გზით მავალი ქართველი, თავისი დიდი კულტურის ტარების უნარით, აკაკის მრწამსით ინარჩუნებს მზისქვეშეთში არსებობის უფლებას და მომავალშიც დაძლევს ყველა გასაჭირს...

კავკასიის ხალხთა შორის ერთ-ერთი საინტერესო ეთნოსის — ლეკების შესახებ საგულისხმო დაკვირვებებია მოწოდებული ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის **ნიკო ლომოურის** (1852-1915) ნაწერებში. პუბლიცისტური ჟღერადობის მოთხრობაში „წინაპართა აჩრდილნი“, მწერალი მენტალურად მკვეთრ დიფერენცირებას ახდენს ქართველთა და ლეკთა შორის, როცა აღნიშნავს: „უძველეს დროიდან მოკიდებული ლეკები და ქართველები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, საქართველოსა და დაღესტანს შორის დიდი განსხვავება სუფევდა. ეს განსხვავება ბუნებისა, რაღა თქმა უნდა, თავის შესაფერ გავლენას მოახდენდა მცხოვრებლებზედაც. ბუნება მხოლოდ საძირკველსა ჰყრის ეროვნულის ხასიათისას: ამ ხასიათს ავითარებს, სხვადასხვა თვისებათა და მიდრეკილებათ ანიჭებს ისტორიული გარემოებანი“.[22]

ნიკო ლომოური შესანიშნავად ახერხებს ლეკთა და ქართველთა ხარაქტეროლოგიური თვისებების წარმოჩენას. მისი თქმით „ლეკები არც ერთხელ არ გამოსულან ველურ, მამა-პაპურ მდგომარეობიდან“ (388), მით უფრო მას შემდეგ, რაც „მაჰმადიანობამ... მთელს დაღესტანში ამაყად ააფრიალა მწვანე დროშა ცოფმორეული ფანატიკოსობისა“ (389). ამ ფონზე მწერლის სიტყვით, „საქართველო სრულიად სხვაგვარ ქვეყანას წარმოადგენდა... ქრისტეს წინადვე ქართველებმა შექმნეს თავიანთი ეროვნული განათლება. ამ

[22] **ნიკო ლომოურის თხზულებათა ციტირებას ვახდენთ წიგნიდან: ქართული პროზა, წ. XIV, თბ., 1987. გვ. 388. სხვა შემთხვევაში გვერდებს ამავე წიგნიდან ვუთითებთ ტექსტშივე.**

განათლებას ქრისტიანობამ წმინდა კაცთმოყვარული მადლი მოჰფინა და... არასდროს ქართველებს არ გაუგდიათ ხელიდამ... ხმალი... წიგნი და ჯვარი ქრისტესი“ (388). ნიკო ლომოურის აზრით, „ქართველობას მთელს თავის სიცოცხლეში არ ჰყოლია ისეთი მოუსვენარი და შემაწუხებელი მტერი, როგორიც იყვნენ... ლეკები“ (389). ლეკების მიმართ მსგავსი აზრი და განწყობილებაა გამოხატული მოთხრობაში „ქრისტიანი ლეკები“ (235-248).

ყველა შემთხვევაში ნიკო ლომოურის მსჯელობაში მეტ-ნაკლებად გამოძახილს პოულობდა ელიზე რეკლიუს აზრი ამა თუ იმ ხალხზე ბუნების გარემო-ლანდფშატის გავლენის შესახებ.[23]

ალექსანდრე ყაზბეგი, ლიტერატურის დიდ ექსპერტთა მიერ იმთავითვე აღიარებულია, როგორც „შვენება ქართული ლიტერატურისა“ (დავით კლდიაშვილი). ამიტომაცაა, რომ „უწმინდესი ხელოვნების ჭეშმარიტად უმაღლესი მხატვრულობის“ (დავით კლდიაშვილი)[24] შემცველ მის ნაწარმოებებს ზოგადკაცობრიულ ღირებულებათა ასახვის კულტურით გადალახული აქვს ლოკალური და დროითი ჯაჭვირები. მაგრამ ამ საკაცობრიო საფიქრალის უმაღლეს დონეზე გამოხატვის გარდა, ალ. ყაზბეგის, როგორც ქართველი მწერლის დამსახურება ისიცაა, რომ მან პირველმა ჩვენს სინამდვილეში ყურადღების არეში მოაქცია ხევი და მოხევეები, რითაც თვალნათლივ გაუცნობიერა მკითხველს ამ კუთხის ფსიქო-ეთნიკური და კულტურული ერთიანობა დედასაქართველოსთან. დიდმა მწერალმა ამ ფონზე შესანიშნავად წარმოაჩინა მოხევეების, როგორც ჭეშმარიტ ქართველთა მიმართების ხასიათი მეზობელ მთის ხალხებთან, იქნებოდა ეს ჩერქეზები, ჩეჩნები, ოსები, ლეკები, ქისტები თუ სხვ.

ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც მამულიშვილს და ხელოვანს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მის მიერ მხატვრული, თუ ეთნოგრაფიული გამოსახვის ობიექტად კონკრეტული მასალის — ხევისა და მოხევეების შერჩევის ეფექტურობა და მისი ეროვნული მნიშვნელობა, როცა სტატიაში „წერილი იონა მეუნარგიასადმი“ — გარკვევით აღნიშნავს: „ვნახე, რომ მთიელთა მხარეს საქართველოსას, თითქმის ქართველებადაც არ სთვლიდნენ და ვსცადე გამეცნო ეს ხალხი ქართველებისათვის. გამეცნობიერებინა მათი გულის მოძრაობა, რომელიც ძველთაგანვე სცემდა საერთო საქმისათვის, ძველთაგანვე გვერდს უდგა საქართველოს ყოველ გაჭირვებაში... ეს იყო ჩემი წადილი და ამას წარმოადგენდა მთელი რიგობა ელგუჯებისა, ელისოებისა, ბერდიებისა და სხვ.“ (გვ. 319). ამის ერთი მიზეზთაგანი კი ის გახლდათ, რომ მწერლის თქმით, „გაუცნობელნი ხალხთან... პატივცემულნი პირნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ხევი საოსეთოდ ჩათვალეს და მოხევეები ოსებად... ამასთანავე ილახებოდა ხალხის წესები მრავალთათვის გაუგებარი, და ის წმინდა ჩვეულებანი, რომლის გაკიცხვაც კაცობრიობის შეურაცხყოფად ჩაითვლება“ (ა. ყაზბეგის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, ფაქტები. გვ. 204).[25]

ალ. ყაზბეგმა თანდათანობითა და პატივისცემით, დიდი სიყვარულით დახატა კავკასიის მთიელთა სახე-ხასიათები ისეთ ბრწყინვალე თხზულებებში, როგორიცაა: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“, „ელეონორა“, „ნამწყემსარის მოგონებანი“, „საქართველოს ბომონდი“ და სხვ. თავის „ავტობიოგრაფიულ ცნობებში“ იგი ქადაგებს „ჩერქეზების სიყვარულს როგორც ნათესავისა“. სხვა ვითარებაშიც შთამბეჭდავად უკვდავყოფს თავის ბრწყინვალე ქმნილებებში ამ ხალხის საუკეთესო თვისებებს... ა. ყაზბეგი პირველი მწერალია, რომელმაც ეთნიკური მსგავსებანი შენიშნა ჩეჩენთა და ქართველთა წეს-ჩვეულებებში, ტრადიციებსა და ადათებში. მან ჩვენში განმტკიცებული ტრადიციის ფონზე, დადებით კონტექსტში წარმოაჩინა დაღესტნის ისეთ შვილთა ხასიათები, რომელთაც „სისხლის ღვრა მეჯლისად“ მიაჩნიათ („ელეონორა“), მაგრამ ამავე დროს გახაზა, რომ სიყვარული წყვილთა შორის ის ვულკანური ენერგიაა, რომელიც არღვევს ეროვნულსა და სარმუნოებრივ საზღვრებს და სამოყვროდ აამოძრავებს დაპირისპირებულ ხალხთა შვილებს... ამ კონტექსტში შედარებით მუქ ფერებშია ასახული ცალკეულ შემთხვევაში ოსები, როგორც განსხვავებული ეთნიკური მონაცემების ხალხი... მაგრამ დიდ ბელეტრისტს ყოველთვის ამკობს ტაქტი და ზომიერება, რომ აჩვენოს ადამიანებში ზნეობრივად არა მარტო უარყოფით ნაკადთა ჩასახვა-წარმოშობის მამოძრავებელი მოტივები, არამედ დასახოს მათი დაძლევის გზები. თავის დროზე ქართული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა ალექსანდრე ხახანაშვილმა ა. ყაზბეგის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ სტატიაში (გაზ. «Русские Ведомости», 1893) და შემდეგ თავის „ნარკვევებშიც“ შენიშნა ა. ყაზბეგის, როგორც ხალხთაშორისი ურთიერთობების სიყვარულის გამომხატველი მწერლის ჰუმანისტური მიდგომა კავკასიის ხალხთა: ჩეჩენთა, ინგუშთადმი, როგორც „აღსასვე უხვის გრძნობით და გულის ზრახვათა“ და „ქართველი მოპასანის“ სახელითაც მონათლა ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული მწერალი.

კავკასიის ხალხთა იერსახის სიღრმისეული შრეები, მათი ფსიქო-ეთნიკური თავისებურებანი მრავალფეროვნად წარმოაჩინა „ქართული ხელოვნების სულის განმასახიერებელმა გენიოსმა“ (არტურ ლაისტი) **ვაჟა-ფშაველამ.** თავის უკვდავ მხატვრულ შედევრებსა თუ პუბლიცისტიკასა და ეთნოგრაფიულ ნარკვევებში ბრწყინვალედაა ილუსტრირებული ფშავ-ხევ-

[23] სხვა ასპექტით, მაგრამ ამავე რიგის თავისებურებათა შესახებ მსჯელობა იხილეთ წიგნში: მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1978. გვ. 315-316.

[24] ვიმოწმებთ წიგნიდან: ილია გორგაძე, ნოდარ გურგენიძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, თბ., 1998. გვ. 63. შდრ. კრებული: ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა. მოგონებები შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ე. აფსაჯანიშვილმა, თბ., 1988. გვ . 437.

[25] იხ. კრებული: ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა. მოგონებები შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ე. აფსაჯანიშვილმა: თბ., 1988. გვერდებს ვუთითებთ ძირითადად ტექსტში.

სურულ მასალაზე დაყრდნობით, როგორც ქართველთა ეთნომენტალური და კულტურული ფიზიონომია, ასევე ქართული ფენომენის დამოკიდებულების შინაარსი კავკასიის მონათესავე და განსხვავებული სულიერი პოტენციის ხალხებთან. თუკი ვინმემ იცოდა ჩვენში, ეს პირველ ყოვლისა დიდმა ვაჟამ უწყოდა, თუ რას წარმოადგენდა საქართველოსთვის დაღესტნის ხალხები, როცა ლექსში „ხატმა გვიბრძანა“ (1901) მიანიშნებს, თუ როგორ არის „ჩვენს დასარბევლად... ყალყს შემდგარი, როგორც აფთარი... დაღესტანი“, ასევე „ქურდ-კანტალა ქისტიც“. მაგრამ ამის მიუხედავად, რაინდული სულის პოეტი, სიკეთეს და სილამაზეს ეძებს ყველგან და მათ შორის კავკასიის ხალხებშიც.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო სურათია წარმოდგენილი ერთი მხრივ მის მხატვრულ შემოქმედებაში („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარმასპინძელი“, „სისხლის ძიება“, „ჰაოს და ქართლოს“, „პაპას მსოფლიო ფიქრები“, „დროშა“, „სოფლის სურათები“, „ვართანას“, „ბოქაული“ და სხვ.), ასევე, სტატიებში („ფშაველები“, „ხევსურები“ და სხვ.). ვაჟას მხატვრულ ქმნილებებში წარმოსახული პერსონაჟები (ალუდა, ზვიადაური, ჯოყოლა, ქიჩირი, მინდია და სხვ.) რაინდული ხასიათის ახალ, მანამდე უცნობ სამყაროს აცნობენ „კულტურის კრიზისის“ ეპოქაში მცხოვრებ მკითხველებს. მათი მრწამსით, მხოლოდ ქრისტიანი ქართველი კი არა, არამედ მაჰმადიანი ქისტი, ჩერქეზი და ლეკიც შეიძლება იყოს რაინდი ანუ „კაი ყმა“, თუკი ისინი ადამიანური ღირსების, ზნეობრივი სიმტკიცის, პიროვნული ავტონომიურობისა და კაცთაშორის „ჰაერად ქცეული სიყვარულის“ მაგალითებს აძლევენ საზოგადოებას. ესაა სწორედ ახალი დროის, ჩვენი ეპოქისათვის ეგზომ პრობლემური „სულის რაინდობა“ (ნ. ბერდიაევი), რომელიც კაცობრიობის სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების გადასარჩენად სანუკვარ იდეალადაა დასახული მრავალი თანამედროვე მოაზროვნისა და მწერლის მიერ (ნ. ბერდიაევი, ხოსე ორტეგა ი გასეტი, პოლ ვალერი და სხვ.).

რაინდული სულის ძალუმად გამოხატვის მოთხოვნას უკავშირდება ვაჟას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ის ნიშანი, რომელიც სხვადასხვა რელიგიასა და ეროვნებათა წარმომადგენელთადმი პატივისცემაში ვლინდება. აღნიშნული პოზიცია ერთგვარ უნისონშია ჯერ კიდევ ჰეგელის მიერ შენიშნულ, ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის დამახასიათებელ ნათანბრძენისეულ ზნეობრივ კრედოსთან.[26] „ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვრზდიან დედანი, ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ, კუპრში მიელით ქშენანი, ამის თქმით ვწარამარაობთ“ — გულისათქმელს თამამად გამოხატავს მისი გმირი — ალუდა ქეთელაური. გენიოსი პოეტის თვალით დანახული ჩერქეზთა მხარე „ქორ-შევარდნების ბუდე“ ანუ

[26] **Гегель, Позитивность христианской религии, работы разных лет, т. 1. 1970, стр. 122.**

„ვაჟკაცთა“ საცხოვრისია („სისხლისძიება“). მგოსანს უყვარს „ჩერქეზთა ქვეყანა წმინდა ჩერქეზის გულითა“, იმიტომაც, რომ ის „სულდგმულებს მამა-პაპათა რჯულითა“.

ყოველგვარი შოვინისტური თვალსაზრისისაგან განრიდებული ვაჟა, თავისი ხალხის შინაგან სულიერ ღირსებას წარმოაჩენს (გრ. კიკნაძე), ღირსებას, რომელსაც ახლა ტოლერანტობას უწოდებენ.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების უღრმეს ფენათა გამომხატველი მგოსანი ამავე დროს ყოველივე ეროვნულის ფხიზელი გუშაგია, განსაკუთრებით მაშინ, როცა უსახურ კოსმოპოლიტურ და შოვინისტურ წარმონაქმნთა ნაცოდვილარს აწყდება.

კოსმოპოლიტიზმი, ახლა რომ გლობალიზაციას უწოდებენ, თუ უკიდურეს ფორმას მიიღებს, ეროვნულ ღირებულებათა ნივილირებას იწვევს, წარმოშობს ნიჰილიზმს ტრადიციისადმი, რაც პოეტის აზრით, დამღუპველია ჩვენი მომავლისათვის. ეს აზრი და განწყობა კარგადაა გადმოცემული 1897 წელს შექმნილ ლექსში „პროვინციის ქებათა-ქება“, სადაც ვკითხულობთ:

„ქართულს გაზეთებს ვიწუნებთ,
ჟურნალებს ვიწერთ შორითა
ჩვენი სუყველა გაცუდდა,
გაქონილია ქონითა;
საუცხოოა უცხოსი
შეკრული ვარდის კონითა.
ვინ გავა, ვნახავთ ბოლო ჟამს,
მდინარეს ამა ფონითა“.

შემდგომ ვაჟა-ფშაველა თავის ფილოსოფიურ პუბლიცისტიკაში კიდევ უფრო შთამბეჭდავ ძალმოსილებას მიანიჭებს აქ გაჟღერებულ აზრს და ამ კონტექსტში, როგორც საკუთრივ ქართველი ერის, ასევე „კავკასიის ხალხის“ თანაარსებობის პრობლემასაც.

ამ გაუგებრობაში გარკვეული სიცხადე შეაქვს არა მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ტკივილთა კონტექსტში მოაზრებულ ფილოსოფიური პუბლიცისტიკის შედეგს „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, არამედ პოემასაც — „ჰაოს და ქართლოს“, სადაც თვით მის მიერ „ეროვნულ იდეოლოგად“ აღიარებულ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადში“ სომხური მაფიის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს, კიდევ ერთხელ მხატვრული სიტყვით უკვდავყოფს, რითაც ცხადყოფს, რომ მიუხედავად ათასწლოვანი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობისა და ამავე წიაღიდან მომდინარე „ძმობის“ ლეგენდის ლამაზი ტრადიციისა, იძულებულია ბოლოს და ბოლოს ამხილოს „ჰაოსის მოღალატობა, სიმრუდე მისი სულისა“. გაივლის დრო და ქართველი ხალხი მწარე ცხოვრებისეული სიბრძნის გაკვეთილად ჩათვლის ამ დიდი სულიერების მატარებელი გენიოსის დიაგნოზს.

ვაჟა-ფშაველა ქართული სულიერების გამომხატველი ის დიდი ხელოვანი იყო, რომელსაც „სალოცავ ხატად“ ჰქონდა ქცეული სამშობლოქვეყანა: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“ — აცხადებს მგოსანი. ამ იდეის რეალიზაციის პირობად მას ერთიანი საქართველოს არსებობა მიაჩნდა. დიდი პოეტი ყველაზე უძნელეს დროშიც კი, თავს იმით ინუგეშებდა, რომ მის „სიმღერას ყურს უგდებდნენ ქართლელ-კახელი, იმერ-აფხაზი“ („ნუგეში მგოსნისა“); ამიტომაც, არც ერთ „კილოს არ სწუნობს თუა ქართულის გვარისა“ და უსახურ კოსმოპოლიტებად სახავს იმ შავბნელ ძალებს, „ვინც საკუთარ ანბანს უდგენდა, სამეგრელოს და სვანეთსა“ („ვინ არის კაცი“, 1902). ერთიანი საქართველოს დიდი მესიტყვე სამარადჟამოდ უკვდავყოფს მკითხველის წარმოდგენაში არა მხოლოდ ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, ქართლ-კახეთის გარემოს და მის მკვიდრთ, არამედ ქებათა-ქებას უძღვნის „ლიხს იქით“ ხილულ „ლამაზს მხარეს, სადაც ერთობით ცხოვრობს ხალხიცა, იმერ-მეგრელი, აფხაზი“ („ქებათა-ქება“, 1893). თავისი ლამაზი ხალხის სულიერი ძლიერების გამომხატველი გენიოსის წუხილს მხოლოდ ის იწვევს, თუ „რისთვის დაგვბადა უფალმა, ცოტანი ქვეყანაზედა?!“ („ქებათა-ქება“, 1893).

„კავკასიის ხალხთან“ (ი. ჭავჭავაძე) ქართველთა დამოკიდებულების პრობლემას ყურადღებას აქცევს ქართველი მწერალი და პუბლიცისტი **ეგნატე ნინოშვილი.** ამთავითვე აღსანიშნავი ისაა, რომ ეს მწერალი ამაყობს აფხაზურ-ჩერქეზული წარმომავლობით, როცა 90-იან წლებში ერთ მეგობარს სწერს: „კიდევ კარგი ჩემი აფხაზურ-გურული სისხლი თავის კალაპოტში დამაგრდაო“.[27] როგორც ჩანს, ე. ნინოშვილს ჰქონდა იმის ცნობიერება, რომ ინგოროყვათა საგვარეულო გურიაში აფხაზეთის გზით ჩერქეზეთიდან ჩამოსახლებულა.[28] განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ის აიგივებს აფხაზსა და ჩერქეზს და რაც საგულისხმოა, მას როგორც გურულთა მონათესავეს, ერთ სიბრტყეზე აქცევს.

კავკასიის მთიელებთან, კერძოდ, დაღესტნის ხალხთან მიმართების თვალსაზრისით, საინტერესო დაკვირვებებია მოწოდებული დაღესტანში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე აგებულ სტატიაში: „წერილი დაღესტნიდან“ (1891 წ.). მწერალი აქ ავლენს კავკასიის ხალხთა ისტორიის ჩინებულ ცოდნას და აწმყოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შეფასება-ანალიზის გამორჩეულ უნარს, როცა აღნიშნავს: „დაღესტანი, ეს ჩვენი პატარა მეზობელი, ხშირად არის მოხსენებული ჩვენს მატიანეში. ხშირად იხრიდა თავს საქართველოს წინაშე, მაგრამ უფრო ხშირად

[27] **ეგნატე ნინოშვილი, წერილი ვარლამ ჭიჭინაძისადმი, თხზულებათა სრული კრებული, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, პუბლიცისტური წერილები, დოკუმენტური მასალები, თბ., 1935. გვ. 101.**

[28] **დაწვრილებით ამ პრობლემის შესახებ იხ. პ. ინგოროყვა, „ინგორუყო“ გვარეულობის ჩერქეზული შთამომავლობის შესახებ, ე. ნინოშვილი, თხზ. ტ. I, ტფ., 1935.**

კი თავისი წუნკალა ბელადებით მოსვენებას არ აძლევდა საქართველოს... ვინ მოსთვლის, რამდენი მუშა ქართველი კაცი დაკლულა შეუბრალებელის ლეკის ბელადის ხელით, რამდენი ქართველი ქალი ტყვედ წაყვანილა ლეკეთში და გაუპატიურებულა... მართალია, ვაჟკაცობით განთქმული ქართველი გმირები ხშირად ატოვებინებდნენ საქართველოში ქურდულათ შემოპარული ლეკის ბელადებს სიცოცხლეს; თუ ლეკებს „ალი ფოლადები“ ჰყავდათ, ჩვენ სამაგიეროდ „ოთია მესხები და ადამ ბებურიშვილები“ გვყავდა. მაგრამ ამით საქმე არ კეთდებოდა; საქართველოს ორი-სამი მტერი მუდამ ადგა კარზე, რომელსაც უნდა გაჰმკლავებოდა. დაინახავდნენ ლეკები თუ არა საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, შემოესეოდნენ ქურდულად და ანადგურებდნენ ჩვენს მამულს... ამ მიმდინარე საუკუნის შუაში, რუსეთისა და ქართველების ჯარმა შეიპყრეს გუნიბის ლომი-შამილი და ამით მოუღეს ბოლო დაღესტნის თვითარსებობას... ნამდვილი წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ ის კი უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი მხეცური სისხლის ღვრა როგორიც ზევით ავღნიშნეთ, აღარ უნდა განმეორდეს დაღესტანსა და საქართველოს შორის“.[29]

წარსულის მწარე, ავადმოსაგონარ დღეთა გახსენება ფხიზელი რეალიზმის გრძნობით სავსე მწერალს იმისთვის სჭირდება, რომ ქართველ და დაღესტნელ ხალხთა ურთიერთობას მომავალში უკეთესი პერსპექტივა ჰქონდეს. მშვიდობიან ცხოვრებას, თუ დაღესტნელები ქართველებთან ერთად განავითარებენ ვაჭრობასა და მრეწველობას და თავს დააღწევენ სომხის ბურჟუაზიას, მისი თქმით, შეიძლებოდა მათთვის კეთილმეზობლური თანაარსებობის ჟამი დაეყენებინა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ცნობიერების გაღრმავების საქმეში, ქართული სულის გასაღონიერებლად, ფასდაუდებელია დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და მამულიშვილის **იაკობ გოგებაშვილის** სახელმძღვანელოებში: „ბუნების კარსა“ (1868 წ.) და „დედა ენაში“, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ეროვნული მენტალობის შესახებ მხატვრული ექსპრესიით მოწოდებული ყმაწვილთა გონებისათვის ესოდენ საჭირო ინფორმაციები. იაკობ გოგებაშვილმა ბრწყინვალედ შეძლო დაეხასიათებინა საქართველოს ყველა კუთხე და რეგიონი: ქართლი და კახეთი (ქიზიყი, გარე კახეთი და სხვ.), ახალციხის მხარე: ჯავახეთი, მესხეთი (აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, ლივანა, ერუშეთი, ჭანეთი), იმერეთი და რაჭა, სამეგრელო და გურია, სამურზაყანო, სვანეთი და აფხაზეთი... ბოლოს ოსეთი. მის მიერ დიდი ტაქტით არის მინიშნებანი იმაზე, რომ ენობრივად ქართლ-კახეთი, იმერეთი და გურია, რაჭა-მესხეთი, აჭარა-ჯავახეთი, შავშეთი თუ ერთ ფესვზე ამოზრდილი ტომებია, მათთან ერთად, მეგრელები და სამურზაყანო შეადგენდნენ ქართველთა შტოს, ენაც

[29] **ე. ნინოშვილი, წერილი დაღესტნიდან, თხზ. ტ. III, ტფ., 1935. გვ. 35.**

ღვიძლი ძმაა ქართულის ენისა, ქართულია, მაგრამ სვანეთი ქართველების ტომის უფრო შორეული შტოა. ამ ფონზე „აფხაზები ჩამომავლობით ქართველების მოდგმისა არ არიან... მაგრამ მაინც კავკასიის ყველა ხალხზედ უფრო ახლო არიან ქართველებთან“. „მთის ხალხია“, თუმცა „მათ ყოველთვის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონიათ ქართველებთან და ამიტომაც განიხილებიან ერთიან ქართულ სივრცეში, როგორც ამ ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური მშენებლობის მონატრებულნი და მისი წარმატებისა თუ ჭირ-ვარამის მოზიარენი“.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია იაკობ გოგებაშვილის მიმართება დაღესტნის ხალხებისა და კერძოდ ლეკებისადმი. ქართველთათვის უკვდავ მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?“ დიდი მოძღვარი იმ იდეის ქადაგია, რომ „ძველის დრიოდან დაღისტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება სუფევდა. ყოველს საქართველოს მტერს დაღისტანი მტრობას უწევდა, ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა და არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისთვის. ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლმადიდებლის რუსეთისკენ გაიწია“.[30] ი. გოგებაშვილი XIX საუკუნის ქართველ მწერალ-მოღვაწეთა შორის ის მოაზროვნეა, რომელიც გარკვეული პედაგოგიკური მიზანდასახულებით, ახალ დროში ავბედითი პოლიტიკური ქარტეხილებისაგან ურთიერთგაუცხოებული, ეთნოკულტურული მონაცემებით, ტრადიციებითა და ისტორიული ხვედრით, ერთიან გეოპოლიტიკურსა და სულიერ ველში მოქცეულ ქართველთა და დაღესტნის ხალხთა შორის კულტურული მედიატორის ამპლუაში წარმოდგება, როცა ახალგაზრდობაში კავკასიის ამ ძირძველ მკვიდრთა ურთიერთსიყვარულის ცნობიერებას ამკვიდრებს. რაოდენ რთული სულიერი კლიმატი არ უნდა სუფევდეს, ი. გოგებაშვილის ხედვით, კავკასიის ხალხთა, კერძოდ ქართველთა და ლეკთა შორის მაინც მყარია და სიცოცხლისუნარიანი „დედობილ-მამობილის“, „აღზრდილ-აღმზრდელის“ (გვ. 23) ინსტიტუტის უმტკიცესი სულიერ-ფსიქიკური ერთობა. ამ ფენომენის შენახვაში კი გადამწყვეტ როლს ასრულებს კონკრეტულ შემთხვევაში სიმღერაში უკუფენილი კულტურის უღრმესი გენეტიკური კოდი, რომელიც მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილ ადამიანშიც აღვიძებს მიძინებულ ეროვნულ ნერვს და აბრუნებს მას თავის სივრცეში.

ღრმა ქრისტიანულ მცნებათა პათოსი უდევს საფუძვლად ამ მოთხრობის პერსონაჟთა ქცევას, როცა მწერალი ახალგაზრდობას ასე მოძღვრავს: „საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულია“ (გვ. 24).

[30] **იაკობ გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა?“, ქართული პროზა, ტ. XIV, თბ., 1987. გვ. 9. სხვა შემთხვევაში მასალის ციტირებისას გვერდებს ვუთითებთ ტექსტშივე ამავე გამოცემის მიხედვით (ი. ე.).**

ასეთია, ძირითადად, XIX საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწერების მიხედვით იმ არასრული მასალის ნუსხა, რომელშიც მეტ-ნაკლები დამარწმუნებლობით წარმოდგენილია ქართული გონის საუკეთესო ნაწილის მიმართება, როგორც საკუთრივ ქართული ტომებისა, ასევე მის კვალობაზე, საერთოდ, კავკასიის ხალხების გენეტიკისა და კომუნიკაბელურობის პრობლემისადმი.

რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ქართველ მწერალთა ნაწერებსა და ცალკეულ გამონათქვამებში კონცეპტუალურ დონეზე, ლოგიკურ-დისკურსიული ანალიზის ფორმით იყოს ჩამოყალიბებული თვალსაზრისი — ქართველი ერისა და მისი მიმართების შესახებ კავკასიურ ტომებთან, მათ ენებსა და კულტურასთან. ეს უკვე მოგვიანებით, საგანგებო მეცნიერული დისკუსიის დონეზე იქნება განხილული, ღრმა აკადემიზმით შეჯავშნული ისეთ დიდ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებში, როგორიცაა, ქართველთაგან: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე და სხვები. უცხოელთაგან: დეეტერსი, ბოუდა, დიუმეზილი, ი. კარსტი, გ. კლიმოვი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სფეროში აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ღვაწლი,[31] რომელიც არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მსოფლიო სივრცეში კავკასიოლოგიის კვლევის მეცნიერული სკოლის ფუძემდებლად მოგვევლინა.

ქართველ მწერალთა ნაწერების მიხედვით, „კავკასიის ხალხებში“ სხვადასხვა რაკურსით მოიაზრებიან: საკუთრივ ქართველები, ე. ი. იბერები, კოლხები, სვანები, ლაზები, ასევე აფხაზები... სომხები, ოსები, ალბანელები, ჩერქეზები, საერთოდ, ადიღე-ყაბარდოელები; ქისტები, ლეკები, დაღესტნის მკვიდრნი. ამ მხრივ ისეთი მოცემულობები, როგორიცაა: აფხაზი, ჩერქეზი, ერთიანად ყაბარდოელი, ქისტი, ოსიც კი, ქართველ მწერალთათვის თავიანთი ცხოვრების წესით „რჯულზე უფრო უმტკიცესი“ (ა. წერეთელი) ტრადიციით განიხილებიან ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ სპექტრში და აღიქმებიან როგორც მონათესავე ხალხები, მაშინ როცა გარკვეული ფორმით კონფლიქტურ ველს ჰქმნის არა მხოლოდ მოკეთის ნიღბით მოსილი, ქართველ მწერალთა სატირის ობიექტად ქცეული მეზობელი სომხის ბურჟუაზია და მუსლიმანური ფანატიზმით დაბანგული დაღესტნის ზოგიერთი ტომი. მაგრამ მათ მიმართაც ქართველი მწერლები (გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი, ე. ნინოშვილი) ქსენოფობიას კი არ ავლენენ, არამედ ახსნა-განმარტებით ანალიტიკურ მიდგომას ირჩევენ, რითაც მკაფიოდ წარმოაჩენენ უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხის მენტალობისათვის სპეციფიკურ ტოლერანტულ ბუნებას.

[31] **დაწვრილებით ამ ავტორთა მეცნიერული ნააზრევის და საკუთრივ პრობლემის ისტორიის შესახებ იხ. არნოლდ ჩიქობავა, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, თბ., 1979.**

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების უღრმეს ფენათა გამომხატველი ისეთი დიდი მწერლები, როგორიცაა: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, განსაკუთრებით, ვაჟა-ფშაველა, ახალი დროის ე. წ. „სულის კრიზისის“ ფაზაში მყოფი კაცობრიობის წინაშე ზნეობრივ ღირებულებათა გადასარჩენად მრავალი მოწინავე მოაზროვნის მიერ იდეალად დასახულ „სულის რაინდობის“ (ნ. ბერდიაევი) ამსახველ შედევრებს ჰქმნიან. ამ კონტექსტში გამორჩეულია და როგორც ითქვა, რაინდული სულის გამოსახვის მხრივ მანამდე უცნობ სიმაღლეს წარმოადგენს გენიალური ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის სპეციფიკური ის ნიშანი, რომელიც მკითხველში სხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის ღირსეულ წარმომადგენლებისადმი პატივისცემას ნერგავს. როგორც ითქვა, ესაა, სწორედ ჯერ კიდევ ჰეგელის მიერ შენიშნული ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ნიშანდობლივი „ნათანბრძენისეული“ პრინციპის ამოქმედება ქართულ სივრცეში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ხალხთა მიმართ ქართველ მწერალთა ნაგრძნობ-ნააზრევი ერთგვარად უნისონშია „კავკასიური რასის“, როგორც პროგრესის დამამკვიდრებელი „მშენებელი რასის“ ჰეგელისეულ კონცეპტთან, რომელშიც შედის მონათესავე ხაისათისა და ტემპერამენტის გამომხატველი „იტალიური, ქართული და ჩერქეზული ფიზიონომიის“ (ჰეგელი) შტრიხები. ახლა, როცა „სულის კრიზისის“ ფაზაშია კაცობრიობა, შეიძლება უძველესი კულტურის პატარა ერს — ქართველ ხალხს, ოპტიმისტური განწყობა და პერსპექტივა შეუქმნას დიდი მოაზროვნის პროგნოზმა, რომ „კავკასიურ რასაშიღა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავთან. ესაა მშენებელი რასა. პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის გზითღა იწყება“.[32]

ვფიქრობთ, ქართულ გარემოსთან კავკასიის სხვა მკვიდრთა ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკის ნათელსაყოფად მანამდე არსებული საინტერესო დაკვირვებების სათანადო თავმოყრა-ინტერპრეტაცია კიდევ უფრო დააჩქარებს მეზობელ ხალხებთან პოლიტიკური და კულტურათშორისი ურთიერთობების დარეგულირებას და ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

[32] ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია. გონის ფილოსოფია. თარგმანი გერმანულიდან ნ. ნათაძის, თბ., 1984. გვ. 61-63. ჰეგელის ამ დაკვირვების საინტერესო გაანალიზებანი მოცემულია წიგნში: ვ. გოგუაძე, ერი გულადი, პურადი... თსუ, 1977. გვ. 104.

ბონდო არველაძე

„АРМЯНЕ – В ПАСЛЕДНЫЙ ВАГОН“

«ჩვენ ბევრი გვქონია თუ ცოტა, შემოგიხიზნეთ,
გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით».
ილია ჭავჭავაძე, „ქვათა ღაღადი“.

ამას წინათ ხელში ჩამივარდა საქართველოს მოქალაქის, ჯავახეთში მცხოვრები პედაგოგის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, არტიუშ სანოსიანის სტატიების კრებული „... Еще и белый геноцид“, 2006, რუსულ ენაზე. შინაარსს როცა გავეცანი, გულახდილად ვიტყვი, პასუხის ღირსადაც კი არ ჩავთვალე, მაგრამ, მერე და მერე, რომ ჩავუკვირდი, მივხვდი, ვცდებოდი. ვცდებოდი, რადგან ფალსიფიკაცია და ცილისწამება საერთოდ და, მით უმეტეს, მეცნიერებაში სარეველა ბალახივით არის — თუ წაუყრუე და დროზე არ მიხედე, არ გამოკაფე და არ გაწმინდე ყანა — ჭირნახულს დააზარალებს, მწარე გემოს მისცემს. ამიტომ, გადავწყვიტე გამოვპასუხებოდი ამ ე. წ. ნაშრომის ავტორს. მაგრამ, არა აკადემიური რეცენზიით, ეს დიდი პატივი იქნება მისთვის, არამედ, საკმარისად ჩავთვალე, შთაბეჭდილებათა გაზიარება მკითხველისათვის. ეს შთაბეჭდილებანი ცოტა ფრაგმენტული გამოვა, მაგრამ, ცდას არ დავაკლებ, პირუთვნელად განვსაჯო სანოსიანის მიერ უკეთესად დანახული ქართველი ხალხის ისტორია თუ აწმყო.

დავიწყოთ იმით, რომ სომეხი მეცნიერები და განსაკუთრებით მეცნიერებას მიტმასნილი სანოსიანი, რაღაც ნიშნისმოგებით ხმარობენ ხელოვნურ გეოგრაფიულ სახელს — „სომხეთის მთიანეთი“. ვიცი, არ შეისმენს სანოსიანი და მისი ძმანი, მაგრამ მკითხველი მინდა ჩავაყენო საქმის კურსში. ეს ყურით მოთრეული გეოგრაფიული სახელი პირველად კავკასიის ისტორიულ გეოგრაფიაში ნაკლებად ჩახედულმა გერმანელმა გეოლოგმა ვ. აბიხმა (1810-1896) იხმარა. სინამდვილეში ეს, ე.წ. „სომხეთის მთიანეთი“, იგივე სამხრეთის მთიანეთი, ანუ წინააზიის მთიანეთია. ამის შესახებ მართებულად აღნიშნავდა პროფ. ლ. მარუაშვილი: „უპრიანია ეწოდოს არა

სომხეთის, არამედ ამიერკავკასიის ზეგანი“. ამ ტოპონიმის შეუსაბამობას გრძნობდა აკად. ბ. პიოტროვსკი, რომელიც წერდა: „ვანის სამეფოს ეკავა წინააზიის მაღლივი მასივი, ე.წ. „სომხეთის მთიანეთი“.[1] ეს არაზუსტი გეოგრაფიული სახელი სიხარულით აიტაცეს სომეხმა სწავლულებმა, რადგან თუ მას მივიღებთ, მაშინ ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული მიწა და იქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები სომხეთის მიწაზე აღმოჩნდება. სამწუხაროდ, ასეც ასწავლიან სომხურ საშუალო სკოლებში.[2] კიდევ უფრო შორს წავიდა ზოგიერთი სომეხი მეცნიერი და ე.წ. სომხეთის მთიანეთი მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად გამოაცხადა.[3]

აი, რატომ ჩაებღაუჭნენ „სომხეთის მთიანეთს“ ასე თავგამოდებით სომეხი მეცნიერები. ეს მათ საშუალებას აძლევს, ხელის ერთი მოსმით ბანა, ოშკი, ხახული, პარხალი და სხვ. ქართული ძეგლები სომხურად გამოაცხადონ.

სანოსიანი, ეტყობა, „ცნობილი“ აივაზიანის „ღირსეული“ მოწაფეა. მკითხველს შევახსენებთ, ეს ის აივაზიანია, აკაკი წერეთელი სომეხ პოეტად რომ აქცია. მისი „სულიკო“, თურმე, ჯერ სომხურად ყოფილა დაწერილი, შემდეგ ქართველებს, ქართულად უთარგმნიათ და მიუთვისებიათ. „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ის „სომხური პოემა“ ყოფილა და ა. შ. ერთი კი უნდა ითქვას, სანოსიანი ჯერჯერობით ლიტერატორობას არ ჩემულობს, მხოლოდ ისტორიკოსობას სჯერდება. თუ როგორი ისტორიკოსია, ნათლად ჩანს ამ ნაცოდვილარ კრებულში. მისი „ისტორიული“ ნარკვევი „Провинция Гугарк великой Армении и ее северные границы по карте Птолемея и „географии“ Страбона“ არის სომხეთის ისტორიული გეოგრაფიის ცოდნის პრეტენზიის მქონე დილეტანტის ნაზრევი, თუ შეიძლება ნაზრევი ეწოდოს ამ გალიმათიას...

სანოსიანი ე. წ. „დიდი სომხეთის“ ისტორიული საზღვრის „კვლევისას“ ერთ, ჰა, ჰა, ორ წყაროს იყენებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამისათვის საჭიროა სულ ცოტა რამდენიმე საისტორიო წყაროს შეჯერება, მის შესახებ სხვადასხვა ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზი და შემდეგ დასკვნების გამოტანა.

ერთი კი უნდა აღინიშნოს — მ. ბროსე თავის დროზე მართლაც იყო კომპენტენტური მეცნიერი, მის შრომებს ქართველოლოგიასა და არმენოლოგიაში გვერდს ვერ აუვლის მკვლევარი, მაგრამ ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მ. ბროსეს მოღვაწეობის დროს (XIX ს.) მრავალი საისტორიო წყარო გამოვლენილი არ იყო, არ არსებობდა მწყობრად ჩამოყალიბებული საქართველოს და სომხეთის ისტორია, არ იყო მეცნიერულად გამოკვლეული და დადგენილი ქართული და სომხური ისტორიული გეოგრაფია. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მ. ბორსე ზოგიერთ საკითხში,

[1] **„ვანის სამეფო — ურარტუ“, 1959, გვ.111, რუს. ენაზე.**

[2] **„სომეხი ხალხის ისტორია“, 1985, ერევანი, სომხ. ენაზე.**

[3] **А. Арцрун, „Армянское нагорье и цивилизация“, 1999, მოსკოვი, რუსულ ენაზე.**

მისდაუნებურად ცდებოდა და არასწორ დასკვნებს აკეთებდა. მაგრამ სანოსიანისთვის სწორედ ეს მცდარი და არასწორი დასკვნებია მნიშვნელოვანი და დიდი სიხარულითაც აუწყებს მკითხველს. 1858 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ ბროსე წერს: „თბილისი სომხებმა დააარსეს სომეხი მოქალაქეებისთვის“ (გვ.88). ამ აზრს არავინ იზიარებს სანოსიანის, მისი მსგავსი ზოგიერთი „მეცნიერისა“ და პოლიტოლოგის გარდა. ბროსე იმასაც წერს: „გოგარენე (გუგარქ) — ქვემო ქართლი, ოდითგან ქართული პროვინცია იყოო“.[4]

ამაზე რატომ დუმს სანოსიანი?.. ფრანგი მკვლევარი იგონებს: „კუმურდოს ტაძარზე ძველი ქართული წარწერები ვნახე და სომხის ტერტერამ — როგორ თუ ქართულიაო და ჯოხი დამიღერა დასარტყმელად“.[5]

სამწუხაროდ, სანოსიანები, კარაპეტიანები და ძმანნი მათნი, იმ უვიც ტერტერას არაფრით ჩამორჩებიან ქართველი ხალხის წარსულის მიტაცებაში.

გუგარქის სანოსიანისეული ეტიმოლოგია ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება — „Гогай + арк люди жители долини)“. აქედან მისი ჭკუით გამოდის — „Гугарк“. აკად. პრ. ჭარიანს კი იმოწმებს, მაგრამ მისი ლექსიკონი საქმეს ვერ შველის, ამგვარი განმარტება იმდენად შორს დგას რეალობიდან. თუმცა ეს არ ანაღვლებს, მან ხომ „დაამტკიცა“, მთავარი ესაა. მერე თავის „დამტკიცებულს“ თვითონვე დაიმოწმებს და ქვეყანას მოსდებს ამ „აღმოჩენას“ თუ „მიგნებას“.

რას იზამ, რომ იტყვიან, ქაღალდი ყველაფერს იტანს!

რაც შეეხება ე. წ. „დიდ სომხეთს“, მის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: „დიდი სომხეთის“ პირველი მეხოტბე და ზღაპრულად განმადიდებელი იყო სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი (დღემდე ერთმნიშვნელოვნად დადგენილი არ არის, მოვსეს ხორენაცი რომელი საუკუნის ისტორიკოსია — V, VII თუ VIII სს.). რეალურად მოვსეს ხორენაცის „სომეხთა ისტორია“ ადრე შუა საუკუნეების სომხური კოსმოკრატიზმის კლასიკური ნიმუშია. „სომეხთა ჰეროდოტემ“ (იგულისხმება მოვსეს ხორენაცი) ირანის ისტორია მოხერხებულად მოარგო მშობლიური ქვეყნის წარსულს და აქემენიდების, სასანიდების გამარჯვებები ჰაიკიდებსა და არშაკუნიანებს მიაწერა. თხრობაც ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და შექმნა მწყობრი კონცეფცია, რომლითაც აზიური სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე სამყაროს მბრძანებელი ჰაოსიანების უფლებების დასაბუთებას შეეცადა... რომაელთა შემოსვლამ მახლობელ აღმოსავლეთში კოსმოკრატ „მეფეთ-მეფის“ ტიგრან II-ის სამეფოს არსებობას ძალიან მალე დაუსვა წერტილი. უარი თქვეს „მეფეთ-მეფის“ ხმაურიან ტიტულზე არტაშესიდებმაც, ტერიტორიებიც დაკარგეს

[4] **იქვე, გვ. 74.**

[5] **გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2007, №10.**

და გავლენაც, პოზიციები კავკასიაში დათმეს, „სადაც მათ ახალი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ იბერთა „მეფეთ-მეფეების“ სახით“.[6]

ეს ასეა, მაგრამ სანოსიანს და არა მარტო მას ამის გაგონებაც არ უნდათ. მათ შელახულ ეროვნულ თავმოყვარეობას მალამოსავით ედება საჰაერო ბუშტივით გაბერილი „დიდი სომხეთი“. რომელიც ისე დაიფუშა, რომ XVIII ს-ში ერევნის სახანოდ იქცა და ერეკლე II-ის ვასალი იყო. თვითონ ერევანი ამ დროს მაჰმადიანურ ქალაქს წარმოადგენდა, რადგან მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი მაჰმადიანი იყო და მას ხანი განაგებდა. ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსების ზაქარია ქანაქერცის და ზაქარია აგულეცის ცნობები ერევნის ორი ხანის შესახებ. ისინი კი გვაუწყებენ: „ერევნის მმართველი ხანებიდან ყველაზე სამართლიანი და სომეხი მოსახლეობის მიმართ კეთილგანწყობილნი ყოფილან გამაჰმადიანებული ქართველი ხანები — ხოსროვი და ზაალი. მათ მრავალ სიკეთესთან ერთად 1679 წლის 4 ივნისის მიწისძვრის შედეგად დანგრეული სომხური ეკლესია-მონასტრებიც აღუდგენიათ“.[7]

ახლა გავეცნოთ სანოსიანის მიერ ჯავახეთის ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ ძიებათა ზოგიერთ „მარგალიტს“. იგი არ იზიარებს ჯავახეთის შესახებ არსებულ არცერთ ეტიმოლოგიას და, რბილად რომ ვთქვათ, გვაწვდის თავის ტენდენციურ „ძიებას“ — „Джав + агк-к = Джавахк, т. е. родина народа племен джавав“. ეს ფანტასტიკური „Джавав“ სანოსიანს სომხურ ეთნიკურ ერთეულად მიაჩნია. იმას კი აღარ ამბობს, ასეთი ეთნიკური სომხური ერთეული დადასტურებულია თუ არა სომხურ ან უცხოურ საისტორიო წყაროებში. ეს მას არ ადარდებს, მთავარია, ხომ თქვა, ხომ გამოიგონა ასეთი სომხური ერთეული ჯავახეთისთვის. მას „გენიალური აღმოჩენა“ სჭირდებოდა წინაპირობად იმისა, რომ შემდეგ განეცხადებინა — ჯავახეთში სომხები უხსოვარი დროიდან იყვნენო. მთლად არ გაწირა ქართველები, გაიღო მოწყალება და ამ მხარეში მათი არსებობაც აღიარა. თუმცა, სასწრაფოდ „დაამტკიცა“, სომხები მუდამ მეტნი იყვნენ ქართველებზეო.

როცა 1830-იან წლებში თურქეთიდან სომხების ჯავახეთში შემოსახლების ფაქტს ეხება, სანოსიანი სიამაყით წერს — შემოსახლებული სომხები 20-ჯერ მეტი იყვნენ ქართველებზე და 3-ჯერ მეტი მაჰმადიანებზეო. აქ მისი ჭკუით, იგი ეშმაკობს, რადგან თურქეთიდან სომეხთა ჯავახეთში შემოსახლებამდე სომეხთა რაოდენობაზე დუმს, რადგან მშვენივრად მოეხსენება, რომ „1830 წლამდე ჯავახეთში მოსახლეობის 95 პროცენტი იყვნენ ქართველები — ზოგი მართლმადიდებელი ქრიასტიანი,

[6] **გ. ჭეიშვილი, „საზღვრები, საზღვრების გარეშე“, კრებ. „სამეცნიერო პარადიგმები“, თბ. 2009, გვ. 282-283.**

[7] **ზ. ქანაქერცი, „ქრონიკა“, 1870, ვაღარშაპატი, სომხ. ენაზე. ზ. აგულცი, „დღიურები“, ქართ. გამოც. 1979, თბ.**

ზოგი კათოლიკე, ზოგიც — მაჰმადიანი, მაგრამ ქართველი-იერლი. ხუთიოდე პროცენტი იყო თარაქამა, ქურთი, ებრაელი და სომეხი“.[8]

სანოსიანის „იდეა-ფიქსია“ ჯავახეთი. იგი ჯავახეთში შემოსახლებულ სომეხთა ნაშიერია, მაგრამ ეს არ აძლევს საფუძველს, ჯავახეთი ისტორიული სომხეთის ტერიტორიად გამოაცხადოს, ჯავახეთის ტოპონიმია გააყალბოს და მისი ისტორიის ფალსიფიკაცია მოახდინოს. თურმე, ჯავახეთის სომხური ფორმა — ჯავახ-ქ, პირველადი ყოფილა, შემდეგ სომხური გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი — ქ, ქართველებს — ეთ-სუფიქსით შეუცვლიათ და ასე ქცეულა სომხური ჯავახ-ქ, ქართულ ჯავახ-ეთ-ად. რა ისტორიულმა პროცესმა გამოიწვია ეს ტოპონიმიური ტრანსფორმაცია, რომელ საუკუნეში და რომელ საისტორიო წყაროშია დადასტურებული ეს ცვლილება, მას არ აინტერესებს, ხომ თქვა: ჯავახქ პირველადი ფორმაა და ჯავახეთი მეორადიო, — ეს არის მისთვის თავიდათავი, რაღა საჭიროა საისტორიო წყაროს დამოწმება? ამ სტატიით შექმნილი შთაბეჭდილება ისეთივეა, როგორც მის „ნაშრომთა“ უმეტესობისა. სანოსიანისთვის მისაღებია იეზუიტური შეგონება — „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ამიტომაც უარს არ ამბობს არაფერზე, რათა ჯავახეთის მიწის „სომხურობა“„დაამტკიცოს“.

ჯავახეთს ეძღვნება მისი მეორე სტატია — „Армяне Джавахк“. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ჯავახეთი მატიანეში პირველად მოხსენიებულია ურარტუს მეფის არგიშტ I-ის წარწერებში (VIII ს. ძვ.წ.აღ-ით). ეს წარწერა ამოკვეთილია ვანის ხორხორის კლდეზე მასში, დაპყრობილ ქვეყნებს შორის მოიხსენიება ქართული ჯავახეთი — ზაბახას ფორმით. რადგან სანოსიანს ეს ხელს არ აძლევს, სომხურ ტოპონიმად აცხადებს... და თანაც წყაროს შეგნებულად გარკვეული კორექტივით იმოწმებს: ურარტუს — არარატს უწოდებს, რითაც ურარტუს მემკვიდრედ სომხეთი გამოჰყავს, ხოლო არგიშტ I — სომხეთის მეფედ. მას კი სამეფოს საზღვრები მთებამდე გადაუწევია. აქ უპრიანია მოვუსმინოთ ცნობილ ურარტოლოგს აკად. ბ. პიოტროვსკის: „Но было бы совершенно неверно отождествлять арменов с урартами или же считать их прямым потомком Урартов“.[9]

სომხების, როგორც ურარტუს უშუალო მემკვიდრეთა შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ურარტუს სამეფო ჩვ.წ.აღ-მდე VI ს-ში დაიშალა. ამ დროს გამოჩნდნენ ურარტუს ტერიტორიაზე სომეხთა წინაპრები და შეერივნენ ადგილობრივ ურარტულ მოსახლეობას. ამდენად, სომეხ მეცნიერებს არ აქვთ საფუძველი, უშუალო ეთნო-მემკვიდრეებად გამოაცხადონ სომხები, ხოლო ურარტუს მეფეზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება.

[8] **„ივანე ჯავახიშვილის არქივიდან“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, №43.**

[9] **„История и культура Урартов“, 1944.**

ამას არ დაგიდევს სანოსიანი და ურარტუს მეფე არგიშტ I-ს სომხეთის მეფედ აცხადებს.

ძნელია და უხერხულიც, „დიდი სომხეთის“ სენით დაავადებულ სანოსიანს სერიოზული კამათი გავუმართო, მაგრამ, რიგ შემთხვევაში, იძულებული ვარ, კომენტარი მაინც გავაკეთო. სომხური ელემენტის ადრიდანვე ჯავახეთში არსებობის შესახებ სანოსიანი აკად. ლეოს (ბაბახანიანი) იმოწმებს, რომელსაც IV ს-ის დასაწყისში აქ სომხების არსებობა ფაქტად მიაჩნია. ამ აზრის დასამტკიცებლად აკად. ლეოს „ქართლის ცხოვრებიდან“ ის ადგილი მოაქვს, სადაც მოთხრობილია, რომ, როცა წმ. ნინო შემოვიდა ჯავახეთში, ფარავნის ტბის ნაპირას ქართველ მწყემსებს შეხვდა, რომელნიც ქართლის დედაქალაქიდან — მცხეთიდან იყვნენ. წმ. ნინომ, რომელსაც სცოდნია საყველპურო სომხური, ქართველ მწყემსებს შორის ერთი „სომხურად მზრახველ“ ნახა და მას „მცხეთის გზა“ ჰკითხა. ტექსტიდან აშკარად ჩანს, მწყემსებს შორის ერთი ლაპარაკობდა სომხურად და არა ყველა, როგორც აკად. ლეოს ჰგონია. მისი მიხედვით, სანოსიანი ასკვნის, ქართველმა მწყემსებმა ადგილობრივი სომხებისაგან ისწავლეს ეს ენაო. ნაჩქარევი და ზერელე დასკვნაა, რისი გამოტანის საფუძველს არამცდაარამც არ იძლევა „ქართლის ცხოვრება“. ერთი სიტყვით, ამ ცნობის შინაარსი ვერ, ან არ გაიგეს სომეხმა მეცნიერებმა და შესაბამისად დასკვნაც მცდარი გამოიტანეს. მასში ლაპარაკია სომხურის მცოდნე ერთ ქართველ მწყემსზე და არა ყველაზე. არაფრით არ მტკიცდება, რომ ამ ერთმა მწყემსმა მაინცდამაინც ჯავახეთში ისწავლა სომხური და არა მცხეთაში, ან მის შემოგარენში, სადაც ცხოვრობდნენ ებრაელებიც, სპარსელებიც, არაბებიც და ალბათ, მათ შორის სომხებიც. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, გზის სწავლება სხვა ენაზე, ამ ენის ცოდნას სულაც არ ნიშნავს. დიახ, საკითხავია, ამ ერთმა ქართველმა მწყემსმა რა დონეზე იცოდა სომხური, ხოლო რაც დანარჩენს შეეხება, ისინი ბაიბურშიც არ იყვნენ. საინტერესოა, „ჯავახეთის ადგილობრივი სომხებისგან“ ორი ღერი სომხური სიტყვა როგორ ვერ ისწავლეს?

არც ისაა გამორიცხული, რომ წმ. ნინოს მიერ სომხურის ცოდნა და სომხურის მცოდნე ქართველი მწყემსიც ტექსტში შემდეგში იყოს შეტანილი, რადგან ეს ადგილი ასე არ იკითხება ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მასში არც ნინოსა და არც მწყემსის მიერ სომხურის ცოდნაზე არაფერია ნათქვამი.

სანოსიანი ქართველ მეცნიერებს და მთავრობას ბრალს სდებს, XX ს-ის 20-30-იან წლებში გუგარგის (გოგარენე) მთელი ტოპონიმია გააქართულესო. სინამდვილეში, კი არ გააქართულეს, არამედ ძველი, მივიწყებული ქართული ტოპონიმები აღადგინეს და ისიც არა ყველა.

რაც შეეხება ჯავახეთის სოფელ სათხეს და არა სათხას, როგორც ჯავახეთს შემოხიზნული (XIX ს.) სომხები უწოდებენ, წმინდა ქართული ტოპონიმია, კერძოდ, ამოსავალი არის — თხა. ამდენად, „სოფელი სათხის სახელი გამჭვირვალეა, იგი მიეკუთვნება ქართულ გეოგრაფიულ სახელთა რიგს, დარქმეულია ქართველთა მიერ, რასაც ამ სოფლის ტაძრის ეპიგრაფიკა უეჭველს ხდის“.[10]

თავხედობის და უვიცობის ერთ-ერთი ნიმუშია სანოსიანის მიერ ქართული ტოპონიმის „აწყურის უეჭველ სომხურ ტოპონიმად“ გამოცხადება. ეს სახელი მან ასე დაშალა — აწ-კურ. აწ — არის სომხური ზმნის (ა წელ) ფუძეო. აკად. ჰრ. აჭარიანის სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, ამ ზმნის მეხუთე მნიშვნელობა შენებაა. ე. ი. ასკვნის სანოსიანი, აწკურ ფაქტობრივად ნიშნავს — „აშენებულია მტკვრის ახლოს“. ასეთ ეტიმოლოგიურ ნაცოდვილარზე დაფუძნებული ზოგადი განცხადებიდან, რაღაც კონკრეტული დასკვნის გამოტანა მუცლითმეზღაპრეობაა და არა მეცნიერება. ეს „ძიება“ მიმართულია იქითკენ, რომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, „დაამტკიცოს“, თითქოს ჯავახეთის და მესხეთის „ტოპონიმთა უმრავლესობა“ სომხურია. სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ამ ტოპონიმის, აწყურის წმინდა ქართულობა ეჭვმიუტანლად დაამტკიცა პროფ. მ. ბერიძემ.[11]

სანოსიანს წყაროებში ნახსენები სოკურეთი ერევა აწყურში და მას აწყურის გაქართულებულ ფორმას უწოდებს. ჩვენ კი ვფიქრობთ, საკურეთი (სოკურეთი) სოფელ საყუნეთის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. მას აღნიშნული „ეტიმოლოგიური ძიებანი“ სჭირდება იმისათვის, რომ თქვას: „И город, и крепость Ацкур всегда были заселены армянами. В дальнеищем здесь обосновались также евреи, грузины и турки“. სანოსიანი ამაოდ გაისარჯა, რადგან ვერც უძველესი ქართული ტოპონიმის — აწყურის სომხურობა დაამტკიცა და ვერც ვერანაირი არგუმენტი მოიტანა აწყურში სომხეთა ოდითგანვე დამკვიდრების სასარგებლოდ. იგრძნო რა თვითონაც, რომ სურვილი სურვილად დარჩა, აკად. სერგი ჯიქიას შეუტია: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებული სომხური სახელები თარგმანში ქართულით შეცვალაო. ამ მეცნიერული „არაკეთილსინდისიერების სამხილებლად და გამოსააშკარავებლად“ სანოსიანი მოუწოდებს სწავლულ თურქოლოგებს ერევნიდან, ეს დავთარი თურქულიდან სომხურ ენაზე თარგმნონ, „что изволит утачнит армянские названия сотных армянских сел и тысячи армянских имен“.

როგორც ჩანს, სანოსიანს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ აკად. ს. ჯიქიას ქართული თარგმანი და მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული კომენტარები არ წაუკითხავს და ისე, ზეპირად, ჰაიჰარად წერს. მას ეს წიგნი რომ გადაეშალა, ნახავდა, თითოეული ტოპონიმის ქა-

[10] **მ. ბერიძე, „ტაძრები და სახელები“, თბ. 2010, გვ. 56. ამ ტოპონიმის სხვაგვარად ახსნა დროისა და ქაღალდის ფუჭად ხარჯვაა და მეტი არაფერი.**

[11] **იხ. „აწყურის ეტიმოლოგიისათვის“, „ტაძრები და სახელები“, 2010, გვ. 31.**

რთულ თარგმანს მისი შესატყვისი თურქული ტერმინიც ახლავს, რა თქმა უნდა, არაბული ანბანით, რომელსაც XVI ს-ში ხმარობდნენ თურქეთში. ასე რომ, სანოსიანს იქვე, ადგილზევე, შეეძლო შეემოწმებინა ამა თუ იმ ტოპონიმის თარგმანის სანდოობა. იგი აკად. ს. ჯიქიას „მანიპულაციაშ“ სდებს ბრალს, მაგრამ გაყალბების ერთი ფაქტიც კი ვერ მოაქვს, ვერც მოიტანს, რადგან ქართველი თურქოლოგის მაღალი აკადემიური დონე და უაღრესი პატიოსნება საყოველთაოდაა ცნობილი, განსხვავებით სანოსიანისაგან, რომელიც აღნიშნულ ღირსებებს მოკლებულია.

სანოსიანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფელ ხიზაბავრაში აღნუსხულ მცხოვრებთა სახელებს ჩამოთვლის და ქართულ სახელს „რევაზ“ სომხურ სახელად ასაღებს. ძირძველი ქართული გვარი ხუციშვილი, მისი ჭკუით, სომხურად აქცია. დავიწყოთ იმით, რომ ამ გვარის ფუძე ხუც არის ქართული და აქედანაა ხუცესი, რაც ნიშნავს სასულიერო პირს: მღვდელს. აქედან მოდის ქართული გვარი ხუციშვილი. ეს სიტყვა სასულიერი პირის მნიშვნელობით მხოლოდ ქართულში გვხვდება. თუ ამ გვარის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კათოლიკობა მიიღო და სომეხი კათოლიკეების ხრიკებით სომხურ რიტზე მიიქცა, ეს მათ არაქართულ წარმომავლობას სულაც არ ნიშნავს. ბარემ აქვე ვიტყვი, ქართველი კათოლიკეების არსებობა ფაქტია და მასში მხოლოდ ზოგიერთმა სომეხმა „სწავლულმა“ შეიტანა ეჭვი, რომელთაც მართლაც საკადრისი პასუხი გასცა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თამარაშვილმა წიგნში „პასუხათ სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართულ კათოლიკობას“ (1904; მეორე გამოცემა ეკუთვნის ბონდო არველაძეს, 2010).[12]

სანოსიანი, აგრეთვე, ჯავახეთის სოფლების ხიზაბავრის, ვარგავის, ბნელის, უდის, ივლიტის, ვალის, სკრის, სანავარდოს, გორის, თბილისის და ქუთაისის ქართველ კათოლიკეებს ერთი ხელის მოსმით სომხებად აცხადებს. ეს კაცი ამჯერადაც საკითხს მრუდე სარკეში, უფრო სწორად, პირუკუ წარმოადგენს და საქმეში ნაკლებად ჩახედული მკითხველის მოტყუებას ცდილობს. სინამდვილეში, საქმე ისაა, რომ რუსეთის ცარიზმმა სომეხი კათოლიკეების მაღალი სასულიერო პირების ხელშეწყობით „სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა ქართველობა უარყო და ისინი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა. 1886 წლის 26 თებერვლის დადგენილებით, აიკრძალა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და ძალდატანებით სომხურით შეიცვალა“.[13]

ამ ვერაგული დადგენილებით ქართველი კათოლიკეები სომხებად

[12] **ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს, გარდა აღნიშნული წიგნისა, შეუძლია გაეცნოს არმენოლოგ ბონდო არველაძის ნაშრომს „კვლავ ქართველი კათოლიკეების შესახებ“, „როცა უდაფო სადაო ხდება“, 2006, გვ. 159-168; თინა ფველაშვილის ნაშრომს „კათოლიკობა საქართველოში“ (2009) და სხვ.**

[13] **დ. კოჟორიძე, „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, 1996, გვ. 25-26.**

ჩაწერეს და სომეხმა კათოლიკე ტერტერებმა მიზანს მიაღწიეს. 1886 წელს სოფელ ხიზაბავრაში 1363 ქართველი ცხოვრობდა. საოჯახო სიებში 7 ქართველის გარდა ყველა სომეხად არის გატარებული იმის გამო, რომ ისინი სომეხი კათოლიკე ტერტერების „წყალობით“ სომეხ კათოლიკეებად იქნენ ჩაწერილნი. ამ მზაკვრული პროცესის მსხვერპლნი გახდნენ აგრეთვე სომეხ კათოლიკობას მიწერილი სოფელ ველის (თურქეთის საზღვრებშია) მცხოვრები ქართველები. ისინი XIX საუკუნეში აიყარნენ და ახალქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში (ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი) დასახლდნენ. მიუხედავად მათი არაერთგზის მცდელობისა, დაბრუნებოდნენ ქართულ კათოლიკობას და წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე აღესრულებინათ, იმის გამო, რომ მეფის მთავრობამ ყურად არ იღო მათი თხოვნა, ბევრი მათგანი დღესაც სომეხ კათოლიკედ იწოდება.

სანოსიანი ბევრს წერს ახალციხის, ახალქალაქისა და, საერთოდ, 1918-20 წლებში სამცხე-ჯავახეთში შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ წარმოებულ თავდაცვით ბრძოლებზე და მათ ისე წარმოადგენს, რომ თითქოს ამ ომში ძირითად ძალას სომეხი მოხალისეები შეადგენდნენ. მხოლოდ აქაიქ ახსენებს ქართული რეგულარული ჯარის გენერლებს — მაყაშვილს, მაზნიაშვილს, გედევანიშვილს და სხვ. ერთ სტატიაში აღწერს სომეხი და ქართველი მოხალისეების თავდაცვით ბრძოლას, მაგრამ აქაც სასწორს სომხების მხარეზე ხრის.

სანოსიანს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ამ ომში მხოლოდ სომეხი მოსახლეობა იბრძოდა, ქართველები კი მათ იმედზე იყვნენ.

კი მაგრამ, სად იყვნენ ქართველები და რას აკეთებდნენ ისინი? — ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა მკითხველს.

სუბიექტურად გადმოსცემს აგრეთვე 1830-იან წლებში თურქეთიდან ქართულ სოფლებში შემოსახლებულ სათხეველ, დამალელ და სხვა სომეხთა ბრძოლას. აქაც შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათ თურქებს კუდით ქვა ასროლინეს. რა თქმა უნდა, სულაც არ ვამცირებ ამ წლებში ჯავახელ სომეხთა ბრძოლას თურქების წინააღმდეგ, მაგრამ, ისტორიკოსი იმის ისტორიკოსია, რომ ობიექტური იყოს მოვლენების და ამბების გადმოცემისას, რასაც სანოსიანი ვერ ახერხებს. თუ ასე ზედიზედ დაამარცხეს შემოსეული მტერი, მაშინ რატომ გაჩნდა 80.000 სომეხი ლტოლვილი წალკისა და ბაკურიანის ტყეებში? მაგრამ ეს ყველაფერი მთლად ისე არაა, როგორც ამას სანოსიანი გადმოსცემს. იყო შემთხვევები და არც თუ ისე ცოტა, როცა სომხები ქართველებს ღალატობდნენ. ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამის მცხოვრები, თვითმხილველი ზაქარია ალელიშვილი იგონებს: „1918 წლის დასაწყისში სოფელ კარწახიდან ისე წავიდნენ სომხები, რომ ქართველებს მტრის შემოსევა არ აცნობეს. ქართული სოფლების — აფნიის, გოგაშენის, ქილდის, ჩუნჩხის და პტენის მცხოვრები ქართველები

საკუთარ სოფლებს თავგანწირვით იცავდნენ თურქებისაგან. ქართველებმა გვიან შეიტყვეს სომხების ღალატი“.[14]

ამ დროს ახალქალაქში მცხოვრები მოხუცი პროვიზორი ილია ალხაზიშვილი ახალქალაქის ქართველებს აფრთხილებდა, სომხებს ნუ ენდობით, ეგენი დაგღუპავენო.[15]

საქართველოს რესპუბლიკის მენშევიკურ მთავრობას სანოსიანი მწარედ საყვედურობს, სამცხე-ჯავახეთის სომეხი ლტოლვილები საქართველოს შიდა რაიონებში არ შეუშვეს და ნახევარზე მეტი შიმშილით, სენით და სიცივით დაიხოცა ბაკურიანის ტყეშიო. რა თქმა უნდა, ეს უბედურება იყო, მაგრამ ერთს რომ იტყვი, მეორეც უნდა თქვა და სიმართლე ობიექტურად შეაფასო. სიმართლე ისაა, რომ ამ დროს სამცხე-ჯავახეთიდან გამოქცეული ქართველი ლტოლვილებიც განუსაზღვრელად ბევრი იყო წალკის, ბორჯომისა და ბაკურიანის ტყეებში. მათი რიცხვი 200.000 აღემატებოდა. ამ წლების ქართული პრესის მონაცემებით, თითქმის ნახევარზე მეტი შიმშილით, ავადმყოფობით (ძირითადად ტიფით) და სიცივით დაიღუპა. ამ ხანებში საქართველოს რესპუბლიკაში უმძიმესი სოციალური პირობები იყო. მას არ შეეძლო კიდევ დამატებით სომეხი ლტოლვილების ქვეყნის შიგნით შეშვება. ამით ადგილობრივი მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა. საკუთარი ქართველი ლტოლვილების მოვლა-პატრონობას ვერ ართმევდა თავს და ლტოლვილ სომხებს როგორღა მიხედავდა? აქვე შევნიშნავ, ქართველი ლტოლვილები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, რადგან კათოლიკეებს თურქები შედარებით არას ერჩოდნენ. მოგვიანებით, როცა ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი დადგა, თურქებმა სომხების დაბრუნებაზე უარი განაცხადეს, რითაც მათი მდგომარეობა უფრო გართულდა, თუმცა მერე ესეც მოგვარდა.

ლტოლვილთა საკითხს ქვემოთ კიდევ შევეხებით. რაც შეეხება სანოსიანის მიერ გმირად გამოცხადებულ ვინმე ზორი ზორიანს, იგი სიტუაციის მიხედვით მოქმედებდა, ხან ქართველების მხარეს იყო, ხან მაჰმადიანების, როგორც ხელს აძლევდა ისე. „ზორიანი ცდილობდა თურქეთის ადმინისტრაციისა და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ ბეგებთან ერთად ერთ ბლოკში გამოსვლას, ადგილობრივი ქართველი ქრისტიანების და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ. მათთან საიდუმლო შეთანხმებებს და გარიგებებს აწყობდა. ზორიანმა და მისმა ჯგუფმა ბეგებს განუცხადეს, ქართველებთან ბრძოლაში მათ მხარეს იქნებოდნენ და ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ მესხეთ-ჯავახეთი საქართ-

[14] „შავი ღრუბლები მესხეთ-ჯავახეთის თავზე — 1918-1920 წწ“., გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ფ.25330, გვ.18, 39-40.

[15] იქვე, ფ. 25330, გვ. 50-53.

ველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას არ დაბრუნებოდა“.[16] ამით არ დამთავრებულა ჯავახეთში შემოსახლებულ სომხების მესვეურთა ღალატი. მათ ისარგებლეს ამ წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დასუსტებით და ოტომანთა ყოფილ ტერიტორიაზე, ე.ი. ფაქტობრივად ქართულ მიწაზე, „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა წამოაყენეს. ამიტომ სასწრაფოდ შექმნეს სომხეთის ისტორიული და პოლიტიკური რუკები, რომელთაც ივ. ჯავახიშვილმა „ფანტასტიკური რუკები“ უწოდა.

როგორც ჩანს, მაშინ მათ ამ ოცნებას ინგლისიც უჭერდა მხარს. ინგლისის იმედით „დიდ სომხეთზე“ მეოცნებე სომხები, ახალციხიდან ქართული ჯარის დროებით, იძულებით გასვლას სიხარულით ულოცავდნენ ერთმანეთს, თუმცა პოლიტიკური სიტუაცია ისე მოტრიალდა, რომ სომხების ეს ოცნება ვერ ასრულდა და ოცნებადვე დარჩა. „ამ იმედგაცრუებამ დაშნაკებს გული ვერ გაუტეხა, ეს „ფანტასტიკური რუკები“ სტამბოლის კონფერენციაზე წარადგინეს და მიწები მის მიხედვით მოითხოვეს. სომხეთის ეს „ისტორიული მიწები“ მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს თბილისისა და გორის მაზრების ჩათვლით, თითქმის სურამის მთებამდე. იქით, კასპიის ზღვის მხარეს — ალბანეთის, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს. ამ კონფერენციაზე თურქეთის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში ისე აშკარად აჩვენა და დაასაბუთა ამ რუკის ფანტასტიურობა და სიყალბე, რომ სომხეთის მომხრე ინგლისელებმა და ამერიკის წარმომადგენლებმაც სომხეთის სასარგებლოდ კრინტიც ვეღარ დასძრეს“.[17]

მაგრამ დაშნაკებმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს და ის, რაც მოლაპარაკებით ვერ მიიღეს, შეეცადნენ, იარაღის ძალით მიეღოთ. 1919 წლის დეკემბერში, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხნენ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას და საზღვარი გადმოლახეს. ქართულმა ჯარმა შეძლო სომეხთა ჯერ შემოტევის უკუგდება და შემდეგ შეტევაზე გადასვლა. ქართული ჯარი ისეთი ტრიუმფით მიიწევდა წინ, ინგლისელებს რომ არ შეეჩერებინა, ერევანსაც კი აიღებდა.

ბარემ აქვე ვიტყვი, ჯავახეთელი სომხების არასანდო, მერყევი პოზიციის გამო, თურქებთან მებრძოლი ქართული ჯარი ახალქალაქში კი არ ბანაკდებოდა, არამედ დუხობორების სოფელ როდიონოვკაში. ჯავახეთში შემოსახლებულ სომხებს და მათ დაშნაკ ერევნელ მეთაურებს, მართალია, „დიდი სომხეთის“ შექმნის გეგმა განუხორციელებელი დარჩათ, მაგრამ კიდევ ერთხელ ჩაარტყეს ზურგში მახვილი საქართველოს. ახალქალაქის სამაზრო კომიტეტში მოკალათებულმა დაშნაკებმა არეულობით ისარგებლეს, თვითნებურად მოიწვიეს თვითმმართველობის სხდომა და ახალქალაქის მაზრის სომხეთთან მიერთების შესახებ თავხედური გადაწყვეტილება

[16] შ. ლომსაძე, „მესხები“, 1997, გვ. 270, 299.

[17] „ივ. ჯავახიშვილის არქივიდან“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, №43.

გამოიტანეს. ეს მოღალატური აქტი 1918 წლის 22 იანვარს შედგა. ამ სეპარატისტულმა დადგენილებამ ქართული საზოგადოებრიობა აღაშფოთა. აი, რას წერდა ქართველი პუბლიცისტი ილია ალხაზიშვილი: „სომხებს არავინ დაუშლის, ერთობა მოაწყონ თავიანთ სურვილისამებრ, მაგრამ მიწა-წყალს ჯავახელი ქართველი არავის დაუთმობს. ვერ დაგითმობთ კუმურდოს საკათედრო-საეპისკოპოსო ტაძარს, საღამოს შვიდ ეკლესიას, ფარავნის ტბას, რომლის ნაპირზე მძინარე წმ.ნინომ მიიღო ვაზის ჯვარი... ჯავახეთის „გამოყოფით“ მკვიდრი აბორიგენები მოსული სომხების ყმათ უნდა გავხდეთ?..[18]

ახალქალაქელ დაშნაკთა ამ სეპარატისტული დადგენილების შეტყობინებისთანავე მესხეთ-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორმა შალვა მაღლაკელიძემ ახალქალაქში პოლკოვნიკი გ. კობაშავიძე გაგზავნა მისი ბატალიონით, რომელმაც მაზრის დაშნაკი უფროსი გადააყენა და ეს დადგენილება გააუქმა.

ეს მუხანათური გადაწყვეტილება დაშნაკებმა იმ დროს გამოიტანეს, როცა შ. მაღლაკელიძე ბახში-ბეგს ახალციხის სომხების ამოწყვეტაზე არ დათანხმდა, რამაც მუსულმანები განარისხა. ისინი გაავებულნი შეესივნენ მესხეთ-ჯავახეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას და უმოწყალოდ გაუსწორდნენ. თურქები ისედაც არ ინდობდნენ მართლმადიდებელ ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ეს ფაქტი უმადურობის შავ ლაქად მაინც რჩება ისტორიაში.

სანოსიანს თავი მოაქვს და ტრაბახობს, რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთის სომხებმა ისე გმირულად იბრძოლეს ქართველი დამპყრობლების წინააღმდეგ, როგორც ყარაბაღელმა სომხებმა აზერბაიჯანელებთანო. ჯერ ერთი, აფხაზეთსა და ყარაბაღში რუსულმა იარაღმა და ძალამ გაიმარჯვა და არა სომხურმა, მეორეც — სანოსიანს ყარაბაღის საკითხი თუ სომხეთის სასარგებლოდ საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰგონია, მწარედ ცდება. ასეთივე ვითარებაა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართაც. სანოსიანის სამწუხაროდ მალე აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს დაუბრუნდება, ხოლო ყარაბაღი — აზერბაიჯანს. ეს ისტორიული კანონზომიერებაა და მას წინ ვერავინ დაუდგება, ვერც რუსეთი და, მით უმეტეს, ვერც დაშნაკური სომხეთი.

კალამი ოდნავ გამექცა და მივხედოთ სომხებს აფხაზეთში. მათ ჩვეული უმადურობა გამოიჩინეს და ნებაყოფლობით შეადგინეს 2500-კაციანი სომხური ბატალიონი, რომელსაც მარშალ ბაგრამიანის სახელი უწოდეს და „მამაცურად“ გაჟლიტეს აფხაზეთის ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა, თან გაიძახოდნენ — „აფხაზეთი სომხების არის, მას ქართველებისგან გავწმენდთო“. ისინი დაუნდობლად, სადისტურად აწამებდნენ იმ ქართველებს, რომელთა წინაპრებმაც შეივრდომეს, შეიფარეს თურქეთიდან გადმოხვეწილი მათი წინაპრები, ლუკმა-პური გაუყვეს და თავშესაფარი მისცეს.[19]

სომხური უმადურობის სულ ახალი ფაქტი: 2010 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ქართველი დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების შესახებ. ქართველი დევნილების დაბრუნებას მხარი დაუჭირა 50 ქვეყანამ, წინააღმდეგი წავიდა 14 ქვეყანა, მათ შორის „მოძმე“ სომხეთიც. ეს ხდება იმ დროს, როცა სომხეთის დაჟინებული თხოვნით საქართველოს მთავრობამ დარიალის ჩაკეტილი საბაჟო პუნქტი გახსნა, რადგან მას სომხეთისთვის განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს.[20]

სომეხი ავტორი ფაქტებს და მოვლენებს თვითნებურად ცვლის, რა თქმა უნდა, სომხების პრესტიჟის დაცვის მიზნით. მაგალითად, მუსლიმანთა მიერ ალყაში მოქცეულ ახალციხელებს (1917 წ.), მათმა მეთაურმა ბახში-ბეგმა წინადადება მისცა — ქალაქში შემოგვიშვით, სომხებს ამოვხოცავთ, ქართველებს ხელს არ ვახლებთო. გენერალ-გუბერნატორმა შალვა მაღლაკელიძემ არ გაწირა სომხები და უარით გაისტუმრა. „მეისტორიე“ სანოსიანი ამ ისტორიულ ფაქტს პირუკუ ყვება, თითქოს ბახში-ბეგმა განაცხადა — ახალციხელ სომხებთან პრეტენზია არ გვაქვს, ქართველებს უნდა გავუსწორდეთო. მოდი და ენდე ასეთ მუცლითმეზღაპრე მეისტორიეს. თუმცა, მისდაუნებურად, თავი მაინც გასცა, როცა თქვა — თურქებმა პროვოკაცია მოგვიწყეს, ასპინძის გზაზე ორი თურქის ცხედარი დააგდეს და მათი მოკვლა სომხებს დააბრალესო. იქვე მწარედ შენიშნავს — ნაცნობი სცენარიაო. ესეც არ იყოს, ცნობილია, რომ თურქები და სომხები საუკუნეების განმავლობაში დანა-სისხლად იყვნენ გადაკიდებულნი და დღესაც ასე არიან. ვინ დაიჯერებს, რომ ბახში–ბეგი და მისი სომხების სისხლმოწყურებული მებრძოლები მათ დაინდობდნენ? ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს.

სანოსიანი 1918-1920 წლებში სომეხ ლტოლვილთა საკითხს არაერთგზის ეხება და ჩვენც, შესაბამისად, ვცემთ პასუხს. ეს ძალიან მტკივნეული თემაა და მის მიმართ გულგრილი ვერავინ იქნება.

ამ წლების სომხურ პრესას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ დაშნაკების მიერ ანტიქართული უხამსი პროპაგანდა ზენიტს აღწევს. ამის ერთ-ერთი ნიმუშია მაშინდელი ახალგაზრდა მეცნიერის აკად. მანუკ აბეღიანის სტატია „სომხები და ქართველები“.[21]

[18] **გაზ. „საქართველო“, 1918, 4 თებერვალი.**

[19] **იხ. ბონდო არველაძე, თეიმურაზ მიბჩუანი, „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“, 2009. ქართ. ინგ. რუს. ენებზე.**

[20] **დაწვრილებით იხ. თ. მარხვაიძე, „რატომ ეწინააღმდეგება სომხეთი აფხაზეთში ქართველების დაბრუნებას“, გაზ. „ახალი თაობა“, 2010, №14.**

[21] **გაზ. „ჟოღოვრდი ძაინ“ („ხალხის ხმა“), 1916(?), №28.**

მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაადანაშაულა: „სომეხ ლტოლვილებს ახალქალაქის მაზრიდან შეუბრალებლად ექცევიან და საქართველოს შიდა რაიონებში არ უშვებენ, მათ ახალქალაქი და მისი მაზრა თავისად მიაჩნიათ და ხვალ საქართველოს ტერიტორიის ნაწილად გამოაცხადებენო“. ამ ბრალდებას, სერიებად რომ გამოქვეყნდა აღნიშნულ გაზეთში, პასუხი გასცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“: „სხვაგან სად, რომელ ხალხში, რომელ ქვეყანაში უპოვიათ სომხებს ისეთი მყუდრო თავშესაფარი, როგორც საქართველოში, სად უნახავთ ისეთი მზრუნველობა, სტუმართმოყვარეობა, როგორც საქართველოში — გვითხრას!.. თუ წარსულს ბ-ნი აბელიანი ანგარიშს არ უწევს?! თუ მას ჰგონია, რომ ისტორია „ჟოღოვრდი ძაინის“ რედაქციაში იწერება, თანამედროვე მდგომარეობა მაინც მიიღოს სათვალავში, გაიხსენოს, დათვალოს რამდენმა სომეხმა შემოაფარა თავი ამ ომის დროს საქართველოს, რამდენი სომეხი გადაურჩა სიკვდილს და, ბარემ, კეთილი ინებოს და ისიც დათვალოს, რამდენი ფული დაიხარჯა სომეხი ლტოლვილებისათვის დღემდე და რამდენი ქართველებისთვის“ (1916, 26 სექტემბერი). ამ მონაცემების მიხედვით სომეხი ლტოლვილებისთვის საქველმოქმედო საზოგადოებას სხვადასხვა დროს 40 მილიონი მანეთი მიუღია, ხოლო ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას — სამიოდე მილიონი, ისიც დიდი ჭაპანწყვეტით. ეს ყველაფერი არ აინტერესებდათ დაშნაკებს და გაზეთების — „ჰორიზონტისა“ და „აშხატავორის“ ფურცლებიდან ისტერიულად გაჰკიოდნენ: „შეაჩერეთ სომეხ ლტოლვილთა ჟლეტა, ნუ მოაწყობთ საქართველოში მეორე მესოპოტომიას“ და ა.შ.

დაშნაკთა გაუთავებელი ჭორებით, სიცრუით და ცილისწამებით თავმობეზრებულმა საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ სომხეთის დაშნაკურ ხელისუფლებას ოფიციალურად მიმართა, საქართველოს ტერიტორიაზე თავმოყრილ სომეხ ლტოლვილთა ერთი მესამედი მაინც მიეღოთ და თავშესაფარი მიეცათ სომხეთში. ეს ერთობ კონსტრუქციული და დროული წინადადება იყო, მაგრამ ქართულმა მხარემ სრულიად მოულოდნელი პასუხი მიიღო. სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ ცივი უარი განაცხადა საკუთარი სისხლის და ხორცის მიღებაზე. ამ დროს საქართველოს 300.000 ლტოლვილი ჰყავდა, აქედან აწყურის ტყეში — 20 ათასზე მეტი. ქართველი ლტოლვილები შიმშილით და სიცივით ღაფავდნენ სულს. თუ სომხეთს არ შეეძლო საკუთარი თანამოძმე ლტოლვილების მიღება, საქართველო რატომ იყო ვალდებული მათთვის ეპატრონა? მაგრამ საქართველოს მთავრობა, რაც შეეძლო, მზრუნველობას არ აკლებდა ლტოლვილებს, განურჩევლად ეროვნებისა. ბარემ აქვე ვიტყვი, ქართველთმოძულე დაშნაკების ანტიქართულმა აგიტაციამ ისე მოაბეზრა თავი სომეხ ლტოლვილებს, რომ მათ შეადგინეს საზოგადოებრივი „განაჩენები“ და გაუგზავნეს საქართველოს მთავრობას. ამ „განაჩენებში“ ისინი ქართულ მთავრობას სთხოვდნენ,

ემუდარებოდნენ, „თავიდან მოგვაშორეთ დაშნაკი აგიტატორები, რომლებსაც სწადიათ სომხების და ქართველების ერთმანეთთან გადამტერებაო“.[22]

სინამდვილეში დაშნაკებს სომეხი ლტოლვილების ბედი კი არ აწუხებდათ, არამედ ის, რომ ახალქალაქის მაზრაში სომეხთა რაოდენობის შემცირების გამო, „დიდი სომხეთის“ შექმნის სენით დაავადებულებს, ამ მაზრის მოთხოვნის ნაკლები საფუძველი ექნებოდათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი უფრო და უფრო მეტი პრეტენზიები რომ წაეყენებინათ, დაშნაკები სომეხი ლტოლვილების მდგომარეობის გამოყენებას ცდილობდნენ. მართალია, ყოველი შედარება პირობითია, მაგრამ ეს ძალიან წააგავს მათ დღევანდელ ქმედებასაც. დაშნაკები ამჟამადაც ცდილობენ ჯავახეთის სომხების ყოფაცხოვრება მუქ ფერებში დახატონ და ამით შექმნან ყალბი სურათი მათი ვითომდა ეკონომიკური სიდუხჭირისა და ქართველთა მხრიდან ჩაგვრისა. სინამდვილეში კი ისინი გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე მკვიდრი ქართველები. მათ რაღაც ეროვნულ დისკრედიტაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შირაკ თოროსიანებს ეს ანტიქართული აგიტაცია ჯავახეთის ავტონომიისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ან, სულაც ჯავახეთის საქართველოსათვის ჩამოსაშორებლად და სომხეთისათვის მისაერთებლად სჭირდებათ. ეს იყო მათი მიზანი წარსულში და დღესაც ტრადიციულად ოცნებობენ „დიდი სომხეთის აღდგენაზე“. ყარაბაღი ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯია, შემდეგი, მათი მოკლე ჭკუით, ჯავახეთია...

სანოსიანმა საქართველოსადმი წაყენებულ ბრალდებათა მთელი კორიანტელი დააყენა სტატიაში — „...Белый геноцид или — Армяне — в последный вагон“... ასეთი პროვოკაციული სტატია 1918-1920 წლებში ქართველთა ზიზღით დაავადებულ დაშნაკურ პრესაშიც კი ძნელად მოიძებნება.

სჯობია პუნქტობრივად გავცეთ პასუხი:

1. მას მიაჩნია, რომ ქართულ-სომხურ ურთიერთობასა და ამ ხალხთა ძმობა-მეგობრობაზე ლაპარაკმა თურმე დიდი ხანია აზრი დაკარგა. საპასუხოდ ჩვენ ასეთ კითხვას დავსვამთ: ჰქონდა კი ოდესმე? ოღონდ, რა თქმა უნდა მათი უმადურობის მიზეზით?

2. სანოსიანის მიხედვით თბილისში 300 ათასი სომეხი ცხოვრობს. ეს რიცხვი არა ზუსტია. დღეს თბილისში 250 ათასზე ნაკლები სომეხია.

იგი მარი ბროსეს იმოწმებს და ამბობს, კვირიკიანთა მეფობა კახეთში 150 წელს გაგრძელდაო. XIII საუკუნეში აქ მცხოვრებლებმა ქალკედონელობა მიიღეს და გაქართველდნენო. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს აზრი, იგი მცდარია! „კახეთში თავიდანვე მკვიდრები ქართველები იყვნენ და მოქმედებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“.[23]

---

[22] **გაზ. „ერთობა“, 1918, 8 ნოემბერი.**

[23] **„საქართველის ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, 1973, გვ. 379-416).**

სომეხთა გაქართველება, ანუ თეთრი გენოციდი, როგორც სანოსიანი უწოდებს, თურმე, განსაკუთრებით სტალინისა და ბერიას დროს მიმდინარეობდა. სწორედ მათი მმართველობის პერიოდში გაჩენილა ლოზუნგი თუ მოწოდება „Армяне — в последный вагон“… (გვ. 74.) სანოსიანის მიხედვით, სომხებს უფლება არ ჰქონიათ ქართველებთან ერთად, ქართველების გვერდით, მატარებლის ერთ ვაგონში ემგზავრათ... სომხებისთვის სადღაც, ბოლო ვაგონი ყოფილა გამოყოფილი. კიდევ კარგი, არ თქვა, „კუკლუსკლანელებივით“ ქართველები მშვიდობიან სომხებს ხოცავდნენო, როგორც ბაგრამიანის სომხური ბატალიონის ბოევიკები – მშვიდობიან ქართველებს აფხაზეთში. ამ საშინელი ბრალდების დასამტკიცებლად ჩვეულებრივ არავითარი ფაქტობრივი მასალა არ მოაქვს. ვერც მოიტანს, ვინაიდან ასეთი რამ, ან ამის მსგავსი, ისტორიას არ ახსოვს, საქართველოში მომხდარიყო. ეს არის ურცხვი ცილისწამება და ზღვარგადასული სიცრუე ქართველ ხალხსა და მის ისტორიაზე დაბოღმილი სუბიექტისა, რომელიც კანიდან ძვრება, რომ როგორმე ჩირქი მოსცხოს ქართველებს, შეურაცხყოს და მათი დამცირების ფონზე საკუთარი ერი და მისი წარსული უკეთესად წარმოაჩინოს.

სანოსიანი ისეთი კაცი არ ჩანს, ვინმეს ყური დაუგდოს, მაგრამ ცოტაოდენ იმედს ვიტოვებთ, იქნებ ოვანეს თუმანიანს მაინც მოუსმინოს. ამ დიდებულმა პოეტმა და თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტმა ქართველ ხალხზე ბრძანა: „ქართველები კავკასიაში მუდამ იყვნენ პირველები თავიანთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბრძოლაში... თუ გადავხედავთ მსოფლიო ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, ქართველები, როგორც მეზობლები, ერთი ყველაზე საუკეთესონი არიან მსოფლიო ხალხებს შორის“. ამის შემდეგ ბედის ირონიაა, აბა რა არის, სანოსიანი ეროვნულ დისკრიმინაციას და გენოციდს წამებდეს ხალხს, რომლის დედაქალაქში სულ ცოტა ხუთი ერის სამლოცველო დგას გვერდიგვერდ და რომლებშიც ლოცულობდნენ და დღესაც ლოცულობენ ამ ხალხთა წარმომადგენლები.

სანოსიანმა გაიმეორა ნახევრადშეშლილი, ლოთი ხრუშჩოვის სიმთვრალეში წამოყრანტალებული ბოდვა, თითქოს ქართველებს რაღაც პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონიათ სტალინის და ბერიას დროს. ფაქტებით მტკიცდება, რომ 1937 წლის რეპრესიებს უფრო მეტი ქართველი შეეწირა, ვიდრე სომეხი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში უფრო მეტი ქართველი დაიღუპა, ვიდრე სომეხი და ა. შ.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში 1920-30-იან წლებში ათეისტური ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ თურმე ეროვნული ნიშნით ჩატარებულა და თბილისში მარტო სომხური ეკლესიები დაუნგრევიათ, ქართული კი არა. ეს არის სანოსიანის მორიგი მტკნარი სიცრუე. ბოლშევიკებმა არამარტო თბილისში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით დაანგრიეს ან საწყობებად აქციეს ქართული ეკლესიების 90 პროცენტი, თუ მეტი არა. ამ ვანდალიზმის შესახებ არსებობს უამრავი ლიტერატურა ქართულსა და რუსულ ენებზე და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაეცნოს მათ. ბოლშევიკებს ნამუსს არ ვწმენდთ, მაგრამ ეს ათეისტური კამპანია ეროვნული ნიშნით ნამდვილად არ ჩაუტარებიათ, უბრალო მიზეზის გამო, ეროვნულობა მათ სრულიად არ აწუხებდათ, ეს გრძნობა ატროფირებული ჰქონდათ. ისინი, ცუდი გაგებით, ინტერნაციონალები იყვნენ. ეს კაცი ან სრულ უვიცობას ამჟღავნებს, ან ქართველთა სიძულვილმა დაუბნელა გონება, როცა წერს: „საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ სომხური ეკლესიების დანგრევა თუ ათეისტური პროპაგანდის მიზნით მოხდა, ხოჯავანქის სომხური სასაფლაოს წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა და გაუქმება რას მივაწეროთ“... ბარემ ახლა ვიტყვი: 1930-იან წლებში დაანგრიეს ვანქის ცნობილი ტაძარი (იგი იყო ბარათაშვილის ქუჩაზე, ყოფილი კოლმეურნეობის ბაზრის წინ, ახლა მის ადგილას სომხური სკოლაა). ამ ტაძრის ეზოში დასაფლავებული XIX საუკუნის სომეხი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნეშტები ავლაბარში, ელიას გორაზე, სპეციალურად მოწყობილ სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. აქ განისვენებენ ოვ. თუმანიანი, გ. სუნდუკიანი, ნარ-დოსი, რაფფი და სხვ.

რაც შეეხება ხოჯა-ვანქის სასაფლაოს ავლაბარში, ელიას გორაზე, ის მართლაც გააუქმეს ბოლშევიკებმა და მის ადგილას გააშენეს მშრომელთა კულტურისა და დასვენების ბაღი, რომელსაც შემდეგ „მეგობრობის პარკი“ უწოდეს. ამ სოციალისტურ ღონისძიებაში მარტო ხოჯა-ვანქის სასაფლაო არ მოყოლილა; მაშინ საქართველოს მთავრობამ გააუქმა ვერის ქართველთა სასაფლაო და კიროვის სახელობის პარკი გააშენა. აქ შემდეგ აშენდა ჭადრაკის სასახლე. როგორც ვერის, ისე ხოჯა-ვანქის საფლავის ქვები კი იმელისა და თამარ მეფის (ყოფილი ჩელიუსკინელების) ქუჩისა და ხიდის მშენებლობებზე გამოიყენეს, თუ არ ვცდებით, ისინი რომელიღაც სკოლის მშენებლობასაც კი მოხმარდა. ჩვეულებრივ, გაუქმებული სასაფლაოს ადგილას ან პარკი შენდებოდა, ან ეკლესია.

ბოღმა ნუ გახრჩობთ — ვერასოდეს ვერ დაამტკიცებთ, ათასჯერ რომ დაწეროთ და გაიმეოროთ — თბილისი სომხებმა დააარსესო. ამაში ვერც ბროსე გიშველით და ვერც ვერავინ, ვინაიდან, „არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, ქართველთა წინაპრები გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ თბილისში, ვიდრე სომეხთა წინაპრები დაიკავებდნენ სხვის მიწა-წყალს – ურარტუს დაშლილი სამეფოს ტერიტორიას (VI ს. ჩვ.წ.აღრ.-მდე). ვახტანგ გორგასალმა კი V საუკუნეში აქ დააარსა ქალაქი, რომელიც სტრატეგიული მდებარეობის გამო მცხეთის შემდეგ ქართველთა დედაქალაქი გახდა“.[24]

გინდათ თუ არ გინდათ, შეეგუეთ ამ ისტორიულ ფაქტს და მოეშვით

[24] ქსე, ტ. IV, 1979, გვ. 597.

უკადრისი ხერხების გამოყენებას ანგარებიანი მიზნების მისაღწევად.

თქმა არ უნდა, არაა მოსაწონი რაფფის საფლავის ხელყოფა, მაგრამ რატომ მიანიშნებთ, თითქოს ეს სამარცხვინო საქციელი მაინცდამაინც ქართველმა ჩაიდინა? ამის საბუთი არ გაქვთ ისე, როგორც თბილისის სომხური თეატრის დაწვის თუ აფეთქების მცდელობისა, ამიტომ გადაკრულ-გადმოკრულებს თავი დაანებეთ.

სანოსიანი აცხადებს, თბილისში, ისე როგორც მთელ საქართველოში, არ არის სომხური კულტურის ცენტრიო. საინტერესოა, ეს კაცი ასე უღმერთოდ რატომ ცრუობს. ილიას უნივერსიტეტში არის სომხური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. თბილისში ნაყოფიერად მუშაობს სომეხ მწერალთა კავშირი — „ვერნატუნის“ სახელწოდებით. მას აქვს ჟურნალი „კამურჯ“ (ხიდი), რომელშიც იბეჭდება საქართველოში მცხოვრები სომეხი მწერლების ნაწარმოებები. მასში ქვეყნდება, აგრეთვე, ქართველ მწერალთა ნაწარმოებების სომხური თარგმანებიც. თბილისშია საუკუნოვანი პ. ადამიანის სახელობის სომხური თეატრი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ფინანსდება. სახელმწიფო რადიო-ტელევიზიაში არის გადაცემები აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე. საქართველოში მოღვაწეობენ მთარგმნელები — ზ. მედულაშვილი, გ. შახნაზარი, ა. ბოსტანჯიანი. სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევიან პროფ. ა. ახტიანი, დოც. გევორქიანი და სხვ. კიდევ მრავალ დარგში მოღვაწეობენ სომხები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს კაცი იმდენს ტყუის, პასუხის გაცემის სურვილიც ქრება. ზოგიერთზე კი აუცილებელია კომენტარის გაკეთება. თუნდაც ის, რომ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას“ ბრალს დებს, მას ქვეყნის ერთადერთ პატრონად წარმოუდგენია თავი და დაუფარავი ზიზღით უყურებს სხვა ხალხებს, რადგან მათ მეორეხარისხოვნად თვლისო. ამას წერს, მაგრამ სიტყვებს ისევ და ისევ ფაქტებისა და საბუთების გარეშე ისვრის ჰაერში. ამ ვაჟბატონის მიხედვით გამოდის, რომ თუ ქართული გაზეთი ერევანში გამოქვეყნებულ ანტიქართული წიგნის ან საგაზეთო პუბლიკაციის პასუხს დაბეჭდავს, ეს შოვინიზმსა და მეზობელი ხალხის სიძულვილს ნიშნავს.

აბა, ახლა ვნახოთ რა იბეჭდება სომხურ პერიოდიკასა და ცალკეულ გამოცემებში. რომელი ერთი დავასახელოთ, რომ ქართველი ხალხის აწმყო და წარსული, ეროვნული თავმოყვარეობა არ იყოს შეურაცხყოფილი, ფალსიფიცირებული და გაბითურებული. მარტო აივაზიანის, კარაპეტიანის, სარქისიანის პუბლიკაციები, მურადიანის მეცნიერული ნარკვევები და თქვენი ე.წ. ნაშრომი განა ამას არ მოწმობენ? ეს ავტორები, და არამარტო ისინი, „მთელ ქართველ ერს — დიახ, მთელ ქართველ ერს — თავზე ლაფს ასხამენ და საფლავს უთხრიან“. ამას ჩიოდა საუკუნის წინ ილია ჭავჭავაძე და, სამწუხაროდ, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა და ქართველთა განქიქება დღესაც ისევ ისე გრძელდება. ასე, რომ „საქართველოს

რესპუბლიკა“ მხოლოდ ქართველთმოძულე ზოგიერთი სომეხი მეცნიერისა და ჟურნალისტისგან იცავს თავისი ერის ღირსებასა და წარსულს. ეტყობა, დადგა დრო, ამ გაზეთმა თავდაცვითი პოზიცია შეიცვალოს და იქით შეუტიოს და თავის ადგილას დასვას ზოგიერთი გაცუღლუტებული სომეხი მეცნიერი და პოლიტოლოგი.

სანოსიანმა და მისმა მსგავსმა ადამიანებმა, ასე რომ „გულშემატკივრობენ“ სხვა ქვეყნების მცირე ერებს, იმაზე იზრუნონ, რომ სომხეთში, აპარანის რეგიონში კომპაქტურად დასახლებულ 70-80 ათას ქურთს მისცენ ავტონომია ან დამოუკიდებლობა! რატომ არ აძლევენ?! ძალიან იოლია ჰუმანისტის პოზაში დგომა და სხვა ქვეყნების მაგალითზე მცირე ერების ბედზე ნიანგის ცრემლების ღვრა.

ქართულ მიწაზე მონებივრე „ყოვლისმცოდნე მეისტორიემ“, ქართულ პურს რომ ჭამს, არ იცის, სვანები და მეგრელები რომ ქართველები არიან? იცის, განა არ იცის, მაგრამ რა ქნას, ქართველი ხალხის სიძულვილის შხამი რომ მოადგება პირზე, ხომ უნდა გადმოანთხიოს. სვანებისა და მეგრელების არაქართველად გამოცხადებით ცდილობს ქართველთა რაოდენობა 30 პროცენტამდე შეამციროს (ამას არც მალავს), ხოლო სვანების და მეგრელების „ქართველიზაციაში“ საქართველო „დაადანაშაულოს“.

აქვე ვთქვათ, ბუნებაში არ არსებობს „თურქი მესხი“. მათგან უმეტესობა „მაჰმადიანი მესხია“. სათხეველმა „მეცნიერმა“ წესით ეს უნდა იცოდეს, მაგრამ არ უნდა და არ „იცის“.

მცირე ინფორმაცია: ევროკავშირის გადაწყვეტილებით, სულ მალე მაჰმადიანი მესხების მშობლიურ ჯავახეთში მასიური დაბრუნება დაიწყება. ამიტომ 1830-იან წლებში ცარიზმის მიერ აქ შემოსახლებულ სომხებს მოუწევთ ამ რეალობასთან შეგუება...

სანოსიანს მოაქვს მონაცემები, თუ სად, რამდენი სომხური სასწავლებელია: სტამბოლში — 30, ირანში — 50, ლიბანში — 60 და ა.შ. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს რიცხვები სინამდვილეს შეესაბამება. სასწავლებელთა მრავალრიცხოვნება კარგია და მისასალმებელია, მაგრამ რატომ იმას არ ამბობს, რომ ეს სომხური სკოლები ან კერძოა, ან საქველმოქმედო შემოწირულობებით არსებობენ. კი ბატონო, თუ გნებავთ, გახსენით კერძო პანსიონი თბილისში ან სხვაგან, ვინ გიშლით, მაგრამ ვერ დაასახელებთ ქვეყანას, საქართველოს გარდა, სომხური სკოლები სახელმწიფოს ბიუჯეტზე რომ იყოს. ამაგს დანახვა და დაფასება უნდა, თორემ, დაუნახაობას და უმადურობას სიკეთე არ მოაქვს.

გვსურს, მავანთა და მავანთა გასაგონად ვთქვათ, ევროპისა და აზიის ქვეყნების სომხურ ეკლესიებში მრევლი აღარ ჰყავთ და დაცარიელება, გაუქმება ემუქრებათ.[25]

[25] **იხ. „В Церков пустую“, газ. „Голось Армений“, 1996, №62, 19 июнь.**

საქართველოში სომხური ეკლესიები მრევლის სიმცირეს არ უჩივიან.

ჯავახეთის ავტონომიასა და სომხური ენის სტატუსზე ლაპარაკობს სანოსიანი და მაკედონიის მაგალითი მოაქვს, რომელიც ამ ქვეყანაში მცხოვრებ ალბანელებს მათი ენის მაკედონურ ენასთან გათანაბრებას და სახელმწიფო ენად გამოცხადებას დაპირება. ამას კი წერს, მაგრამ იმას რატომ არ ამბობს, რომ ალბანელებს არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არ აქვთ და არც ჰქონიათ მაკედონიის მიმართ, სომხეთს კი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, გაუთავებელი პრეტენზიები აქვს უძველესი ქართული მიწის — ჯავახეთის ჯერ ავტონომიის, მერე, სულაც, სომხეთთან მიერთებისა. საქართველო, ისე როგორც მის ბედში მყოფი ნებისმიერი ქვეყანა, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს და ეროვნულ ტერიტორიას კიდევ არ დააქუცმაცებს. რაც შეეხება ქართულ ენას, კეთილი ინებეთ და რიგიანად შეისწავლეთ საქართველოს სახელმწიფო ენა და მიიღეთ მონაწილეობა ქვეყნის შენებაში, როგორც საქართველოს სრულუფლებიანმა მოქალაქეებმა. ამის ყოველგვარი პირობებია შექმნილი. საინტერესოა, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სომხური დიასპორა ამ ქვეყნების მთავრობისაგან სომხური ენის სტატუსს ითხოვს?

ისეთებიც არიან შეგნებულად რომ არ სწავლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, მაგალითად, ვიღაც სმბატიანები. ისინი ჯავახელ სომხებს მოუწოდებენ, არ ისწავლონ ქართული ენა. კი ბატონო, ეს მათი ნებაა, ძალას არავინ ატანს, მაგრამ სომხური ანდაზაა: „ვის პურსაც ჭამ, ხმალიც იმისი უნდა იქნიო“.

სანოსიანს ჰგონია, ქართველს გამორჩეულობის და უპირატესობის თვითშეგნება სტალინის და ბერიას წყალობით ჩამოუყალიბდაო. სინამდვილეში, საბჭოთა იმპერიის სათავეში მათი ყოფნის გამო ქართველს არავითარი პრივილეგია არ ჰქონია. ქართველს თავმოყვარეობა და რაინდობა ოდითგან მოსდგამს და თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადის. ამიტომ შეიქმნა XII ს-ში რაინდობასა და მეგობრობაზე რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ეს პოემა ქართველი ერის ამ თვისებებს მხატვრულად გადმოსცემს. ეს არის რაინდობის, მეგობრობის, სიყვარულის უკვდავი ჰიმნი. მასში გამოვლინდა ქართველი ხალხის ამაყი ეროვნული სული და სტალინი და ბერია აქ არაფერ შუაშია.

სტალინს რაც შეეხება, ის იყო ეთნიკური ქართველი, გენიალური ნიჭითა და უნარებით დაჯილდოვებული, რამაც იგი უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის მეთაურის სავარძლამდე მიიყვანა და ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მსოფლიოს თავის ნებას კარნახობდა.

ვფიქრობთ, უნდა ითქვას ისიც, რომ მაღალი პოეტური ტალანტით შექმნილი სომხური ეპოსი „დავით სასუნელი“ საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელზეა შექმნილი. მან არაბებისაგან გაათავისუფლა არამარტო საქართველო, არამედ სომხეთიც. ამის გამო მოხდა სომხურ გარემოში მისი

გმირული პიროვნების კონტამინაცია, შენაცვლება და შეიქმნა ეს ეპოსი, რომელშიც ასახულია ქართველი მეფის ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ დავით სასუნელის მეთაურობით. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ „დავით სასუნელი“ შეიქმნა მუშქების//მესხების დიალექტზე და შემდეგ გავრცელდა მთელს სომხეთში. ეს პროცესი ასე წარიმართა: როცა ქართველთა ტომებმა ჩრდილოეთით გადმოინაცვლეს, მათ ადგილას სომეხთა წინაპარი დამკვიდრდა, ხოლო მუშქების//მესხების გარკვეული ნაწილი ყოფილი ურარტუს, დღევანდელი სომხეთის, ტერიტორიაზე დარჩა. ამ მუშქ-მესხების შთამომავლებმა შექმნეს „დავით სასუნელის“ ეპოსი, რომელიც სომხურენოვან სამყაროში მოხვდა და სომხურ ნაციონალურ ეპოსად იქცა.

სანოსიანი სომეხთა რაღაც უსისხლო „თეთრ გენოციდზე“ ლაპარაკობს. არავითარი „თეთრი გენოციდი“ არ მომხდარა საქართველოში და არც ხდება, როგორც მას ჰგონია, მაგრამ ეჯიმიაწინის საგარეო საეკლესიო პოლიტიკის მიზანი კი იყო ქართველთა უსისხლო გენოციდი. ამ პროცესმა განსაკუთრებით ტოტალური ხასიათი XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო. ეჯიმიაწინმა ისარგებლა საქართველოს გარკვეული დასუსტებით და აღმოსავლეთ საქართველოს ასეულობით ემისარი, სომეხ ტერტერათა მთელი არმია შემოუსია. მათ მოხერხებულად გამოიყენეს ქართველი ხალხის შეჭირვებული მდგომარეობა და მაქინაციებით ქართლ-კახეთში გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაიყვანეს ათასობით მართლმადიდებელი ქართველი. ეს კი მართლაც იყო ქართველთა უსისხლო გენოციდი. „ტერტერებმა ქართლში 120 სოფელი გაასომხეს, კახეთში — 80 სოფელი. XVIII საუკუნეში თბილისის სურბ-ნშანის ეკლესიის სომხის მღვდელმა 20 წლის განმავლობაში 500 ქართველს მოუნათლა შვილი სომხურად, ხოლო ნორაშენის ეკლესიის წინამძღომმა 1740-1770 წწ. თბილისში სომხურად მონათლა 1000 ქართველი, ჯიგრაშენის ეკლესიის წინამძღვარმა 1710-1730 წწ. 400-ზე მეტი ქართველი სომხურად მონათლა, თელეთის ეკლესიაში 1770-1792 წწ. სომხურად მონათლა 1000-მდე ქართველი“.[26]

ქართველი ბავშვების სომხურად მონათვლა რა უკადრისი ხერხებით ხდებოდა ტერტერების მიერ, ზ. ჭიჭინაძეს აქვს აღწერილი: „სომხის სამღვდელოების გველური სჯულის ოსტატური ეშმაკობა ქართველი ერის გასომხებისათვის“, „ქართველი ერის გასომხების ისტორიიდან: მკითხავ-მარჩიელები და მათი ეშმაკობა“... „ქართველი გრიგორიანები“, 1906; მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „ქართლ-კახეთი – ქართველთა გასომხება“, 1999 და სხვ.

ეჯიმიაწინი და თბილისში ვანქის ტაძარში მჯდომი საქართველოს ეპარქიის სომეხი ეპისკოპოსები, რაც შეიძლება მეტი ქართველი რომ

[26] ზ. ჭიჭინაძე, „სომხის სამღვდელოებისა და დაშნაკთა ოცნება“, გაზ. „სამშობლო“, 1916, 17 აპრილი.

გაესომხებინათ ტერტერებს, ფინანსებს არ იშურებდნენ და ოქროს უხვად გასცემდნენ. ამ პროცესმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა სპეციალური დადგენილება გამოეცა და ქართველთა სომხის სარწმუნოებაზე გადაყვანა აეკრძალა, მაგრამ სომეხი სასულიერო პირები ამ დადგენილებას არად დაგიდევდნენ და მაინც თავისას განაგრძობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ეპისკოპოსი ნერსესი (შემდეგ სრულიად სომეხთა კათალიკოსი). იგი ამ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა.[27]

ამას დაემატა ისიც, რომ „თავგასული ტერტერები ძველ ქართულ ეკლესიებს ათასნაირი ხრიკების გამოყენებით, უცერემონიოდ დაეპატრონენ, რაშიც ხელს უწყობდნენ რუსის მაღალი სასულიერო მსახურნი“.[28]

კიდევ შეიძლება ანალოგიური ფაქტების და მონაცემების მოტანა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი საარქივო მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა ნათლად გვიჩვენებს, ეჯიმიაწინმა როგორი აგრესიული რელიგიური საგარეო პოლიტიკა გაატარა ქართველთა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასაყვანად. რა თქმა უნდა, ეჯიმიაწინის ეს რელიგიური აგრესია იყო თბილისის სომხური ბურჟუაზიის მიზნების რეალურად განხორციელების მცდელობა. ამ მუხანათური პროცესის იდეოლოგიური დასაბუთება მოცემული აქვს თავის პუბლიცისტურ თხზულებაში გაზეთ „მშაკის“ რედაქტორს გრიგოლ არწრუნს, რომელმაც ფრანგ ჟურნალისტს, კუტულს დააწერინა: „მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით, მის მეზობლებს – ქართველებს და თათრებს – სხვა არა დარჩენიათ რა, რომ უნდა გასომხდნენო“.

ახლა, რაც შეეხება კონკრეტულად სამცხე-ჯავახეთის ქართველთა გენოციდს, ამის შესახებ პროფ. თინა იველაშვილი გვაძლევს ფაქტებზე დამყარებულ საფუძვლიან დასკვნას: „ყველა კარგად ხედავს, რომ თეთრი გენოციდის მსხვერპლად ამ რეგიონში (ჯავახეთში) XIX საუკუნის I ნახევარში მეფის რუსეთის ლოცვა-კურთხევით შემოსახლებული სომხები კი არა, არამედ ძირძველი ქართული მოსახლეობა იქცა. კერძოდ:

1. თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ძალისმიერი ზეწოლით მკვიდრ ქართულ მოსახლეობაზე, ქართველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა, ნაწილმა სარწმუნოება შეიცვალა, რასაც, ფაქტობრივად, მათი ეროვნული და სულიერი გადაგვარება მოჰყვა (თეთრი გენოციდის ერთი სახე).

2. რუსმა გენერალმა ტორმასოვმა, მეფის ხელისუფლების მითითებით, 1810 წელს ჯავახეთიდან ათასობით მკვიდრი ქართველი აყარა და ქვემო ქართლში გადაასახლა (თეთრი გენოციდის მეორე სახე).

[27] **ზ. ჭიჭინაძე, „სომხის კათალიკოსის ნერსეს დიდის მოღვაწეობა საქართველოს დასაღუპად და ქართველი ერის შესაჭმელად“.**

28 ბონდო არველაძე, „ქართული“ თუ სომხური ეკლესიები საქართველოში?! 1996, ქართ., ინგლ., რუს. ენებზე.

3. XIX საუკუნის 30-იან წლებში, სამცხე-ჯავახეთიდან 65 ათასზე მეტი სარწმუნო-ებაშეცვლილი ქართველი მამაპაპური სამკვიდრებლიდან აიყარა და თურქეთში გადაიხვეწა (თეთრი გენოციდის მესამე სახე).

4. რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლობამ, რომელიც არაა გამორიცხული რომ სომხებმა მოისყიდეს, კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველებს სომხურ ენაზე წირვა-ლოცვა დაუკანონა, ისინი ოფიციალურად სომხებად გამოცხადდნენ, და სომხურენოვანი სკოლები გაუხსნა (თეთრი გენოციდის მეოთხე სახე).

5. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფელ ველიდან ჯავახეთში გადმოსახლებულმა ქართველმა კათოლიკეებმა (რომლებსაც ხელისუფლებამ სომხური რიტი დაუწესა და სომხურენოვანი სკოლები გაუხსნა) არაერთხელ (XIX საუკუნის 30-იანი წლები, ამავე საუკუნის 90-იანი წლები) მიმართეს მთავრობას, რომ ისინი ქართველები იყვნენ და ამიტომ ქართულენოვანი სკოლების გახსნას ითხოვდნენ. იმდროინდელი ხელმძღვანელობის შეგნებული წაყრუების შედეგად ეს თხოვნა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ (თეთრი გენოციდის მეხუთე სახე).

6. XX საუკუნის 40-იან წლებში კრემლიდან მიღებული დადგენილების საფუძველზე ათეულ ათასობით გამაჰმადიანებული ქართველი სამცხე-ჯავახეთიდან ძალით აჰყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს (თეთრი გენოციდის მეექვსე სახე).

მეფის რუსეთისა თუ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიქართული ღონისძიებების შედეგად მოხდა ის, რომ სამცხე-ჯავახეთში (განსაკუთრებით ჯავახეთში) ძირძველი მკვიდრი მოსახლეობა – ქართველები XIX საუკუნის 30-იან წლებში თურქეთიდან შემოსახლებულ სომხებთან შედარებით ეთნიკურ უმცირესობად იქცნენ“.[29]

თეთრ გენოციდზე თუ მიდგა საქმე, აი, ეს იყო მიზანმიმართული, უსისხლო გენოციდი ქართველი ხალხისა.

სანოსიანი არქეოლოგიასაც წაეპოტინა და „განიხილა“ მეგალითური კულტურის ნიმუშები ჯავახეთში. ესენია: სოფელ მურჯახეთის სასაფლაოზე არსებული ქვის ვეშაპი. ხალხი მას „ძუძუს ქვას“ ეძახის. სოფელ განძის ქვის ვეშაპი დგას მდინარე ფარავნის მარჯვენა ნაპირას. ფარავნის ტბის ნაპირზე მდგარ ქვის ვეშაპს სოფლელები „ზეზე მდგარ ქვას“ უწოდებენ. ზოგიერთი მეცნიერი მას ფალოსის კულტს უკავშირებს, ზოგს კი ჩვეულებრივ ქვის ვეშაპად მიაჩნია. ეს მეცნიერული დავის საგანია და მასში ამჯერად არ ჩავერევით. ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, სანოსიანი პროფ. ლ. მელიქსედ-ბეგს ცილს სწამებს, როცა წერს, თითქოს მას მურჯახეთის ვეშაპი არ უნახავს და მასზე ფოტოსურათით მსჯელობსო. ეს არ არის სწორი. როცა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი თავისი მონოგრაფიის „მეგალი-

[29] **„არ გათეთრდების ყორანი“, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, 2010, ნოემბერი.**

თური კულტურა საქართველოში“ (1938) მასალებს ამზადებდა, რამდენჯერმე იყო ჯავახეთში და ადგილზე შეისწავლა ეს ძეგლები. ამას მოწმობს მის არქივში დაცული მასალები, ძეგლის ფოტოები, ამ ძეგლების გვერდით გადაღებული ლ.მელიქსედ-ბეგის სურათები და სამგზავრო ჩანაწერები.

აღარ გამოვუდგებით სანოსიანის სხვა „მეცნიერულ ვარჯიშებს“ და ვიტყვით, როცა სომეხთა წინაპრები მოვიდნენ დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ისინი ვერავითარ შემთხვევაში თან ვერ მოიტანდნენ 9-10 ტონიან და მეტი წონის ძეგლებს, როგორც სანოსიანს ჰგონია. ეს არის იმ ხალხის შექმნილი, რომელიც აქ მანამდე მკვიდრობდა, ვიდრე სომეხთა წინაპრები აწინდელი სომხეთის მიწაზე მოვიდოდნენ, უფრო ადრე, ვიდრე აქ ურარტული ცივილიზაცია შეიქმნებოდა (ნ.მარი). ციკლოპურ და მეგალითურ ძეგლებს არავითარი კავშირი არა აქვს სომხებთან და მის ძველ კულტურასთან.

კიდევ ერთხელ გვსურს შევახსენოთ არწრუნების, პატკანოვების, ეზოვების, „ღირსეულ“ მემკვიდრეებს — სანოსიანებს, აივაზიანებს, კარაპეტიანებს, სარქისიანებს და მათ მსგავს „მეცნიერებს“, რომელნიც ავადმყოფური დაჟინებით აცხადებენ პრეტენზიებს ჯავახეთსა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ისტორიის მიზანმიმართულ გაყალბებას ეწევიან, დროა, კარგად დაიხსომონ და გააცნობიერონ: „ქართლის ცხოვრება“ გარკვევით გვაუწყებს: „ჯავახეთი იყო მცხეთოსის შვილის – ჯავახოსის საუფლისწულო მამული, „ხოლო ჯავახოსს მისცა (მცხეთოსმა) ფარავნითგან ვიდრე თავამდე მტკვრისა და ამან ჯავახოსს აღაშენა ორნი ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური“ (გვ.10).

ეს მოხდა მაშინ, როცა არც სტრაბონის, არც მოვსეს ხორენაცის და არც სხვათა ხსენებაც არ იყო ამ ქვეყანაზე. ე. ი. ჯერ კიდევ ისტორიის გარიჟრაჟზე ჯავახეთი ქართული მიწა იყო.

ამ ნაშრომში კიდევ არაერთი ანტიქართული „მარგალიტია“, მაგრამ ყველას ვერ გამოვუდგებით. მოტანილი მასალითაც ცხადად ჩანს მისი ანტიქართული შინაარსი და ავტორის ნეგატიური პოზიცია ყოველივე ქართულისადმი. აქვე გვსურს ხაზგასმით ითქვას, ნაშრომი, პირველ ყოვლისა, ქართველი და სომეხი ხალხის კეთილმეგობრობას უთხრის ძირს. ძნელი წარმოსადგენი არ არის ქართველი ხალხის და მისი ისტორიის რა სიძულვილს და ზიზღს უნერგავს ეს დაშნაკი, შოვინისტი „მეცნიერი“ და „პედაგოგი“ სომეხ ახალგაზრდობას. და ეს ქართველთა სიძულვილი და შხამი ნიადვრად მოედინება და სად? არა სადღაც შორს, აგერ, ჩვენს გვერდით, ქართულ მიწაზე – ჯავახეთში.

ამ წერილს რომ ვამთავრებდი, უცბად გულში გამკრა, შეიძლება ვინმემ თქვას, „ჩიტი ბრდღვნად არ ღირს“, სანოსიანის კრებული ამდენ ყურ-

ადღებას არ იმსახურებს, დროის და ენერგიის ამდენი ხარჯვა ზედმეტიაო! მაგრამ, როცა ისტორიას იპარავენ, როცა ერს შეურაცხყოფენ, მაშინ დიდისა და პატარის გარჩევის დრო აღარ არის. ნათქვამია: „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო“ და ორივეს თავისი ადგილის მიჩენა სჭირდება. წაყრუება არ ეგების.

ვფიქრობთ, დროულად უნდა დაინტერესდეს საქართველოს განათლების სამინისტრო და სანოსიანს პედაგოგიური მოღვაწეობა აუკრძალოს.

P.S. დაბოლოს, ვის უფრო უყვარს სომეხი ერი, ვინ უფრო ზრუნავს მის ღირსებებზე და ვინ უფრო ამშვენებს მას – ოვანეს თუმანიანი, რომელსაც ქართველები კეთილშობილ და საუკეთესო მეზობლებად მიაჩნდა, ფელიქს ბახჩინიანი, ვინც ჩვენს პატრიარქში საერთოდ ქართველი ერისათვის დამახასიათებელი კაცთმოყვარეობა და სულიერი სიმაღლე დაინახა, თუ სანოსიანი და ძმანი მისნი, რომელთაც კაცთმოძულეობა, სიხარბე, სხვისის მითვისება, სიცრუე და ორპირობა ცხოვრების წესად გაიხადეს და ამაო და ფუჭი მიზნის მისაღწევად ზნეობრივი პრინციპები სრულიად უგულებელყვეს?



ნოდარ ლომოური

შიდა ქართლი — ჩვენი საშობლო და ჩვენი ტკივილი

დღეს სულ უფრო იძაბება ვითარება შიდა ქართლში, ანუ ე. წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც იზრდება ოს სეპარატისტთა აგრესიულობა. ახლახან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აქაური ე. წ. ხელისუფლება გეგმავს რიგი ქართული სოფლების სრულ მოსპობასა და მათი სახელების გაუქმებასაც.

სწორედ ამ მხარდი აგრესიულობის გათვალისწინებით საჭიროდ ჩავთვალე, კიდევ ერთხელ მეჩვენებინა, რამდენად ყოველმხრივ უკანონოა და ყველა თვალსაზრისით აღმაშფოთებელი ამგვარი ქმედებები. მთავარ არგუმენტებად მესახება ჩვენება ე. წ. სამხრეთ-ოსეთის წარმოქმნის ისტორიული ასპექტებისა, რამდენადაც ოს სეპარატისტთა იდეოლოგები სწორედ ამ მხარის ისტორიის გაყალბებით ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური ნაბიჯების გამართლებას.

წინასწარ მინდა განვაცხადო, *რომ „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოსგან გამოყოფას, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას, ან თუნდაც სუვერენულ რესპუბლიკად გაფორმებას არა აქვს არავითარი — არც ისტორიული, არც პოლიტიკური, არც საერთაშორისო-სამართლებრივი, არც თუნდაც ზნეობრივ-ჰუმანური — საფუძვლები.*

ოსების საქართველოში ჩამოსახლების და აქ მათი ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ ბევრი დაიწერა და გამოქვეყნდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 90-იან წლებში, მას მერე, რაც 1990 წ. სექტემბერში საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ზვიად გამსახურდიამ ოსეთის აო-ის გაუქმება გამოაცხადა. ამას, ცხადია, მოჰყვა ვითარების მკვეთრი დაძაბვა შიდა ქართლში, ოს ექსტრემისტთა გააქტიურება რუსეთის მხარდაჭერით და სწორედ ამ პროცესებმა გამოიწვიეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსური პრობლემის განსაკუთრებული გამოცოცხლება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ დროს გამოქვეყნებული ნაშრომები შეიცავდნენ ამ პრობლემის მეტად დამაჯერებელ და ყოველმხრივ დასაბუთებულ წარმოდგენას, ერთ-ერთი პირველი იყო *ჯონდო გვასალიას* ნაშრომი,[1] შემდეგ

[1] *ჯ. გვასალია,* **ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის“ // საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, №3, გვ. 7-16.**

ნოე აფხაზავას გამოკვლევა.[2] რასაც მოჰყვა ამ საკითხზე რიგი მეცნიერების (მე არ არ ჩამოვთვლი ყველას) ნაშრომები, სხვადასხვა წყაროს (ქართული და უცხოური), არქეოლოგიური მასალის, ტოპონიმიკის, ხელოვნების ისტორიის მონაცემების გამოყენებით შესრულებული. ამ ნაშრომებიდან მაინც უნდა გამოვყო *ლევან თოიძის* ძალზე დამაჯერებელი გამოკვლევა; „როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ („მაცნეს“ ბიბლიოთეკა, ისტორიის სერია,1991) და აკაკი ბაქრაძის თაოსნობით შედგენილი კრებული რუსულ ენაზე: «Осетинский вопрос» (გამომც. „კერა-XXI“, 1994).

1991 წლიდან ამ საკითხების კვლევაში მეც ჩავერთე, რასაც მოყვა ჩემი პუბლიკაციები ჟურნალში „საზრისი“ (1991, №1, „სამშობლოს არვის წავართმევთ“) და გაზეთში „ივერია“ (1991, №1, „შიდა ქართლი — ჩემი სამშობლო და ჩემი ტკივილი“), ხოლო 1992 წ. ჟურნალში „ცისკარი“ (№5) — „ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები“.

ჩემი კვალიფიკაციის გათვალისწინებით სრული უფლება მქონდა სათანადოდ შემეფასებინა ზემოდასახელებულ მეცნიერთა და სხვათა არგუმენტები და დასკვნები, თვითონაც წარმომეჩინა ზოგიერთი პრობლემა და გამომეთქვა ჩემი შეხედულება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მე წარმოშობით იმ კუთხიდან ვარ, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“. ესაა გორის რაიონის სოფელი *არბო,* პატარა ლიახვის ხეობაში. ამდენად ახალგაზრდობიდანვე საშუალება მქონდა დაკვირვებოდი აქ მიმდინარე პროცესებს.

ოსეთისა და ოსების პრობლემა საკმაოდ მრავალმხრივია, ამიტომაც ოს სეპარატისტებთან კამათი მრავალ საკითხზე გვიხდება. ერთ-ერთი პირველი საკამათო პრობლემა უკავშირდება ოსების ეთნოგენეზისის საკითხს და ოსების კავშირს ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში, აზოვის ზღვისა და დონისპირა ველებში ოდესღაც მოსახლე ალანებთან. ოსი მეცნიერების ნაწილი ოსებს სწორედ ალანების უშუალო შთამომავლებად აცხადებს. დღეს სრულიად გარკვეულია, რომ ოსების ეთნოგენეზისი ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილი ალანებისა და აქ მოსახლე კავკასიური ტიპის ადგილობრივ ტომთა თანდათანობით შერწყმის საფუძველზე და ეს პროცესი დასრულდა X-XI საუკუნეებში ახალი ეთნიკური ერთობის, ოსი ხალხის ჩამოყალიბებით.[3] მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი (ბ. ტეხოვი, რ. ძათიათი, ი. გაგლოევი, გ. თოგოშვილი) მაინც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოსთა უშუალო წინაპრები — ალანები საქართველოში გვიანანტიკურსა და ადრეშუასაუკუნეებში იყვნენ ჩამოსახლებული. ეს აბსოლუტური უმეცრება და სიყალბე უკვე ნოე აფხაზავამ შეუვალი დამაჯერებლობით უარყო თავის ზემოდასახელებულ გამოკვლ-

[2] *ნ. აფხაზავა,* **ალანები და საქართველო //„მაცნე“, ისტორიის... სერია, 1991, №3, გვ. 7-6, №4, გვ. 33-59.**

[3] **იხ. ჩემი სტატია „ცისკარში“ (გვ. 105-108).**

ევაში და 1994 წ. გამოცემულ კრებულში შესულ ვრცელ სტატიაში.[4]

აღარ შევეხები ამ პრობლემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს და ახლა შევჩერდები ყველაზე მნიშვნელოვან და საკამათო საკითხზე — ოსთა საქართველოში ჩამოსახლების დროისა და ვითარების გარკვევაზე.

როგორც ცნობილია, XIII-XIV სს-ში ჯერ მონღოლებმა, შემდეგ თემურ-ლენგის ურდოებმა გაანადგურეს ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე არსებული ოსური გაერთიანებები და ოსები კავკასიონის მთიან ხეობებში შერეკეს; აქ მათ მძიმე პირობები შეექმნათ და გაუჩნდათ ლტოლვა კავკასიონის მთავარი ქედის გადმოლახვისა და სამხრეთისაკენ ჩამოსახლებისა. გასათვალისწინებელია, რომ XIV ს-ის ბოლო ოცეულში თემურ-ლენგის რვაგზისი შემოსევის, შემდეგ თურქ-ოსმალთა და ყიზილბაშური ირანის უწყვეტი თავდასხმების შედეგად შეთხელდა ქართლის ბარის მოსახლეობა და მთებიდან დაიწყეს ჩამოსვლა ქართველმა მთიელებმა, ძირითადად განთავისუფლდა მაღალმთიანი ზოლი და აქ დაიწყეს XVI-XVII სს-ში გადმოსვლა ოსებმა. არსებითად XVII ს-დან იწყება ეს პროცესი, რაც დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილის აღწერითა და სხვა წყაროებით, რაც სათანადოდ გაანალიზებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[5]

საერთო სურათი ასეთია: XVII სს-ში თანდათანობით ჩნდება ოსური დასახლებები ქართლის მაღალმთიან ზონაში, დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდის, ლეხურას, ქსნის სათავეებთან. საინტერესოა, როგორ აფასებს ოსთა ჩამოსახლებას კერძოდ ქსნის ხეობაში ცნობილი ოსი მეცნიერი *ვასილ აბაევი*: «Исторические и языковые факты подтверждают, что поселения ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью произошло не так давно, примерно в последние 200 лет. *Они переселелись гонимые малоземельем и нищести*».[6]

XVIII ს-დან ეს პროცესი თანდათან ძლიერდება, ხოლო XIX ს-დან ოსთა ჩამოსახლება უფრო მასობრივი ხდება და ოსები დასახლებულ მდინარეთა შუა წელზე და ბარშიაც, კერძოდ კახეთში, ლაგოდეხში, ბორჯომ-ბაკურიანში, თბილისშიაც კი მკვიდრდებიან. მაგრამ მაინც ეს იყო სპორადული, არაკომპაქტური დასახლებები.

ზემოაღნიშნული დასკვნა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ოსი მეცნიერების გარკვეული ნაწილი (ი. გაგლოითი), თვით ისეთი, თითქოს პროქართულად განწყობილი ისტორიკოსი, როგორიცაა გ. თოგოშვილი, ამტკიცებს, რომ ოსთა საქართველოში დამკვიდრება XIII ს-ის მეორე ნახევარში მოხდა.[7] ამ შემთხვევაში ისინი არაფერს იგონებენ. ქართველი მემატიანე *ჟამთააღმწერელი* (XIV ს.) მოგვითხრობს, რომ საქართველოს მეფე დავით VII ულუს (1249-1270) დროს მონღოლთა ხელშეწყობით გამოვიდნენ დარუბანდის უღელტეხილით ოსთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმები თავიანთი ოჯახებით და დავით ულუმ ისინი დაასახლა თბილისის, დმანისის, ჟინვალის სანახებში; მოგვიანებით მათ გორიც დაიკავეს.[8] XIII ს-ის 90-იან წლებში, მეფე დავით VIII-ის დროს (1273-1311), შემოსახლებულ ოსთა განდევნის მცდელობა იყო, რადგან მათ მონღოლთა „მოლაშქრედ და თანამებრძოლად" წარმოაჩინეს თავი და ქვეყნის აოხრება იწყეს, მაგრამ ეს ცდა უშედეგო გამოდგა.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ოსი ისტორიკოსები მკითხველს უმალავენ ყველაზე მნიშვნელოვანს; იმავე ჟამთააღმწერელის ცნობით, რასაც ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც, XIV ს-ის დასაწყისში მეფე *გიორგი ბრწყინვალემ* (1314-1346) ოვსნი „განხსნა და აღფხურნა", გააძევა ქართლიდან. ვახუშტი კი აღნიშნავს, რომ გიორგი ბრწყინვალემ არა მარტო გააძევა ოვსნი თავისი სამეფოდან, არამედ თვით ოსეთში მიუხდა მათ, დაიმორჩილა და დახარკა, ხოლო ყველა ზეკარი დაიკავა და ჩაკეტა.[9] ამდენად ყოველგვარ საფუძველს კარგავს მტკიცება, რომ XIII-XIV სს-დან მოყოლებული ოსები უკვე ქართლის ტერიტორიაზე სახლობდნენ. ამ დროს მათი აქ შემოსვლა ხანმოკლე, თანაც არც-თუ სახელოვანი ეპიზოდი იყო ოვსთა ერთი მცირე ნაწილის ისტორიაში.[10]

ახლა ჩვენ მივადექით ყველაზე მტკივნეულ პრობლემას — ესაა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნის დღემდე ძალიან აქტუალური საკითხი.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისთანავე, განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეებში ადგილობრივ ძირძველ მოსახლეობასა და შემოხიზნულ ოსებს შორის დაიწყო კონფლიქტები, რაც ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ოსი ხიზნები ცდილობდნენ, დაპატრონებოდნენ მიწას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, განემტკიცებინათ თავიანთი სოციალური სტატუსი. ამ პრეტენზიებს ადვილად არ თმობდა ქართული მოსახლეობა. გასაგებია, რომ ეს კონფლიქტები იმთავითვე გამოიყენეს რუსეთის რეაქციულმა ძალებმა, განსაკუთრებით მას მერე, რაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველო გამოეყო რუსეთს და 1918 წლიდან აქ შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მერე, ბოლშევიკური

[4] **Н. Апхазава, Культурно-этнические процессы в северо-западной части Шида Картли и древнейших времен до поздного средневековья, – კრ. «Осетинский вопрос», გვ. 27-73.**

[5] **იხ. *ნ. აფხაზავას* ზემოდასახელებული გამოკვლევები, აგრეთვე 1994 წ. გამოქვეყნებულ კრებულში შესული ნაშრომები (ბ. გამყრელიძის, ჯ. გვასალიას, ვ. ითონიშვილის, ს. ლეკიშვილის, ა. თოთაძის და სხვათა); *რ. თოფჩიშვილი,* საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.**

[6] **В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1959, გვ. 501 (ხაზგასმა ჩემია).**

[7] **Ю. С. Гаглоити, Аланы и вопрос этногенеза осетин, Тб., 1966; *გ. თოგოშვილი,* საქართველო ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1958. გვ. 219-224.**

[8] **ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.) ტ. II, თბ., 1959. გვ. 251, 296.**

[9] **იქვე, გვ. 445; ტ. IV, თბ., 1973. გვ. 256.**

[10] ***ვ. გამრეკელი,* XIII-XIV სს-ის მიჯნის საქართველოს ისტორიიდან // „მრავალთავი" №5, 1975, გვ. 183-184; ჩემი სტატია „ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები" // „ცისკარი", №5, გვ. 109-112.**

მთავრობა მიზანდასახულად შეუდგა საქართველოში „მეხუთე კოლონის“ ორგანიზებას და კანონზომიერი იყო, რომ ამ პროცესში ყველაზე აქტიური სწორედ აქაური ოსური მოსახლეობა გახდა.

ეს პრობლემები ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა გაშუქებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევან თოიძის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც „სამხრეთ ოსეთის“ ხელოვნური შექმნა განსაკუთრებით ვრცლად და ყოველმხრივ დასაბუთებულად არის მოცემული.[11]

სწორედ იმ დახმარებისთვის, რომელიც ოსებმა საბჭოთა სამხედრო ძალებს აღმოუჩინეს, 1922 წ. ბოლშევიკების ქართველი ბელადების ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის და სხვ. ინიციატივით შეიქმნა ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც იმავე წლის 20.V. დეკრეტით ეწოდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ხოლო რადგან ავტონომიური ოლქის სტატუსს არ ყოფნიდა მხოლოდ ოსებით დასახლებული სოფლები, მასში შეიყვანეს ქართული, *ქართველებით დასახლებული* სოფლებიც, ხოლო ოლქის დედაქალაქად გამოაცხადეს *ძველი ქართული ქალაქი* ცხინვალი, რომელშიაც იმ დროს ოსები საერთოდ არ ცხოვრობდნენ.[12]

აქვე გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ 2010 წელს საქ. მეც. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის მიერ გამოცემულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი კრებული, რომელშიაც შევიდა უახლესი გამოკვლევები ოსეთის პრობლემებზე.[13] ამ კრებულში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის პროცესს მიეძღვნა ისტორიკოს *ოთარ ჯანელიძის* ორი სტატია, რომელშიაც გამოყენებულია უახლესი საარქივო დოკუმენტები.[14]

უნდა გავაკეთოთ საერთო დასკვნა, რომ ზემოგანხილული ისტორია ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა სრულიად უეჭველს ხდის, რომ თავის დროს შიდა ქართლის ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ისტორიულად სრულიად გაუმართლებელი იყო. ოსების აქ ცხოვრების ხანგრძლივობა, აქ გაწეული შრომა, მათ სრულ უფლებას აძლევს აქ ცხოვრებისა და ყველა მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობისა, მაგრამ მიწა-წყალი — და ამას ჩვენი ოსი თანამოძმენი უნდა დაეთანხმონ და შეეჩვიონ — ეკუთვნის მხოლოდ ერთადერთს — ქართველ ერს. ამას ურყევად ადასტურებს ისტორია.

[11] *ლ. თოიძე,* **როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი // საქ. მეცნ. აკადემიის „მაცნეს“ ბიბლიოთეკა, ისტორიის სერია, თბ., 1991; ლ. თოიძის ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სტატია შევიდა აგრეთვე 1994 წ. ზემოთ დასახელებულ კრებულშიაც: «Образование осетинской автономии в Грузии» (გვ. 296-321).**

[12] **აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ახალგაზრდობის ხანაში (1940-იანი წლები) ცხინვალში სულ 30 ოჯახი სახლობდა ოსებისა.**

[13] **Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010.**

[14] **О. Джанелидзе, Осетинский вопрос в Демократической Республике Грузии (1918-1921), (გვ. 366-381). Как создавалась Юго-Осетинская автономная область (Новые архивные материалы)), გვ. 382-394.**



ზურაბ ცუცქირიძე

საშობლო საფრთხეშია

ნუ იფიქრებთ, რომ ამ წერილის ავტორმა არ იცის იმ ლოზუნგის ისტორია, რომელიც სათაურშია გამოტანილი. ვიცი, როგორ არა! ეს ლოზუნგი სხვადასხვა ვარიაციით არაერთხელ გაცოცხლებულა ქვეყნისა და ხალხის ძნელბედობისას, სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა სახელმწიფოში. უკანასკნელად იგი 1941 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ურდოები ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს უშუალოდ დაემუქრნენ. მაშინ ამ ლოზუნგმა დიდი მაორგანიზებელი როლი შეასრულა. თუმცა, შეიძლება ეს მხოლოდ ამ ლოზუნგის ემოციური მუხტის გავლენა არ იყო. უზარმაზარ მაორგანიზებელ ძალას, ამას, ალბათ, ის ფოლადის კაცი აძლევდა, ვინც მაშინ ქვეყნის საჭესთან იდგა.

ახლა ის ცეცხლოვანი ლოზუნგი რომ გავიხსენე, იმის იმედი როდი მაქვს, ხალხი დაირაზმება სამშობლოს გადასარჩენად-მეთქი. არა. მე მხოლოდ მინდა ჩემი და ჩემი კოლეგების, თანამშრომლების, თაანამოაზრეების უკიდურესი შეშფოთება გამოვხატო და სათაურში გამოტანილი ამ ლოზუნგით მივანიშნო, რომ საქართველოს იმაზე ნაკლები საფრთხე არ ემუქრება, ვიდრე საბჭოთა კავშირის ხალხებსა თუ საფრანგეთის ახალგაზრდა რესპუბლიკას ემუქრებოდა თავის დროზე.

მტერი ხმლითა და თოფით კი აღარ მოდის, ცოდნითა და ფულით მოდისო, — გვაფრთხილებდა დიდი ილია. — ცხოვრებას თუ ერთი წუთით თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსო.

რა ზუსტად უთქვამს და ჯერ კიდევ როდის უთქვამს იმ სულკურთხეულს!

რახან მტერი ცოდნითა და ფულით მოდის, ცხადია, იგი შენიღბულია და მეგობრად, გულშემატკივრად, შემწედ, ქველმოქმედად ასაღებს თავს. მოდის საჩუქრებით და, უფრო ხშირად, ქრთამით. მე შენ გეტყვი და საქართველოში კაცის მოქრთამვა გაუჭირდება! ყოველ ნაბიჯზე იპოვნი ისეთს, ოცდაათ თუ არა, ასოცდაათ ვერცხლად რომ მაინც გაჰყიდის მოყვასს.

დღეს ბრძენთა ხმობა აღარ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ ჩვენს

მტრებსა და მათი ვერცხლით ტვინგადაბრუნებულ ქართველებს (გვარით ქართველებს!) ქართული ეროვნული ცნობიერების დანგრევა აქვთ გადაწყვეტილი. კარგად ორგანიზებული, მასირებული შეტევა ეროვნულ ღირებულებებზე „შეუიარაღებელი თვალითაც“ ჩანს. კონსულტანტები და ჭკუისდამრიგებლებიც რომ არ აკლიათ! მოზარდებსა და ახალგაზრდობაზეა მიმართული მათი პროპაგანდისტული ზეგავლენის თაფლში ამოვლებული შხამიანი ისრები. აბა, ჩამოყალიბებული, ზრდასრული, ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნების შეგნებას ხომ ვერ შეცვლიან უვიცი და ხეპრე, ზნეობისაგან დაცლილი გავლენის აგენტები.

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩაო წინაპართაგან, — გვმოძღვრავდა დიდი ილია, — მამული, ენა, სარწმუნოება. ამ საუნჯეს თუ არ გავუფრთხილდით და არ მოვუარეთ, რაღა კაცები ვიქნებითო, — დასძენდა. სწორედ ეს „ეროვნული სამება“ ამოიღეს მიზანში ამ ადამიანის სახედაკარგულებმა.

ჩვენს მამულს გარეშე მტრებმა შინაურთა ხელშეწყობით რაც დამართეს, მტერს დაემართოს ისეთი! გურამიშვილის თქმისა არ იყოს, როცა ჩვენი მამლები აიქოჩრნენ და ქანდარაზე მოხერხებული ადგილების დასაკავებლად ერთმანეთს წაეკიდნენ, იქვე ჩასაფრებულმა ტურა-მელიებმა ისარგებლეს და ჩვენი მამულის ხარჯზე კაი გვარიანი ლუკმა იგდეს ხელთ. იმის ნაცვლად, რომ გონს მოვსულიყავით, ჩვენმა ხელისუფლებამ წინაპართა სამკვიდროს ერთი ნაწილი ძალით შეაჩეჩა მტერს: შიდა ქართლს „სამხრეთ ოსეთი“ ხელახლა უწოდა, კოდორის ხეობის სვანეთს „ზემო აფხაზეთი“ დაარქვა, რითაც წამგლეჯებს უთხრა: ეს ტერიტორიები საქართველოსი არ გეგონოთო, მოდით მიიერთეთო! იმათაც სხვა რაღა უნდოდათ!

ეს ეგრეთ წოდებული სეპარატისტულ რეგიონებზე ვთქვი, მაგრამ, ის რაც ვითომ ჯერჯერობით ჩვენია, მართლა ჩვენია?

ჩვენი ჰქვია იმ რაიონსა თუ რეგიონს, სადაც ქართულად ვერავის დაელაპარაკები? სადაც ქართული სკოლები აღარ არის? (ქართველები აღარ ცხოვრობენ და ქართული სკოლები რატომ უნდა იყოს, ნეტავი!). საქართველო ჰქვია იმას, სადაც მიწა-წყლის ორი მესამედი ბარდაუკვრელია და ყამირად არის ქცეული? (ჩვენ კი უცხოური ბაღლინჯოიანი ფქვილით გამომცხვარი პურით ვიწამლებით).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: **წინაპართაგან დატოვებული ერთი საუნჯეთაგანი — მამული — ხელყოფილია.**

როგორც კი ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მაშინვე გამოვლინდა ყოველგვარი ქართულისადმი სიძულვილი. პირველ ყოვლისა, უგულებელყვეს ეროვნების საფუძველთა საფუძვლის — ენის მნიშვნელობა. ქართული ენისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება ნორმად იქცა და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში დამკვიდრდა. მეტიც.

განათლების ვაირეფორმატორთა ერთ-ერთმა იდეოლოგმა განაცხადა: ინგლისური ენის უცოდნელად წარმატებული ადამიანი ვერ იქნებიო. ესე იგი, შენი ქვეყნის სახელმწიფო ენა გინდა გცოდნია, გინდა არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ინგლისურის ცოდნაა. ამის მთქმელი ისე სულელი არა მგონია, მართლა ასე ფიქრობდეს. ეს უფრო სხვისი დავალების შესრულებას ჰგავს. აბა, მევენახე, მძღოლი, მემანქანე, პოეტი, მწერალი, მუსიკოსი, მსახიობი, ხარაზი თუ ხაბაზი ინგლისური ენის უცოდნელად წარმატებული ვერ იქნება?

შენს მშობლიურ ენას, რომელსაც კონსტიტუციურად სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, ასე რომ დაამცირებ, ეროვნული საუნჯის ხელყოფაა, აბა, რა ჯანდაბაა? როდესაც ქალაქის ცენტრში ბევრი დაწესებულების აბრებზე მხოლოდ უცხოური დასახელებებია აღნიშნული, ქართული ენის — სახელმწიფო ენის აბუჩად აგდება არ არის?

ქართული ენის დამცირება-დაკნინების, მისი ლიტერატურული ნორმების სრული უგულებელყოფისა და ელემენტარული უვიცობის მუდმივ დემონსტრირებას ახდენენ ჩვენი ტელევიზიები. ქართველი ტელეწამყვანები რა კილოზე ლაპარაკობენ, რა ჟარგონებს ხმარობენ, ქართულისათვის რა არაბუნებრივ მახვილებს იყენებენ, გაოგნდები კაცი! ქართული ლექსიკა ხომ არ იციან და არა! ბარბარიზმებს ისე ხმარობენ, წარმოდგენაც არ აქვთ, რას სჩადიან. ასე მგონია, საგანგებოდ ცდილობენ, ისე ილაპარაკონ, როგორც ამერიკელი ილაპარაკებდა ახლადნასწავლი ქართულით.

ეს ტუტუცი გოგო-ბიჭები სისულელეს რომ იტყვიან ტელეეთერში, უხერხულობას კი არ გრძნობენ ათიათასობით ქართველი მაყურებლის წინაშე, სიცილით იხოცებიან, უხარიათ, ეს რა მაგარი სისულელე წამოვროშეთო. ამას წინათ, დილის გადაცემაში ისე გადაფიჩინდა ერთი ცნობილი ტელეწამყვანი, დარწმუნებული ვარ, მის ნაცვლად ჩემთან ერთად უამრავი მაყურებელი ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში.

წინაპართაგან ნაანდერძევი მეორე საუნჯეც ხელყოფილია.

და მაინც, ყველაზე გააფთრებული შეტევა ჩვენს ზნეობაზეა; ზღვარდაუდებელი ლიბერალები გაცოფებული უტევენ იმ საფუძვლებს, რასაც ქართული ეროვნული ცნობიერება ეფუძნება. ეროვნულ ღირებულებაზე ლაპარაკი ჩვენს ე. წ. ლიბერალისტებს უიმედო ჩამორჩენილობად მიაჩნიათ. ამ უზნეო გრანტიყლაპიებს, რომელთა უმეტესობას არც გარკვეული ეროვნება, არც გარკვეული სქესი და სარწ-მუნოება აქვს, მიაჩნიათ, რომ ეროვნული ღირებულების ცნება საერთოდ შინაარსს მოკლებულია. ერთი ამიხსენით, რას უწოდებთ ეროვნულ ღირებულებებსო, — ირონიული ტონით მკითხა ერთმა, თავისთავად, კარგმა, განათლებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, ზღვარდაუდებელი ლიბერალიზმის ტყვეობაშია მოქცეული.

მის და მისნაირთა გასაგონად მინდა ვთქვა, თორემ მებრძოლ ლიბერალისტებს მამა ღმერთი თუ შეასმენს რაიმეს. ეროვნული ღირებულებანი არის ის, რითაც ერთი ერი მეორე ერისგან განსხვავდება. ერებს აერთიანებთ საკაცობრიო ღირებულებანი და განასხვავებთ ეროვნული ფასეულობები! უფრო დაწვრილებით ახსნას არ ვაკადრებ იმ ახალგაზრდასავით დროებით დაბნეულ ადამიანებს.

ზნეობრიობაზე მასირებულ, უაღრესად აგრესიულ შეტევას გლობალური ხასიათი აქვს. ზოგან იგი წარმატებით განხორციელდა, ზოგან მტიცედ დაუხვდნენ და უზნეობის ადეპტები თავიანთი ქვეყნებიდან გააპანღურეს. ჩვენში საზოგადოების მხრიდან უზნეობის შემოტევის წინააღმდეგ მაინცდამაინც აქტიური წინააღმდეგობის სურვილი არ იგრძნობა. ეს იმიტომ კი არა, რომ ქართველობა ამ სატანის ნაშიერებს დანებდა. არა! „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“ (მ. მაჭავარიანი).

ბევრ ჩვენს თანამემამულეს ამ ზნეობრივი საფრთხეების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება აქვს. მერე რა მოხდა, ვიღაც წყალწაღებულსა და ზნედაცემულს ტელევიზორში თუ მოიწვევენ და მთელი ქვეყნის დასანახად და გასაგონად დაუწყებენ საუბარს მათ უზნეო თავგადასავლებზეო, — იტყვის მავანი და ხუმრობის საგნად გადააქცევს ამ უზნეობას. ამ ოციოდე წლის წინათ პირველად რომ გავიგონეთ სატანისტური დაგინება „ჩემი დედა...“, საზოგადოებამ აღშფოთებით კი არ გამოხატა პროტესტი, არამედ მხიარული ანეკდოტი შექმნა: „მიხო ქალაქიდან დაბრუნდა და თანასოფლელებს ამცნო: გაიგეთ ხალხო, ქალაქში უკუღმა იგინებიანო!“ ჰო და, ახლა მთელი საქართველო უკუღმა იგინება.

მამათმავლობისა და ლესბოსელობის აშკარა პროპაგანდას მხილება და გაკიცხვა კი არ დავუპირისპირეთ, არამედ იქაც სახალისო ანეკდოტებით შევიქციეთ თავი: „გილოცავ ბავშვის შეძენას! გოგოა თუ ბიჭი?“ — ეკითხება ერთი კაცი მეორეს! „გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტსო“, — პასუხობს ახალშობილის მამა.

აი, ასეა და რაღა გასაკვირია, თუ ზნეობრივი ღირებულებების აბუჩად ამგდები თავხედობა ასე მოგვეძალა ყველგან — მწერლობაში, ხელოვნებაში, სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებლებში... პოლიტიკაშიც.

პოლიტიკაში რაღაო, გაიკვირვებს მავანი. თქვე კაი ხალხო, ომის დროს მოწინააღმდეგეს ქრთამს რომ შესთავაზებ იმისათვის, თუ ძმა ხარ, აგერ ჩემი ქალაქის შუაგულში ესა და ეს ობიექტი დამიბომბეო, თუ არა უკიდურესი ზნედაცემულობა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს.

ლიბერალისტები თავისუფლების დემაგოგიური ლოზუნგით გვიტევენ. ადამიანს გამოხატვის სრული თავისუფლება უნდა ჰქონდესო. როგორ შეიძლება, საკუთარი აზრის გამოთქმისა და ამ აზრის შესაბამისი მოქმედება შეუზღუდო კაცსო.

კი, ბატონო (ხელი და პირი ლიბერალისტებისკენ მიქნია!), შენ უფლება გაქვს, რაც გინდა ის იფიქრო დედაშენზე, მაგრამ მისი პროპაგანდის უფლება არ გაქვს, რადგან, ის რაც შენთვის მისაღებია, ჩემთვის მიუღებელი და ამაზრზენია. თავისუფლების წეს-კანონი ჩემთვის არ არსებობს? მე არა ვარ თავისუფალი? და თუ თავისუფალი ვარ, ხომ მაქვს უფლება გავემიჯნო, თვალი და ყური მოვარიდო იმას, რაც ადამიანის ღირსების შეურაცხყოფად და დამამცირებლად მიმაჩნია!

ახლა ლიბერალისტურ დემოკრატიაზე „თავგადაკლული“ ვინმე მედასავლეთე მეტყვის: „კი, მაგრამ, უმცირესობის უფლებებზე არაფერი გსმენია“-ო. მსმენია, როგორ არა! ძალიანაც პატივს ვცემ უმცირესობებს, ეროვნული იქნება იგი, ეთნიკური თუ რელიგიური, მაგრამ სექსუალური ორიენტაცია რა უბედურებაა? ადამიანს შეიძლება არასწორი გეოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდეს, მაგრამ ამ თავისი ორიენტაციის შესაბამისი მოქმედებით მიზანს რომ ვერ მიაღწევს, უარს იტყვის მასზე და მისი აზრით სწორ ორიენტაციას აირჩევს (თბილისიდან გორში რომ მიდიოდეს კაცი და აღმოსავლეთით აიღოს გეზი, სართიჭალაში თუ არა საგარეჯოში მაინც მიხვდება, რომ სწორ გზას არ ადგას!). კაცი კაცს რომ ირთავს ცოლად, ეს ორიენტაციაა? რა მიზანი აქვს ამგვარ ორიენტაციას? ოჯახის შექმნა? ამგვარ კაცებს, ახლა მოფერებით გეიებს რომ უწოდებენ, ადრე პედარასტები ერქვათ. ზოგან იგი ავადმყოფებად მიაჩნდათ და შეძლებისდაგვარად მკურნალობდნენ, ზოგან მძიმე დანაშაულად თვლიდნენ და ციხეებში ამწყვდევდნენ (ზოგან უარესსაც უშვებოდნენ!).

ადამიანის ყველა ფიზიკური თუ სულიერი თვისება, რაც მისი ჭეშმარიტი ბუნების საწინააღმდეგოა, მედიცინაში პათოლოგიად არის სახელდებული და მას ან მკურნალობენ, ან საზოგადოებისგან იზოლირებულად ინახავენ.

ორიენტაცია კი არა, ეს არის ზნეობრივი დეზორიენტაცია და ღმერთმა დაიფაროს კაცობრიობა მისგან!

უზნეობის ბაცილა სწრაფად ვრცელდება, განსაკუთრებით, მატერიალურ კეთილდღეობას დახარბებულთა შორის. რამდენიმე ხნის წინ მთელმა საქართველომ ნახა (ვისაც შეხედვისთანავე გული არ აერია, რა თქმა უნდა!) სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი ქალიშვილები და ჭაბუკები, რა მშვიდად ისხდნენ მრგვალი მაგიდის გარშემო და ასევე მშვიდად აფურთხებდნენ ერთმანეთს სახეში. აკადემიის რექტორმა „გაგვანათლა“: ეს სადიპლომო პროექტიაო. ამაზე რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაცია გრანტს მოგვცემსო. მე, პირადად, ადამიანისათვის სახეში შეფურთხების მომხრე არა ვარ, მაგრამ დასავლურ ცივილიზაციას ხომ ვერ ჩამოვრჩებითო.

იმ ეგრეთ წოდებულ აკადემიის რექტორს დიდი სურვილი მაქვს ვუთხრა: შენ და შენსავით „ლიბერალური ღირებულებების“ დამცველ შენს

შვილს უფლება გაქვთ, რა თქმა უნდა, დასხდეთ თქვენს სახლში (სჯობს, სამზარეულოში!) და აფურთხოთ ერთმანეთს სახეში. მაგრამ სტუდენტი ახალგაზრდების გაბრიყვების უფლება არ გაქვთ. ის ექვსი თუ შვიდი მომავალი მხატვარი, ამის შემდეგ როგორ უნდა გამოჩნდეს იმ საზოგადოებაში, რომელიც ნამდვილი კაცებისა და ქალებისაგან შედგება!

მტერმა კარგად იცის, რომ ჩვენს ზნეობრივ მრწამსს ისე ვერ დაანგრევს, თუ ტრადიციული სარწმუნოება არ მოგვიშალა. ჩვენი ზნეობრივი მრწამსი 17 საუკუნეა მართლმადიდებლობას ეფუძნება. ჩვენ ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობთ და თუ არ ვცხროვრობთ, ჩვენი ცხოვრების წესი და შინაარსი მაინც მართლმადიდებლობით არის განსაზღვრული. აი, სწორედ მართლმადიდებლობას ებრძვიან ჩვენი მტრები ასე გააფთრებით (სხვათა შორის, ასე იქცეოდნენ 20-იანი წლების ბოლშევიკებიც!). ეს ლიბერალისტები ერთგულად ასრულებენ ზბიგნევ ბჟეზინსკის მითითებას — მართლმადიდებლობა ჩვენი (ე. ი. სატანის მიმდევრების!) მტერიაო.

სამწუხაროდ, დალესისა და ბჟეზინსკის მიმდევრები ჩვენშიც საკმაოდ აღმოჩნდნენ, რომლებმაც ოკეანისგაღმელი „მეგობრების“ საამებლად არაერთგზის აღმართეს ხელი ჩვენს სიწმინდეებზე.

ასე რომ, წინაპართაგან ნანდერძევი მესამე საუნჯეც ხელყოფილია!

ასე ჩუმად თუ ვიქნებით, ერთ დღეს გავიღვიძებთ და... ფა-ფუ საქართველო თავისი წარსულითა და მომავლით!

გვინდა ასეთი ხვალე?

ღმერთო დაგვიფარე!



თემურ არგოლიშვილი

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების ზოგადი ანალიზი

იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივი მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ დევნილებთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯები ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საზოგადოების მაღალი ინტერესის საგანს. წლების განმავლობაში დევნილობასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი არაერთი ნორმატიული აქტის არსებობის მიუხედავად, კვლავაც სახეზეა ის ხარვეზები, რაც ხელს უშლის დევნილების პრობლემების გადაჭრის პროცესს. ეს ზოგჯერ არსებული კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციით, ხოლო ზოგ შემთხვევაში არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზით ან ხელისუფლების წარმომადგენელთა დაუდევრობით არის განპირობებული. ვფიქრობთ, მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ გაანალიზებაზე, რაც მომავალში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში დღეისათვის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად დევნილი დაახლოებით 247 000 პირი ცხოვრობს, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს პირველ ეტაპზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დატოვა 130 000-მა პირმა, რომელთა დიდმა ნაწილმა მოგვიანებით შეძლო მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, ხოლო დაახლოებით 26 000-მდე პირი კვლავაც დევნილობაში იმყოფება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის სტრატეგია ორ მთავარ მიზანს დაეფუძნა:

♦ პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის;

♦ დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა.

დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში გამოვლენილი პრობლემებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა

უკავშირდება დევნილის სტატუსის მინიჭებას. სუბიექტთა წრის მიხედვით, სტატუსის მინიჭების პრობლემა პირობითად შესაძლებელია რამდენიმე კატეგორიად დაიყოს:

♦ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებლის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხა (10 000 აშშ დოლარი) აირჩიეს;

♦ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული პირები;

♦ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს სახელმწიფომ განსახლების სხვადასხვა ფორმა შესთავაზა:

♦ სახელმწიფოს მიერ ახლად რეაბილიტირებული, აშენებული ან შესყიდული საცხოვრებელი ფართი;

♦ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართების სანაცვლო საკომპენსაციო თანხა (10 000 აშშ დოლ-არი).

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისათვის აშენდა 3963 კოტეჯი, შესყიდულ იქნა 453 სახლი და რეაბილიტაცია გაუკეთდა 1500 ბინას. ჯამში განხორციელდა 5753 ოჯახის (18 866 პირი) განსახლება. იმ პირებს, რომლებიც აღნიშნული ფორმით იქნენ განსახლებულნი, სამინისტრომ ძირითადად მიანიჭა დევნილის სტატუსი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ჯგუფს, რომლებმაც განსახლების ალტერნატიული საშუალება — 10 000 დოლარიანი კომპენსაციის მიღება აირჩიეს, დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა შეექმნათ. საკომპენსაციო თანხის მიღებამდე მათი დროებითი განსახლება განხორციელდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა შენობაში. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილის სტატუსის მინიჭებაზე ზეპირი ფორმით უარი უთხრა იმ დრომდე, სანამ მათი საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილება არ მოხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში აღნიშნული საკითხი ნათლად არის მოწესრიგებული, სამინისტრომ სტატუსის მინიჭება საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილებას დაუკავშირა, რითაც ხელოვნურად შეაფერხა სტატუსის მინიჭების პროცესი. საბოლოოდ, ამან დაამძიმა თვეების და წლების განმავლობაში საკომპენსაციო თანხის და დევნილის სტატუსის მოლოდინში მყოფი პირების სოციალური მდგომარეობა. აღნიშნულ პერიოდში მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო დევნილის ყოველთვიური შემწეობა, რადგან მისი გაცემა ხორციელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც დევნილის სტატუსი აქვთ მინიჭებული. დევნილის სტატუსის მინიჭების პრობლემა კვლავაც აქტუალურია. დღეისათვის 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ დაახლოებით 4 500-ზე მეტი პირი ისევ დევნილის სტა-

ტუსის მინიჭების მოლოდინშია.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუწიათ არა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც დღეისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ, არამედ კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებსაც (მაგალითად, ზარდიაანთკარის, გუგუტიანთკარის, ზემო ნიქოზის, ქვეშის, ხურვალეთის და სხვა სოფლების მოსახლეობას). კონფლიქტის დროს აღნიშნული ტერიტორიებიდან წამოსული მოსახლეობა დღემდე ვერ უბრუნდება მუდმივ საცხოვრებელს და მათი დიდი ნაწილი შიდა ქართლში არსებულ სხვადასხვა ბაგაბაღში ცხოვრობს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს დღემდე არ აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული პოზიცია. დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ვერ იძლევა მტკიცე გარანტიას, რომ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების შემთხვევაში, კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული პირების სიცოცხლე, უსაფრთხოება, თავისუფლება და ჯანმრთელობა დაცული იქნება, ამიტომ, სწორედ დევნილის სტატუსის მინიჭება შეიძლება გახდეს იძულებითი დაბრუნებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალება.

ჩვენი აზრით, ზემოთაღწერილი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, რომ ყველა იმ პირს, რომლებიც კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილდნენ სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლებისათვის საფრთხის შემცველი პირობების არსებობის გამო და ვერ ბრუნდებიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, უნდა მიენიჭოს დევნილის სტატუსი.

ხელისუფლების მხრიდან სერიოზული პრობლემაა შექმნილი ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა კომპენსაციების გაცემა და ოჯახების ხელოვნურად გაერთიანება. საკომპენსაციო თანხის გაცემის საკითხს არეგულირებს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებები, რომელთა თანახმად, საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება აქვთ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ იმ ოჯახებს, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე. საყურადღებოა, რომ არაერთ ოჯახს, რომელსაც კანონმდებლობა კომპენსაციით დაკმაყოფილების უფლებას აძლევს, საკომპენსაციო თანხები დღემდე არ მიუღია. ამიტომ ზემოხსენებული რეგულაციების მიუხედავად, კომპენსაციის გაცემის პროცესი დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. საკომპენსაციო თანხების გაცემის პროცესში გამოვლენილ იქნა შემდეგი პრობლემები:

♦ საკითხის მომწესრიგებელი განკარგულებების ბუნდოვანი შინაარსი

(არ არის განმარტებული ოჯახის ცნება, რაც ხშირად ოჯახის ხელოვნური გაერთიანების საფუძველი ხდება. არ არის მკვეთრად გაწერილი პროცედურები, რომლის დაცვითაც უნდა მოხდეს საკომპენსაციო თანხების გაცემა);

♦ ე.წ. საკომლო წიგნების არარსებობა (ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობების განმარტებით, ომის დროს განადგურდა საკომლო წიგნები), რაც ართულებს ოჯახის შესახებ მონაცემების დადგენას;

♦ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ გაცემული ცნობების არასანდოობა (ხშირად მათ მიერ გაცემული ცნობები არ შეესაბამება რეალობას და მათ მიერვე გაცემულ სხვა ცნობებს ეწინააღმდეგება).

აღნიშნული მიზეზების გამო, სამინისტრომ, არაერთ შემთხვევაში, წლების წინ ცალკე კომლებად (ოჯახებად) რეგისტრირებულ და-ძმებს, მშობლებსა და შვილებს ერთ ოჯახად გაერთიანება და ერთი საკომპენსაციო თანხის აღება შესთავაზა. დევნილთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი დათანხმდა სამინისტროს შეთავაზებას, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებმაც ხელოვნურად გაერთიანებაზე უარი განაცხადეს, საკომპენსაციო თანხა დღემდე არ მიუღიათ. ოჯახების ხელოვნური გაერთიანების შემთხვევა მოხდა ქალაქ თბილისში სასტუმრო "აფხაზეთიდან" 2011 წლის აგვისტოში დევნილთა ძალისმიერი გამოსახლების დროსაც. ამ პროცესში სასტუმროდან გამოყრილი პრაქტიკულად ყველა ოჯახი დაზარალდა.

არის შემთხვევები, როდესაც სამინისტრომ კონკრეტულ ოჯახებს გადაურიცხა კუთვნილი საკომპენსაციო თანხები, თუმცა, მოგვიანებით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გადარიცხული თანხები უკან დაიბრუნა.

ჩვენი აზრით, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია, რომ ყველა იმ ოჯახს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ან სასტუმროებიდან გამოსახლების მომენტში ცალკე ოჯახად (კომლად) ცხოვრობდა და უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, უნდა მიეცეს საკომპენსაციო თანხა, ხოლო ვისაც იძულებით ააღებინეს, საჭიროა ჩატარდეს ძიება და ყველა დევნილს ადეკვატური კომპენსაცია მიეცეს.

ზემოთ უკვე მოვიყვანეთ შემთხვევა, რომელიც სასტუმრო "აფხაზეთს" უკავშირდებოდა. ახლა შეგვიძლია განვავრცოთ აღნიშნული საკითხი.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა დევნილთა ძალისმიერი გამოსახლების პროცესი. გამოსახლება განხორციელდა როგორც ე.წ. დროებითი თავშესაფრებიდან, ასევე, კომპაქტური განსახლების ობიექტიდან. „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

♦ დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;

♦ გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

♦ ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და საერთო წესით რეგულირდება;

♦ დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

გამოსახლების კანონიერების შესაფასებლად, აუცილებელია იმის განსაზღვრა, კომპაქტური განსახლების ობიექტიდან გამოსახლებულ დევნილებს გადაეცათ თუ არა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც არ გაუარესდა მათი საყოფაცხოვრებო პირობები. ვინაიდან კანონი არ აკონკრეტებს, რა შეიძლება ჩაითვალოს პირობების გაუარესებად, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შესწავლას და შეფასებას მოითხოვს. თუმცა, საცხოვრებლის ადეკვატურობის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის „დევნილთა ხანგრძლივვადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები." ეს დოკუმენტი შეიმუშავა იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭომ, ხოლო შემდგომ იგი განხილული და მოწონე-ბული იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის №35 სხდომაზე.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, დევნილთა ახალი ნაკადის თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით, თბილისსა და რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში განხორციელდა იძულებით გადაადგილებული პირების შესახლება. მოგვიანებით, დევნილთა იმ ნაწილმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ახლად რეაბილიტირებულ, აშენებულ ან შესყიდულ საცხოვრებელში განსახლების წინადადება მიიღო, დატოვა დროებით გამოყოფილი ფართი და გადავიდა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებელში (კოტეჯები, კორპუსის ტიპის საცხოვრებლები). ხოლო დევნილთა ის ჯგუფი, რომელთაც სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საცხოვრებლის სანაცვლო კომპენსაციის მიღება ირჩიეს, კვლავაც აგრძელებდნენ აღნიშნულ შენობებში ცხოვრებას საკომპენსაციო თანხების მიღებამდე. საბოლოოდ, ე.წ. დროებით თავშესაფრებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები პირობითად შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

♦ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული

პირები (ე.წ. „ახალი დევნილები“), რომლებმაც უარი განაცხადეს ახლად აშენებულ, რეაბილიტირებულსა და შეძენილ ფართებში გადასვლაზე და ელოდნენ საკომპენსაციო თანხის (10 000 აშშ დოლარი) მიღებას;

♦ 1989-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ ე.წ. კერძო სექტორში (სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში) და წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ნათესავებთან ან ქირით;

♦ 1989-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში;

♦ 1989-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც სამოქმედო გეგმის ამოქმედებამდე დაკმაყოფილდნენ (ინვესტორების მიერ) კომპენსაციით, თუმცა, მიღებული თანხის სიმცირის ან სხვა მიზეზით ვერ შეძლეს საცხოვრებელი ფართების შეძენა.

ყველა ზემოთ დასახელებული კატეგორიის დევნილების გამოსახლების პროცესი ქ. თბილისში 2010 წლის ივლისიდან დაიწყო და 2011 წლის ბოლომდე გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოსახლების პირველი (2010 წლის ივლისი-აგვისტო) და მეორე ტალღა (2010 წლის ნოემბერი — 2011 წლის სექტემბერი) განსხვავებული ფორმით წარიმართა, დაფიქსირდა იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დარღვევის ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა ორივე შემთხვევაში. უშუალოდ გამოსახლების პროცესის განხილვამდე, მნიშვნელოვანია იმ შენობების სტატუსის შეფასება, საიდანაც გამოსახლება განხორციელდა.

გამოსახლების დროს დაფიქსირებული მთავარი პრობლემები გამოსახლებული დევნილების ძირითადი ნაწილის თავშესაფრის გარეშე დარჩენას, საკომპენსაციო თანხების გაუცემლობას, გამოსახლებულ დევნილთა ნაწილისათვის რეგიონებში შეთავაზებულ საცხოვრებელ ადგილებში არასათანადო პირობების არსებობას უკავშირდება. მაგალითად, ერთ-ერთი ადგილი, სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოსახლებულ დევნილებს საცხოვრებელი ფართები შესთავაზა, იყო წალენჯიხის რაიონის სოფელი ფოცხოეწერი. აღნიშნული შეთავაზება ბევრი დევნილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. დევნილთა დიდი უმრავლესობა არ დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას ფოცხოეწერში გადასვლასთან დაკავშირებით. ფოცხოეწერში ჩასახლებული დევნილები აღნიშნავენ, რომ ჩასახლების შემდგომ არაერთმა ოჯახმა ფაქტობრივად დატოვა ფოცხოეწერი და საცხოვრებლად კვლავ თბილისში დაბრუნდა. მათივე თქმით, ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი გახდა. ადგილზე არ არსებობს დასაქმების შესაძლებლობა, ასევე, განსახლებული დევნილებისათვის არ არის ხელმისაწვდომი მი-

წის ნაკვეთები. პრობლემებია სამედიცინო მომსახურების და განათლების კუთხითაც. როგორც დევნილები აღნიშნავენ, ფოცხოეწერში არსებული სკოლა არ არის სრულად რეაბილიტირებული. ამიტომ ბავშვები იძულებულნი არიან, განათლება სხვა სოფლების საჯარო სკოლებში მიიღონ, რომელიც 5 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული მათ საცხოვრებელთან. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ადგილზე არსებული ამბულატორია, სათანადო აღჭურვის და პირველადი სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო საშუალებების არარსებობის გამო, ვერ ახდენს იქ მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას. რაც შეეხება უშუალოდ საცხოვრებელ შენობას, დროთა განმავლობაში გამოვლინდა არაერთი ხარვეზი, რაც, სავარაუდოდ, მისი არასრულყოფილი რეაბილიტაციით არის გამოწვეული.

პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია:

♦ დევნილების გამოსახლება არ უნდა განხორციელდეს იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მათი უზრუნველყოფა სათანადო საცხოვრებლით. საცხოვრებლის შეთავაზება უნდა მოხდეს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით; კომპენსაცია უნდა იყოს ადეკვატური;

♦ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „დევნილთა ხანგრძლივვადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტებს“, და, რაც მთავარია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავად დევნილთა ინტერესები.

დევნილებისათვის კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური (სოციალური) დახმარება. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში მინიმალური სამომხმარებლო კალათა 150 ლარს შეადგენს, დევნილობის დახმარება სულ რაღაც 28 ლარია. სხვათა შორის, არაერთი ადამიანი, მხოლოდ ამ შემწეობის იმედადაა დარჩენილი. ეს პრაქტიკულად დევნილების შიმშილობისათვის გაწირვის ტოლფასია. ურთულესი მდგომარეობაა ჯანდაცვის მხრივაც. სახელმწიფო დაზღვევას მხოლოდ ერთეულ ოჯახებს აძლევს. ფაქტია, რომ დევნილთა უმრავლესობას ესაჭიროება სახელმწიფო მხარდაჭერა ამ მიმართულებით, თუმცა ეს საოცნებოდ იქცა. სოციალურ პრობლემებს უნდა დავუმატოთ ქვეყანაში არაადექვატურად გაზრდილი კომუნალური და სწავლის გადასახადები. „ვარდების რევოლუციამდელი“ პერიოდისაგან განსხვავებით, დევნილებს არც აქ აქვთ შეღავათი მცირე და უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა.

პრობლემის მოსაგვარებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას დევნილთა სტატუსზე მიმაგრებული ერთიანი სახელმწიფო სოციალური მხარდაჭერის პაკეტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაძლო და აუცილებელი შეაღავათი, რომელიც დევნილთა ყოფას შეამსუბ-

უქებს და მათი სტატუსი მხოლოდ ერთი ფარატინა სარეგისტრაციო ქაღალდი არ იქნება.

ძალზე მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღების მიქცევა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საჭირო საარსებო წყაროებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად მათი განთავსების ან დაბრუნების ადგილებზე. ამის გარეშე დევნილთა დიდი უმრავლესობისათვის სახელმწიფოს მიერ მიცემული შემწეობები კვლავ შემოსავლის ძირითადი წყარო იქნება.

საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ დევნილთა მშობლიურ საცხოვრებლებში დაბრუნების პროცესზე. იძულებით გადაადგილებული პირები დაბრუნდნენ აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე. ცხინვალის რეგიონში დაბრუნებულ დევნილთა შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ამ ტერიტორიაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა აქვთ. აფხაზეთში და საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დაბრუნებული დევნილები მრავალ დაბრკოლებას ხვდებიან: კვლავ არ არის უზრუნველყოფილი მათი უსაფრთხოება; საცხოვრებელი არ არის ადეკვატური; რთულია სამუშაოს შოვნა, არ აქვთ სათანადო ხელმისაწვდომობა საარსებო წყაროებზე; განათლების პროცესი ძალიან ცუდადაა ორგანიზებული. იძულებით გადაადგილებულ პირთა მცირე რაოდენობა კვლავ აგრძელებს დაბრუნებას.

დაბოლოს. დასაქმება. დევნილთა დასაქმების შესახებ ინფორმაცია მწირია. 2009 წლისთვის საგანგებოდ აშენებულ დასახლებებში დაბინავებულ დევნილთა დიდი უმრავლესობა უმუშევარი იყო და დიდი ჯაფის გაწევა უხდებოდათ იმისათვის, რომ საარსებო საშუალება მიეღოთ თავიანთი მიწის ნაკვეთებიდან. დასახლებები ძირითადად მოშორებითაა განლაგებული და იქ რაიმე სახის საარსებო წყაროების შექმნის შესაძლებლობები არ არსებობს. ხელმისაწვდომობა აქვთ მხოლოდ ოჯახის გამოკვებისთვის საკმარისი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაზე. ომამდე დევნილთა უმეტესობა გლეხობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის გადაცემული მიწის ნაკვეთი ზოგიერთ მათგანს ოჯახის გამოკვების საშუალებას აძლევდა, ეს ნაკვეთები როგორც წესი, არც დიდი იყო და არც საკმარისად ნაყოფიერი იმისათვის, რომ მისგან მათ რაიმე შემოსავალი მიეღოთ. აქედან გამომდინარე, ახალ დასახლებებში განთავსებულ დევნილ ოჯახთა უმეტესობისათვის სახელმწიფოსგან მიღებული შემწეობა შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დღემდე არაერთი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი, რაც დიდ ძალისხმევასა და აქტიურ მუშაობას მოითხოვს. ცხადია, დევნილთა რაოდენობა პრობლემათა სწრაფი გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ სწორად გაწერილი და კარგად გააზრებული პოლიტიკის საფუძველზე შესაძლებელია პრობლემების გადაწყვეტა წარმატებით განხორციელდეს. ამისათვის კი უმნიშვნელოვანესია ხელისუფლების მხრიდან პრობლემების ადეკვატური შეფასება და დევნილთა უფლებების მაქსიმალური გათვალისწინება.

შენიშვნა. მასალის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევები.

ზურაბ ჯორბენაძე

სასამართლოს რეფორმა
და მართლმსაჯულების პრობლემები

ვისაც დღევანდელ საქართველოში სამართალდამცავ და სასამართლო სისტემასთან რაიმე შეხება ჰქონია, ალბათ დამეთანხმება, რომ დღეს საქართველოში მოქმედ მართლმსაჯულების სისტემას რეალურად აქვს პრობლემები და ეს პრობლემები სხვადასხვა სახისაა. თუ ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004-2005 წლებში „საზღვარგარეთული“ საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საქართველოში ჩატარებულ რეფორმებს მიიჩნევდნენ პროგრესულად და დემოკრატიულად, დღეს უკვე „საზღვარგარეთული“ ორგანიზაციებიც ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ქართულ მართლმსაჯულებას უკვე არა აქვს ისეთი მაღალი ნდობა, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ.

საქართველოში მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები უკვე აშკარად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, თუ რასთან გვაქვს საქმე და რა მდგომარეობაა შექმნილი საქართველოში. მოდით თანმიმდევრობით გავადევნოთ თვალი 1998-1999 წლებიდან, ანუ სასამართლო რეფორმის დაწყებიდან დღემდე, რა მივიღეთ რეალურად რეფორმის შემდეგ და არის თუ არა დღევანდელი ქართული სასამართლო დამოუკიდებელი?!

1998 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ შიგნით გაჩენილმა ახალგაზრდა რეფორმატორთა შტომ დაიწყო ე.წ. სასამართლო რეფორმა, რასაც თავის მხრივ სათავეში ჩაუდგა აწ გარდაცვლილი ზ. ჟვანია, ნინო ბურჯანაძე და შემდგომში იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი. ამ რეფორმას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მ. სააკაშვილი, ზ. ადეიშვილი და შემოდგომში იუსტიციის საბჭოს ყოფილი მდივანი დ. მუმლაძე. მაშინ ჩატარებული რეფორმა შემოიფარგლა იმით, რომ სასამართლოში მოქმედი მოსამართლეები დაითხოვეს და მათ ადგილას დანიშნეს 1998-1999 წლებში იუსტიციის საბჭოს მიერ ჩატარებული გამოცდაჩაბარებული იურისტები. მოსამართლეთა კადრების ცვლა მოხდა ქართული პრინციპით, ანუ მოსამართლეთა თანამ-

დებობებზე დაინიშნენ იუსტიციის საბჭოს წევრთა გამოცდაჩაბარებული კურსელები და მეგობრები, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მეგობრები. რამაც მაშინ შექმნა პირველი საფეხური იმისა, რომ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში არმყოფ „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ მისცა საშუალება ერთგვარად ეკონტროლებინათ მათივე დანიშნული მოსამართლეები. დღეს მოქმედი იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი და დღეს მოქმედი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, (რომელიც ამავე დროს არის იუსტიციის საბჭოს მდივანი, ხოლო უზენაესი სასმართლოს თავმჯდომარე არის იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე) იმ დროისთვის ღიად არ ჩანდნენ და თავიანთ ინტერესებს ფარულად ატარებდნენ, რომლის საბოლოო მიზანი იყო ტოტალური კონტროლი სასამართლოს სისტემაზე. მაშინ სასამართლოში მოქმედი მოსამართლეები კორუმპირებულობის მიზეზით გაათავისუფლეს და ახლად დანიშნულ მოსამართლეებს იმ დროისთვის წარმოუდგენლად მაღალი ხელფასები დაუნიშნეს, რაც რეფორმამდელი მოსამართლის ხელფასზე ათჯერ მეტი იყო. ამ ფაქტმა ახალდანიშნული მოსამართლეები თავიანთ დამნიშვნელზე დამოკიდებულები გახადა. ამ რეფორმის პარალელურად იმ დროისთვის იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის საბჭომ და მათთან დაახლოებულმა წრეებმა შექმნეს არასამთავრობო ორგანიზაციები და საადვოკატო და საკონსულტაციო ბიუროები, რაც ერთგვარ ბიზნესად იქცა. მათ კარგად იცოდნენ, რომ მათივე დანიშნული მოსამართლეები საქმეებს მათ სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ, რაც გახდა კიდეც ახალი ფორმის კორუფციის წყარო. თუმცა ახალდანიშნულ მოსამართლეებს გამოცდა ჰქონდათ ჩაბარებული, მაგრამ არ გამოირჩეოდნენ მაინცდამაინც დიდი კომპეტენტურობით, რადგან ზოგიერთი მათგანი განჩინებას და დადგენილებას ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდა და ვერ წერდა.

ახლა ერთი წუთით საკადრო პოლიტიკა გვერდზე გადავდოთ და თვალი გადავავლოთ საკანონმდებლო ბაზას. მაშინ, თუ კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ მოქმედებდა ცოტათი შესწორებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სისხლის სამართლის მატერიალური კოდექსი, რომელიც ასევე შესწორებული ვარიანტი იყო და ჯერ კიდევ გავდა ს.ს.რ.კ-ის დროინდელ კოდექსს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მაშინ ახლად იდგამდა ფეხს. ხოლო სამოქალაქო კოდექსის მატერიალური ნაწილი გერმანული სამართლიდან იქნა გადმოქართულებული. ის კარგად გადმოწერეს აწ განსვენებული დიდი ქართველი იურისტის, პროფესორ სერგო ჯორბენაძის მიერ გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნილმა ლადო ჭანტურიამ, თედო ნინიძემ და ჯონი ხეცურიანმა. ეს გადმოწერილი სამოქალაქო კოდექსი, მართალია, უფრო პროგრესული

იყო ვიდრე მანამდე მოქმედი საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი, მაგრამ არაფრით არ მოერგო ქართულ რეალობას. ამიტომაც, მიუხედავად მას შემდეგ გასული თხუთმეტი წლისა (სამოქალაქო კოდექსი მივიღეთ 1997 წელს), მოქალაქეთა და იურისტთა დიდი ნაწილისათვისაც დღესაც პრაქტიკულად გამოუსადეგარი და გაუგებარია.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კუთხით, რომელიც შეიძლება შედარებით პროგრესულად ჩაითვალოს, მაგრამ 2009-2011 წლებში შეტანილმა ცვლილებებმა სააპელაციო სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს პრაქტიკულად წაართვა თავისი ძირითადი, საქმის განხილვის ფუნქცია — და სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო პალატას და უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას უფლება მისცა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთპიროვნულად უთხრას უარი აპელანტ და კასატორ მხარეს საქმის განხილვაზე. ამ უფლებას დაერქვა დასაშვებობის პრინციპი, რაც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უარი თქვა საქმის მინიმუმ ორ ინსტანციაში განხილვის ვალდებულებაზე რაც კონსტიტუციით ჰქონდა გარანტირებული. ხელისუფლების მიერ ეს ცვლილება წარმატებულად იქნა გამოყენებული არასასურველი მომჩივანი მხარეების მოსაცილებლად და შესაძლებელი გახდა კერძო საკუთრების წარმართვა ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეებისა და ბიზნესმენებისათვის. ვინაიდან ხელისუფლებას უკვე გარანტირებული აქვს, რომ მის მორჩილებაში მყოფი სასამართლო სისტემა ადვილად შეძლებს უარი უთხრას არასასურველ მომჩივან მხარეს, რომელიც ხელისუფლების მხრიდან დატერორებული და ქონებაწართმეულია.

დავუბრუნდეთ ახლა პირველთქმულს და გავადევნოთ თვალი სასამართლო რეფორმის მიმდინარეობას 2001-2003 წლებში და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. 2001-2003 წლებში სასამართლო რეფორმა გაგრძელდა იმით, რომ გარდა კადრების ცვლილებისა, ანუ მათთვის არასასურველი მოსამართლეების მათთვის სასურველი კადრებით შეცვლისა, თბილისში მოქმედი ათი რაიონული სასამართლო გაერთიანდა ჯერ ხუთ სასამართლოდ, სადაც თავმჯდომარეებად დაინიშნენ მათთან დაახლოებული პირები, ხოლო შემდეგ ეს ათი სასამართლო გაერთიანდა ერთ საქალაქო სასამართლოდ. რამაც საშუალება მისცა „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ უფრო ქმედითი და ტოტალური კონტროლი დაენერგათ სასამართლოში. ასევე თბილისის მაგალითზე შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში თბილისის საოლქო სასამართლო და დასავლეთ საქართველოში ქუთაისის საოლქო სასამართლო, რამაც „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ საშუალება მისცათ გაეფართოვებინათ სასამართლოზე კონტროლის არეალი, რაც დღეს მოქმედი ტოტალური კონტროლისთვის მეორე საფეხური იყო.

უკვე იმ დროისათვის ხელისუფლებაში მყოფი „რეფორმატორები“ გაეთიშნენ გამზრდელ პარტიას, „მოქალაქეთა კავშირს“ და ხალხის მასების უკმაყოფილების ფონზე ადვილად მოახერხეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება. რაც ძირითადად განპირობებული იყო არამარტო სოციალური ფონით, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვაზე აპელირებით. დღევანდელმა მდგომარეობამ ნათლად გამოაჩინა, რომ „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ რეალურ მიზანს ადამიანის უფლებების დაცვა კი არა, არამედ ხელისუფლებაში მოსვლა და არასასურველ მოწინააღმდეგეთა ტოტალური კონტროლი წარმოადგენდა.

დღეს დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, თუ როგორ მოახერხა დღეს მოქმედმა ხელისუფლებამ დემოკრატიულობის საფარით ქვეყნის შიგნით ტოტალური კონტროლის დამყარება. ჩემი აზრით, ეს მიღწეულ იქნა სასამართლო სისტემაზე ტოტალური კონტროლის დამყარებით, რამაც დღეს მოქმედ ხელისუფლებას მისცა საშუალება ლეგიტიმაცია მიენიჭებინა ნებისმიერი ნაბიჯისთვის, რაც მათი გუნდისათვის იყო მისაღები.

პირველ ყოვლისა, 2003 წლის ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ძალებმა გადაწყვიტეს, ხელში ჩაეგდოთ ქვეყანაში მოქმედი ყველა ბიზნესი და გაეკონტროლებინათ ყველა სფერო. მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო მასობრივი დაპატიმრებები კორუმპირებულობის მოტივით, ამას მოჰყვა უფრო მასობრივი დაპატიმრებები, რომელიც გათვლილი იყო ხალხის დაშინებაზე. ამ ყველაფრისთვის საჭირი იყო სამართლებრივი ფორმის მიცემა, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა სასამართლოს უნდა ეთქვა. აქ უკვე დაიწყო სისტემური ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე. პირველ ყოვლისა, სამართლებრივი სისტემა შეიცვალა, რაც გამოიხატება იმით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით პროკურატურა გათავისუფლდა სასამართლოს კონტროლისაგან. ამავე დროს ცვლილება შევიდა „აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ“ კანონში და კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ პროკურატურა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო. ამ ცვლილებით, მაშინ მოქმედმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა, ხოლო შემდეგ მისმა შემცვლელმა ზ. ადეიშვილმა მიიღო განუსაზღვრელი ძალაუფლება სასამართლო სისტემის გაკონტროლებისა. ამ კუთხით შემდეგი ნაბიჯი იყო 2005-2006 წლებში სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში და ადმინისტრაციულ სამართალში განხორციელებული ცვლილებები, რაც გამოიხატება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში შეტანილი ცვლილებებით. კერძოდ, შემოღებულ იქნა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი; პარალელურად სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში გამკაცრდა სასჯელები, გაიზარდა სასჯელთა

ქვედა ზღვარი და მაქსიმალურად გაიზარდა სასჯელთა ზედა ზღვარი. ამ ცვლილებების გვირგვინი იყო პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ „ნულოვან ტოლერანტობაზე“ მორგებული ცვლილებები, რამაც მაქსიმალურად გაზარდა სასჯელები. კერძოდ, 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით, მთლიანად შეიცვალა სასჯელთა შეკრების წესი და დამკვიდრდა სასჯელთა მთლიანად შეკრება როგორც დანაშაულთა ერთობლიობის, ისე სასჯელთა შეკრებისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. ამ ცვლილებამ გამოიწვია წვრილმანი და საშუალო სიმძიმის დანაშაულებისათვის სასჯელთა ტოტალური გაზრდა.

რეალურად ამ ცვლილებათა შედეგად მივიღეთ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის, სოციალურ ფონზე ჩადენილი წვრილმანი დანაშაულებისათვის დიდი სასჯელებით დაშინების და დაუმორჩილებელი ნაწილის ციხეებში გამოკეტვის შესაძლებლობა. ეს ისევ და ისევ მიმართული იყო ოპოზიციურად მოაზროვნე საზოგადოების დაშინების და არასასურველი მოწინააღმდეგეების განეიტრალებისა და ფიზიკურად განადგურებისთვის.

დღეს მოქმედ ხელისუფლებას 2004-2005 წლებში უკვე დაჭერილი ჰყავდა მისთვის არასასურველი მოწინააღმდეგეები. იმ დროს დაიწყო ბიზნესების წართმევისა და გაკოტრების პროცესი, რასაც ასევე სჭირდებოდა სამართლებლივი შენიღბვა და კანონიერი სახის მიცემა. ამის უზრუნველსაყოფად სისხლის სამართალში შეტანილი ცვლილებებით კრიმინალიზებულ იქნა ისეთი მატერიალური სახის საკითხები, რასაც შედეგად სისხლის სამართლის კოდექსში ბევრი ისეთი ეკონომიკური დანაშაულის გაჩენა მოჰყვა, რომელმაც ხელისუფლებას საშუალება მისცა დაჭერილი, მისთვის არასასურველი ბიზნესმენისათვის წაერთმია ბიზნესი, ფული და ქონება. სანამ ამას საკანონმდებლო სახეს მისცემდნენ, 2004-2006 წლებში ფინანსური დანაშაულების კრიმინალიზაცია ხდებოდა წმინდა რეკეტის პრინციპით, რაც ნიშნავდა იმას, რომ არასასურველ ბიზნესმენებს ან ხელისუფლების მოწინააღმდეგე მოქალაქეებს დაჭერის შიშით ართმევდნენ ფულს, ქონებას და ბიზნესს. კარგად გახსოვთ, ალბათ, 2005-2007 წლებში მოქალაქეებს და ბიზნესმენებს როგორ უჩნდებოდათ სურვილი ღამის 12 საათზე ეჩუქებინათ სახელმწიფოსთვის თავიანთი ქონება და ბიზნესი. ასევე მოქმედ პრაქტიკოს იურისტებს კარგად გეხსომებათ გაურკვეველი ფონდები, რომელთა ანგარიშებზეც ირიცხებოდა ასეთი რეკეტის გზით მოპოვებული მილიონობით თანხები, ამ თანხების ასავალ-დასავალი დღესაც უცნობია საზოგადოებისათვის.

უკვე საზოგადოების ფართო მასებისათვის ნათელი გახდა, რომ დემოკრატიულობის შირმით ქვეყანაში მკვიდრდებოდა ტოტალური ტერორი და განსხვავებულად მოაზროვნე მოქალაქენი ქვეყნის მტრად, კონკრეტულად, რუსეთის აგენტებად ცხადდებოდნენ. ამ შემთხვევაშიც საჭირო გახდა სრული კონტროლის დამყარება სასამართლო სისტემაზე, რაც, პირველ ყოვლისა, განხორციელდა პროკურატურის სისტემაში საკადრო ცვლილებებით, კერძოდ, პროკურატურიდან კორუმპირებულობის მოტივით ეტაპობრივად დაითხოვეს გამოცდილი და პროფესიონალი კადრები; მათ ადგილას დანიშნეს ახალგაზრდები, რომლებიც, მართალია, კვალიფიციურობით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ გამოირჩევიან მორჩილებითა და ყოველგვარ დავალებათა უსიტყვო შესრულებით.

სასამართლო სისტემაში ასევე განხორციელდა უპრეცედენტო ცენტრალიზაცია, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, სასამართლოების გამსხვილებით და, მეორე მხრივ, მოსამართლეთა არასასურველი ნაწილის მასობრივი დათხოვნით, რომელთა ადგილებზეც დანიშნეს უკვე მოქმედ სისტემაში მომუშავე ყოფილი ახალგაზრდა პროკურორები და მოქმედ მოსამართლეთა თანაშემწეები, რომლებიც არჩეულ იქნენ უსიტყვო მორჩილების პრინციპით, მაგრამ მოქმედმა ხელისუფლებამ ესეც აღარ იკმარა და სასამართლოს სისტემაში დააამკვიდრა გაურკვეველი და არავინ იცის საიდან მოტანილი ე.წ. „გაიდლაინების” სისტემა. რაც პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ პროკურატურამ სასამართლოს პირდაპირ განუსაზღვრა, თუ კონკრეტულად რა გადაწყვეტილება ან განაჩენი უნდა გამოიტანოს. ამ სისტემამ პრაქტიკულად უსარგებლო გახადა სასამართლოს მუშაობის ეფექტურობა და უკანა პლანზე გადასწია სასამართლოს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, რადგან მოქმედი „გაიდლაინებით“ ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა უნდა გააკეთოს მოსამართლემ, რაც რეალურად ნიშნავს იმას, რომ მოქმედ მოსამართლეს წართმეული აქვს უფლება, თავისი შინაგანი რწმენით გამოიტანოს განაჩენი, თუ გადაწყვეტილება. ეს რეალურად ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და იქცა ტექნიკურ სამსახურად, რომელიც უსიტყვოდ აკანონებს პროკურატურის ნებისმიერ მოთხოვნას.

2008-2009 წლებში სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალურ ნაწილში შეტანილი ცვლილებებით, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება მიეცა, აღარ განეხილა საჩივრები და პირდაპირ თავისი შეხედულებებისამებრ, დასაშვებობის მოტივით, ეთქვა უარი აპელანტისა და კასატორისთვის საქმის განხილვაზე, რაც რეალურად ეხმარება სასამართლოს, მოიცილოს ხელისუფლებისათვის არასასურველი მომჩივანი მხარე და უარი უთხრას მას საქმის განხილვაზე, მიუხედავად იმისა, დასაბუთებულია თუ არა ეს უარი.

ასევე არ შეიძლება არ შევეხო იმ გარემოებას, რომ დღევანდელ სისხლის სამართალში პრაქტიკულად უგულებელყოფილია მტკიცებულებების

მოპოვების, გამაგრების, შესახებობის და დასაშვებობის პრინციპი და მოქმედი სასამართლოები კონვეიერული წესით აკანონებენ პროკურატურის მიერ მოთხოვნილ ყველა საგამოძიებო მოქმედებას.

ასევე საგულისხმოა, რომ ამ ფონზე მხოლოდ ფიქტიური დანიშნულება დარჩა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან სისხლის სამართალში საქმეთა 90 პროცენტი მთავრდება საპროცესო შეთანხმებით, ანუ პროკურატურის გამარჯვებით და დღეს მოქმედი საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი პრაქტიკულად იქცა ბიუჯეტის შევსების წყაროდ. ამ მოდელს არაფერი აქვს საერთო დასავლეთის ქვეყნებში უკვე აპრობირებულ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან. ჩვენში იგი იქცა თავისუფლების, ან ნაკლები სასჯელის ყიდვის საშუალებად.

ჩემი აზრით, დღეს საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო ცივილიზებულ სამართალთან და იგი უფრო აზიურ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს.

ასეთმა მიდგომამ პრაქტიკულად უფუნქციო გახადა ადამიანის უფლებათა დამცველების, ადვოკატების საქმიანობა და მათი სამართლიანი უკმაყოფილების ჩასახშობად ხელისუფლებამ ამა თუ იმ მიზეზით დაიწყო ადვოკატების მასობრივი დევნა-დაპატიმრება. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ შექმნა კონტროლირებადი ადვოკატების ინსტიტუტი, რომლებიც სხვადასხვა პროექტის სახით დაფინანსდა ხელისუფლების მხრიდან. ამ გზით ხელისუფლებამ გზიდან ჩამოიშორა დამოუკიდებელი ადვოკატების დიდი ჯგუფი და ამ მხრივაც სრულ კონტროლს მიაღწია.

ადმინისტრაციული სამართლის კუთხით ხელისუფლებამ მოახერხა და კანონმდებლობის სისტემური ცვლილებებით, ერთი მხრივ, მაქსიმალურად გაზარდა ადმინისტრაციული ჯარიმების რაოდენობა და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად გაზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა, რამაც ისევ და ისევ ტოტალური კონტროლის დასამყარებლად დიდი როლი ითამაშა.

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვით არ შევეხო ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების დროს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ დაყადაღებებს და კოლოსალურ ჯარიმებს, რაც ხორციელდება ხელისუფლების ერთი შტოს, კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის (ყოფილი კონტროლის პალატის) სამსახურის მიერ, რაც ჩემი აზრით მეტი არაფერია, თუ არა პოლიტიკური ოპონენტების დევნა და მათი პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლა. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი როლი სასამართლომ ითამაშა, რადგან სასამართლომ ყველა შემთხვევაში უპირობოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე დააკანონა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყველა მოთხოვნა.

ამდენად, ნათელია, რომ 1998 წელს „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ მიერ დაწყებული და დღემდე მიმდინარე „სასამართლო რეფორმა“ მეტი არაფერია, თუ არა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ყოველგვარი უკანონობის დაკანონება და ლეგიტიმაცია. ბუნებრივია, ამ პროცესს არაფერი აქვს საერთო დემოკრატიულობასა და კანონის უზენაესობასთან.

ჩემი მსჯელობის დასადასტურებლად მოვიშველიებ ოფიციალურ სტატისტიკას. მაგალითად, 2010-2011 წლებში საქართველოს ყველა სასამართლოში განხილულ იქნა დაახლოებით 140 00 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგანაც 12 000-ზე მეტი დამთავრდა საპროცესო შეთანხმებით ანუ პროკურატურის გამარჯვებით და მხოლოდ 46 შემთხვევაში გამოიტანა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი.

ასევე, სტატისტიკის მიხედვით, ადმინისტრაციულ საქმეებში ჯარიმების და ადმინისტრაციული პატიმრობის ნაწილში, სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნათა 95%, ანუ გადაწყვეტილება მიიღო სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ამ ყველაფრის ფონზე დღეისათვის ქვეყანაში გვყავს 24 000-მდე პატიმარი, 300 000-ზე მეტი გასამართლებული და პრობაციონერი.

ამ ციფრებს თუ შევუსაბამებთ მოსახლეობის სრულწლოვანი ნაწილის რაოდენობას, მივიღებთ ასეთ სურათს: რომ დღეს საქართველოში ყოველი მესამე მოქალაქე ნასამართლევია; სამწუხაროდ, თითქმის არ არსებობს ოჯახი, რომლის ერთი წევრი მაინც არ იყოს გასამართლებული ან ადმინისტრაციულად დასჯილი.

დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომინდვია, მკითხველო.



მამუკა ცუხიშვილი

ხელისუფლების 10 უდიდესი დანაშაული

წინამდებარე წერილის მიზანი არის ქართველ ერს შევახსენოთ ის 10 დანაშაული, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ გზით გაპრეზიდენტებულმა მიხეილ სააკაშვილმა, მისმა გუნდმა და რეჟიმმა ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის, ერის, ეკლესიისა და მომავლის წინაშე.

I. 2004-2008 წლებში ყოვლად გაუმართლებელი იყო საბრძოლო მოქმედებების წამოწყება ცხინვალის რეგიონსა და კოდორის ხეობაში; მეტადრე 2008 წელს, როცა მოუმზადებელი, გაუწვრთნელი და პირტიტველა ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საჯარისო ნაწილები (შენაერთები), ასევე ყოველგვარი გეგმის, შესაბამისი კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გარეშე, ნაუცბათევად გადასროლილი და შეყვანილი იქნა კონფლიქტის ზონაში, რამაც გამოიწვია მეზობელი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან საპასუხო რეაქცია.

ცხინვალსა და კოდორში წარმოებულ საომარ მოქმედებებს შეეწირა ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. გადაიწვა, განადგურდა და აოხრდა სოფლები; დევნილად იქცა ათასობით ადამიანი; ამ ბრძოლების დროს გახსნილი იარა დღემდე მოგვყვება.

ამ დანაშაულს ჰქვია საკუთარი დაუდევარი და გულგრილი დამოკიდებულება ქვეყნის ტერიტორიებისა და მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვისადმი.

II. საქართველოს ეკლესიას ჰყავს თავისი ღირსებებით მსოფლიოში აღიარებული მწყემსმთავარი, ამის მიუხედავად ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მ. სააკაშვილი და მისი მთავრობა ღიად და დაუფარავად უპირისპირდებიან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს. 2004 წლიდან არაერთმა ფაქტმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ხელისუფლებას არა აქვს ის დამოკიდებულება, რომელიც იმგვარ ხელისუფლებას მოეთხოვება, რომელიც პატივს სცემს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიისა და ტრადიციული აღმსარებლობისადმი.

გლდანის ეკლესიის დარბევა; აჭარაში, ფერიას მთაზე ტაძრის საძირკველისა და აშენებული კედლების დანგრევა; ახლახან, ეკლესიასთან შეუ-

თანხმებლად ბაგრატის ტაძრის განახლების პროექტში ცვლილებების შეტანა და მისი ამ სახით რესტავრაცია; წმიდა სინოდის, როგორც ეკლესიის უმაღლესი მმართველი ორგანოს საქმეებში ჩარევა და სხვ. მრ. მიუთითებს იმაზე, რომ ეს გუნდი ეწევა ანტიმართლმადიდებლურ კამპანიას.

2011 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო სრულიად გაუმართლებელი დოკუმენტი, რომლის თანახმად საქართველოში არსებული ყველა კონფესია მართლმადიდებლურ სარწმუნოებას უნდა გათანაბრებოდა, რასაც მოჰყვა სასულიერო პირებისა და მრევლის მხრიდან სამართლიანი აღშფოთება, შედეგმაც თითქოს არ დააყოვნა, პარლამენტმა გამოსცა კანონის განმარტება, რომელმაც შეანელა მღელვარება, მაგრამ ფარულად დღემდე მიმდინარეობს ისეთი პოლიტიკური პროცესები, რომელიც ეტაპობრივად ძირს უთხრის ჩვენს ეკლესიას...

III. უსამართლობა ხელისუფლებაში მყოფი გუნდის უმთავრეს თვისებად იქცა. ყველა სახელისუფლებო რგოლი ქვეყანაში ამკვიდრებს შიშს, გაუტანლობას, ორგულობას; თითქმის ყველა პარლამენტარი, მინისტრი, რაიონისა თუ ქალაქის მმართველი არის უსამართლობის მთესველი. საჯარო სამსახურის ყველა მოხელე ცხოვრობს საკუთარ თავზე მორგებული კანონითა და სამართლით. სასამართლო, პროკურატურა, შსს სტრუქტურები, საბაჟო, საგადასახადო და საშემოსავლო სამსახურები ყვლეფენ ხალხს და საკუთარ ბედნიერებას სხვათა უბედურებაზე აგებენ. უსამართლობის მსხვერპლია ყველა რიგითი ადამიანი, მეტადრე ქართველი, რომელიც ცხოვრობს ლიმიტირებულ ვითარებაში. „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ — ამ პრინციპით 2004 წლიდან დღემდე მოქმედებს სააკაშვილი და მისი გარემოცვა, რომლებმაც მიტინგებზე და პირდაპირ ქუჩებში მრავალი ადამიანის სისხლი დაღვარეს; დაუსჯელია დამკვეთები და შემსრულებლები. ეს დაკანონებული უსამართლობა დღემდე გრძელდება.

IV. ხელისუფლების იდეოლოგიით, 2004 წლის არჩევნებამდე თურმე საქართველო არ არსებობდა როგორც სახელმწიფო და მხოლოდ მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო აღმშენებლობა. არადა, სწორედ ამ პერიოდიდან საქართველო განიცდის მუდმივ რეგრესს, ფეხქვეშ ითელება ეროვნული ღირებულებები.

ა) გეგმაზომიერად ხორციელდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ჩანაცვლება ინგლისური ენით. მაშინ, როცა მოსაზღვრე რაიონებში თურქულს (აჭარა), სომხურს (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა) და აზერბაიჯანულს (ქვემო ქართლი და კახეთის ნაწილი) არაოფიციალურად სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს. ბ) განათლების „რეფორმას“ პრაქტიკულად ყველა საფეხურზე მოჰყვა ნეგატიური შედეგი. გ) სკოლები დაემსგავსა შსს ქვეგანყოფილებებს, სადაც მანდატური ასრულებს პატრულის ფუნქციას, ხოლო მასწავლებელი უფუნქციო

იარაღად იქცა და მას ლოტოტრინით შერჩეული დირექტორი მართავს. ამ სკოლებში ყველაფერი ისწავლება ჰუმანურობისა და ქართული ენის გარდა. დ) თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი პოლიტიზებულია. სტუდენტები გადიან ისეთ პროგრამებს, რომელთა მიხედვითად საფუძვლიანი ცოდნის მიღება გამორიცხულია. ე) აღარ არსებობს ქართული სამეცნიერო სკოლა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. გაუქმდა ან ახალ რელსებზე გადავიდა ინსტიტუტები, კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები, შესაბამისად მათ განაგებენ პირები, რომლებიც ე. წ. უცხოური განათლებით იწონებენ თავს. ვ) დაანგრიეს და გაანადგურეს ქართული თეატრი, კინო, ხელოვნების დარგები, ისინი ეტაპობრივად განიდევნენ ქართული სინამდვილიდან და მიემართებიან აბსურდისაკენ, რისი ნათელი გამოვლინებაცაა უნიჭო სპექტაკლები, სერიალები, ხელოვნების უგვანო „შედევრები“. ზ) ტელევიზიების მუშაობას კონტროლს უწევს მთავრობა. ამ მხრივ მეტად სამარცხვინო ვითარებაშია „რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „აჭარა“. თ) ბეჭდური მედია პრაქტიკულად გაუკუღმართებულია. უსამართლობის, უხამსობისა და უვიცობის „ბუმს“ დაუსადგურებია შემოქმედებით კოლექტივებში. ი) ეროვნული და სექსუალური უმცირესობების ინტერესების დაცვა გადაიქცა ხელისუფლებაში მყოფი „ერთიანი გუნდის“ ევროპულ თუ ამერიკულ სავიზიტო ბარათად. ამ ქვეყანაში პატიოსნება, ღირსება, ვაჟკაცობა, ერთგულება, სიკეთე, სიყვარული, რწმენა დანაშაულია მაშინ, როცა ამ ე. წ. უმცირესობათა თვითნებობა და უზნეობა ლამის სახოტბო ობიექტად იქცა.

ამ დანაშაულს მოკლედ ჰქვია: ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სულიერი გენოციდი.

V. მოქალაქეთათვის სოციალური, განსაკუთრებით კი, სამედიცინო თვალსაზრისით პრობლემების შექმნა ამ ხელისუფლების პრიორიტეტად გადაიქცა.

ა) სადღეისოდ საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია ერთ მილიონამდე ღარიბი, საიდანაც 70% იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ანუ ღატაკია. სახელმწიფომ აღიარა თავისი უდიდესი შეცდომა და ამ რაოდენობის ადამიანი დაარეგისტრირა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ეროვნულ ბაზაში. ამგვარი ოჯახის უფროსს 30, ხოლო ყველა დანარჩენ წევრს 24 ლარი განუსაზღვრა შემწეობად, მოხელის ხელფასთან შედარებით ასჯერ ნაკლები! ბ) ამ კატეგორიისა და საპენსიო ასაკის ადამიანებისათვის დაწესებულია ე. წ. ჯანდაცვის პოლისი, რომელიც არის ერთი ფერადი ფარატინა ფურცელი, რომლის მფლობელი იმთავითვე განწირულია სასიკვდილოდ (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა). ამ პოლისით ადამიანი ვერ გამოიკვლევს სიცოცხლისათვის საშიშ

დაავადებებს და ვერ იმკურნალებს, რადგან პოლისის მოქმედების არეალი შეზღუდულია. გ) სამედიცინო მომსახურება ზოგ კლინიკაში თითქმის უტოლდება ევროპულს, მაგრამ იქ გაჭირვებული ადამიანი ვერ მიიღებს სათანადო დახმარებას, ვინაიდან ტარიფები ხელოვნურად „გაბერილია“, რაც ასევე აისახება მედიკამენტებზეც. წამალზე ხელმისაწვდომობა უდიდესი პრობლემაა სოციალურად დაბალ ფენაზე მყოფი ადამიანებისათვის. ეს კი იწვევს ასიათასობით დაავადებული თანამემამულის გაჩენას. დ) უცხოური კვებისა და საყოფაცხოვრებო პროდუქტები მიზნობრივად ემსახურება ქართველი ხალხის გენოფონდის მოსპობას. საზღვარგარეთიდან შემოდინებული უხარისხო და მდარე პროდუქტი იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა: ავთვისებიანი წარმონაქმნები, ათეროსკლეროზი, ლიპიდური პროფილისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის მოშლა, ხელს უწყობს უშვილობას, იმპოტენციას, ალერგიას, დერმატოლოგიური, უროლოგიური, ნეფროლოგიური, რევმატიული და ოფთალმოლოგიური დაავადებების განვითარებას, „გაახალგაზრდავდა“ I და II ტიპის შაქრიანი დიაბეტი, ენდოკრინული, მეტადრე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ნერვოლოგიური და ფსიქიური აშლილობანი. ე) სოციალური და კომუნალური გადასახადები უმძიმეს ტვირთად აწევს მოსახლეობას. გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე გამდიდრებული ფენა ამას ვერ გრძნობს, ხოლო ღარიბ-ღატაკთათვის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების, სახლის ტელეფონის, ლიფტის მოსაკრებელ-გადასახადი ლამის შემოსავლის ნახევარს უტოლდება. გაორმაგებულია ასევე ადგილობრივი და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა, შეზღუდულია თავად იაფი ტრანსპორტის რაოდენობაც. გამოზამთრება და მზიანი ამინდებისათვის ცარიელი ჯიბით დახვედრა გაჭირვებულთათვის დღესასწაულია.

ამას ხალხის ფიზიკური გენოციდი ჰქვია.

VI. იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილები), ემიგრანტების, ეკომიგრანტებისა და უმუშევრების მზარდი რაოდენობა საქართველოს ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება.

ა) იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა 2004 წლიდან. 1992-93 წლების მოვლენების დროს დაიწყო დევნილებთა პირველი ნაკადის გადინება კონფლიქტური ზონებიდან; შემდგომ ხანებში კი მათი მდგომარეობის გაუმჯობესება ქვეყნის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა. დევნილი მოსახლეობა იმედის თვალით უცქერდა „რევოლუციის“ გზით ხელისუფლებაში მოსულ პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის გუნდს, მაგრამ უიმედობამ და ნიჰილიზმმა უმალვე იჩინა თავი; 2004 წლიდან კიდევ ათასობით ადამიანი იქცა დევნილად საკუთარ სამშობლოში. მათ მიზერული შემწეობებით, გაუსაძლის საცხოვრებელსა და სასიცოცხლო პირობებში უხდებათ თავის გატანა,

15-20 წლის განმავლობაში დამკვიდრებული ადგილებიდან მეორედ განდევნით მათ მიმართ სრული გულგრილობა და უპასუხისმგებლობა გამოამჟღავნა ამ რეჟიმმა. 2008 წლის ომის დროს გაჩენილი დევნილები ჩაასახლეს მიწური ტიპის „სახლებში“, სადაც ხშირია ეპიდაფეთქებანი, ვრცელდება ძვალსახსროვანი, რევმატოდული და ნერვული დაავადებები. ბ) საქართველოს შრომისუნარიანი ახალგაზრდების უცხოეთში გაგზავნა ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ნიშნითა და საბაბით ერთი გამოუსწორებელი დანაშაულია ამ მთავრობისა. იქიდან დაბრუნებული ადამიანების უმეტესობა ან ჯანგატეხილია, ან კიდევ სულგაყიდული. გ) უცხოელების საქართველოში შემოსვლა ყოველგვარი შემოწმების, კონტროლისა და ნებართვის გარეშე ხელს უწყობს ეროვნული ფასეულობების, ღირებულებებისა და ტრადიციების გაქრობას. ისინი, ვითომც ტურისტები და საქმიანი ადამიანები, აქ მკვიდრდებიან და მათ თარეშსა და აღვირახსნილობას საზღვარი არ აქვს, რაც ნეგატიურად აისახება ახალგაზრდების შინაგან სამყაროზე. დ) ეკომიგრანტები ახალი ტერმინია და იგი მოიცავს ეკოლოგიური და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიგრაციაში მყოფი ადამიანების ერთიანობას. მათ მიმართ ხელისუფლების „სულ ერთია“ დამოკიდებულების შედეგად დაცარიელებული მამულები და წინაპართა ხავსმოდებული სახლები მრავლდება.

VII. ქალაქი და სოფელი განუყრელი ცნებებია, მაგრამ ამ ხელისუფლებამ იმდენი გააკეთა, რომ მთელი ქვეყანა თითქმის მთლიანად ქალაქში გადმოასახლა და სოფელს ფუნქცია დაუკარგა.

ა) დაცლილი სოფლების, დაკეტილი სახლების, თაღებჩამოშლილი კერების გამრავლება, გლეხკაცის ბარაქიანი ბეღლისა და მარნის შეურაცხყოფა ამ ხელისუფლების „წარმატებული პროექტის“ ერთ-ერთი ნაყოფია. უგზოობამ, უსამართლობამ, უექიმობამ, უწამლობამ და სიცრუემ დაისადგურა სოფლად. ჯანგატეხილი გლეხკაცი მარტო ვერ უმკლავდება დარდს, სოციალურ და ეკონომიკურ სიდუხჭირეს. ბ) განსაკუთრებით უმძიმეს მდგომარეობაშია მაღალმთიანი სოფლები, სადაც ზამთარი 7-9 თვე გრძელდება და, შესაბამისად, მეტად მძიმეა სოციალური პირობები, სადაც პრაქტიკულად ხალხი ებრძვის სიკვდილს და გამოზამთრება მისთვის დღესასწაულია. გ) სოფლის მეურნეობის გაქრობა და მიწასთან გასწორება, ახალი ტექნიკის შემოტანა სათავისოდ და არა საგლეხოდ, ჰიბრიდული ჯიშის სიმინდისა და ხორბლის დანერგვა, უვარგისი შხამქიმიკატებისა და საწვავის არსებობა, უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი და უფუნქციო სტრუქტურები უმძიმეს ტვირთად დააწვა გლეხს და ამის გამოა, რომ ეროვნული პროდუქციაც გადაგვარდა და გადაჯიშდა. დ) თბილისში წამოწყებული და ნაუცბათევად დასრულებული პროექტები არანაირ ნორმებსა და სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. თბილისი მტვრის

ბუდედ იქცა. რკინებსა და მინებში ჩასმული შენობები ქართველი კაცის გემოვნებისათვის შეუსაბამოა. თბილისი გადაიქცა სავაჭრო ცენტრების, სასტუმროების, კაზინოების, გასართობი ცენტრების, ბარების, რესტორნებისა და სტრიპტიზ-კლუბების ქალაქად. გადათხრილი ქუჩები, საარჩევნოდ გადაღებილი ინტერიერები და ამბიციური განცხადებები ამ გუნდის „გამარჯვების“ სიმბოლოებია. ისინი გადაღებილი და აჭრელებული ძირძველი უბნებით და „გაბრჭყვიალებული“ შენობებით იწონებენ თავს, სინამდვილეში კი სახეს უკარგავენ ბათუმს, ქუთაისსა და სიღნაღს... ე) აღარ ჩანს ინტელიგენცია, ელიტარული საზოგადოება და ნაკითხი თაობა, ყველა და ყველაფერი „თბილისურმა ბომონდმა“ შთანთქა.

VIII. ამ ხელისუფლებამ დაანგრია ის ეკონომიკა, რომელიც 1960-80-იან წლებში შეიქმნა, მართალია, 1990-იანი წლების მოვლენებმა ქვეყნის ეკონომიკა ლამის მიწასთან გაასწორა, მაგრამ მისი აღორძინება ნაცმოძრაობის სათავეში მოსვლამდე უკვე დაწყებული იყო.

ა) უცხოელ ინვესტორებზე გაიყიდა, გასხვისდა, ან სულაც გაიძარცვა და დაინგრა რუსთავის „მეტალურგიული“ და „აზოტის“ ქარხნები, თბილისის ჩარხმშენებელი, ვაგონშემკეთებელი, ელმავალმშენებელი და ლითონდამამუშავებელი ქარხნები, კასპის ცემენტის ქარხანა, გორის საკონსერვო ქარხანა, აგარის შაქრის საწარმოო კომბინატი, საჩხერის ქვიშის საბადო, ჭიათურის მარგანეცის საწარმოო გაერთიანება, ზესტაფონის „ფერო“, ქუთაისის ავტოქარხანა, ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატი, სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატი, ფოთისა და ბათუმის პორტები, ზაჰესი, რიონჰესი, ენგურჰესი, საქგვირაბმშენი, ოქროს, მარმარილოს, ტუფის საბადოები, აღარ იწარმოება ადგილობრივი დარიშხანი; თითქმის აღარ არსებობს ყურძნის მიმღები პუნქტები, სასურსათო და სამეურნეო კომბინატები, სამაგიეროდ უცხოური პროდუქტითა და „ბრენდებით“ სავსეა ბაზრები და მაღაზიები, რომელთაც ჩაენაცვლა ჰიპერ და სუპერმარკეტები. ბ) გაიყიდა მიწები, ტყეები, კურორტები, წყლები, მდინარეები, ტბები, სახნავ-სათიბ-საძოვრები, ე. წ. პრესტიჟული სააგარაკე და ისტორიული მამულები, მუზეუმები, მღვიმეები, მთები, გორაკები და ა. შ. გ) პრეზიდენტი უმეტესად ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს, ქვეყანაში შემოჰყავს უცხოელი ბიზნესმენები და ამით ე. წ. ინვესტიციების მოზიდვას ახორციელებს, რაც მილიარდობით ვალს ნიშნავს და უძმიმეს ტვირთად დააწვება მომავალ თაობას. ეს თანხები უმისამართოდ, უაზროდ და მხოლოდ ერთი კაცის ინტერესების მიხედვით იხარჯება. ვალები კი ორმაგდება და მისი გადახდა უფრო დიდ უბედურებამდე მიგვიყვანს. დ) ბანკები, საინვესტიციო ორგანიზაციები და საშუამავლო ფირმები ხალხს „ატყავებენ“, არასწორი ფინანსური და იურიდიული კონსულტაციებით მოტყუებული ადამიანები უბინაოდ და თავშესაფრის გარეშე რჩებიან.

ქვეყანა მეკახშეობისა და ფასდაკლებების მსხვერპლია. ე) ამ ქვეყანაში უგულვებელყოფილია ღირსეული მეცენატ-ბიზნესმენები, დაყადაღებულია მათი ქონება, ან უმეტეს შემთხვევაში ის მიემართება ხელისუფლების სასარგებლოდ. თუ რამ გაკეთდა ამ 8-9 წლის განმავლობაში კარგი და საინტერესო, ისიც ქველმოქმედების ნაყოფია.

IX. აშშ-თან, ევროპასა და მეზობელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობანი ხელისუფლების „შავი ხვრელებია“.

ა) ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა და ურთიერთობა უკვე ჩვენი ერის საზიანო მიმართულება მიიღო, რასაც ადასტურებს ერაყსა და ავღანეთში დაღვრილი სისხლი, ხოლო საქართველოში უზნეობისა და „მაკდონალდიზაციის“ იმპორტი. ბ) მეტი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს ევროსტრუქტურების მიმართაც, რომელნიც, როგორც ჩანს, არც ისეთი ობიექტური დამცველები არიან სამართლიანობისა, როგორც აქამდე წარმოგვედგინა. გ) დიპლომატიური კორპუსი დაკომპლექტებულია გაუნათლებელი ანტიქართველებით, რომლებიც უცხოეთში აკეთებენ ასევე ანტიეროვნულ საქმეს, ლუკმა-ლუკმა იყიდება საქართველო და ეს ხდება ელჩებისა და კონსულების ხელშეწყობით. დ) რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა მკვთრად დაიძაბა სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლით, რამაც მიგვიყვანა კიდეც უკიდურეს ვითარებამდე. გაწყვეტილი კავშირ-ურთიერთობები მკვეთრად აისახება ჩვენს მომავალსა და ეროვნულ მენტალიტეტზე. რუსეთთან დაუყოვნებლივ უნდა დაბალანსდეს ვითარება ისე, რომ აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ერთმანეთის შიდასაქმეებში ჩარევის გარეშე.

X. მ. სააკაშვილის, მთელი მთავრობისა და პარლამენტის ქმედებათა შედეგი ასეთია: გაყიდული, გასხვისებული და გაძარცვულია საქართველო; გაერთიანების ნაცვლად ოკუპირებულია მიწები; ქართველი ხალხი დაქსაქსულია ლუკმა-პურის საშოვნელად; დანერგილია შიში, უსამართლობა, იუმედობა, უსიყვარულობა და ურწმუნოება; კრიმინალებისგან „განთავისუფლდა“ ქვეყანა, სამაგიეროდ, მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები იქცნენ მძარცველებად და ყაჩაღებად; ქუჩებში და მიტინგებზე დაღუპულია ადამიანები; ჩამოშლილ-ჩამონგრეულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმტკიცის იდეური სვეტები; წაბილწულია წინაპართა ხსოვნა; ბუნდოვანია მომავალი; დამკვიდრებულია ტერორი, შანტაჟი, დასმენა, დაბეზღება; ღარიბი და ღატაკი საქართველოს სინონიმად იქცა...

დაცლილია სოფელი, დაკეტილია გლეხკაცის სახლის კარი, ხავსმოდებულია ღობე-ყორე, დაუმუშავებელ-მოუსავლიანია ბაღ-ვენახები, ერის შრომისუნარიანი თაობა გაქცეულია საზღვრებს გარეთ; უმუშევრობა და უსაქმურობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ასიათასობით დევნილი, ლტოლვილი, ემიგრანტი საქართველოს ისტორიის შავი ლაქა და სირცხვილია; დანგრეულია ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, საწარმოო-დაწესებულებები; ქვეყანა ვალით და გადაუხდელი ინვესტიციებით არსებობს; უმადურობა, სხვათა სიკეთის არ დანახვა, დატყვევებული ბიზნესები და ფინანსები, ეროვნული სულის ჩაკვლა, მართლმადიდებლობის შევიწროვება, ეკლესიაში დაპირისპირების შეტანა და სხვ. მრ. ამ ხელისუფლების კისერზეა.

დღეს, ისე როგორც არასდროს, გვმართებს სარწმუნოების ერთგულება, გონიერება, ვაჟკაცობა და რწმენა მომავლისა, გვმართებს თანადგომა და ურთიერთგატანა, რათა საკუთარი თავიც ვიხსნათ და ქვეყანაც ამ გაუსაძლისი მდგომარეობიდან და მივცეთ შანსი შედარებით ყველაზე გულწრფელად და ობიექტურად მოაზროვნე კოალიციას, მოვიდეს ხელისუფლებაში და იტვირთოს საქართველოს გადარჩენის მისია!

შევთხოვოთ კაცთმოყვარე ღმერთს, გაგვინათოს გონება.



გრანი ქავთარია

რომის იმპერიის დემონები

კალიგულა

რომის მსოფლიო სახელმწიფოში მმართველობის იმპერიულ სისტემას საფუძველი იულიუს-კლავდიუსების დინასტიამ ჩაუყარა. დინასტიის ფუძემდებლები — გაიუს იულიუს ცეზარი და გაიუს ოქტავიანე (იმპერატორი ცეზარი), უნივერსალური პოლიტიკური მოღვაწეები, კაშკაშა ფერებით ანათებენ ანტიკური სამყაროს უკიდეგანო სივრცეს. გენიალურმა ცეზარმა და მისმა მემკვიდრე-შვილობილმა, რომელმაც მამობილის გვარ-სახელი და კოგნომენი მიიღო, რომაული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური აზროვნება თვალუწვდენელ სიმაღლეზე აიყვანეს. მოკლე ხანში ისტორიის ბორბალი უკუღმა დატრიალდა. მომდევნო იმპერატორებმა არა მარტო სიმაღლე ვერ შეინარჩუნეს, არამედ სიბნელის უფსკრულში ჩაეშვნენ და თავიანთი საქმიანობით სტიქიურ უბედურებას გაუტოლდნენ. თუ იულიუს ცეზარი და ცეზარ ავგუსტუსი ზეკაცების სახელით დამკვიდრდნენ რომის ისტორიაში (რომის ისტორია არ უნდა წარმოვიდგინოთ მარტოოდენ დღევანდელ იტალიურ სახელმწიფოდ, იგი მოიცავდა იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს უმეტეს ნაწილს), მათი მემკვიდრეები უკონკურენტოდ ატარებენ არაადამიანურობის, ამორალობისა და უზნეობის გვირგვინს.

დინასტიის ბნელი სახეებიც ცეზარებად იწოდებოდნენ: ტიბერიუსი — ცეზარ ავგუსტუსი, კალიგულა — გაიუს ცეზარი, ნერონი — ცეზარ ავგუსტუს გერმანიკუსი.

რომში კოგნომენი ქალის ხაზით არ გადაეცემოდა. იულიუს ცეზარმა გამონაკლისი დაუშვა, თავისი დის შვილიშვილს, გაიუს ოქტავიანეს, შვილად აყვანის შემდეგ თავისი გვარი და კოგნომენი მისცა.

უფრო რთულადაა მდგომარეობა ოქტავიანე ავგუსტუსის მემკვიდრეებთან დაკავშირებით. ტიბერიუსი, კლავდიუსი და კალიგულა, ავგუსტუსის გერი და გერის შთამომავლები იყვნენ და სხვა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. გამონაკლისი იყო ნერონი. იგი დედის ხაზით იულიუსების შორეულ ნათესავს წარმოადგენდა. ნერონი ოქტავიანე ავგუსტუსის შვილიშვილის შვილი

იყო. ამდენად დინასტიაში იულიუსების გვარის ფიგურირება პირობითია.

ცეზარ ავგუსტუსს კანონიერი მემკვიდრე არ ჰყავდა. მისი შვილიშვილები, ლუციუსი და გაიუსი, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალნენ. ანტიკური ავტორები არ გამორიცხავენ დატრიალებულ ტრაგედიაში იმპერატორის მეუღლის ლივია დრუზილას ბოროტ ხელს, რომელსაც სურდა, ტახტისაკენ მიმავალი გზა თავისი შვილისათვის გაეთავისუფლებინა. 4 წელს ავგუსტუსი იძულებული გახდა, ტიბერიუსი შვილად და მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ტიბერიუს კლავდიუს ნერონს კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. შესანიშნავად ფლობდა ბერძნულს, წერდა ლექსებს ლათინურსა და ბერძნულ ენებზე, კარგად ერკვეოდა სამხედრო ხელოვნებაში, იცნობდა იმპერიის საზღვრებზე განლაგებული ლეგიონების საბრძოლო მდგომარეობას. 14 წელს ტიბერიუსი იმპერატორი გახდა.

ავგუსტუსს ტიბერიუსის პიროვნული თვისებები არ მოსწონდა და თვლიდა, რომ იმპერატორობისათვის იგი შეუფერებელი იყო. ამას ადასტურებს ტიბერიუსის მისამართით წარმოთქმული ავგუსტუსის სიტყვები: „საბრალო რომაელი ხალხი, როგორ ზანტ ყბებში ვარდება“.

დიონ კასიოსის გადმოცემით, ტიბერიუსში არეული იყო კარგი და ცუდი თვისებები. საერთოდ, ცივი, ჩაკეტილი, ორპირი, სასტიკი პიროვნება იყო. სენატისაგან მონურ მორჩილებას მოითხოვდა. ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, ფართო უფლებებით აღჭურვა პრეტორიანული გვარდია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ელიუს სეიანი. ტიბერიუსის დროიდან პრეტორიანული გვარდია, იმპერატორის პირადი დაცვა, ბოროტების სიმბოლო გახდა, რომელმაც იმპერიის დასასრულამდე მრავალი შავი ფურცელი ჩაწერა რომის ისტორიაში.

ტიბერიუსის დროს გახშირდა ლეგიონების აჯანყებები. განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია პანონიასა და გერმანიაში განლაგებული ლეგიონების აჯანყებამ. იმპერატორმა პანონიაში თავისი შვილი დრუზუსი გაგზავნა, გერმანიაში — ძმისწული გერმანიკუსი. ორივე სარდალი რომში გამარჯვებული დაბრუნდა. ტიბერიუსს საგონებელში აგდებდა გერმანიკუსის ავტორიტეტი არმიაში და სასწრაფოდ გაგზავნა აღმოსავლეთში. 19 წელს 34 წლის გერმანიკუსი სირიაში მოულოდნელად გარდაიცვალა (ანტიკური ავტორების ინფორმაციით, იგი მოწამლეს).

რომის საგარეო პოლიტიკას ტიბერიუსის ეპოქაში ცვლილებები არ განუცდია. გრძელდებოდა დაძაბულობა პართიასთან. ყურადღებას იმსახურებს იბერია-რომის კავშირი, რომელიც სომხეთის ტახტზე იბერიის მეფის მითრიდატეს ძის, მითრიდატეს გამეფებით დამთავრდა.

ტიბერიუსი ეჭვიანი იყო. ამ უარყოფით თვისებას სეიანიც უღრმავებდა. ინტრიგებითა და ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილ იმპერატორს მოსვენებას არ აძლევდა შეთქმულების შიში, რომელსაც სეიანიც უამრავი

ცრუ ინფორმაციით უღვივებდა. 27 წელს პრეფექტმა დაარწმუნა ტიბერიუსი, რომ უსაფრთხოების მიზნით უმჯობესი რომის დატოვება და კუნძულ კაპრიზე გადასვლა იქნებოდა. ტიბერიუსს რჩევა მოეწონა, კაპრიზე გადავიდა და ბრძანებებს იქიდან იძლეოდა. სახელმწიფოს ფაქტობრივად სეიანი მართავდა. პრეფექტის განუკითხაობა 31 წელს დამთავრდა, მას ბრალი ღალატში დასდეს და სიკვდილით დასაჯეს.

ტიბერიუსი თანდაყოლილ სისასტიკეს მოჩვენებითი ზომიერებით მალავდა, მაგრამ ამის მიღწევას ბოლომდე ვერ ახერხებდა. იმპერატორი გარშემო მყოფებზე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებდა. ადამიანებთან ურთიერთობაში იყო უხეში, არავის აზრი არ აინტერესებდა, თავის სიტყვას კანონის ძალას ანიჭებდა. არ არის შემთხვევითი რიტორიკის მასწავლებლის თეოდორ გადარელის სიტყვები, რომელმაც ახალგაზრდობაშივე ტიბერიუსს „სისხლით მოზელილი ტალახი“ უწოდა. ასეთი ბუნების ადამიანმა ხელისუფლების სათავეში მოქცევისას საკუთარ თავზე კონტროლი საერთოდ დაკარგა. განსაკუთრებით სეიანის დასჯის შემდეგ გამძვინვარდა. ამასთან დაკავშირებით სვეტონიუსი წერს, როგორც ჩანს, ადამიანთა წამებაში მისი წამქეზებელი სეიანი კი არ იყო, არამედ იგი უბრალოდ ასრულებდა მის სურვილებსო.

გულქვა ტიბერიუსს ერთადერთი შვილის დაღუპვის გამო დიდი მწუხარება არ გამოუხატავს. არ უყვარდა შვილიშვილი ტიბერიუს გემელი. უსასტიკესად მოექცა ძმისწულის, გერმანიკუსის ოჯახის წევრებს. მოხუცებულობის ასაკში ყველა მახლობელი სიცოცხლეს გამოასალმა. მხოლოდ ისინი გადარჩნენ, რომლებსაც სრულფასოვნად არ თვლიდა და მათი სახით საშიშროებას არ გრძნობდა.

ტიბერიუსი უზნეო საქციელით ახალგაზრდობიდანვე იპყრობდა ყურადღებას. იმპერატორი ისეთ ასაკში გახდა, როცა ქალები უკვე აღარ იზიდავდნენ. ამის მიუხედავად, ავხორცული მიდრეკილებანი სულ სხვა გზებით გამოხატა. თავისი საძინებელი უხამსი ნახატებით მორთო. შეკრიბა ამორალური ცხოვრების მიმდევარი ახალგაზრდები და მათი ჯგუფური სქესობრივი კავშირის ყურებით ტკბებოდა. კუნძულ კაპრის მღვიმეებსა და კლდეებს შორის გოგო-ბიჭები ფავნებსა და ნიმფებს ასახიერებდნენ. მათი ცქერით იმპერატორი ჩამქრალ ავხორცულ ჟინს იკმაყოფილებდა. სვეტონიუსს ტიბერიუსის სიბილწესა და მანკიერებაზე საუბარი ცოდვადაც კი მიაჩნდა.

მოხუცი განდეგილი საოცარი კაცთმოძულე გახდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რამდენი სისხლი დაეღვარა. სადამსჯელო აპარატი იმპერატორის უზნეო სიცოცხლის უსაფრთხოებას ემსახურებოდა.

სვეტონიუსის სიტყვებით, ტიბერიუსი კარგი გარეგნობით და ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა. იმდენად ჯანმრთელი იყო, რომ ავად არასდროს გამხდარა და ექიმების დახმარება არ დასჭირვებია. საკმაოდ დიდხანს იცოცხ-

ლა (79 წელი) და თავს ბოლომდე კარგად გრძნობდა. მაგრამ მოულოდნელად ცუდად გახდა და გარდაიცვალა. ანტიკური ავტორების გადმოცემით, ტიბერიუსის სიკვდილის მიზეზი საწამლავი იყო, რომელიც კალიგულამ საჭმელთან ერთად შეაპარა და სამყაროზე გაბოროტებულ მოხუცს ბოლო მოუღო. იმასაც მოგვითხრობენ, რომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლს, ისიც არ დაანებეს, რომ სიცოცხლეს თვითონ გამოსთხოვებოდა, და გონებადაკარგული გაგუდეს. 37 წელს დასრულდა იმპერატორის ოცდასამწლიანი განუკითხავი მმართველობა.

კაცთმოძულე მარტოსული ტიბერიუსი იმპერატორის ტახტზე შეუდარებლად სისხლმოწყურებულმა გაიუს ცეზარმა შეცვალა, რომელიც ისტორიაში კალიგულას სახელითაა ცნობილი.

კალიგულა ტრაგიკული ოჯახის შვილი იყო. მისი მამა, ტიბერიუსის ძმისწული გერმანიკუსი ოქტავიანე ავგუსტუსის ყურადღებით სარგებლობდა. 4 წელს, როდესაც ავგუსტუსმა ტიბერიუსი მემკვიდრედ გამოაცხადა, გერმანიკუსის შვილად აყვანა უბრძანა. გერმანიკუსი განათლებული და მრავალი ღირსებით დაჯილდოებული პიროვნება იყო. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე ბრწყინვალე გამარჯვებები ჰქონდა მოპოვებული და ლეგიონებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გერმანიკუსის წარმატებები ტიბერიუსს აღიზიანებდა, მასში იგი კონკურენტს ხედავდა და ამიტომაც თავის ჯალათებს მოაკვლევინა.

კალიგულას დედა აგრიპინა უფროსი, ოქტავიანე ავგუსტუსის შვილიშვილი, ანტიკურ ავტორებს სამშობლოს სამკაულად და ძველი ზნეობის შეუპოვარ დამცველად ჰყავთ დახატული. კორნელიუს ტაციტუსის სიტყვებით, აგრიპინა ამაყობდა თავისი წარმომავლობით, გამოირჩეოდა გამბედაობით, არ კმაყოფილდებოდა მცირედით, იტაცებდა ვაჟკაცური საქმეები, თავისუფალი იყო ქალური სისუსტეებისაგან, მუდმივად ახლდა მეუღლეს ლაშქრობებში. მტრის პირისპირ რამდენჯერმე გამოავლინა დიდი გამბედაობა და მოხერხებულობა. ლეგიონებში ბევრ სარდალზე მეტი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. გერმანიკუსის დაღუპვის შემდეგ ტიბერიუსმა აგრიპინა უფროსისა და მისი შვილების ბედი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დადო. იმპერატორს აღიზიანებდა აგრიპინას სიამაყე და წინაპრებით თავის მოწონება. იგი ძმისწულის მეუღლისა და მისი შვილების სახით არასასურველ ნათესავებს ხედავდა. მტრობის ცეცხლს აღვივებდა სეიანიც.

აგრიპინა გასაასახლეს და წამებით მოკლეს. მისი უფროსი ვაჟები ნერონ ცეზარი და დრუზუს ცეზარი, სამშობლოს მტრებად შერაცხეს და შიმშილით დახოცეს. ტიბერიუსის რისხვას გადაურჩნენ კალიგულა და მისი დები, რომლებმაც მომდევნო ხანებში მნიშვნელოვნად გადააჭარბეს მანამდე ცნობილ ყველა ბოროტებას და უზნეობას.

გერმანიკუსის შვილებიდან ტიბერიუსმა ერთი გამონაკლისი დაუშვა

(მხედველობაში გვყავს ვაჟები), იგი არ შეხებია კალიგულას. ამ ფაქტს თავისი გამართლება ჰქონდა. ბავშვობიდანვე ეპილეფსიით დაავადებული კალიგულა არანორმალურად ითვლებოდა და მის არსებობას თუ არარსებობას სერიოზულად არავინ უყურებდა. ტიბერიუსიც კალიგულას მხრიდან საშიშროებას ვერ ხედავდა.

კალიგულა დაიბადა 12 წელს. მეტსახელი (კოგნომენი) კალიგულა შეარქვეს ლეგიონერებმა თავიანთი სარდლის პატარა ბიჭს, გამოწყობილს ჩექმებსა და სამხედრო ფორმაში (კალიგულა არის კალიგა-ჩექმის კნინობითი ფორმა).

კალიგულა დამოკლეს მახვილის ქვეშ, მუდმივ შიშში, მედროვეებისა და ორპირ-მლიქვნელთა გარემოცვაში გაიზარდა; სიჭაბუკე ბეწვის ხიდზე გაატარა. ამავე დროს საოცარი სისრულით შეისისხლხორცა ეპოქის ყველა მანკიერება და სიბინძურე. არ გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მაგრამ შესანიშნავად ითვისებდა ყოველივე ცუდს.

31 წელს 19 წლის კალიგულა ტიბერიუსმა კუნძულ კაპრიზე დაიბარა. საეჭვო არ არის, რომ მასაც უფროსი ძმების ბედი ელოდა და თითქმის განწირული იყო, მაგრამ მოხდა საოცრება. ქარაფშუტა კალიგულამ იმპერატორის სადამსჯელო აპარატი გაოგნებული დატოვა. თვალთმაქცურად გააცურა მიჩენილი მსტოვრები, რომლებმაც ერთი უკმაყოფილო სიტყვა ვერ გამოსტყუეს თავისიანების დასჯასთან დაკავშირებით. ისეთი პოზა მიიღო, თითქოს ისინი საერთოდ არ ახსოვდა. გადაიტანა უამრავი დამცირება და შეურაცხყოფა. იდგა უმწეოდ და თავდახრილი მლიქვნელობდა. ამ პერიოდის ქმედებათა გათვალისწინებით, ანტიკურ მწერლობაში მის შესახებ ასეთი შეხედულება შეიქმნა: „არ ყოფილა ქვეყნად მასზე უკეთესი მონა და უარესი ბატონი“.

კალიგულა შესანიშნავად თამაშობდა შეშლილის როლს (თუმცა ამისთვის დიდი შრომა არ სჭირდებოდა). სპეციალურად მიჩენილმა მეთვალყურეებმა ახალგაზრდა მოსულელო კაცში საეჭვო ვერაფერი შეამჩნიეს.

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, ტიბერიუსი დარწმუნდა, რომ მისი ძმისწულის შვილი ნორმალური არ იყო და მისგან არავითარი საფრთხე არ ელოდა და მის დასჯას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ სრული თავისუფლება მიანიჭა. ისიც თავაშვებულ ცხოვრებას შეუდგა, ფართო გასაქანი მისცა თანდაყოლილ მანკიერებებს. დაეხეტებოდა საეჭვო რეპუტაციის სახლებში, ლოთობდა, ჩხუბობდა, დიდ სიამოვნებას გვრიდა ადამიანთა წამებასა და სიკვდილით დასჯაზე დასწრება. ტიბერიუსი მოთმინებით ადევნებდა თვალყურს კალიგულას გასართობ სივრცეს და წინასწარმეტყველებდა, „გაიუსი ცოცხლობს საკუთარი თავისა და ყველას დასაღუპად, მისი სახით რომაელი ხალხისათვის ვკვებავ ექიდნას, და მთელი დედამიწისათვის ფაეტონს“.

თითქოს სულელი კალიგულა საოცრად წინდახედულად მოქმედებდა. ტიბერიუსთან თვალთმაქცობის პარალელურად დაიწყო საიდუმლო

ქსელების ხლართვა. ამ მიზნით დაუახლოვდა პრეტორიანული გვარდიის პრეფექტის, მაკრონის მეუღლეს ენია ნევიას, რომელსაც, როცა იმპერატორი გახდებოდა, ცოლად შერთვას ჰპირდებოდა. ენია ნევიას მეშვეობით მოიპოვა მაკრონის ნდობა. მოხდა ორი ბოროტი ძალის გაერთიანება, რომელთაგან ერთს მდგომარეობის შენარჩუნების სურვილი ამოძრავებდა, მეორეს იმპერატორის გვირგვინი.

გაერთიანება მიმართული იყო მოხუცი განდეგილის წინააღმდეგ, რომელსაც გვერდით ერთი მოკეთეც კი არ ედგა. კალიგულა იმდენად ზუსტად მოქმედებდა, რომ ინტრიგებში გამოწრთობილი კაცისმკვლელი მაკრონიც კი შეცდომაში შეიყვანა და რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა. წყაროებში დაცული ინფორმაციის თანახმად, კალიგულამ და მაკრონმა, ტიბერიუსს ბოლო საწამლავით მოუღეს, იმასაც მოგვითხრობენ, რომ მომაკვდავს სულის ამოსვლაც არ აცალეს და ყელში ხელების წაჭერით დაახრჩვეს.

კალიგულას რომის სენატი არ იცნობდა. მის შესახებ იცოდნენ, რომ იგი იყო პოპულარული პიროვნების გერმანიკუსის შვილი. ყველაფერი გადაწყვიტა პრეტორიანული გვარდიის პრეფექტმა მაკრონმა, რომელმაც მდგომარეობის შენარჩუნების იმედით არმიას კალიგულას იმპერატორად გამოცხადებისაკენ მოუწოდა.

გამოქვეყნდა ტიბერიუსის ანდერძი, რომელიც იუწყებოდა მემკვიდრეებად თანაბარი უფლებებით კალიგულასა და ტიბერიუს გემელის გამოცხადებას. ამავე დროს იმპერატორის ქონების დიდი ნაწილი უნდა გადასცემოდა ჯარისკაცებს, ვესტას ტაძარს და რომის მოქალაქეებს.

კალიგულამ დიდი თავდაჭერილობით დაითანხმა სენატი, რომ ანდერძი გაუქმებულიყო. სანაცვლოდ პირობას დებდა, შვილად აიყვანდა მცირეწლოვან ტიბერიუს გემელს, ტიბერიუსის შვილიშვილს. ანტიკური ავტორები პირდაპირ წერენ, არანორმალურმა კალიგულამ საოცრება მოახდინა. მიზნის მისაღწევად საკმაოდ ლოგიკურად ჩამოაყალიბა მოთხოვნა და ზუსტი ნაბიჯი გადადგა, რამაც სენატის მოწონება დაიმსახურა და იგი პრინცეპსის უფლებებით აღჭურვა.

სენატი აღტაცებით შეხვდა ახალ იმპერატორს. პირველი შთაბეჭდილებით, გულცივი და ულმობელი ტიბერიუსის ნაცვლად მოვიდა ახალგაზრდა, სახელოვანი ოჯახის შვილი. პრინცეპსმა ისეთი დაპირებების კორიანტელი დააყენა, რომ უკეთესს ვერც წარმოიდგენდნენ. განაცხადა, რომ აღადგენდა სახალხო კრების ფუნქციებს. თვალში საცემი იყო პირველი ღონისძიებები: იჩენდა გულუხვობას, აწყობდა მდიდრულ სანახაობებს. აღტაცებულები თავს ბედნიერად თვლიდნენ. მაგრამ ყველაფერი სწრაფად გაქრა, იმედიც ჩაიფერფლა და რომაელებს შერჩათ მტაცებელი, ადამიანის გარეგნობით. დრო დაუდგათ ისეთი, რომ განდეგილი და კაცთმოძულე ტიბერიუსი სანატრელი გაუხდათ. კალიგულას გაგებით, პრინციპატი იყო

აბსოლუტური ძალაუფლება. აღმოსავლურ დესპოტიებშიც კი არ გვხვდება ყოველგვარი ადამიანურობისაგან დაცლილი მონარქი. კალიგულა ესწრაფოდა, რომ ადამიანები პირუტყვებად და პირადი მოხმარების საგნებად ექცია. თავი ღმერთად ჰყავდა წარმოდგენილი და ქვეშევრდომებს დაუწესა, თაყვანი ეცათ მისთვის. ტიბერიუსის დევიზი, „დე ვძულდე, ოღონდ მეთანხმებოდნენ“, კალიგულამ შეაბრუნა და პიროვნება მონას გაუთანაბრა, „დე ვძულდე, ოღონდ ეშინოდეთ“. ეს იყო მისი ძირითადი მიზანი და გარკვეული პერიოდი აღწევდა კიდეც მას.

ტიბერიუსის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მწვერვალზე ასულს დაკარგული ჰქონდა ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის უნარი. სულიერად დამახინჯებული, ეჭვიანი და უზომოდ სასტიკი შეშლილობის ზღვარზე იმყოფებოდა. მისი მემკვიდრე კალიგულა მართლაც არანორმალური იყო. იმპერატორის ავადმყოფურ ბუნებაზე ვრცლად წერდნენ ანტიკური ავტორები (სენეკა, იოსებ ფლავიუსი, კორნელიუს ტაციტუსი, სვეტონიუს ტრანქვილუსი, დიონ კასიოსი).

კალიგულას შესწევდა უნარი, ეთამაშა ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველის როლი; რაც ბნელი მასის სიყვარულს იწვევდა. ერთხელ, როდესაც ავად გახდა, უბრალო ხალხი სასახლესთან ღამეებს ათენებდა. ყველაფერს ხალხის გულის მოსაგებად აკეთებდა, ყოველი ნაბიჯი გარეგნულ ეფექტზე ჰქონდა აგებული. ტიბერიუსის მომხრეთა თვალის ასახვევად, გარდაცვლილი იმპერატორი მწუხარე გამომეტყველებით დაიტირა, სახოტბო სიტყვაც წარმოთქვა და დიდი პატივით დაკრძალა. ხალხში ნდობის მოპოვებას ემსახურებოდა დედისა და ძმების ნეშტთა შეგროვება და რომში გადასვენება. დედის საპატივცემულოდ მოაწყო საცირკო თამაშები. მამის ხსოვნის აღსანიშნავად სექტემბრის თვეს გერმანიკუსი უწოდა. ტიბერიუსის რისხვას გადარჩენილ ნათესავებსაც ყურადღებით ეპყრობოდა (თუმცა მოკლე ხანში ყველაფერი უკუღმა შემოუბრუნდათ). დედისა და ძმების საბრალდებო საქმეებთან არსებული დასმენის დოკუმენტები, ფორუმზე მიიტანა და საჯაროდ დაწვა, თანაც ღმერთები მოიყვანა მოწმეებად, რომ არაფერი წაუკითხავს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დასმენის პერიოდი წარსულს ჩაბარდა. შეიწყალა მსჯავრდადებულები, დააბრუნა გადასახლებულები.

ჩამოთვლილი ქმედებები მხოლოდ ხალხის გულის მოსაგებად გამიზნული თვალთმაქცობა იყო. კალიგულა მჭევრმეტყველების უნარით გამოირჩეოდა. სიტყვის წარმოთქმა ნებისმიერ დროს შეეძლო. განსაკუთრებით ეხერხებოდა ბრალის დადება. გაბრაზებული უკეთესად პოულობდა სიტყვებს და ალაგებდა აზრებს. სიტყვას ყოველთვის მუქარით იწყებდა და მუქარით ამთავრებდა.

მფლანგველმა იმპერატორმა ხელმოჭერილი ტიბერიუსის სიმდიდრე ერთ წელიწადში გაანიავა. დაცარიელებული ხაზინის შესავსებად შემოიღო

ისეთი გადასახადები, რომლის მსგავსიც მანამდე არავის გაგონილიც არ ჰქონდა. რომში რაც იყიდებოდა, საჭმელი თუ ჩასაცმელი, ყველაფერზე გადასახადი დააწესა. ბეგარას იხდიდნენ მტვირთავი მუშები და მეძავებიც კი. იმპერატორის სიხარბე იქამდე მივიდა, რომ პალატინუმზე, მდიდრულ სასახლეში ლუპანარი მოაწყო, რომელშიც გათხოვილი ქალები საკუთარ თავს სთავაზობდნენ სიამეთა მაძიებლებს. სპეციალური მსახურები მკაცრად აღნუსხავდნენ შემოსავალს. ისე გადაგვარდა, რომ როდესაც ქალიშვილი შეეძინა, აღზრდისა და მზითევისათვის შესაწირავი მოითხოვა. სასახლის კარებთან დადგა და გამვლელებისაგან მონეტების შეგროვებას შეუდგა. შემდეგ მათხოვრობით შეგროვებული ოქროს მონეტები ოთახში მიმოაბნია და გახარებული ზედ გორავდა.

კალიგულა უმადურიც იყო. პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი მაკრონი, რომლის დახმარებითაც იმპერატორი გახდა, აიძულა თავი მოეკლა (38 წელს). იმავე წელს სიკვდილით დასაჯა შვილად აყვანილი ტიბერიუს გემელი. ამცირებდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, სენატს. ქედმაღლურად და თვითნებურად ექცეოდა კონსულებს. მასხრად იგდებდა სენატორებს. ერთხელ რამდენიმე სენატორი სიკვდილით დასაჯა, შემდეგ გამოაცხადა — თავი მოიკლესო. ერთ ნადიმზე ხარხარი ატეხა. კონსულებმა ჰკითხეს, რა გაცინებსო, უპასუხა: ის მაცინებს, რომ ჩემი თავის ერთი დაქნევა და თქვენი სიცოცხლე გაქრებაო. სენატისადმი მისი უპატივემულობა იქამდე მივიდა, რომ სურვილიც კი გაუჩნდა თავისი საყვარელი ცხენი ინციტატი (ფეხმარდი) სენატორად დაესვა. ვიდრე ინციტატი სენატორის საჯარძელს დაიკავებდა, იმპერატორმა მარმარილოსა და სპილოს ძვლისაგან თავლა-სასახლე აუგო, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალით. თავლის სიახლოვეს მცხოვრებნი მკაცრად გააფრთხილეს, არ ეხმაურათ და ცხენის სიმშვიდე არ დაერღვიათ. კალიგულა რომ არ მოეკლათ, სენატორი ინციტატი, ალბათ, მართლაც დაიკავებდა თავის „ღირსეულ“ ადგილს რომის სენატში.

კალიგულას გართობა თუ ნადიმი, გარკვეულ წილად სადამსჯელო ღონისძიებაც იყო. მოლხენის პარალელურად ტარდებოდა დაკითხვები, ჯალათები მზად იყვნენ თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად. წყაროებში დაცულია შემზარავი ეპიზოდები, როდესაც მამებს აიძულებდნენ დასწრებოდნენ შვილების სიკვდილით დასჯას. იყო შემთხვევა, მამამ ვერ გაუძლო თავს დატეხილ უბედურებას და კალიგულას სთხოვა, თვალებს დავხუჭავო. იმპერატორმა „მოწყალება“ გაიღო და ბრძანა, ისიც მოეკლათ. ადამიანის არარაობად ქცევას ემსახურებოდა ის რეალობა, როდესაც სიკვდილით დასჯილის მამას სუფრასთან მიიწვევდა და აიძულებდა ემხიარულა. ერთი ბრალდებული (რა თქმა უნდა, უდანაშაულო) მხეცებს მიუგდეს დასაგლეჯად. კაცი ყვიროდა, უდანაშაულო ვარო. კალიგულამ გამოაყვანინა, ენა მოაჭრევინა, ყვირილს რომ არ შეეწუხებინა და კვლავ

იმავე სატანჯველს დაუბრუნა.

კალიგულას სიმხეცე კაციჭამიობას უთანაბრდება. წყაროების გადმოცემით, რომში გაძვირდა საქონლის ხორცი. ამფითეატრის ცხოველებს შემოაკლდათ საკვები. იმპერატორმა გამოსავალი ადვილად გამონახა. ბრძანება გასცა, მხეცები გამოეკვებათ საპყრობილეში გამომწყვდეული ადამიანების ხორცით. იმის განკითხვა არავის უცდია, დაპატიმრებული ადამიანებიდან ვინ იყო დამნაშავე და ვინ არა.

კალიგულას ეჯავრებოდა მოხდენილი გარეგნობის ადამიანები. სვეტონიუსს აღწერილი აქვს, თუ როგორ შეეწირა თავის გარეგნობას ვინმე ეზიუს პროკულუსი. როდესაც შეცდომით უდანაშაულო ადამიანს დასჯიდნენ, იმპერატორი მშვიდად იტყოდა, ესეც სიკვდილის ღირსი იყოო.

სისხლის წყურვილი იქამდე მიდიოდა, რომ ნატრობდა, ნეტავი რომაელ ხალხს ერთი თავი ჰქონდეს, რომ ერთი დარტყმით დავამთავრო მისი არსებობაო. მხოლოდ ცუდზე ფიქრობდა და თავის ნაფიქრალს ხმამაღლა ამბობდა. ამაზრზენი იყო წუხილი იმის გამო, რომ მის დროს ადგილი არ ჰქონდა საყოველთაო კატასტროფას. სურდა, უკვდავება რაიმე უბედურებით მოეპოვებინა. ნატრობდა არმიის განადგურებას, შიმშილობას, შავ ჭირს, თანაც ისეთი მასშტაბისას, რომელიც სამუდამოდ დარჩებოდა ადამიანთა ხსოვნაში.

კალიგულა ამაყობდა, რომ იყო შეუდარებელი მშენებელი. ამ ხაზით ბევრიც გააკეთა, მაგრამ გაწეული შრომა ძირითადად მისი ახირებულობიდან გამომდინარეობდა. მისი ავადმყოფური ფანტაზიის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენდა ხიდი კუნძულ ბაიასა და პუტეოლს შორის. ხიდის სიგრძე ოთხ კილომეტრს აღწევდა. იმპერატორის ბრძანებით შეკრიბეს ხმელთაშუა ზღვის სატვირთო გემები, ჩაამწკრივეს ორ რიგად, გადააჭედეს ფიცრებით, დააყარეს მიწა და ჩვეულებრივი სახმელეთო გზის მსგავსად შეუერთეს სანაპირო ზოლს. ეს უსარგებლო ხიდი კალიგულამ საზეიმოდ გახსნა და ორი დღე ამალასთან ერთად დადიოდა, ხან ცხენით, ხან ეტლით. შედეგი ის იყო, რომ ხიდმა მწყობრიდან გამოიყვანა რომაული ფლოტის დიდი ნაწილი.

კალიგულას ინიციატივით დამთავრდა ადრე დაწყებული ბევრი შენობა, მაგრამ ხიდის მსგავსად მათ პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნდათ. იმპერატორს განსაკუთრებით მოსწონდა კამპანიის სანაპირო. ამ მიზნით სანაპიროზე აწყობდა პორტიკებს, გასართობ პალატებს, ალამაზებდა ვენახებით და ბაღებით. თავისი შემოქმედებით გაამაყებული დღეების განმავლობაში დაცურავდა სანაპიროს გასწვრივ და ქეიფობდა მუსიკის თანხლებით. სახელმწიფო ქონებას სულელურ პროექტებში ფლანგავდა. ფული რომ შემოაკლდებოდა ძარცვაზე გადადიოდა. მდიდარ რომაელებს აიძულებდა, მემკვიდრეთა შორის იმპერატორიც დაესახელებინათ. შემდეგ მოგონილი ბრალდებით ანდერძის ავტორს დამნაშავედ გამოაცხადებდა

და მის ქონებას მიიტაცებდა. ვილების, სასახლეების, კაშხალების მშენებლობაში არ ფიგურირებდა საღი აზრი. იგივე ითქმის გზებისა და მიუვალ კლდეებში გაჭრილ გასასვლელებზეც.

რომის იმპერატორს რომი არ უყვარდა და დედაქალაქის ანციუმში გადატანა ჰქონდა განზრახული (ანციუმი იყო ძველი ციხე-სიმაგრე ვოლსკების მიწაზე). რომ დასცლოდა, ალბათ ჩანაფიქრს შეასრულებდა. იმპერატორს სხვა ვარიანტიც ჰქონდა, ძალიან მოსწონდა ალექსანდრია და იქაც ცდილობდა გადასვლას. „მარადიული ქალაქი“ შეთქმულების წარმატებით დამთავრებამ გადაარჩინა.

კალიგულა მრავალრიცხოვანი უსარგებლო ნაგებობების გარდა ზღაპრულ თანხებს ხარჯავდა გლადიატორთა ბრძოლების გასამართად. საინტერესოა, რომ შერკინებებში თვითონაც აქტიურად ერთვებოდა, როგორც მებრძოლი და ეტლით მსრბოლელი. საოცარია, ეს ავადმყოფურად მშიშარა არსება, გაბედულად გამოდიოდა იარაღით ხელში, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არაფერი დაუშავდებოდა. მისი გატაცების სფეროს წარმოადგენდა, აგრეთვე, სიმღერა და ცეკვა. მღეროდა დღესასწაულებზე, როგორც მარტო, ისე გუნდთან ერთად. ცეკვავდა თავდავიწყებით ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას. არ ითვალისწინებდა იმას, რომ რომში სიმღერა არ სარგებლობდა მოწონებით, ხოლო ცეკვა სამარცხვინოდ ითვლებოდა. მაგრამ კალიგულას საზოგადოების აზრი არ აინტერესებდა. მისი გონება მხოლოდ სისხლის ღვრისაკენ იყო მიმართული. ბოროტ სულად დაბადებული კალიგულა თვლიდა, რომ ღმერთი იყო და ამის გამო ყველაფერი ეპატიებოდა.

კალიგულამ უზნეობისა და გარყვნილების ყველა მწვერვალი გადალახა. არ არსებობს სისაძაგლე, მას რომ არ ჩაედინა, თანაც სულ 29 წელი იცოცხლა. ქორწინება და განქორწინება მისთვის არაფერს ნიშნავდა. ავადმყოფური და დამახინჯებული დამოკიდებულება ჰქონდა უახლოეს ადამიანებთან. წყაროების მოწმობით, ამის უტყუარი ფაქტი იყო ის, რომ დანაშაულებრივი კავშირით ცხოვრობდა საკუთარ დებთან. აქედან ორი, აგრიპინა უმცროსი (ნერონის დედა, არანაკლებ უზნეო) და იულია ლივილა გადაასახლა, ხოლო მესამე, დრუზილა, ქმარს წაართვა და თავისთან ჰყავდა, როგორც ცოლი.

ის, რაც რეალურ ცხოვრებაში დანაშაულად ითვლებოდა, ბერძნულ-რომაულ პანთეონში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ოლიმპოს უზენაესი ღვთაება ზევსი და მისი მეუღლე ჰერა, რომაელების იუპიტერი და იუნონა და-ძმანი იყვნენ. ძველი აღმოსავლეთის რელიგიურ წარმოდგენებშიც მსგავსი აღრევა დაშვებული იყო. ეგვიპტური პანთეონის ანომალია გავრცელდა რეალურ ცხოვრებაშიც (მხოლოდ სამეფო დინასტიაში). ფარაონების იდეოლოგიით, ფარაონი ითვლებოდა ღმერთის (ამონის) შვილად და მისი მეუღლეც ღმერთის შვილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ფარაონისა და მისი

დის (ასულისაც) შეუღლება ნორმად ითვლებოდა. ფარაონების ტრადიცია გადაიღეს პტოლემაიოსებმა. კალიგულა თავს ღმერთად აცხადებდა და ღვთაებრივ სიმაღლეს ასახიერებდა. აღნიშნული წარმოდგენის გათვალისწინებით, არ არის შემთხვევითი, რომ იმპერატორის საყვარელი ქვეყანა იყო ეგვიპტე და მისი დედაქალაქი ალექსანდრია.

კალიგულას ავხორცობა და ზნედაცემულობა სისხლის აღრევის გარდა სხვა მიმართულებითაც შლიდა ფრთებს. მისმა ამორალობამ რომაული არისტოკრატია ენაჩავარდნილ ბრბოდ აქცია. შიშმა ღირსება მიწასთან გაასწორა. ანტიკური ავტორების თანახმად, იმპერატორი ხშირად მართავდა ნადიმებს და იწვევდა წარჩინებულ ოჯახებს. სტუმარ ქალებს ისე ათვალიერებდა, თითქოს მონათა ბაზარზე იყო. რომელ ქალსაც აირჩევდა, გაიყვანდა გვერდით ოთახში. ცხოველური ჟინის დაკმაყოფილების შემდეგ დაბრუნდებოდა და მსხვერპლის მეუღლეს უყვებოდა, როგორი იყო მისი ცოლი ლოგინში. დაწვრილებით ჩამოთვლიდა, რა ჰქონდა კარგი და რა ცუდი. ლაფდასხმული მეუღლე ყურადღებით უსმენდა და ცდილობდა, წყენა არ გამოეხატა. ცხადია, ამის მომთმენი რომაელები კაცებად აღარ ჩაითვლებოდნენ. იმპერატორი ცდილობდა, ადამიანები დამუნჯებულიყვნენ და დაბრმავებულიყვნენ. ცნობილია, აგრეთვე, ასეთი ფაქტიც, ერთხელ იგი ქორწილში მიიწვიეს. კალიგულას პატარძალი მოეწონა. წაართვა ქმარს, წაიყვანა თავის ბუნაგში და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოუშვა, მისი ქმარი კალპურნიუს პიზონი კი გადაასახლა. გადმოცემის თანახმად, პიზონი ვაჟკაცურად მოიქცა, იმპერატორს არ აპატია შეურაცხუყოფა და იმ შეთქმულების ერთ-ერთი ინიციატორი გახდა, რომელმაც კალიგულას განაჩენი გამოუტანა.

კალიგულას რამდენიმე ცოლი ჰყავდა. მათ შორის გამორჩეულად უყვარდა ცეზონია მოლონია, რომელიც მეუღლის მსგავსად, ამორალური ქალი იყო. იმპერატორს საყვარელი მეუღლე მუდამ თან დაჰყავდა, ტრაბახობდა მეგობრებთან მისი სილამაზით, ზოგჯერ გააშიშვლებდა და ისე აჩვენებდა, რომ დამტკბარიყვნენ მისი მოხდენილობით, თუმცა ცეზონია სილამაზის მხრივ საკმაოდ მოიკოჭლებდა.

კალიგულა ვერ იტანდა დიდების სახელით მოსილ ადამიანებს. განზრახული ჰქონდა ჰომეროსის პოემების განადგურება. ვერგილიუსისა და ტიტუს ლივიუსის წიგნები და ბიუსტები ძლივს გადაურჩნენ მის აჯ თვალს. გამოჩენილ რომაელთა ბიუსტები კაპიტოლიუმიდან გამოატანინა და მარსის ველზე ისე დაამტვრევინა, რომ მათი აღდგენა შეუძლებელი გახდა. განდიდების მანიით შეპყრობილი იმპერატორის ბრძანებით საბერძნეთიდან რომში გადაიტანეს ზევსის ქანდაკება და მის ტანს კალიგულას თავი დაადგეს. წყაროებში დაცულია ცნობა, რომ იმპერატორმა ოლიმპიაში აღმართული, გენიალური ფიდიასის ოლიმპიელი ზევსის (სამყაროს ერთ-ერთი საოცრების)

რომში გადატანაც განიზრახა. შედგომიან კიდეც მკრეხელური ბრძანების შესრულებას, მაგრამ მიახლოებისას ღმერთების მამას ისეთი მჭექარე ხმა გამოუცია, რომ მუშები შეშინებულან და გაქცეულან. ცხადია, ეს ლეგენდაა, მაგრამ კალიგულას მსგავსი სურვილი რომ ექნებოდა, საეჭვო არ არის.

კალიგულა სიდიადეში იუპიტერსაც კი ეჯიბრებოდა, თვლიდა, რომ რომაელთა უზენაეს ღვთაებას აღემატებოდა. მის ავადმყოფურ ფსიქიკაზე მეტყველებს მთვარესთან სასიყვარულო სცენების გამართვა. ღამის დადგომისთანავე იწყებდა მასთან საუბარს და იწვევდა თავის საწოლში. დღისით კი იუპიტერის ქანდაკებასთან განმარტოვდებოდა და იწყებდა მასთან ანგარიშის გასწორებას, ხან ჩურჩულით, ხან ხმამაღლა, ხან უბრაზდებოდა და ემუქრებოდა. სისულელის გასამართლებლად ამბობდა, რომ ღმერთმა თავისთან მიიწვია საცხოვრებლად. ყოველივე ამის შემდეგ, როგორც ღმერთი, მკაცრად მოითხოვდა ღვთიურ თაყვანისცემას.

იმპერატორს ჭექა-ქუხილის პანიკური შიში ჰქონდა. სიცილიაში ყოფნისას ეტნას კრატერიდან ამომავალი კვამლი რომ დაუნახავს და გრუხუნი გაუგონია, შიშს აუტანია და მაშინვე გამოქცეულა.

რომის სახელმწიფო პოლიტიკა, მსოფლიო იმპერიის საშინაო და საგარეო საკითხები კალიგულას საერთოდ არ აინტერესებდა.

სისხლის მოყვარული ომისადმი მიდრეკილებას არ ავლენდა. ამ კუთხით, მის დროს რომს სერიოზული საომარი მოქმედება არ უწარმოებია. გადამწყვეტ როლს ანიჭებენ იმ ფაქტს, რომ იმპერატორი ბუნებით მშიშარა იყო. თანდაყოლილი ნაკლის მიუხედავად, მაინც გაუჩნდა ამბიცია, თავისი ღვთიური სახელისათვის ძლევამოსილი სარდლის დიდებაც შეემატებინა და თავის გამოჩენის ასპარეზად აირჩია გერმანია. იმპერატორის ბრძანებით, უზარმაზარი არმია შეკრიბეს. ლაშქრობა უჩვეულოდ დაიწყო. გზა, რომელზეც ლეგიონებს უნდა გაევლო, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა გაესუფთავებინა და მოერწყა, რომ იმპერატორი მტვერს არ შეეწუხებინა. პირველი დღიდანვე ნათელი გახდა კალიგულას სრული უსუსურობა. ეს იყო უნიჭოდ დადგმული კომედია-სპექტაკლი, რომლის მონაწილეებსაც თავიანთი როლები ბოლომდე უნდა ეთამაშათ. მოწინააღმდეგენი არ ჩანდნენ. სპექტაკლის გადასარჩენად, კალიგულამ რომაელთა რიგებში მყოფი გერმანელი მეომრები გამოიყვანა და ქვეყნის სიღრმეში შესვლა და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხმაურის ატეხა უბრძანა, თითქოს მტერი ახლოვდებოდა. გერმანელებს კვალდაკვალ მიჰყვა რომის არმიაც. კალიგულაც დაიძრა პრეტორიანული არმიით გარემოცული. როგორი მეომრული სულით იყო დაჯილდოებული იმპერატორი, კარგად გვიჩვენებს სვეტონიუსი, რომელიც წერს, რომ როცა ერთ ვიწრო ხეობაში კალიგულამ ყური მოკრა ლეგიონერების ლაპარაკს, მტერი რომ დაგვესხას, მუსრს გაგვავლებსო, შიშმა აიტანა, ცხენს მოახტა და უკან გამობრუნდა, მაგრამ

გზა ისე იყო ჩახერგილი, მოძრაობა შეუძლებელი გახდა. პანიკაში ჩავარდნილი იმპერატორი მეომრებმა ხელში აიყვანეს, თავებზე გადაიტარეს და „მშვიდობით“ გადარჩენა მიულოცეს. ასეთი თავგანწირული „ბრძოლების“ ფონზე კალიგულა რომში ინფორმაციებს აგზავნიდა ვრცელი ტერიტორიების დაპყრობის შესახებ.

გერმანიაში ლაშქრობა, როგორც სწრაფად დაიწყო, ისე სწრაფად დამთავრდა. მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. სპექტაკლის ფინალით განსაზღვრული იყო გრანდიოზული ტრიუმფი, მაგრამ კომედიას სჭირდებოდა აუცილებელი პერსონაჟები, ტყვეების სახით. კალიგულამ ესეც მოახერხა. შეარჩიეს კარგი გარეგნობის გალები, რომელთაც წვერის მოშვება და თმების წითლად შეღებვა უბრძანეს, რათა გერმანელებს დამსგავსებოდნენ. ამ გადაცმულ „ტყვეებს“ უნდა გაელამაზებინათ გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი. საბოლოოდ ტრიუმფი ვერ ჩატარდა და კალიგულა რომში ოვაციით შევიდა.

ასე „სახელოვნად“ დაამთავრა გერმანიაში ლაშქრობა დიდების მაძიებელმა იმპერატორმა. დაბრუნდა რომში და სისხლიანი ტერორი გააგრძელა.

ანტიკურ მწერლობაში კალიგულა გვირგვინდადგმულ ბოროტებადაა მიჩნეული. „თორმეტი ცეზარის ცხოვრების“ ავტორი გაიუს სვეტონიუს ტრანქვილუსი, კალიგულას საქმიანობაში დადებითი ქმედების ერთ მკრთალ სხივსაც ვერ ამჩნევდა. ბერძენ-რომაელი მწერლების აზრით, კალიგულა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ადამიანების საწამებლად გაჩენილი დემონი იყო.

დამცირებულსა და ღირსებაგათელილ რომაელებში, მრავალრიცხოვანი მსტოვრისა და დამსმენის გარემოცვაში მაინც გაიმარჯვა ღირსების გრძნობამ, რომაელებმა დაძლიეს შიში და თავი იმართლეს ისტორიის წინაშე. პრეტორიანული გვარდიის მაღალჩინოსანი კასიუს ხერეი შეთქმულთა მცირე რაზმით, 41 წლის 24 იანვარს შუადღისას, სასახლის ბნელ გასასვლელში თავს დაესხა კალიგულას და სიცოცხლეს გამოასალმა. იმდენად დიდი იყო იმპერატორისადმი სიძულვილი, რომ შეთქმულებმა მისი ცოლი ცეზონიაც და მცირეწლოვანი ქალიშვილიც მოკლეს.

ოთხი წელი და ათი თვე რომში ბოროტება ზეიმობდა. 37 წლის მარტიდან 41 წლის 24 იანვრამდე იდევნებოდა სინათლე და მის ადგილს იკავებდა სიბნელე.

პრეტორიანელებმა იმპერატორის ტახტზე კალიგულას ბიძა, 51 წლის კლავდიუსი დასვეს.



გრიგოლ რუხაძე

ვენახის სახისმეტყველება

საკითხი, რომლის საფუძვლიანად გამოძიებასაც შევეცადეთ, ასე დგას: არის თუ არა საქართველოს ეკლესიაში ფართოდ გავრცელებული ღმრთისმშობლის ხატი «შენ ხარ ვენახი» კანონიკურად დაწერილი, ანუ საღმრთისმეტყველო სწავლების მიხედვით, აქვს თუ არა მას ეკლესიაში არსებობის უფლება? მიუხედავად არაერთი ცნობილი სპეციალისტის უარყოფითი შეფასებისა, პრობლემისადმი სერიოზული მიდგომა დღემდე არ შეიმჩნევა. ამიტომ ჩვენ ისევ დავუბრუნდით წლების წინ დასმულ საკითხს და შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ სანდო არგუმენტები, რომელიც შესაბამის საეკლესიო ინსტანციას გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

ჯერ კიდევ 2001 წელს ხატმწერი მერაბ ჩაკვეტაძე აღნიშნავდა: „არ შეიძლება ხატზე მაცხოვარი მარტო მარცხენა ხელით აკურთხებდეს. ასეთი რამ არცერთ ტრადიციულ, კანონიკურ ხატზე არ გვხვდება“.[1] — სწორედ ეს დარღვევა გვხვდება ხატზე „შენ ხარ ვენახი“, რომელზეც ყრმა მაცხოვარი მაკურთხებელი მარცხენა ხელით არის გამოსახული. სანამ ამ თემას გავშლიდეთ, ხატმწერ დავით ხიდაშელსაც მოვუსმინოთ: „ზოგჯერ საეკლესიო ფერწერაში ახალი საღმრთისმეტყველო თემების შემოტანას და ამდენად ახალი, ჯერ არარსებული შინაარსის იკონოგრაფიის დამკვიდრებას ცდილობენ. ზოგჯერ ასეთი სიახლე ლიტერატურული ტექსტის პირდაპირი ილუსტრაციის გზით არის მიღწეული. მაგალითად, „შენ ხარ ვენახი“ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ღმრთისმშობელს მაინცდამაინც ყურძნის მტევანი ეჭიროს ხელში. ამ დროს პოეტური მეტაფორა პირდაპირი ილუსტრირების საგანი ხდება, რაც პირადად ჩემთვის მიუღებელია“.[2] — „შენ ხარ ვენახის“ ხატზე ღმრთისმშობელს მარჯვენა ხელში სწორედ ყურძნის მტევანი უჭირავს, ხოლო ამ მტევნის ყუნწთან ხელოვნურად, არაბუნებრივად მიბმული ვაზის ფოთოლი — ყრმას, ასევე მარჯვენა ხელით.

მაშასადამე, თავისი სახელწოდებითა და შინაარსით „შენ ხარ ვენახი“

[1] «მადლის» 1999-2010 წლების კრებული, I, თბ., 2010. გვ. 324.

[2] იქვე, გვ. 346.

არის ახალ იდეათა საფუძველზე გამოგონილი იკონოგრაფიის ნიმუში, რომელიც კანონიკისა და ტრადიციის არავითარ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. მაშინ, როცა „არც ისტორიული და არც სულიერი რეალობა არავითარ გამონაგონს არ უშვებს, ამიტომ საეკლესიო ხელოვნება, როგორც თავისი იკონოგრაფიული, ისე სიმბოლური შინაარსით, რეალისტურია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნამდვილ საეკლესიო ხელოვნებაში იდეალიზაცია არ არსებობს, ისევე როგორც იგი არც წმიდა წერილსა და ლიტურგიაში არ არის, და არც შეიძლება იყოს, რადგან იდეალიზაცია, როგორც შემოტანა სუბიექტური და შემოსაზღვრული ელემენტისა, ამა თუ იმ ზომით გარდაუვალად აზიანებს ან ამახინჯებს ჭეშმარიტებას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ადამიანს თავისი თავით რაიმეს უწყება მხოლოდ თავის თავზე შეუძლია. საღმრთო საქმეთა გამოცხადებას, საკუთარი თავიდან გამომდინარე, ვერავინ შეძლებს.“[3]

პირველივე საუკუნეებიდან ხატმწერი „ცხოვრობდა და აზროვნებდა სახეებით და ფორმებს იმდენად ამარტივებდა, რომ მისი შინაარსის სიღრმეში ჩაწვდომა მხოლოდ სულიერ თვალს შეეძლო; იგი თავის ნაწარმოებს ყოველივე პიროვნულისგან წმენდდა და რჩებოდა ანონიმად, რადგან მისი მთავარი საზრუნავი ტრადიციის გადაცემა იყო“.[4] სწორედ ტრადიციის წყალობით ვცნობთ და ვკითხულობთ საუკუნეების წინათ დაწერილ ხატებს და იმიტომაც არის საჭირო იკონოგრაფიული კანონების დაცვა და შესწავლა, რომ იმ ფესვებს არ მოვწყდეთ, რომელიც ჩვენს საერთო ქრისტიანულსა და ეროვნულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე მდგომ ხატწერის უძველეს კულტურას ასაზრდოებს.

ხატწერის კანონი „განსაზღვრავს არა მარტო ხატის სიუჟეტებს, იმას, რაც გამოისახება, არამედ იმასაც, თუ როგორ უნდა გამოისახოს იგი, რომელი საშუალებებით შეიძლება ჩვენება ადამიანში[5] დამკვიდრებული სულიწმიდის მადლისა და როგორ გადაეცემა მისი მდგომარეობა სხვებს.“[6] მართლმადიდებლური სწავლებით, ფერითა და ხაზით ხატზე მოცემულ სიმბოლოებსა და რეალობას, ანუ პირველსახეს, შორის პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულებაა; ამიტომ სიმბოლოს შეცვლა იმ რეალობის დამახინჯებას ნიშნავს, რომელსაც იგი ასახავს. „ეკლესიისთვის ხატი მხოლოდ ხელოვნება კი არ არის, რომელიც წმიდა წერილის ილუსტრირებას ემსახურება, არამედ მისი სრული შესაბამისობა, და მაშასადამე, ეკლესია ხატს, ისევე როგორც წმიდა წერილს, იმავე დოგმატურ, ლიტურგიკულსა და აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებს“.[7]

[3] **Богословие образа. Икона и иконописцы. Антология, сост. А. Стрижев, М., 2002. С. 61.**

[4] **იქვე, გვ. 29.**

[5] **ხატზე გამოსახულ წმინდანში — გ. რ.**

[6] **იქვე, გვ. 46.**

[7] **იქვე, გვ. 36.**

ზემოთ დასახელებულ პირობათაგან „შენ ხარ ვენახის“ ხატზე არცერთი გათვალისწინებული არ არის, ამიტომ მისი შექმნის იდეის ავტორი, ანუ შემკვეთი, თავს რა მიზეზითაც არ უნდა იმართლებდეს, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებისა და მორალური შეფასებების ზეცაში გადატანის უფლებას, ბუნებრივია, მას ვერავინ მისცემდა ერთი უბრალო მიზეზის გამო: „ყველაფერი, რაც ხატზე გამოისახება, ასახავს არა ჩვენი ცოდვიანი სოფლის უწესრიგობას, არამედ ღმრთეებრივ წესრიგსა და მყუდროებას, სადაც არა ამქვეყნიური ლოგიკა და კაცობრივი მორალი, არამედ საღმრთო მადლი მეფობს“.[8] — აქედან გამომდინარე, „შენ ხარ ვენახის“ ხატი როგორც გამოგონილ სიმბოლოთა გამოყენების, ისე ფსევდო-რეალობის ასახვის მიხედვით მკრეხელურია. იგი მლოცველს არა მფარველობის, შეწყალებისა და შენდობის ნუგეშს აღუძრავს, არამედ შურისძიებით აშინებს.

ზემოთ მისი სახელწოდებაც ვახსენეთ, რომელიც დემეტრე მეფის ცნობილი იამბიკოდან არის აღებული:

შენ ხარ ვენაკი, ახლად აღყუავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თჳსით მზე ხარ განბრწყინვებული.

მიუხედავად პატრისტიკულ და ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებში ღმრთისმშობლისადმი გამოყენებული უამრავი მხატვრული სახის, ეპითეტის და მეტაფორისა, აქამდე ღმრთისმშობლის ხატისთვის „ვენახი“ არავის უწოდებია. მით უმეტეს, რომ მის ზედწოდებათა შორის „ვენახი“ იმდენად იშვიათად გვხვდება, რომ მისთვის მხოლოდ ვიწრო, ან კერძო მნიშვნელობის მეტაფორა შეიძლება გვეწოდებინა. მის კერძო მნიშვნელობას კი განაპირობებს ვენახის, როგორც მაცხოვნებელი მტევნის გამომღების სახე: „ხე ცხორების გუექმნა წმიდაჲ ქალწული მარიამ და ვენაჴი ჭეშმარიტებისაჲ, რომელმან გამოიღო ტევანი ცხორებისაჲ — ქრისტე, რამეთუ ამან აღმინთო სანთელი დაუშრეტელი“.[9] — თუნდაც ამ საგალობლის მიხედვით, ქალწულ მარიამს ასევე „ხე ცხოვრებისა“ ეწოდება, მაგრამ აქედან გამომდინარე არ შეიძლება ამ მეტაფორის განზოგადება და მისი სახელწოდების ღმრთისმშობლის ხატის შექმნა, რადგან მხატვრული სახე გამოცხადების მნიშვნელობისა არ არის, რომ მის საფუძველზე ხატი დაიწეროს. ამასთან, ცნობილია არა ღმრთისმშობლის, არამედ მაცხოვრის ხატი თორმეტ მოციქულთან ერთად სახელწოდებით „ხე ცხოვრებისა“, რომელიც მეორე

[8] **იქვე, გვ. 49.**

[9] **უძველესი იადგარი, გამომც. ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი და ლ. ხევსურიანი, თბ., 1980. გვ. 270, 17. — საგულისხმოა, რომ უძველესი იადგარის აღდგომის საგალობლებიდან ც. ჭანკიევის მიერ შეკრებილ ორასზე მეტ ღმრთისმშობლის მხატვრულ სახეს შორის „ვენახი“ საერთოდ არ არის (იქვე, გვ. 896-899).**

სახელწოდებაა ხატისა „ვენახი“ (ბერძ. H Ampelo~), ანუ ვენახი ჭეშმარიტი — ქრისტე. ამ საკითხს ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით.

ამასთანავე, თუ დავუკვირდებით, დიდი დავითის ძე ღმრთისმშობელს ახალაყვავებულ ვენახს კი ადარებს, მაგრამ იქვე ამატებს — მორჩი, ანუ რტო ხარ კეთილიო, რომელიც, ბუნებრივად, იმ ვენახისა უნდა იყოს, რომელიც მანამდე ახსენა. ე. ი. საგალობელში გამოყენებული ღმრთისმშობლის სრულყოფილი მხატვრული სახე არა ვენახი, არამედ ვენახის რტოა. ასე რომ, „შენ ხარ ვენახი“ ღმრთისმშობლის ხატისთვის არასწორად შერჩეული სახელწოდებაა.

მართლმადიდებლურ ხატებს, მათ შორის, ღმრთისმშობლის ყველა ხატს — „მაყვალი შეუწველი“, „ღირს არსი“, „კარის (ივერიისა)“ და სხვ. — სახელწოდება ბიბლიური ან გარდამოცემით ცნობილი საღმრთო გამოცხადების საფუძველზე აქვს მინიჭებული. ამიტომ პირდაპირი მნიშვნელობით ჭეშმარიტი ვენახი თვით უფალი იესო ქრისტეა, რადგან მან თქვა: „მე ვარ ვენაჴი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს“ (ინ. 15,1); „მე ვარ ვენაჴი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15,5). — აი, საფუძველი იმისა, რომ პირველად ჯერ კიდევ XV ს-ში კრეტელმა ოსტატმა, ანგელოს აკოტანტოსმა შექმნა ხატი „ქრისტე — ვენახი ჭეშმარიტი“, რომლის გარკვეული ალეგორიზმი, სპეციალისტთა აზრით, «უკვე XVI ს-ის რაციონალური ხელოვნების მაუწყებელი იყო».[10] ჩვენი აზრით, შეფასება გადაუჭარბებელია, რადგან იკონოგრაფიაში ალეგორიულ სახეთა იდეალიზებამ, ბოლოს და ბოლოს, იმდენად შემაძრწუნებელი სახე მიიღო, რომ ნაწარმოებებმა არა მარტო თეოლოგიური და ესთეტიკური, არამედ ეთიკური შინაარსიც დაკარგეს.[11]

ანალოგიური სახისაა „შენ ხარ ვენახიც“, რომელმაც სახელწოდება მეტაფორის იდეალიზაციის გზით მიიღო და იკონოგრაფიაში არა მხოლოდ ულტრარაციონალური, არამედ ახალი ულტრანაციონალური თემა შემოიტანა.

მიუხედავად ზემოთ მოცემული კრიტიკული შეფასებისა, მთავარი მკრეხელობა, რომელიც ჩვენს განსახილველ გამოსახულებას ბეჭდად აზის, მაინც მაცხოვრის მარცხენა მაკურთხეველი ხელია. რა თქმა უნდა, „შენ ხარ ვენახის“ გამავრცელებლები მის ამ ნაკლოვანებას ჩქმალავენ, ხოლო მისი შეძენის მსურველთა ყურადღებას სახელგანთქმული კაბადოკიისაკენ მიაქცევენ, რათა ხატის წარმომავლობისადმი ინტერესმა მისი ნამდვილი შინაარსი გადაფაროს.

ერთ-ერთ თანამედროვე ფოლიანტში „დიდნი საქმენი“ (რომელზეც ვერც გამოცემის თარიღს მიაგნებს კაცი და ვერც იმას გაიგებს, საერთოდ

[10] **История иконописи, VI-XX века (კრებული), М., 2002. С. 101.**

[11] **საილუსტრაციოდ იხ.: ჩხენკელი მ., ქრისტეს ჯვარცმა ევროპულ მხატვრობაში, თბ., 2012.**

ასეთ ძვირადღირებულ წიგნებს რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს) მისი რედაქტორის რ. მეტრეველის წერილში დაბეჭდილ ხატზე არის მინაწერი: *ღვთისმშობელი ყრმით. კაპადოკიის ფრესკა, რომლის მიხედვითაც შექმნილია „შენ ხარ ვენახის“ ხატი (X-XI საუკუნეების მიჯნა),* (გვ. 177). ცხადია, თარიღი ფრესკას ეკუთვნის და არა ახალშექმნილ „შენ ხარ ვენახს“ (1997 წ.), მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასლის თაობაზე ცრუ ინფორმაციას ეკლესიიდან საერო მეცნიერებაში გაუღწევია და ცნობილი ისტორიკოსის სტატიაშიც მოხვედრილა. გარდა ასლისა, ანუ შინაარსობრივი იგივეობისა, სხვას არაფერს შეიძლება ნიშნავდეს გამოთქმა: ფრესკის „მიხედვით“ შექმნილი ხატი. რაიმეს „მიხედვით“ შექმნა — ნიშნავს, რომ შესაქმნელად გამოიყენეს რომელიმე საგნის იდეური ღერძი, სტრუქტურა, ფორმა ან ტიპი, რომლის სახესა და ანაბეჭდს შექმნილი საგანი აირეკლავს. ჩვენს შემთხვევაში, „დიდნი საქმენის“ მიხედვით, დედანი არის კაპადოკიური ფრესკა, ხოლო ასლი — „შენ ხარ ვენახი“; ე. ი. ხატწერის ენაზე რომ ვთქვათ, ისინი ერთი და იმავე შინაარსის მატარებელნი არიან.

სინამდვილეში, კაპადოკიის ეს ფრესკა (იგი ამჟამად საქართველოს საპატრიარქოში ინახება), ღმრთისმშობლის ხატთა შორის, ერთ-ერთ ცნობილ ტიპს „მოწყალე“ (ბერძ. „ელეუსა“) ეკუთვნის, რომელთანაც „შენ ხარ ვენახს“ არაფერი აქვს საერთო. კაპადოკიურ ფრესკაზე ყრმა იესო მოალერსე დედას ორივე ხელით ყელზე ეხვევა, თანაც ისე, რომ მარჯვენა ხელი საერთოდ არ უჩანს, ხოლო მარცხენა — ყელთან აქვს მიყრდნობილი. ცნობისთვის შევნიშნავთ, რომ სწორედ ამ შინაარსის გამო „ელეუსას“ მეორე ბერძნული სახელი არის „გლიკოფილუსა“ (ტკბილადმოალერსე).

მარჯვენის ღრმა ლინგვისტური მნიშვნელობა, განსაკუთრებით ქართველისთვის, ძნელი გასარკვევი არ არის. ძვ. განმარჯუება, გამარჯუება ნიშნავს წარმატებასა და წარმართებას; მარჯუენე — მარჯვენასთან ერთად ნიშნავს მარჯვეს, ყოჩაღს; გამარჯვება, გამარჯობა — მტერთა ძლევას. ამიტომაა, რომ ქართული მისალმების ძირითადი სიტყვა არის „გამარჯობა“, მაშინ, როცა სხვა ერებმა უპირატესობა სხვა სურვილებს მიანიჭეს, მაგალითად, რუსებმა — ჯანმრთელობას, ბერძნებმა — გახარებას, ებრაელებმა — მშვიდობას და ა. შ.

მაცხოვარს თვით ეწოდება მარჯვენა მამისა. „იხილეთ, არა სთქუათ, ვითარმედ სიცრუე არს შორის მარჯუენისა ჩემისა“ (ეს. 44,20), — ამ მუხლის კომენტირებისას წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი ამბობს: «ძე ღმრთისა, რომელიც არის ჭეშმარიტება და მარჯვენა მამისა».[12] აგრეთვე, ღირ. ეფრემ მცირის განმარტებით: „მარჯუენე და მკლავ მამისა და მაცხოვარება მისა ძე სახელ-დებულ არს“.[13]

[12] **Деяния Вселенских Соборов, т. IV, СПБ., 1996. С. 472.**

[13] **მზ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა//საიუბილეო, ძვ. ქ. ენ. კათ. შრ., 11. თბ., 1968. გვ. 87.**

წმიდა წერილში მარჯვენა ხელსა და მხარეს ყოველთვის საპატიო და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა... და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი — მარცხენით. მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ... მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“ (მთ. 25; 31, 33, 34, 41). მაცხოვარმა მეორედ მოსვლა ასე იწინასწარმეტყველა: „ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა“ (მთ. 26,64). „ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მიმართ ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა“ (მრკ. 16, 19). — ამ კონტექსტში, ეგზეგეტთა საერთო აზრით, *მარჯვენას* ღმერთთან თანასწორობის აღმნიშვნელი ფუნქცია აკისრია: „დაჯდა მარჯუენით ღმრთისა, ანუ თავისი აღდგომის შემდეგ მიიღო ხელმწიფება თანასწორი მამა ღმერთის ხელმწიფებისა“.[14] იოანე ღმრთისმეტყველი მოგვითხრობს: „და დადვა მან მარჯუენე მისი ჩემ ზედა და თქუა: ნუ გეშინინ: მე ვარ პირველი და უკანაჲსკნელი“ (გამც. 1,17). „ესე იესუ აღადგინა ღმერთმან, რომლისა ვართ ჩუენ ყოველნი მოწამე; მარჯუენითა უკუე მისითა ამაღლდა და აღთქუმაჲ სულისა წმიდისაჲ მოიღო მამისაგან და მოჰფინა“ (საქმ. 2, 32-33) და მრ. სხვ.

უწინარეს ყოვლისა, სწორედ წმიდა წერილის სიმბოლიკის ზეგავლენით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ *მარჯვენას* სხვა ენებშიც მხოლოდ დადებითი სინონიმები აქვს. რუსულში მარჯვენა (правый) აგრეთვე ნიშნავს სამართლიანს, მართალს, უდანაშაულოს, უბრალოს, წრფელს, უმანკოს; ძველ ბერძნულში (dexio~) — ხელსაყრელს, სასურველს, სასიკეთოს, ბედნიერს, მარჯვეს, მოხერხებულს, მარდს, მკვირცხლს, ჭკვიანს, გონიერს; ლათინურში (dexter) — მარჯვეს, უნარიანს, გაწაფულს, მოხერხებულს, გადამრჩენს, კეთილისმყოფელს, მოწყალეს.

თავისთავად, მარჯვენის სიმბოლური მნიშვნელობა შენარჩუნებულია ხატწერაშიც. ზოგჯერ მას მამა ღმერთის მუნმყოფობის[15] შინაარსი აქვს, ანუ მაკურთხეველი მარჯვენა იმ კონკრეტულ ეპიზოდსა თუ მოვლენაში მამა ღმერთის ყოფნასა და მონაწილეობაზე მიუთითებს, რომელიც ხატზე არის გამოსახული. მაგალითად, მაცხოვრის ნათლისღების, ანუ წმიდა სამების განცხადების, ხატზე ძველი დროიდანვე გამოისახება თეთრი ღრუბლებით მოცული ცის სეგმენტი, რომლიდანაც ნათელთან ერთად „ვითარცა ტრედი“ გარდამოდის სულიწმიდა და რომლიდანაც გამოწვდილია მამა ღმერთის მაკურთხეველი მარჯვენა აღსანიშნავად იმისა, რომ „ჴმაჲ

[14] **Толковая Библия, т. 9, Петербург, 1912. С. 95.**

[15] **ტერმინი ნ. ჩუბინაშვილს დაუესესხეთ: присутствие, присущий.**

იყო ზეცით“ (მთ. 3, 16-17); ხოლო XVI-XVII სს-ის ზოგიერთ ხატზე, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მიერ მამა ღმერთის ჰიპოსტასური გამოსახვა აკრძალული იყო, მაკურთხეველი მარჯვენის ადგილზე, ცის სეგმენტში, ხშირად თვით უფალი საბაოთის ფიგურა არის წარმოდგენილი. ამასთანავე, ნათლისღების ყველა ხატზე, როგორც წესი, გამოისახება იოანე ნათლისმცემელიც, რომელიც მაცხოვარს ასევე მარჯვენა ხელს ადებს თავზე. არც იმას სჭირდება ბევრი მტკიცება, რომ წმიდა მამები ხატებზე მაკურთხეველი მარჯვენით გამოისახებიან, რომელთა თითთა წყობა უფალი იესო ქრისტეს სახელის საწყის და ბოლო ასოებზე მიანიშნებს (I˜C X˜C), ანუ ისინი მვედრებელს უფლის სახელით ლოცავენ და აკურთხევენ.

ყოველივე ამის შემდეგ, ყოველგვარ აპოლოგიას „შენ ხარ ვენახთან“ დაკავშირებით, ძველი ქართული სიტყვა რომ ვიხმაროთ, მხოლოდ *მარცხენეობაჲ,* ანუ სიცრუე შეიძლება ეწოდოს.

ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, „შენ ხარ ვენახის“ შემქმნელებმა მკრეხელობის ყველა შედეგი გაითვალისწინეს თუ არა, მაგრამ ამის თქმა კი შეგვიძლია, რომ კურთხევის გამარცხენებით[16] ხატმა თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა დაკარგა და მადლის მოცემის მაგიერ წყევლის შინაარსი შეიძინა.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან ცნობილია კურთხევის მოკლება (აღკვეთა), ანუ წყევლა ღმრთისა, რომელიც მან წარმოთქვა ევას მაცდუნებელი გველისა (შესქ. 3,14) და ძმის მკვლელი კაენის (შესქ. 4,11) მიმართ; უფალმა ღმერთმა აღუთქვა აბრაამს: „ვაკურთხნე მაკურთხეველნი შენნი და მწყევარნი შენნი ვწყევნე“ (შესქ. 12,3). ასევე ცნობილია, რომ ღმრთის ნების საწინააღმდეგოდ წარმოთქმულ წყევლას ძალა არა აქვს. მაგალითად, მეფე ბალაკმა თხოვა ბალაამს: „მოვედ და სწყევე იაკობი და მოვედ და სწყევე ისრაელი“ (რიცხ. 23,7), რადგან იცოდა, რომ მის კურთხევასაც და წყევლასაც ძალა ჰქონდა (22,6), მაგრამ ბალაამმა უპასუხა: „რაჲ ვსწყევო, რომელსა არა სწყევს უფალი? ანუ რაჲსა დავწყეო, რომელ არა უწყევიეს ღმერთსა?“ (23,8). სოლომონ ბრძენი ნათლად ამბობს: „დაუმსახურებელი წყევლა-კრულვა არ შესრულდება“ (იგ. 26,2). მაგრამ ძველ აღთქმაში არსებული ეს დაპირისპირება კურთხევასა და წყევლას შორის მაცხოვარმა სრულიად გააუქმა და ახალი აღთქმა დაგვიდო: „გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა“ (მთ. 5,44). ამიტომ ჩვენ ის კი არ გვაშინებს, ვის რა განზრახვა ამოძრავებს, არამედ ის, რომ ეკლესიის სიწმინდეს შესაფერისად ვერ ვიცავთ.

დაბოლოს, ხატმწერთა მიერ მოძღვრის კურთხევის უპირობოდ შესრულების შესახებ. სწორად შენიშნავდა ხატმწერი ამირან გოგიტიძე: „როცა

[16] **დ. ჩუბინაშვილის განმარტებით *გამარცხება* არის იგივე დამარცხება, поражение.**

ხატწერის კანონიკა ირღვევა, ამ დროს მხოლოდ მხატვარი როდი სცოდავს, სცოდავს ტაძრის მოძღვარიც, რომელმაც, შეიძლება ითქვას, თვით ხატმწერზე კარგად უნდა იცოდეს იკონოგრაფიის კანონები და კარგად ერკვეოდეს მათში".[17] ასე რომ, თუ მოძღვარი შესცოდავს, ხატმწერმა უნდა იცოდეს, კანონიკის დარღვევისათვის იგი პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის. ჩვენს შემთხვევაში, მას არა მარტო კანონიკისა და ტრადიციის ფორმალურად დაცვა, არამედ იმის ცოდნაც მოეთხოვება, რომ სხვა ღრმა შინაარსთან ერთად „მარჯვენა ღმრთისა მართალთა მფარველობის სიმბოლოა".[18]

[17] **დასხ. «მადლის» კრებული, გვ. 238.**

[18] **Кутковой В., Краски мудрости, М., 2008. გვ. 622.**



ნუგზარ ძნელაძე

საგანგებო მდგომარეობა

მესხური მრავალჟამიერი, ანსამბლ „ქალგულოს" შესრულებით, დარბაზმა რიტუალური გარინდებით მოისმინა და ყურადღება ფეხზე წამომდგარ მუხაკაცს, დათუკი ქვეპირიშვილს მიაპყრო.

— ღმერთმა მრავალჟამიერის მადლი და ძალა არ მოგვიშალოს. ჩვენი ერთხმობა და ერთსულოვნება ყოფილიყოს ამ დიდებული ჰიმნის დამამშვენებელი. შესაფერისი მემკვიდრენი გავმხდარიყავით მისი შემქნელი ღირსეული წინაპრებისა.

— ამინ.

— კაცებო, ძმებო, ყველამ იცით ამ მცირე დარბაზში ჩვენი შეკრების მიზეზი. ერთ თვეში უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისათვის, და ჩვენ, მიუხედავად ჩვენი არაპოლიტიკოსობისა, პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ ჩვენი შთამომავლობის წინაშე. საგანგებო მდგომარეობა, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას არჩევნების დროს, გვაიძულებს გვერდზე გადავდოთ ჩვენი პროფესიული საქმიანობა და, ყოველგვარი პარტიული დირექტივების გარეშე, მზად შევხვდეთ ყველა სახის გამოწვევას, რომელიც კი ამჟამინდელმა ხელისუფლებამ შეიძლება შეიმუშაოს.

— ბრძანე, ჩემო პაპა, — დარბაზის თავმა მრავალჭირნახულ, მაგრამ გაუტეხელ, პაპა ბებურიშვილს გამოხედვაზე შეატყო, სიტყვის თქმა რომ უნდოდა, და არც მას დაუყოვნებია.

— ძმებო და მეგობრებო, მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა ჩვენმა დათუკიმ. საქმე ისაა, რომ ჩვენ არავითარი პარტიის წევრები არა ვართ და არც რაიმე პოლიტიკურ კარიერას არ ვეძიებთ, მაგრამ ჩვენ წარმოვადგენთ ქართულ საზოგადოებას, რომელიც საქართველოს მტრებს ქვეყნის გადაგვარებისა და გადაშენების უფლებას არ მისცემს. ჩვენ ვემხრობით ბიძინა ივანიშვილს და, აქედან გამომდინარე, „ქართულ ოცნებას", მაგრამ ეს არ ნიშნავს ყველა იმ სუბიექტისადმი პატივისცემას, რომელიც ამ გაერთიანებაში არის შეყვანილი. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარია ბიძინას მხარდაჭერა, რათა

ნაცების ჭირისგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდეს საქართველო.

— ბოსტა გენაცვალოს, პაპა ბატონო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეგ ჭირი არ არის მთლად ადვილად მოსაცილებელი, — ძველი მოფარიკავე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბოსტა მაჩხანელი ახლაც დარტანიანივით გამოიყურებოდა, ერთი სიტყვით, ნაციონალებისთვის მეტად არასასურველი მოწინააღმდეგე იყო, — მე ვფიქრობ, ერთი ან ორი ჩხვლეტით ეგენი ასპარეზს არ დატოვებენ, მაგათი მოკვეთა გახდება აუცილებელი.

— გახდება და მოვიკვეთოთ. ძმაო ბოსტა, საქართველოს უკან დასახევი გზა აღარ აქვს, ჩვენ უკვე უფსკრულის პირას ვიმყოფებით, — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით, თქვა შერგილ სატევარიანმა. მის სიდინჯეში იყო რაღაც ისეთი სისპეტაკე და სიდიადე მყინვარწვერისა, რომელიც ყველა მის სიტყვას სიმტკიცესა და უეჭველობას სძენდა. — იქნებ დროა, შევფიცოთ კიდეც ერთმანეთს: სიკვდილი ან გამარჯვება!

— ფიცის დადებას მოვასწრებთ, ჩემო შერგილ, ჯერჯერობით რელიეფურად გამოვკვეთოთ ის საკითხები, რომლებიც, სავარაუდოდ, გადაჭრას მოითხოვს. აშოტი გვთავაზობს კონკრეტულ გეგმას, მოვუსმინოთ და შევაფასოთ, — თქვა დათუკიმ და მიმინოსთვალებიან აშოტ კლარჯიშვილს ანიშნა, დაიწყეო. ამ მართლაც ჯიშიანი ქართველი ვაჟკაცის შემხედვარს, გაგიკვირდებოდა, რატომ დაკარგეს ქართველებმა წმიდა მეფის, აშოტ კურაპალატის სახელი.

— ჩემო ძმებო და მეგობრებო, უკვე ამ ჩვენს შეკრებასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საქვეყნო საქმისთვის გონებრივ ღვწაში ღმერთი შეგვეწევა და მისი მადლი გზასაც დაგვანახებს, თუ როგორ შევასხათ ხორცი ჩვენს წადილს. ვფიქრობ, ჩვენ მოვალენი ვართ, თეორიულად დასაშვები მოვლენებიც გავითვალისწინოთ. ალბათ, ყველაზე უარესი მათ შორის, ნაცების მიერ არჩევნების გაყალბება და კომენდანტის საათის გამოცხადება იქნება, რომელიც თავისთავად შიშის სინდრომსა და ინფორმაციის ვაკუუმს წარმოშობს. ამ დროს სახლებში შეკეტილი საზოგადოების აქტიური ნაწილი დენთის კასრს ემსგავსება და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუნდაც თავგანწირვის ფასად, როგორ გაარღვიოს ჩაკეტილი წრე. აქ არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ახსოვთ ჩვენი ახალგაზრდული აღტყინება. მაშინ, 1989 წელს თბილისში კომენდანტის საათის დროს, ჩვენი პროტესტი იმით გამოვხატეთ, რომ ყელზე შავი ლენტები შევიბით და აკრძალულ დროს მწყობრი ნაბიჯით ქალაქის ცენტრალური ადგილები გამოვიარეთ. მაშინ რუსებმა ჩვენ არ გვესროლეს, მაგრამ ახლა კარგად ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე: ამჯერად შავ ლენტებს საკაშვილის დაკვეთით ზონდერბრიგადები ამზადებენ ჩვენს კუბოებზე გადასაფარებლად. ცნობილია, რომ ასეთი კუბო ბევრი დაგროვდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ნაცებისგან დაშინებული ჭირისუფლები გავამრავ-

ლოთ და შვილის დატირების უფლება არ მივცეთ დედას.

ზემოთ ჩაკეტილი წრე ვახსენეთ და მის გარღვევაში ჩვენ უნდა დავეხმაროთ საზოგადოებას. ამისთვის, ჩვენი აზრით, პირველ სტიმულატორად პროკლამაცია უნდა ვაქციოთ და მის გასავრცელებლად როგორც ელექტრონული, ისე ნებისმიერი კუსტარული საშუალება გამოვიყენოთ. აქვე გაგაცნობთ ტექსტსაც:

«სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ»

ქართველნო და მამულიშვილნო,

ამ განსაცდელის ჟამს, ნამდვილი სიკვდილი არა ფიზიკური გარდაცვალება, არამედ ჩვენი შიში, უნდობლობა და გაუტანლობაა. გვახსოვდეს: ერთხელ დავიბადეთ და ერთხელ უნდა მოვკვდეთ. სასოწარკვეთილება და ფარ-ხმალის დაყრა ვაჟკაცს არ შეშვენის. მხოლოდ მოქმედება გადაგვარჩენს. ამიტომ ყველაზე ერთგული ადამიანები შემოვიკრიბოთ, პატარ-პატარა ბრიგადები შევქმნათ და ყოველ კონკრეტულ უბანზე შესაბამისი გეგმით ვიმოქმედოთ, რათა რაც შეიძლება მეტი ზიანი მივაყენოთ ნაცორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, მათ სადამსჯელო რაზმებსა და პოლიციას; დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ კაზინოებსა და საროსკიპოებს, რომლებიც ისედაც გაუბედურებულ ქართველებს საბოლოოდ ყვლეფენ და რყვნიან.

ყველამ უნდა დაიმახსოვროს! ვინც ამჟამად სახელმწიფო დაწესებულებებსა და სტრუქტურებთან თანამშრომლობს, იგი საქართველოს მტერია.

ჯარისკაცნო და პოლიციელნო, დროზე გაეცალეთ თქვენს სამსახურს, რომ შთამომავალთა წყევლა თქვენზე არ მოიწიოს და მოღალატეთა სახელით არ შეხვიდეთ საქართველოს ისტორიაში.

ჩვენთან არს ღმერთი.

გოგო დაიბადაო, რომ იტყვიან, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს აშოტს მოულოდნელი არაფერი უთქვამს, მაგრამ ტრაგიკული მოვლენის რეალურად ასახვამ, ცოტა არ იყოს, გული შეუკუმშა მსმენელებს. მართალია, ჯაბანი აქ არავინ იყო, მაგრამ სიკვდილის ხსენებამ მაინც თავისი ბუნებრივი სიცივე შემოიტანა დარბაზში. სიჩუმე დათუკიმ დაარღვია და აზრის გამოთქმა თეთრწვერიან და მშვიდ „მეციხოვნეს“, ბარათა ფარსმანისძეს სთხოვა. ბარათას ეს მეტსახელი მეგობრებმა, ერთი მხრივ, ძველი ციხეების რესტავრირების გამო შეარქვეს, მეორე მხრივ კი, სანამ ბარათა მოიქცეოდა და ჭეშმარიტი ქრისტიანი გახდებოდა, „ვირის აბანოც“ კარგა ხანს ჰქონდა ნახეხი და ქარაგმულად ამ გაგებითაც „მეციხოვნედ“ იწოდებოდა.

— ჩემი აზრით, სწორია აშოტი, ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვი-

ყოთ, მაგრამ მე თქვენს ყურადღებას პრევენციისკენ მივაქცევდი, რაშიც საზოგადოების პოლიტიკურად განათლებასა და მოვლენათა კრიტიკულად შეფასების სწავლას ვგულისხმობ. ვფიქრობ, ჩვენ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებამდე აღნიშნულ აზრთა მისატანად. ხალხს არ უნდა აეჭვებდეს ნაცმუშაკთა ცრუ აპოლოგეტიკა. მაგალითად, როცა ისინი თავს იწონებენ კრიმინალის აღმოფხვრით, ჩვენ თვით ფაქტი კი არ უნდა დავაყენოთ სასწორზე, არამედ სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით შევადაროთ რიგითი მოქალაქეებისა და ჩინოვნიკების რადიკალურად განსხვავებული ყოფა, გავიხსენოთ ხელისუფალთა ჩადენილი მკვლელობები, დარბევები და სხვა დანაშაულობანი და ამის მიხედვით შევაფასოთ: „კანონიერი ქურდები“ მეტ საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყანას თუ ნაციონალურ ქურქში გახვეული ქართველთმოძულენი; საზოგადოებას კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ნაცელიტა ხელმძღვანელობს იმ ევროპულ-ამერიკული ინსტრუქციებით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ერის ზნეობრივად გადაგვარებას ისახავს მიზნად, რათა ხორციელ ვნებებს დამონებული ადამიანები პურითა და სექსით ადვილად მართოს; იმიტომ არის მედია-გარემო ასე დაბინძურებული, რომ მამათმავლები და მათი სახესხვაობები განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ და, როგორც ეს არაერთხელ დადასტურდა, ხელისუფლება ხელს უწყობს, რომ გეი-აღლუმებითაც კი აშკარა პროპაგანდა გაუწიონ თავიანთ ცოდვებს. მეტის თქმა არც არაფერზე ღირს, რადგან ქრისტიანი ერისთვის არსებობის მნიშვნელობას ღირსება განსაზღვრავს: იწოდებოდე ქართველად, მაგრამ არ გაგაჩნდეს პატიოსნება და სამშობლოს სიყვარული, მაშინ რაღა ფასი აქვს ამქვეყნად არსებობბას?

— არავითარი, ჩემო ბარათა, ასეთი კაცის სიცოცხლეს ველზე ამოსული ერთი უბრალო ყაყაჩო სჯობია. ამბობენ, ეს ყვავილი მარტო იქ იზრდება, სადაც ქართველ ვაჟკაცთა სისხლია დაღვრილიო. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ამ ყვავილის სიწითლეც კი ღირსეულ წინაპართა ხსოვნას ინახავს, ხოლო უპატიოსნო და უსიყვარულო კაცს არათუ ხსოვნის, არამედ სხვათა ღირსების დანახვის უნარიც წართმეული აქვს. — ბრძანა დარბაზის მეშვიდე წევრმა, უმწიკვლოებით ცნობილმა მარტია ბაბურაულმა და ნიშნად იმისა, რომ ასეთი უუნარო ადამიანები სინდისგარეცხილნიც არიან, მაგიდაზე ხელი გადაუსვა. — თუ ასეთმა პერსონებმა თავისკენ გადახარეს საზოგადოების ეთიკური სასწორის ისარი, მაშინ სოციალური და ეკონომიკური დონის არნახული ზრდის პირობებშიც კი საქართველოს, როგორც ტრადიციული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ქვეყნის, კრახი გარდაუვალია. ვფიქრობ, ძველი მეგობრები სწორედ იმან შეგვყარა, რომ ჯერ ერთმანეთს ვუთხრათ და მერე სხვებსაც გავუზიაროთ ჩვენი მიზანი: ბრძოლა საჭიროა არა მარტო ჩვენი სამშობლოს ფიზიკური გადარჩენისთვის, არ-

ამედ, პირველ ყოვლისა, ზნეობრივი და მართლმადიდებლური სამშობლოს დაცვისათვის.

— ჩვენს სარწმუნოებაზე მეც მინდა ვთქვა ორი სიტყვა, შეიძლება ზოგიერთი ფაქტი თქვენთვის ცნობილი არ იყოს.

— ბრძანე, ჩემო პაპა, ამ თემაზე შენგან, რასაკვირველია, საინტერესო აზრს მოვისმენთ, — მხარი დაუჭირა დათუკიმ და მაგიდაზე დაწყობილი საქაღალდეებიდან ერთი გამოიღო, რომელსაც ეწერა: „ეკლესია და სახელმწიფო, 2003-2012 წლები“.

— დღევანდელი მდგომარეობა ძირითადად ყველასთვის ცნობილია. ხელისუფლება ცდილობს, ეკლესიის ავტორიტეტი, კონკრეტულად, კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორესი, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის შირმად გამოიყენოს. სინამდვილეში, არცერთ მის თხოვნასა და წინადადებას (მაგალითად, ბიძინას მოქალაქეობის აღდგენაზე) არ ითვალისწინებს და საჭიროების შემთხვევაში ცენზორის ფუნქციასაც ითავსებს. ასე მოხდა ამა წლის აღდგომის დღესასწაულზეც, როცა, ჩვეულებისამებრ, წმიდა სამების ლავრაში ილია მეორის ეპისტოლეს კითხვის დროს, გამოტოვებულ იქნა აბზაცი, რომელიც ხელისუფლებას გარყვნილების პროპაგანდაში ამხელდა.

უნდა ვიცოდეთ, რომ უცოდველნი არც ჩვენა ვართ და ამიტომ ღმერთი უშვებს ამ განსაცდელებს. ჩვენი ქვეყანა არა ჩვენი დამსახურებით, არამედ ღმრთის წყალობით არსებობს და მისი მოწყალების შედეგია ისიც, რომ ზნეობისა და სარწმუნოების სადარაჯოზე კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ინარჩუნებს.

ყოველივე ამის შემდეგ მე ისღა დამრჩენია, ვთქვა, საეკლესიო სფეროში ისე უხეშად შეიჭრა საერო ხელისუფლება, რომ მარტო ამ მიზეზითაც ქვეყნის სამართავ საჭესთან მისი დატოვება გამორიცხულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავითარი SOS ჩვენ ვეღარ გვიშველის.

— სამწუხაროდ, ასეა, — დაადასტურა დათუკიმ და, თავის მხრივ, დარბაზს ნაცების აღვირახსნილობის რამდენიმე შემთხვევაზე გაზეთებიდან ამოკრებილი მასალების მიხედვით მოუთხრო.

ქვეყნის მოჭირნახულენი კიდევ ბევრ საკითხს შეეხნენ; მეცნიერების, განათლების, მეურნეობის, ეკონომიკის, ჯარისა თუ პოლიციის პრობლემებზე ისაუბრეს და ბოლოს, აზრის შესაჯამებლად, სიტყვა დარბაზის თავს, დათუკი ქვეპირიშვილს მისცეს.

— როგორც ჩანს, ჩვენ უკვე საგანგებო მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამიტომ, როგორც შევთანხმდით, თუ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისევ გააყალბა არჩევნები, ჩვენ და ჩვენი თანამოძმენი, რომელნიც დღევანდელ შეკრებას არ ესწრებიან, დაუყოვნებლივ ვიწყებთ სამართლებრივ ბრძოლას ჩვენთვის კონსტიტუციით მონიჭებული უფლებების დაცვისათვის. თუ ბი-

ძინა ივანიშვილი ქვეყნის გადარჩენისთვის ამავე გზას აირჩევს, მაშინ ჩვენ უარს ვიტყვით დამოუკიდებლად მოქმედებაზე და უპირობოდ შევუერთდებით მის კოალიციას, რომელიც საერთო მიზნისთვის იბრძოლებს. ჩვენ გვჯერა, ყოველი ქართველი, რომლისთვისაც სულერთი არ არის პატიოსნება და გარყვნილება, ქართველობა და სექტანტობა, შემოგვიერთდება, ჩვენთან ერთად გაიზიარებს სამშობლოსათვის ბრძოლის სიხარულს და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც უფალმა შთამომავლობის წინაშე დაგვაკისრა.

დარბაზი ერთხმად დაეთანხმა დათუკის ნათქვამს და შემდგომი შეკრების თარიღად არჩევნების დღე, 1 ოქტომბერი გამოაცხადა, როცა საქართველოს ეკლესია მთავარმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილსა და მოწამე ქსნის ერისთავებს, შალვას და ელიზბარს იხსენებს.



თეიმურაზ ფანჯიკიძე

გურამ ქერაშვილი, ხევი და მოხევეები, თბ., 2012

საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მდიდარია თავისი შემადგენელი ულამაზესი კუთხეებით, რომლებიც პოლიტიკურ ერთიანობასთან ერთად ქმნიან იმ დიდ სულიერებას და კულტურულ მრავალფეროვნებას, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყანა.

მართლაცდა, მსოფლიოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც ესოდენ პატარა ტერიტორიაზე არსებობდეს ამდენი განსხვავებული ხასიათი, ტემპერამენტი, ტრადიცია, წესი და ადათი, ცეკვა და სიმღერა, სტუმარ-მასპინძლობა, ლხინი და გლოვა, სულიერების სხვა გამოვლინებები და მათგან მომდინარე ცხოვრების წესი.

ეს განსხვავებულობა და ნაირფერობა, ერთი მხრივ, ჭეშმარიტად დიდი სიმდიდრეა, დიდი პოტენციალია ეროვნული ინდივიდუალობისათვის, ორიგინალური შემოქმედებისათვის, საკუთარი მეობის გამოხატვისა და დამკვიდრებისათვის, თუმცა, მეორე მხრივ, იგი ძალზე ართულებს ამ კუთხეთა ერთმანეთთან შეკავშირებას, ორგანიზაციულ ერთობას და, განსაკუთრებით კი, მართვას.

წარსულიდან კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს თითოეულ კუთხეს ოდითგანვე თავისი სპეციფიკა ჰქონდა და თავისებური ელფერი დაჰკრავდა, გამომდინარე მათი ფიზიკური არსებობის პირობებიდან, გეოგრაფიული მდებარეობიდან, გარემოცვიდან, მტრულად თუ მოყვრულად განწყობილი მეზობლებიდან, მათ წინაშე მდგარი თავის გადარჩენის და დამკვიდრების ამოცანიდან.

საქართველოს თითოეულ კუთხეს ადრეული ხანიდან დაწყებული თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ერთიანი სხეულის არსებობასა და განმტკიცებაში, შემუშავებული ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებასა თუ სხვა კუთხეებთან ურთიერთობის და თანაცხოვრების საკუთარი გამოცდილება. საჭიროების დროს თითოეული მათგანი თავის თავზე იღებდა გარკვეულ

პასუხისმგებლობას, იგერიებდა მტრისგან მიყენებულ დარტყმას და ღირსეულად პასუხობდა გარედან მოსულ ყოველგვარ საფრთხეს.

ხევი და მასში მცხოვრები მოხევეები ერთ-ერთი მარგალიტია კუთხეთა იმ თანავარსკვლავედში, რომლისგანაც შედგება მთლიანად საქართველო. იგი გამოირჩეოდა იმ ისტორიული მისიით, რაც მას მდებარეობის გამო ხვდა წილად ერთიანი საქართველოს სხეულში და საკმაოდ საინტერესო წარსულითაც.

ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს კუთხეები, მათ შორის ხევი, საერთოდ არ იყოს შესწავლილი ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური თუ სხვა მიმართებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული ახალი წიგნის გამოჩენა ამ თემაზე განსხვავებული იერსახით წარმოაჩენს ცალკეული რეგიონის ისტორიას, ყოფას, წარსულსა თუ თანამედროვეობას.

წინამდებარე წიგნი, რომლის განხილვასაც მკითხველს ვთავაზობთ, ძალზე საინტერესო და გამორჩეული ნაშრომია. მისი ავტორი წარმოშობით მოხევე — ბატონი გურამ ქერაშვილი, თავისი პროფესიით არც ისტორიკოსია და არც ეთნოგრაფი, იგი უბრალოდ, თავის კუთხეზე და საკუთარ ძირებზე შეყვარებული ადამიანია, სპეციალობით კი შესანიშნავი ექიმი-ქირურგი, რომელსაც ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი და საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფიაც გააჩნია:

დაბადებულია 1940 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. არის მედიცინის დოქტორი, ოცამდე სამეცნიერო შრომის ავტორი; წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე: იყო ბარისახოს საუბნო საავადმყოფოს, ქ.თბილისის საქარხნო რაიონის სამგორის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების, ბავშვთა მეოთხე კლინიკური საავადმყოფოს, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს და რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი; საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე; წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში — ხელმძღვანელობდა სამედიცინო დაწესებულებების მართვას.

მიუხედავად იმისა, რომ მოხევეა, ბატონ გურამს ხევში მუდმივად არასოდეს უცხოვრია. დაიბადა დუშეთში და შემდგომ, ძირითადად თბილისში ცხოვრობდა. ცხადია, დროდადრო, უმეტესად ზაფხულობით ჩადიოდა ყაზბეგში და სოფელ ახალციხეში, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ წარმოშობით.

